

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ისტორიის ინსტიტუტი
ИНСТИТУТ ИСТОРИИ ГРУЗИНСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
ИМ. ШОТА РУСТАВЕЛИ

ფოლკლორის პრობლემური საბჭო
ПРОБЛЕМНЫЙ СОВЕТ ФОЛЬКЛОРА



1975

ქართული ფოლკლორი

მასალები და გამოკვლევები

V

ГРУЗИНСКИЙ ФОЛЬКЛОР

Материалы и исследования

СЛОВАРЬ ГРУЗИНСКОГО ФОЛЬКЛОРА

II

(M — h)

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»

1975

**ქართული ფოლკლორის
ლექსიკონი**

II

(მ—პ)

მ რ ფ 1
398.2(47.922)(038)
კ279

„ქართული ფოლკლორის“ მორიგი მეხუთე ტომი ეთმობა „ქართული ფოლკლორის ლექსიკონს“ (მ—კ), რომლის პირველი ნაწილი ამავე სერიის მეოთხე წიგნში გამოქვეყნდა (ა—ლ). ლექსიკონი კოლექტიურ ნაშრომს წარმოადგენს. ანბანის რიგზე მოცემული წერილები ასახავს ფოლკლორისტულ ტერმინოლოგიას, ზეპირსიტყვიერ ტრადიციასა და საივლე — შემკრებლობით მუშაობას საქართველოში.

წერილებს თან ახლავს თემის ბიბლიოგრაფია და პრობლემის შესწავლას მოკლე მიმოხილვა.

რედაქტორი პროფ. მ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი

ქ $\frac{7Q202}{M 607 (03) -75}$ 95—75

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1975

მათქვამი — (მათქომი, მოთქომი) — 1. ლექსის ავტორი, პოეტური ნაწარმოების შემთხზველი; 2. სიმღერის შემსრულებელი.

ლიტ.: ა. შანიძე, ხალხური პოეზია, 1931, გვ. 05; მ. ჩიქოვანი, ქართ. ხალხ. სიტყვ. ისტორია, 1956, გვ. 29.

დ. გოგოჭური

მაია წყნეთელი — იგივე „მათე ყაჩაღი“, XVIII ს. მეორე ნახევრის სახალხო გმირი, ერეკლე მეორის თანამებრძოლი. გვარი ცნობილი არაა. მ. წ. ცხოვრებასა და გმრობაზე მოიპოვება თანამედროვეთა მოგონებები. ზეპირსიტყვიერი ცნობებით მ. წ. შეურაცხევია ბატონს, ამ ნიადაგზე მამას ტყეში თავი ჩამოუხრჩვია, დედა კი შიმშილით მომკვდარა. მაია შურისძიებით ანთებულა, ვაჟურად გადაცმული, მათეს სახელით, მეფის კარზე მისულა და სამსახური დაუწყია. ერეკლეს კარზე ბევრჯერ უსახელებია თავი. გაუთავისუფლებია ბატონისაგან ყიზილბაშებზე გაყიდული თორმეტი ქალ-ვაჟი. მამბეზარა ბატონების მიზეზით იძულებული გამხდარა ყაჩაღად გავარდნილიყო. მათე-მაია შიშის ზარს სცემდა შინაურ და გარეშე მტრებს. ტყეში იმ ადგილს, სადაც მაია აფარებდა თავს, „მაიას საბუღარი“ შერქმევია. მაია დაიღუპა ირანელების წინააღმდეგ ბრძოლაში. მაია ლექსებსა და გადმოცემებში ნათელი სურათთა მაშინდელი საქართველოს მძიმე პოლიტიკური ვითარების და მშრომელთა წევნიწროებული ყოფისა. მაიას ლექსები ქანრობრივად ერთფეროვანი არაა, მათში გამოირჩევა ნიმუშები ქებისა („მათე-მაიას ჰირიმე“, „შენი ჰირიმე მაია“), ელეგიისა („ადრე მოუკვდა მას დედა“, „შარაზე იწვა უძრავად“), ბალადისა („ერეკლესა და მაიას შეხვედრა“, „მაიას დატყვევება და სიკვდილი“, „მაიას თავგადასავალი“). მაიას გმირული სახე აისახა თეატრსა და კინოშიც.

ლიტ.: დიმ. ჯანაშვილი, ისტორიული სურათები, „ივერია“, 1882, № 12; ა. გარსევანიშვილი, გმირი ქალი, მათე ყაჩაღად წოდებული, 1915; ქ. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმრო-საისტორიო სიტყვიერება, 1949; ქართული

ხალხური საისტორიო სიტყვიერება, II, 1964; დ. ქორიძე, სახელოვანი ქართველი ქალები, 1968.

ქს. სიხარულიძე

მაკაროვი მიხეილ ნიკოლოზის ძე (1789—1847) — რუსული ლიტერატურისა და ფოლკლორის მკვლევარი. 1830—1833 წწ. ჟურ. „მოსკოვსკი ტელეგრაფსა“ და „ტელესკოპში“ განიხილავდა ქართულ ზღაპრებს. ერთი პირველთაგანია, ვინც რუს მკითხველებს გააცნო ქართული ეპოსი.

ლ. ს. ტ. : ჩიქოვანი მ. ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, 211; რუბაძე ტ., ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 64, 117—118, 136—146; Догудки и истории сказок, «Московский телеграф», 1830, ч. 86, стр. 157—164; Русские сказки, «Телескоп», 1832, ч. 17, стр. 506—507; М. Азадовский, История русской фольклористики, I, М., 1958, стр. 126—128.

ვ. მაყაბერიძე

მალბურგის სიმღერა — მალბურგის შესახებ ფრანგული სიმღერა შეთხზული უნდა იყოს მე-17 საუკუნის ბოლოს ან მე-18 საუკუნის დასაწყისში. ლექსის მთავარი გმირი, რაინდი მალბურგი, უნდა იყოს დუკა ჯონ ჩერჩილ მარლბორი იაკობ II-ის, უილიამ III-ის და ანა დედოფლის დროის ინგლისელი სარდალი (1650—1707), რომელსაც იმდროინდელ ფრანგულ ხალხურ სიმღერაში „მალბურგი“ ეწოდა. საფიქრებელია, სიმღერა თავისი მოტივით ნაპოლეონის ომების დროს რუსეთის გზით შემოვიდა საქართველოში. გმირის სახელმა სახე იცვალა — „მალბურგი“ „ყაფლანად“ გადაკეთდა (სხვათაშორის სწორედ ამ სიმღერას წამოიწყებს ერთი გმირი ლევ ტოლსტოის რომანში „ომი და მშვიდობა“).

აკაკი წერეთელი თავის ერთ შენიშვნაში („კრებული“, 1898 წ., № 9, გვ. 29) მსჯელობს საქართველოში, კერძოდ ახალქალაქის მაზრის, სოფ. ხიზაბავრაში მწყემსთა შორის გავრცელებულ სიმღერაზე „ყაფლანი მიდის ჯარშია“, სადაც აღწერილია „თუ როგორ წავიდა ჯვარაოსნობის დროის რაინდი მალბურგი სარკინოზების გასაქლევად და რა გადახდა“ მას... აკაკის აზრით, გაკათოლიკებულ ქართველებს ეცოდინებოდათ ეს სიმღერა პატრი მისიონერებისაგან დიდი ხნის წინათ ნასწავლიო. „მალბურგის ლექსი“ მართალია ფრანგული ხალხური ლექსია, მაგრამ ჯვაროს-

ნული ომების დროს, ე. ი. შუასაუკუნეებში, შექმნილი არ შეიძლება იყოს, თუ მთავარი გმირის მალბურგის სახით ინგლისელ სარდალს ვიგულისხმებთ.

ე. არჯევანიძე

მაღექსარი — 1. ლექსის ავტორ-მთქმელები; 2. პოეტური ნაწარმოების „ლექსობით“ შემსრულებელი (ნახ. ლექსობა).

ლიტ.: ა. შანიძე, ხალხური პოეზია, 1931, გვ. 019; მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 29.

დ. გოგოჭური

მამბირე — ლაზ. მომღერალი, მოლექსე.

მანგური — მონადირე თეთრი მანგური, ნადირობის ქალღვთაების მიჯნური. საღვთო ტრფიალი ბევრ მონადირეს სიცოცხლედ უჭდება (ბეთქილი, ჩორლა). მიზეზი ქალღმერთის ხასიათშია: დალი (ნ.) ვერ ითმენს გამხელილ ტრფიას და შურისძიებას მიმართავს. ამ მხრივ იგი არა ჰგავს ხეცსურთა სამძივარს (ნ.). მანგური შეძლებული ვაჟაკია.

საფოცხრად თურმე ღვეები გეწვევიან,
მოსამკელად თურმე დალები გეხმარებიან,
კილობნებად ვეებერთელა ქვაბები გიღვას,
მარანი ქვევრებით სავსე გაქვს.

მამაცი მ. ჯიხვზე სანადიროდ წასულა. დაღამებია და ღამის გასათევად გამოქვამული მოუნახავს, იქ დალი სწვევია და სიყვარული შეუთავაზებია.

— ასე შე ვერ გაგიშვებ, საყვარლად თუ არ გამირიგდები.

— შე სიამოვნებით გაგირიგდები, მაგრამ ცოლი და შვილი მყავს.

მამინც ვერ დაიცივა თავი მანგურმა. დაემორჩილა კლდის დედოფლის სურვილს. სამაგიეროდ ისიც სიუხვის კალთას აბერტყს ჭაბუკს:

როცა დიდი გაჰირვება დაგადგეს,
მაშინ ჩემი სახელო ახსენე;
გვერდში მდგომად გამოგადღები,
ჯიხვსა და არჩეს არ დაგიძვირებ.

სახლისკენ გამობრუნებულნი მანგური სავებმა აკაფეს. დაღამა ღვთაებრივი სიტყვა აღასრულა: „მანგურს ერთი ფრთა მოუსვია, ჭრილობები მოურჩინა, ჯანსაღი შინ გაუშვა“. დაღთან მანგურის სიყვარული ბედნიერია. ეს ბალადა თავისი ფინალით ერთგვარი გამონაკლისია დალის სევანურ ეპოსში.

ლიტ.: სვანური პოეზია, I, 1939; ვ. ვირსალაძე, ქ. სამონადირო ეპოსი, 1946; ქართული ხალხური პოეზია, I, მითოლოგიური ლექსები, 1972.

მ. ჩიქოვანი.

მარიობა — ქალღმერთის დღესასწაული; ღვთისმშობლის, წმ. მარიამის მიძინება 15 (28) აგვისტოს. ამ ოფიციალურ ქრისტიანულ დღეს ბევრი წარმართული წეს-ჩვეულება სრულდებოდა. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი იყო მთაში, კერძოდ გერგეტის ტაძარში. უკანასკნელ დრომდე აქ, მარიობასთან ლაშარობის მსგავსი ხატობა იყო შეთავსებული. სარწმუნოებრივი სიმბოიზი იგრძნობოდა კურატებისა და ცხვრების შეწირვაში, ხევისბერებისა და მღვდლების მოქმედებაში, ღამისთევასა და ცისკარზე სათემო დროშებით შემოვლა-დაწყალობებაში და ა. შ. სამების დღესასწაული და ხატის ძალა ნაჩვენებია ალ. ყაზბეგის „ხევისბერ გოჩაში“ და პ. უმიკაშვილის აღრინდელ წერილში. მარიამობას იმართებოდა სახალხო გართობა, რაშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა საგალობლებს, სიმღერებს, ლექსებსა და საწესო წარსათქმელებს, მასიურ ფერხულს, ქადაგებასა და მისნობას, მსჯელობას თემის საშინაო და საგარეო პრობლემებზე. სამებაში საგანგებო ჰიმნს მღეროდნენ „გერგეტულას“ (ნ.) სახით.

ლიტ.: პ. უმიკაშვილი, მოგზაურობა ხევში. დ არქ; ალ. ყაზბეგი, „ხევისბერი გოჩა“.

მ. ჩიქოვანი

„მარტი და მეცხვარე“ — ხალხური ნოველა. მარტმა აპრილისაგან სამი დღე ისესხა და თოვლითა და ქარბუქით მეცხვარეს საფრთხე შეუქმნა. მონერხებულმა მეცხვარემ შეძლო აბეზარი მარტის დამარცხება და მრავალრიცხოვანი ფარა შიმშილით ამოწყვეტას გადაარჩინა. ფაბულა მწყემსთა წრეშია შექმნილი და ბუნებაზე ადამიანის გამარჯვების რწმენას გამოხატავს.

ლიტ.: ქართული ზღაპრები და ლეგენდები, ალ. ღლონტის რედ. „საბჭოთა მწერალი“, 1948, გვ. 6.

ნ. შამანაძე

„მასალათა კრებული“ — «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа» («СМОМПК»). 1881 წლიდან 1929 წლამდე 46 ტომად გამოცემული კრებული კავკასიის სასწავლო ოლქის სამმართველოსა. „მ. კ.“ 1881 — 1915 წლამდე თბილისში იბეჭ-

დებოდა; 1926 წლიდან 1929 წლამდე მახაჩკალაში (ჩრდილო-კავკასიის მთიანეთის სამხარეთმცოდნეო ასოციაციისა და დალესტნის ასსრ განათლების კომისარიატის გამოცემა). „მ. კ.“ ძირითადად ხელმძღვანელობდნენ და რედაქტორობდნენ კავკასიის სასწავლო ოლქის ინსპექტორები. დასაწყისში, მე-8 ტომამდე — ნ. ა. კოროვაევი, ხოლო მე-9 ტომიდან — ლ. ლოპატინსკი. ბოლო ორ ნომერს რედაქტორობდა სარედაქციო კოლეგია (ნ. ი. მარი, ა. დირი, ა. ფ. ლაისტერი, დ. მ. პავლოვი, ა. ა. ტიხო-გოდი და ნ. ფ. იაკოვლევი). „მასალათა კრებულმა“ დიდი საპასხური გაუწია კავკასიის, და კერძოდ საქართველოს, კულტურის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ისტორიის, ენის, ლიტერატურისა და ფოლკლორის შესწავლის საქმეს. მის ფურცლებზე ქვეყნდებოდა ხალხური სიტყვიერების მრავალფეროვანი მასალა; ქართული ფოლკლორის ნიმუშები ქართულსა და რუსულ ენებზე, ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული ხასიათის ნარკვევები, აგრეთვე კრიტიკული და ბიბლიოგრაფიული წერილები.

ქართული ფოლკლორის შესწავლაში ბევრმა ქართველმა გამოიჩინა თავი, მაგ., მ. ჭანაშვილმა, ბ. და ი. ნიჟარაძეებმა, შ. კ. ლომინაძემ, ა. ი. ჯავახიშვილმა, ი. კაპანაძემ, თ. რაზიკაშვილმა, გ. გუჯეჯიანმა, გრ. აფშინაშვილმა, ივ. როსტომაშვილმა, დ. მარგიანმა, ა. ციციამ, ა. თოიძემ, ტ. მამალაძემ, ბ. ვ. ხორავამ, მ. საღარაძემ, მ. შატბერაშვილმა, ნ. ჭანაშიამ, ივ. ცხაკაიამ, ე. გაგუამ, ა. დგებუაძემ, მ. რამიშვილმა, ა. მოწონელიძემ, ე. ლორთქიფანიძემ, ა. მიქუტაძემ, ნ. მინდელმა გ. ჯაფარიძემ, თ. ხუსკივაძემ, თ. თაბუკაშვილმა, ა. გვასალიამ და სხვ.

აღსანიშნავია დამსახურება იმ რუს და სხვა ეროვნების პედაგოგებისა და უფროსი კლასების მოსწავლეებისა, რომელთაც ქართული ხალხური სიტყვიერების თარგმნა-პოპულარიზაციის საქმეში ისახელეს თავი. მაგალითად, ი. ე. პეტროვი, მ. გ. მაშურკო, მ. გლუშაკოვი, ი. ტეპცოვი, ივ. სანაკოევი, მ. ა. ვასილკოვა, ივ. შახპარუნოვი, ა. კოზოდაევი, აბოვიანცი; აგრეთვე ნ. დერჟავინი, ა. ნ. გრენი და სხვანი. „მ. კ“-ში გამოქვეყნებული ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები ევროპულ ენებზე ითარგმნა ნაწილობრივ (გერმ.).

ლ ა ტ .: ე. არკვეანიძე, ანოტირებული ბიბლიოგრაფია СМОНПК-ში გამოქვეყნებული ქართული ხალხური სიტყვიერების მასალისა, თბ., 1971.

ე. არკვეანიძე

„მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“ — სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა

და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის სამეცნიერო კრებუ-
ლი. პირველი წიგნი დაიბეჭდა 1938 წ. 1950 წლიდან იგი საქ. სსრ
მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის,
არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო კრე-
ბულს წარმოადგენს. მ. ს. ე. სპეციალურად შეისწავლის საქარ-
თველოს სხვადასხვა კუთხეთა ყოფა-ცხოვრების საკითხებს. ნარ-
კვევები ეთნოგრაფიაზე, როგორც ფოლკლორისტიკის ერთ-ერთ
მოსაზღვრე დარგზე, მნიშვნელოვან მასალებს შეიცავს ხალხური
შემოქმედების თვალსაზრისითაც. კრებულში დიდი ყურადღება
ექცეოდა ფოლკლორს. ამ მხრივ საინტერესოა ქართველ მთიელთა
სასულიერო ტექსტები: ხუცობანი, სადიდებელთაი-სადიდებო,
ჯვარული, სასიმღეროები (ტ. 1), მიცვალებულის კულტთან დაკავ-
შირებული ზეპირსიტყვიერება (ტ. III). ყურადღებას იქცევს
ლეგენდები, გადმოცემები და მითოლოგიური თქმულებები
(ტ. IX) და ა. შ.

მ. ს. ე. მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ფოლკლორისტულ
კვლევა-ძიებას, მაგ: „საცხოვრებელი ნაგებობანი ქართული ხალ-
ხური პოეზიის მასალების მიხედვით“ (ს. ბედუქაძე, ტ. IV), „ზო-
გიერთი ხალხური გადმოცემის შესახებ“, „მთიბლურთა და ზმით
ნატირალთა ურთიერთობის საკითხისათვის“ (თ. ოჩიაური, ტ. X,
XI), „მცენარეები და სოფლის მეურნეობა ხალხის ზეპირსიტყვი-
ერებაში“ (ნ. კეცხოველი, ტ. XII—XIII). აქვეა ხალხური მუსი-
კის შესახებ გამოქვეყნებული ნაშრომები: „ქართლ-კახური შრო-
მის სიმღერა — „ურმული“, „ქართული ხალხური სიმღერა ჭონა“
(თ. მამალაძე, ტ. VII, XIII), „ოქტომბრის რევოლუცია და ქარ-
თული ხალხური სიმღერა, „ქართული ხალხური საგუნდო ხელოვ-
ნება და მისი თანამედროვე მდგომარეობა“, „ქართული მუსიკა-
ლური ფოლკლორის ისტორიოგრაფია“ (გრ. ჩხიკვაძე, ტ. X, XI,
XII—XIII).

კრებული იმის საუცხოო ნიმუშს წარმოადგენს, თუ რაოდენ
საყურადღებო ისტორიულ და ეთნოგრაფიულ მასალას იძლევა
ზეპირსიტყვიერება.

ლიტ.: „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, ტ. I—XV.

ფ. ზანდუკელი

მაუბარი — ხევს. 1. ახალი საყოფიერო ამბის ლექსად შემ-
თხზველი, უპირატესად მამხილებელი მოტივების ავტორი. 2.
მთხრობელი. 3. ლაპარაკის მოყვარული.

დღე დაგადგების მონაი
მაუბარს ამაგისასა!

ლიტ.: ა. შანიძე, ხალხური პოეზია, 1931, გვ. 05; მ. ჩიქოვანი, ქართ. ხალხ. სიტყვ. ისტორია, 1956, გვ. 28; ქუთ. მუზ., არქ. 6418—39.

დ. გოგოქური

მაღალი შაირი (იგივე — მოკლე შაირი) — შაირის (ნ.) ერთ-ერთი სახეობა. ქორე-დაქტილურ ტერფებზე დამყარებული 8 ან 16-მარცვლიანი სალექსო საზომი. დაბალი შაირისაგან (ნ.), ძირითადად, ქორეული კლაუზულით განსხვავდება. წარმოშობით ფოლკლორულია. გავრცელებულია როგორც ხალხურ პოეზიაში, ასევე ლიტერატურაში. მაღალი შაირის ნიმუში, მისთვის დამახასიათებელი მეტრული სტრუქტურით მწიგნობრულად დამოწმებულია მე-10 საუკუნეში „ფილიპე ბეთლემის“ სახელწოდებით. მაღალი შაირი რომ გაცილებით ადრე ჩამოყალიბდა ხალხურ პოეზიაში, ამას ადასტურებს მისი ფართო გავრცელება უძველეს საწესჩვეულებო, საგმირო და შრომის ლექს-სიმღერებში. ეს საზომი გამოყენებულია აგრეთვე „ამირანიანის“ უძველეს ფრაგმენტებში.

მაღალი შაირი, განსაკუთრებით, დასავლეთ საქართველოს ხალხურ პოეზიაშია გავრცელებული. რვა მარცვლიანის ნიმუშია:

ჩემო მკვლელო, ჩემო მწველო,
ჩემო ახლო მეზობელო.

თექვსმეტმარცვლიანია:

სანადიროდ წამოვიდნენ ამირან და ძმანი მისნი,
გადიარეს ცხრანი მთანი, მეთენი — ალგეთისნი.

ლიტ.: ა. ვაწარელია, ქართული კლასიკური ლექსი, 1953; ჯ. ბარდაველიძე, ქართული ხალხური ლექსის საზომები, ქართული ფოლკლორი, I—II, 1964.

ჯ. ბარდაველიძე

მაყრული — საქორწილო სიმღერა. ქორწილს, ძველი ჩვეულებების მიხედვით, ყველა საფეხურზე თან სდევდა მ. განსაკუთრებით უხვად სრულდებოდა სიმღერები ეკლესიიდან სიძის სახლამდე მიმავალ გზაზე. აღ. ჯამბაკურ-ორბელიანის გადმოცემით: „მეფე-დედოფალს ეკლესიიდან ჯვარდაწერილებს რომ გამოიყვანდნენ, მომღერალნი მაყრულის სიმღერით წამოუძღვებოდნენ მექორწილებს და სალხინოს სახლში შემოიყვანდნენ მღერით. იქ

მხიარული ღზინი უნდა გამართულიყო სხვადასხვა სოფლების-
სიმღერებით და ღიღინით“. მაყრული ლექს-სიმღერები გვიხასია-
თებენ ქორწილის ჩვეულებას, გადმოგვცემენ ქალ-ვაჟისა თუ მა-
თი მშობლების განცდებს, აქებენ და ადიდებენ შეუღლებულებს..
ერთ-ერთი ტიპური მაყრული სიმღერაა:

მოვდივართ, მოგვიხარია
მოგვეავს ღელაო ხოხობი.

ლიტ.: ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, I, 1960.

გ. ბარნოვი

მაშურკო მ. გ. — XX საუკ. დასაწყისის საქართველოში მოღვაწე
პედაგოგი. მას ეკუთვნის წერილები: Из области народной фантазии
и быта Тифлисской и Кутаисской губернии (СМОМПК, 1894, т.
18, III), Из области народной фантазии и быта (СМОМПК,
XXXII, 1903). მეორე წერილში თავმოყრილი მასალა ძირითადად მის-
თვის მოუწოდებიათ ქუთაისის გიმნაზიის მოწაფეებს: ვარლამ შავდიას,
კონსტანტინე სულაქველიძეს, ვლადიმერ გობეჩიას და პეტრე გვაზა-
ვას. მ. ეხება ქართულ საყოფაცხოვრებო წეს-ჩვეულებებს, სადღესას-
წაულო თამაშობა-გართობებს და ხალხურ გადმოცემებს. იმავე კრე-
ბულში გამოქვეყნებულია აგრეთვე «Памятники народного творчес-
тва Кутаисской Губернии» (СМОМПК, 1904, № 33, III, 1—14),
რომელშიც შედის ვრცელი იმერული ზღაპრის თარგმანი «Яблочный
великан», «Погоня за счастьем» и «Бойкий солдат». უურადლებას
იქცევს მ. ნათარგმნი და კომენტარებული ვარიანტები ზღაპრისა «Ка-
жанда» (СМОМПК, 1894, № 18, III, გვ. 393).

ლიტ.: ე. არქევანიძე, ანოტირებული ბიბლიოგრაფია «СМОМПК»-ში გამო-
ქვეყნებულ ქართული ხალხური სიტყვიერების წახასია. 1971.

ე. არქევანიძე

მაცნე — ახალი ამბის სასწრაფოდ შორ მანძილზე ზე-
პირად გადამტანი, საგანგებო ცნობის ხალხში გამავრცელებელი.

შათილ მაცნეი ჩაგივარდაო,
ქვეც გაგიგებენ მითხოვლინო.

მახარაძე ფილიპე ესეს ძე (1868—1941) — ცნობილი რევო-
ლუციონერი, საქ. კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი გამოჩენილი

მოღვაწე. აქტიურად მუშაობდა სალიტერატურო კრიტიკაში. ფოლკლორისტულად საინტერესოა ნაშრომები: „დანიელ ჭონქაძე და მისი დრო“ (1904), „ხალხური პოეზია და ბ-ნი მელიტონ კელენჭერიძე“ (1897). უკანასკნელი შეიცავს მელიტონ კელენჭერიძის (ბ) წიგნში „სახალხო პოეზია და მისი საპედაგოგიკო და საესთეტიკო მნიშვნელობა“ წამოყენებული მოსაზრებების კრიტიკას.

ჭ. ბარდაველიძე

მგარა, ბგარა, მგარინი, ბგარინი — ტირილი (დატირება). ლაზები ასხვავებენ ტირილის (დატირების) რამდენიმე სახეს: „კორეცხალა მგარინი“ (მოთვლით ანუ მოთქმით ტირილი), „სერსითე მგარინი“ (ხმით ტირილი) და „ჩელამურეთე მგარინი“ (ცრემლით ტირილი). მგარა//ბგარა როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრივ ახლოს დგას ქართულ მღერა//ბგერა ფორმებთან, ხოლო მგარინი//ბგარინი იდენტური ჩანს ქართული „ვერინი“-სა.

ზ. თანდილავა

მგელთუქმე — მესაქონლეთა ტრადიციული ჩვეულება. გავრცელებულია უმთავრესად აღმოსავლეთ საქ. მთიანეთში. უქმობდნენ დიდმარხვის პირველ შაბათს. ძველი რწმენით, უქმეს გამტეხის საქონელს მგელი დააზიანებდა. ამ დღეს სხვადასხვა რიტუალს ასრულებდნენ: დიასახლისი ფილთაქვას და სავარცხელს სახლის ბოძს მიაკრავდა, მგელი დაიხუთებო. იმავე ბოძს მუგუზხალს მიახლიდა, მგელს პირი დაეთუთქებო. აცხობდნენ მგლის სახის მქონე კვერებს. ბავშვები მგლის კვერებს სანიშნოდ დადებდნენ და ისარს ესროდნენ. ვინც მოარტყამდა, კვერსაც ის შექამდა.

ლი ტ.: ს. მაკალათია, ფშავი, 1934, გვ. 165.

ნ. შამანაძე

მგელი — ცხოველთა ეპოსის ცენტრალური პერსონაჟი. მწყემსთა პოეზიაშიც ხშირად იხსენიება. დახატულია გაუმაძღარ ნადირად. ალეგორიულად ზოგჯერ მსუნაგ და ხარბ ადამიანს განასახიერებს, ზოგჯერ კი შეუპოვარსა და უშიშარს. მითიური თვისებებაც

ახასიათებს. სვანთა რწმენით, მგლის „საქმიანობას“ წმ. გიორგი (ჯგრაგი) განაგებს. საქართველოში შეიმჩნევა მგლის ტოტემის გადანაშთები.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვეული ამირანი, 1947.

6. შამანძე

მგლის პირის შეკვრა — მტაცებლისაგან პირუტყვის დაცვის წარმართული ჩვეულება: ტომარში ჩადებდნენ გალესილ ცულს, სავარცხელსა და ფილთაქვას, მოუკრავდნენ პირს, ჭერზე ჩამოკიდებდნენ და იტყოდნენ: მგელს პირი ამ ტომარასავით შეეკრას, ცული თავში მოხვდეს, ქვა კი ყელში გაეჩხიროსო. მ. პ. შ. შელოცვაშიც კპოვა გამოხატულება:

ელითა, მელითა,
მგელი მოდის ელვითა,
ღმერთო, შენ შაკარ, შაბეჰლდ
მგლის პირი ნაბდითა,
კბილი სანთლითა.

მხეცის პირის შეკვრის სხვა ჩვეულებაც არსებობდა ხალხში.

ლიტ.: ს. მაკალათია, ხევი, 1934, გვ. 194; მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხ. სიტყვიერების ისტორია, 1956; ქართული ხალხური სიტყვიერების ქრესტომათია, ქს. სიხარულიძის რედაქციით, I, 1956, გვ. 90.

6. შამანძე

მეალილოე — ალილოს მომღერალი, საალილოოდ კარდაკარ მავალი. მეალილოეთა ჯგუფი 3—5 კაცისგან შედგებოდა. ამათგან სამი მაინც მღეროდა (თქმა, მოძახილი, ბანი). ერთი ხურჯინს ატარებდა საჩუქრების ჩასაწყობად. ლეჩხუმში, მაგალითად, საალილოოდ წასვლა მოხუცსაც შეეძლო და ახალგაზრდასაც. თბილად ჩაცმულნი მთელი დღე გზაში იყვნენ და ყავარჯენს დაყრდნობილნი სახობტო სიმღერა-გალობას წარმოთქვამდნენ. ზოგჯერ სოფლის ჩამოვლას დიდი დრო სჭირდებოდა და მეალილოეთა მოსვლას ოჯახები შუა ღამემდე ელოდნენ.

მ. ჩიქოვანი

მეზირაფა — ლაზ. მიმღერება, ვინმესთვის სიმღერით ლექსის, თქმა. მ. მეტწილად ქალ-ვაჟს შორის სატრფიალო მღერასთან არის დაკავშირებული.

ზ. თანდილავა

მებოლოვე — ტივზე ბოლო მიმყოლი, ბოლო მეტივე. ტივის ორი ან სამი კაცი სჭირდება. ერთი ტივის ბოლოზე დგას. სახელწოდებაც აქედანაა. მ. მოვალეობაა ტივის სწორი გეზი მისცეს. იგი ფხიზლად დგას სადარაჯოზე და თვალს ადევნებს მიმართულების სიზუსტეს. შრომის პოეზიაში მებოლოვე ხშირად იხსენიება:

ქარელში ტივი აუშვი, იქვე მოიღერა ყელი,
საყორნიას მიეატანე, ფინთად შემიყვალა ფერი,
ორივე წყალში დამეხრჩო, მებოლოვე, ხელისმკერელი.

ლიტ.: ზ. გულისაშვილი, მთხრობები, ნარკვევები, 1953; შრომის სიმღერები, 1961; თ. ოქროშიძე, ქართული ხალხური შრომის პოეზია, 1963.

ფ. ზანდუკელი

მეგრელაური გახუა — მითოლოგიური პერსონაჟი, ხატებთან დაკავშირებული და მათთან ერთად ქაჩების წინააღმდეგ მეომარი; ქაჩების სამკედლო იარაღებისა და ფანდურის მომტაცებელი. მ-ს სული გვამიდან ამოდიოდა, ღვთიშვილებივით უხილავი ხდებოდა, ხოლო ლაშქრობის დამთავრების შემდეგ კვლავ გვამს უბრუნდებოდა და „ხორცის კაცად“ იქცეოდა. მ-ს ნასახლარი ს. ჭორმეშავში სალოცავადაა ქეუული და „ფიცრული ანგელოზის“ სახელით ლოცულობენ გოგოჭურები.

ლიტ.: ა. გაჩეჩილაძე, გადმოცემა „ხოჯაის მინდიაზე“ და „გველის მკამელი“, გვ. 27; თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1967, გვ. 81.

დ. გოგოჭური

მეგრული ფოლკლორი — ქართველ ტომთა პოეტური შემოქმედების, მათ შორის მეგრული ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეკრებისადმი ინტერესი მუდამ იდგა მკვლევართა ყურადღების ცენტრში. ასეთი ინტერესი ადრე ძირითადად ქართველურ ენათა ლინგვისტური შესწავლის მიზნებთან იყო დაკავშირებული და ამიტომ, რომ ფოლკლორული ტექსტების პირველ შემკრებლად სწორედ ენათმეცნიერები გვევლინებიან.

მეგრული ფოლკლორული მასალების შეკრება-პუბლიკაცია, მისი მეცნიერული შესწავლა მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან იწყება და დაკავშირებულია ა. ცაგარელის სახელთან, რომელმაც 1876—1879 წლებში სამეგრელოში ლინგვისტური მიზნით მოგზაურობისას ჩაიწერა ხალხური საუნჯის ნიმუშები და გამოსცა 1880 წელს (Мингрельские этюды, СПб, 1880).

1886 წლიდან მეგრული ზეპირსიტყვიერების ხიმუშები სისტემატურად ქვეყნდება კრებულში «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа». იბეჭდებოდა ზღაპრები, თქმულებები, გაღმორცემები, ანდაზები, გამოცანები, ლექს-სიმღერები და სხვა ენარის მასალები. ეს მასალები მოცემულია კრებულის (СМОНК) მე-5 (1886), მე-10 (1890), მე-18 (1894), 24-ე (1898), 32-ე (1903) და 33- (1904) ტომებში. მასალებთან ერთად აღნიშნულ ტომებში დროდადრო იბეჭდებოდა მეცნიერული შენიშვნა-კომენტარები და გამოკვლევები სამეგრელოს ეთნოგრაფიული ყოფისა და ფოლკლორული ტრადიციების შესახებ. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობისაა: ი. ტუპკოვის «Из быта и верований мингрельцев» (ტ. XVIII, 1894); ი. სტეფანოვის — «Из мингрельских преданий» (ტ. XXIV, 1898); ტ. ქობალიას — «Из Мингрельской Колхиды» (ტ. XXXII, 1903); ი. სტეფანოვის — «Народные приметы, разные способы гадания и некоторые поверия мингрельцев» (ტ. XXXII, 1903); მ. კორძახიას — «Встреча и празднование нового года у мингрельцев» (ტ. XXXII, 1903).

მეგრული ფოლკლორული მასალების ფიქსირება-შესწავლას დიდ ყურადღებას უთმობდნენ ნ. მარი და ი. ყიფშიძე. 1914 წელს ქვეყნდება ი. ყიფშიძის «Грамматика мингрельского (инверского) языка», რომელსაც დართული აქვს ფოლკლორული მასალები. 1920 წელს ხელნაწერის უფლებით დაისტამბა შ. ბერიძის „მეგრული (ივერიული) ენა“, რომლის მეორე მონაკვეთი მთლიანად ფოლკლორულ მასალას უჭირავს, ფასდაუღებელი მნიშვნელობისაა მ. ხუბუას „მეგრული ტექსტები“ (1937). დიდია მეგრული ზეპირსიტყვიერების შეკრება-შესწავლის დარგში რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების წვლილი. უკანასკნელ პერიოდში სამეგრელოს ტერიტორიაზე წარმატებით იმუშავა ამ განყოფილების არაერთმა ფოლკლორულმა ექსპედიციამ და დიდძალი ზეპირსიტყვიერი მასალა იქნა მოპოვებული. მეგრული ფოლკლორული შემოქმედების შესწავლის დარგში თვალსაჩინო შედეგებია მოპოვებული. შესწავლილია არა ერთი საკითხი: ეპიკური ტრადიცია მეგრულ ზეპირსიტყვიერებაში (ლიტ. ძიებანი, XV 1963), ქართული ზეპირსიტყვიერების საკითხები მეგრული მასალების მიხედვით (1970), ქართული საისტორიო ზეპირსიტყვიერების საკითხები მეგრული მასალების მიხედვით (1971). და სხვ. 1971 წელს გამოიცა კ. სამუშიას „ქართული ხალხური პოეზიის მასალები (მეგრული ნიმუშები)“ ვრცელი შესავალი წერილითურთ. გარკვეული ყურადღება ეთ-

მობა მეგრული მუსიკალური ფილმების მასალებს შეკრება-შესწავლას როგორც ფოლკლორისტების, ისე მუსიკისმკოდნეებისაგან.

მეგრულ ზეპირსიტყვაობაში გვაქვს ფოლკლორული შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ყველა ძირითადი ჟანრი. მდიდარია პოეზიაც და პროზაც მრავალფეროვანი თემატიკითა და მოტივებით. პოეზიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შრომის ლექს-სიმღერებს, საყოფაცხოვრებო-სატრფიალო და ფილოსოფიურ ლირიკას, საწესჩვეულებო-საკულტო, ასევე საისტორიო, სატირულ-ეუმორისტულ ლექს-სიმღერებს, საქორწილო და სამგლოვიარო პოეზიას, რომელთა ნიმუშებს მხატვრული თვალსაზრისითაც დიდი ღირებულება აქვთ. მეგრული ლექს-სიმღერების არქაულ ფორმებს ფასდაუდებელი მნიშვნელობა ენიჭება ხალხური ლექსის წარმოშობა-განვითარების, ქართული ხალხური ლექსწყობის საკითხების შესწავლისათვის.

ეპიკური ტრადიცია მეგრულ ზეპირსიტყვიერებაში ძირითადად ზღაპრების სახით არის წარმოდგენილი, მაგრამ გვხვდება აგრეთვე ლეგენდები, თქმულებები და მითოლოგიური ხასიათის ნაწარმოებები. ზღაპრები („არიკი“) ქმნიან სამ ძირითად ჯგუფს: ზღაპრები ცხოველების შესახებ, ჯადოსნური ზღაპრები და საყოფაცხოვრებო ანუ ნოველისტური ზღაპრები. მეგრული ზღაპრული ეპოსის მდიდარ თემატიკასა და მოტივებთან ერთად ყურადღებას იქცევენ მისი პერსონაჟები. ამ მხრივ სპეციფიკურია ჯადოსნურ-მითოლოგიური პერსონაჟები: ტყაშიმაფა, ოჩოკოჩი, მესეფი, წყარიშმაფა, ეინანთარი (ეინი ანთარი).

მეგრულ ზღაპრულ ეპოსს, ისე როგორც ამავე ჟანრის ლაზურ (ნ.) ხალხურ ნაწარმოებებს, ქრისტიანიზაცია ნაკლებად განუცდია. ამ მხრივ, სხვა მხარეებთან ერთად, თავისებურებას გვიჩვენებს ამბის დასაწყისისა და დასასრულისათვის დამახასიათებელი ფორმები. მეგრულ-ლაზური ზღაპრული ეპოსისათვის უცხოა ამბის ქრისტიანულ-რელიგიური ხოტბითი დასაწყისი და დასასრული, რაც ქართული ზღაპრისათვის მეტად ნიშანდობლივია.

ზ. თანდლიავა

მედეა — „არგონავტების თქმულების“ (ნ.) მთავარი პერსონაჟი, კოლხეთის მითური მეფის აიეტის (ნ.) ქალიშვილი, იასონის (ნ.) მეუღლე. მედეა ანტიკური ხანის მრავალი ბერძენი მწერლის შთაგონების წყარო გახდა. ასე, მაგალითად, ევრიპიდიმ ~~მედეას~~

ვა ძველი ბერძნული თქმულებები და შექმნა ტრაგედია „მედეა“, რომელიც დღემდე იდგმება მსოფლიოს მრავალი თეატრის სცენაზე. ა. წერეთლის ამავე სახელწოდების დრამატიული პოემის გმირი.

ლიტ.: ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, 1964.
მ. ჩიქოვანი

მევეპე — მითების მთქმელი. ვეპ. სომხურად თქმულებას, მითს ნიშნავს. ს.ს. ორბელიანი მევეპეს მეზღაპრესთან აიგივებს. ათონის ბიბლიის მთარგმნელი ერთმანეთისაგან ასხვავებს ამ ორ ტერმინს. ბიბლიის ბარუქის წიგნში „მევეპე“ შეესატყვისება ბერძნულ Mitologos-ს და რუსული ბიბლიის вачислов-ს, ხოლო იქვე ესაიას წიგნში ყрвовещатель-ის, ტყულის მთქმელის აღსანიშნავად ნახმარია „მუცლით მეზღაპრე“ (5.).

ლიტ.: ელ. ვირსალაძე, ზღაპარი, ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, ნაწ. I, 1959.

ე. ვირსალაძე

მეზღაპრე — სახალხო შემსრულებელი, ზღაპრების (5.) მთხრობელი. მეზღაპრენი ურთიერთ განსხვავდებიან რეპერტუარით, თხრობის სტილითა და მანერით, იდეური გამიზნულებით, მხატვრული მეთოდით, ინდივიდუალური ნიჭითა და გემოვნებით. დახელოვნებული მეზღაპრე არ კმაყოფილდება სიუჟეტის მექანიკური გამეორებით, თხრობის დროს ხშირად ცვლის მას, შეაქვს იმპროვიზაციის ელემენტები და განწყობის მიხედვით თითქოს ხელახლა ქმნის ზღაპარს. საქართველოში არსებობდნენ პროფესიული მეზღაპრეები. მაგალითად, კარის მეზღაპრენი, რომლებიც მეფის ან მსხვილი ფეოდალის სასახლეში ცხოვრობდნენ. ა. წერეთელი ადასტურებს ზღაპრის ბეგარის (5.) არსებობის ფაქტსაც. თანამედროვე მეზღაპრეებიდან შეიძლება დავასახელოთ ანუსია კარგარეთელი, სონა კასრაძე, არჩილ თაბორიძე, გიორგი ზაქაიძე, ემზა გუჭეჯიანი, გიორგი მრელაშვილი, ვალ. ბოჭორიშვილი, დავით თეთრუაშვილი და სხვანი.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ზღაპრები, I, თბ., 1938; ქს. სიხარულიძე, ქართული საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, 1948; ელ. ვირსალაძე, ზღაპარი,

მეთოდი ფოლკლორისტული — ხალხური შემოქმედების შესწავლის დროს გამოყენებული ხერხებისა და პრინციპების ერთობლიობა. ფოლკლორისტული კვლევის მეთოდები მსგავსია და ახლოს დგას მოსაზღვრე დისციპლინების კვლევამთხიების მეთოდებთან. მეთოდები ფოლკლორისტიკაში შეიძლება ორ ჯგუფად გავყოთ: 1. ფოლკლორისტულ-შემკრებლობითი მ-ბი, რომლებიც ველზე მუშაობის დროს გამოიყენება და ხალხური შემოქმედების ნიმუშების იდეალურ ფიქსაციას ისახავს მიზნად; 2. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მეთოდები, რომელთა მიზანია ფოლკლორული მოვლენებისა და ძეგლების ყოველმხრივი შესწავლა, განვითარების გზების ჩვენება. ორივე ჯგუფში რამდენიმე მეთოდი არსებობს. აქ ზოგიერთი შეიძლება ცალკე გამოვყოთ. მთლიანი ფოლკლორული შესწავლის მეთოდი საველე პირობებში გამოიყენება და დასახლებულ პუნქტთა სრული რეპერტუარის თანმიმდევრულ ფიქსაციას გულისხმობს. შეიკრიბება ყველა ენარისა და ფორმის ხალხური ნაწარმოები, მთქმელების, კომლებისა და სოფლების მიხედვით. ექსპედიცია ყოველდღიურად აჯამებს შედეგებს. პირველი დღიდანვე ამოწმებს შემკრებლობითს საქმიანობას. თითოეული ადგილის გამო აკეთებს საეურნალო ჩანაწერს, რომ ვიცოდეთ რა იყო გაკეთებული და მომავალში რას მიექცეს ყურადღება. დგება საველე მუშაობის დოკუმენტაცია. შემკრებლობის დროს გამოიყენება ორთოგრაფიული ჩაწერის მეთოდი, იგი უძველესია და ტექსტის ფიქსაციას ახდენს ამა თუ იმ ანბანის საშუალებით. არის აგრეთვე ფონოგრაფიული ჩაწერის მეთოდი, რომელიც ხალხ. ნაწარმოებს საველე პირობებში ბგერის ჩამწერი აპარატის დახმარებით აფიქსირებს, შემდეგ კაბინეტურ-ლაბორატორიულ პირობებში გაშიფრავს და წერის ნიმუშებზე (ნოტები, ანბანი) გადაიტანს. ტექსტის ფირზე აღბეჭდვა მთქმელისაგან ზუსტი ინფორმაციის მიღებას ნიშნავს, რომელსაც აგრეთვე გაშიფვრის დიდი სიზუსტეც უნდა ახლდეს. აღწერითი მეთოდი ფოლკლორული მოვლენების სტატიკურ დახასიათებას გვაძლევს ტომის, ხალხის, ერის მასშტაბით. ისტორიული მეთოდი ხალხური შემოქმედების ფაქტების ისტორიულ განვითარებაში ჩვენებას ემსახურება. რა და როგორ მივი-

ღეთ, რა პირობებში ხდებოდა უანრების, გვარების ჩამოყალიბება და განვითარება, რა სპეციფიკური ნიშნებით გამოირჩევა და რა როლი ეკუთვნის ზეპირშემოქმედებას ეროვნულ კულტურაში. ისტორიულ მეთოდს თუ შედარებითს ასპექტში გადავიტანთ, მაშინ შედარებით-ისტორიულ მეთოდს მივიღებთ, რომელიც არ კმაყოფილდება ერთი ხალხის მონაცემებით და სხვადასხვა ენობრივი მასალის საფუძველზე აკეთებს დასკვნებს. გეოგრაფიული გავრცელების, სიუჟეტების მოძრაობის დეტალური შესწავლა ისტორიულ-გეოგრაფიული მეთოდის საშუალებით ხდება. კარტოგრაფიების მეთოდი სიუჟეტების, მოტივების, სიმბოლოების ფიქსაციას აწარმოებს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო მასშტაბით. ამ წესით მუშავდება საერთაშორისო ინდექსები, საძიებლები, არქივები. საბჭოთა ფოლკლორისტიკის კვლევის გზას მარქსისტულ-ლენინური დიალექტიკური მეთოდი წარმოადგენს, რომელიც იმავე დროს მისი მსოფლმხედველობაცაა.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, კახეთის 1961 წლის ფოლკლორული ექსპედიცია. ქართ. ფოლკლორი, 1—11, 1964; მისივე, ქართული ფოლკლორი, 1946.

მ. ჩიქოვანი

მეკა-მოკა ბირაფა — „გადა-გადმო სიმღერა“ ანუ ორბუნი, ორგუნდოვანი სიმღერა. დამახასიათებელია დაჯგუფება როგორც მამაკაცთა, ისე ქალთა შორისაც. „მეკა-მოკა ბირაფი“ ნიშანდობლივია ქორწილისა და ნაღური (ყანური) შრომის პროცესებისათვის.

ზ. თანდილავა

მეკვლე (მეფეხური, მეფერხავი, მეფეხე) — ახალი წლის მიმლოცველი პირი. ძველი წარმოდგენით, მეკვლის კეთილობაზე იყო დამოკიდებული ოჯახის ბედნიერება, მოსავლიანობა და ადამიანთა ჯანმრთელობა. მეკვლეობას თან ახლდა სიტყვიერი ფორმულები და დალოცვის ლექსები.

ლიტ.: შაკალათია, ს., ახალი წელი საქართველოში. 1927; მ. ჩიქოვანი, მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია. 1956, გვ. 262—264; ქ. სიხარულიძე, საწესჩვეულებო პოეზია, კრ. „ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება“, 1, 1960, გვ. 232—238.

ვ. შაცაბერაძე

მეკობრე — ყაჩაღი, თავდამსხმელი, მტაცებელი, პირატი. ხშირად იჩენს თავს მწყემსთა სიტყვიერებაში. მეკობრეობა ძველთაგანვე ყოფილა გავრცელებული, მის აღსაკვეთად სპეციალური კანონი მიუღიათ („ძეგლის დადება გიორგი ბრწყინვალის მიერ“, შედგენილი 1325—1338 წლებში).

მეკობრობით ყველაზე მეტად მწყემსები ზარალდებოდნენ, არა იშვიათად კიდევ ილუპებოდნენ თავდამსხმელებთან შეტაკებაში. მეკობრობა ზოგჯერ რელიგიის დროშითაც წარმოებდა. მეკობარი შელოცვებშიც იხსენიება:

მეკობრესა ხელსა, მკლავსა,
მხეც-ნადირისა კბილსა
შევკრავ, შევბეჭდავ,
ჩაუვადებ ზღვასა,
არ ამოუეშვებ!

ლი ტ.: ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლას ისტორია, წიგნი, I, 1928, გვ. 93; ნ. შამანაძე, მეკობრობის ასახვა მწყემსთა პოეზიაში, ბათუმის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1964, გვ. 103. ქართული ხალხური სიტყვიერების ქრესტომათია, I, ქ. სიხარულიძის რედ., 1956, გვ. 89.

ნ. შამანაძე

მელე-მოლე ბირაფა — „გალმა-გამოლმა სიმღერა“. სიმღერის ისეთი სახე, როცა ტერიტორიულად გარკვეულ მანძილზე მყოფი ორი სხვადასხვა გუნდი ეჯიბრება ერთმანეთს სიმღერაში, ურთიერთ გაშირებაში. დიდად ემსგავსება კაფიობას („კაფია ოთქუმალე“, „გეჭგინაში ბირაფა“, „ბირაფას დოდგინუ“). მთავარია, თუ ვის, რომელ მხარეს აღმოაჩნდება პოეტური სიტყვის მეტი უნარი. ვისაც ლექს-სიმღერა („ბირაფა“) შემოელევა, დამარცხებულად მიიჩნევა, ისე როგორც „გეჭგინაში ბირაფა“-ს ან „ბირაფას დოდგინუ“-ს დროს.

ზ. თანდილავა

მერკვილაძე იოსებ (სოსიკო) (1854—1934) — წიგნების გამომცემელი და ბუკინისტი. ეწეოდა ფოლკლორულ-შემკრებლობით მუშაობას. გაზ „თეატრსა“ და „ივერიაში“, აგრეთვე „აკაკის კრებულში“ (ზოგჯერ ფსევდონიმით — „მეთვალყურე“) აქვეყნებდა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს. ცალკე წიგნებად დაბეჭდა „ხალხური ანდაზები და გამოცანები“ (1898), „ხალხური აბრამისა და იობის ლექსი“ (1898—1903), ზღაპრების ორი წიგნი (1902), „ხალხური ვეფხისტყაოსანი“ (1905).

ლიტ.: ჩიქოვანი, მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 205.

ვ. მაცაბერიძე

მერცხალა — ფოთოლაშვილი გამიხარდი, ფშაველი მოლექსე-მოკაფიავე, სატირული პოეზიის ოსტატი. ანტისაზოგადოებრივი მოვლენების პირუთენელი მამხილებელი. ვაჟა-ფშაველას თანამედროვე, გარდაიცვალა ახალგაზრდა.

ლიტ.: ვაჟა-ფშაველა, თხზ., 1961, ტ. V, გვ. 29.

დ. გოგოჭური

მეტრეველი ლევანი თევდორეს-ძე (1854—1941) — მწერალი, ქართული ანდაზების შემკრები და გამომცემელი. ანდაზები პირველად გამოაქვეყნა 1926 წ. მის კრებულში 2500-მდე ტექსტია დაბეჭდილი ანბანური რიგით. წინასიტყვაობაში ხაზგასმულია ანდაზების შემეცნებითი, ესთეტიკური და ისტორიულ-საზოგადოებრივი მნიშვნელობა. 1941 წ. მ. ხელმეორედ გამოსცა „ქართული ანდაზები“, რომელსაც განმარტებითი ლექსიკონიც დაურთო. სპეციალური წერილი გამოაქვეყნა 1924 წ. „ქართულ სიტყვაში“. მ.-ის ხელნაწერები დაცულია საქ. მეც. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში H(3057—3059).

ხალხური პოეზიის საუკეთესო ნიმუშებიდან მ. შეადგინა მცირე კრებული. „დროშაში“ გამოაქვეყნა სვანური ლეგენდები.

ლიტ.: ლ. მეტრეველი, ქართული ანდაზები, 1926; მისივე, ანდაზები, მეორე, გადამუშავებული გამოცემა, 1941; ე. „დროშა“, 1926, № 4; „ლიტ. გაზ.“, 1934 წ., № 30; 1935 წ., № 1; ნეკროლოგი, „ლიტ. საქ.“, 1941 წ., 22 აგვისტო. ფ. ზანდუკელი

„მეფე ირაკლის გამირები“ — კრწანისის ბრძოლის ასი წლისთავის (1895) აღსანიშნავად გამოცემული კრებული, შედგენილი ზ. ჭიჭინაძის (ზ.) მიერ. დაბეჭდილია: „პაატა თემურიშვილი“ (ზ.), „გელა ნათელაშვილი“ (ზ.), „გიორგი ხამხაძე“ და სხვა. პროზაულ ტექსტებში ჩართულია ლექსები, რომელთა ვარიანტები დღემდე ფართოდაა გავრცელებული. იგივე წიგნი სახელწოდებით „მეფე ირაკლის გამირი გლეხები“ ხელმეორედ გამოიცა 1902 წელს.

ვ. მაცაბერიძე

მეფისა — სვანური წარმართული ეპოსის სახელოვანი გმირი. მეფისამ მოკლა მგელი, რომელმაც მშობიარე დაღს ჩვილი ყრმა მოსტაცა. პოეტური საღებავები არ აკლია მონადირისა და ბავშვის ფრიალო კლდეზე ასვლას.

ჩამოაწოდა ოქროს ნაწნავი — ჩვილი კლდეზე აიყვანა,
მერე ჩამოაწოდა არყის წკნელი — მონადირე კლდეებზე აიყვანა.

შვილის გადარჩენით გახარებულმა დაღმა მონადირე დაასაჩუქრა. სამი არჩევანი მისცა:

— ერჩიოს და ყოველდღე ჭენს მიესცემთ,
ის თუ არა და სექტემბერში ცხრა ცალ ჯიხვს მიესცემთ,
ის თუ არა და ჩემთან წოლა

განთქმულმა მონადირემ პროფესიული ბედი ირჩია. — შენ-თან წოლას მე ვერ გაკადრებ, ცხრაცალი ჯიხვი მომეცი! მეფისა ერთადერთი მონადირეა, რომელმაც ქალღმერთს მიჯნურობაზე უარი უთხრა და დაუსჯელი გადარჩა. მეფისა მონადირის ბალადა საფერხულთა და რიტუალის გარეშეც სრულდება.

ლიტ.: სვანური პოეზია, I, 1939; მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, 1947; ელ. ვირსალაძე, ქ. სამონ. ეპოსი, 1964; ქართული ხალხური პოეზია, I, 1972.

მ. ჩიქოვანი

მეფიჩხის ზღაპარი — პოპულარული სიუჟეტი, რომელიც საერთაშორისო საძიებელში „ჯადოსნური ფრინველის“ სახელითაა ცნობილი (ა. ა. № 567). მეფიჩხე ტყეში იპოვის ჯადოსნურ ჩიტს. მისი ვაჟი შეჰამს ჩიტის თავს და მეფე ხდება, ხოლო მეორე ვაჟი შეჰამს რა ჩიტის კუკს, ოქროს ჰყრის პირიდან. სიუჟეტი გვხვდება „თუთინამეს“ კრებულში. ფიქსირებულია აგრეთვე რუსეთსა და ევროპაში. ბერნარდე ნეაპოლელს ჩაუწერია ამ ზღაპრის ქართული ვარიანტი 1669—80 წწ.

ლიტ.: ელ. ვირსალაძე, მასალები ქართული ფოლკლორის ისტორიისათვის, ლიტ. ძიებ., IV, 1949; მ. ჩიქოვანი, მე-17 საუკუნეში ჩაწერალი ქართული ზღაპრები. მრავალთავი. თბ., 1964, გვ. 67—72.

ე. ვირსალაძე

მეშაირე — ძველად აღნიშნავდა, საზოგადოდ, ლექსის გამოთქმელს:

„მეშაირე, არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“.

ცნება შემდგომში დავიწროვდა და, უმთავრესად, შაირების (ნ.) შემსრულებლის აღმნიშვნელი ტერმინი გახდა:

„ახლოსაც არ გავიკარებ შენისთანა მეშაირეს“.

ჟ. ბარდაველიძე

მეჩანგე — ჩანგზე დამკვრელი.

„მეცხვარის კმაჲ“ — ფანდურზე დასამღერებელი მელოდია. „თუშეთში ფანდურზე სულ ათ სხვადასხვა კმა-ს უკრავენ“, ამათგან ერთ-ერთს ეწოდება „მეცხვარის კმაჲ“: „მეცხვარე ცხვარი ჩრდილოსა გაშალე, გაიფინოსა“ (ი. ჭავჭავაძე).

ლიტ.: ი. ჭავჭავაძე, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, 1938, გვ. 283; მ. ჩიქოვანი, ქ. ხალხ. სიტყვ. ისტ., 1956, გვ. 58—59.

ნ. შამანაძე

მეწელწდე — ხევს. საახალწლო რიტუალის მონაწილე პირი ხევსურების ხატში. ასრულებდნენ სხვადასხვა ქანრის ზეპირსიტყვიერ ნაწარმოებებს, განსაკუთრებით ღამისთევის დროს და აგრეთვე სოფელში შემობრუნებისასაც (ანდრეზები, მღერა, ლექსობა).

ლიტ.: გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, 1930, გვ. 39.

დ. გოგოჭური

მეხრე — გუთნური ლექს-სამღერების პერსონაჟი; გუთნისდების შემდეგ ხენა-თესვის საქმის ყველაზე კარგი მცოდნე. გუთანს ემსახურებოდა მეხრეთა ჯგუფი (დღის მეხრე, ღამის მეხრე, გუთნისათვის მეხრე, წინამეხრე, სამეტაო მეხრე).

გუთნისათვის მეხრე გუთნის თავის უღელზე ზის. მისი მოვალეობაა გამწევი ძალის თანაბარი დატვირთვა და კვალის სწორი მიმართულების დაცვა. წინამეხრის ფუნქცია საქცევარზე საქონლის შემობრუნებით განისაზღვრებოდა. გუთნისათვის მეხრედ და წინამეხრედ იყვნენ მუშა საქონლის მეპატრონეები, ღამის მეხრეებად კი ისინი, ვისაც არ შეეძლო საკუთარი საქონლის შებმა გუთნულში და მხოლოდ პირადი შრომით მონაწილეობდნენ მოდგამში. ღამის მეხრეთა შრომა ფიზიკურად ყველაზე მძიმე იყო, მათ უნდა უზრუნველყოთ მუშა-საქონლის გამოკვება და სამუშაოდ გამზადება. ყველაზე მსუბუქი სამუშაო მცირეწლოვან სამეტაო მეხრეებს

კონდათ. გუთნურმა ლექს-სიმღერებმა სრულად შემოინახეს მეხრეთა ცხოვრების სურათები.

ლიტ.: თ. ოქროშიძე, ქართული ხალხური შრომის პოეზია, 1963; ზ. გულისაშვილი, მოთხრობები, ნარკვევები, 1953.

ფ. ზანდუკელი

„მზე შინა და მზე გარეთა“ — უძველესი საწესო საძეობო სიმღერა. სრულდებოდა ბავშვის დაბადების აღსანიშნავ წვეულე-ბაში.. საძეობო სიმღერად მოიხსენიებს მას იოანე ბატონიშვილი („კალმასობა“) და ალ. ჭამბაქურ-ორბელიანი („ივერიანელთა გალობა, სიმღერა და ლილინი“). ლექსი წარმართობის დროინდელია და გამონათავს მზის თაყვანისცემას. „მზე შინა“ ადამიანის დაბადებით გამოწვეული სიხარულის გადმოცემაა. ამ ტიპის სიმღერები კაცობრიობის განვითარების იმ ეტაპზეა შექმნილი, როცა გამრავლების აუცილებლობის შეგნება მაღალ დონეზე იყო ასული. ეს სიმღერა გამონათავს ქართველი ხალხის ისტორიულ ბედსაც:

მზე დაწვა და მთვარე შობა, მზე შინ შემოდიო,
ჩვენ ვაჟი დაგვბადებია, მზე შინ შემოდიო,
დუშმანსა ქალი ჰგონია, მზე შინ შემოდიო.

საგალობელი ნათლად ასახავს ხალხის სიხარულს ვაჟის შეძენით გამოწვეულს. ქართული საძეობო სიმღერის მრავალი ვარიანტიცაა ცნობილი. მათში მეტ-ნაკლებად დატულია ძველი სარიტუალო წესის ელემენტები. მაგალითად, ცხვრის მსხვერპლად შეწირვა.

...მზე შემოდი ბაეხსაო, მზე შინ შემოდიო,
ცხვარს დაგიყავ მაყესაო, მზე შინ შემოდიო...

საძეობო მ. შ. გამონათულება ჰპოვა ლიტერატურაში. მე-19 საუკუნისა და საბჭოთა ეპოქის პოეტები ხშირად მიმართავენ მას (ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, გ. ლეონიძე და სხვ.).

ლიტ.: ივ. ჭავჭავაძე, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, 1938; გრ. ჩხიკვაძე, სამუსიკო საკრავი ებანი და მისი რაობა. მასალები საქ. ეთნოგრაფიისათვის, VII, 1955; ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1961; ა. ლვინაშვილი, ნარკვევები ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიიდან, 1962; ქართული ხალხური პოეზია, I, მითოლოგიური ლექსები, მ. ჩიქოვანის რედაქციით, 1972.

ფ. ზანდუკელი

მზის დაბნელება — კოსმოგონიური მითი, რომელიც ამირანის ეპოსში აისახა. მზეს როცა გველეშაპი ჩაყლაპავს, მნათობი

ტყვეობას თავს ამირანის გზით აღწევს: ჩელტს სწვავს და ურჩხულის მუცლიდან გამოდის. იგივე მითი რუსთაველს გამოუყენებია რაულ მეტაფორაში. გველეშაპის მიერ ჩაყლაპვით მნათობის დაბნელება მეათე საუკ. ხელოვნებაში წარმოდგენილია ფავნისის ეკლესიის ბარელიეფის სახით. მ. დ. ერთი შემთხვევა მე-19 საუკუნეში შექმნილ ლექსშიც იჩენს თავს („მეცნიერები დადიან, ანგარიშს კრეფენ ცისასა“).

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, 1966, გვ. 104; პ. უშიჯაშვილი, ხ. სიტყვ., I, № 430; ქართლის ცხ., I, 1959, გვ. 109; ქართული ხალხური პოეზია, I, 1972.

მ. ჩიქოვანი

მზის კულტი — მზის თაყვანისცემა. ქართველები წარმართობის ხანაში სხვადასხვა ასტრალურ ღვთაებებს სცემდნენ თაყვანს, მათ შორის — მზეს. ხალხური წარმოდგენებით. მ. დედაა; მისგან მოელის ყოველი არსი გაღვიძებასა და სულისჩადგმას. მზე სიცოცხლის წყაროა.

მზეო ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორასა,
სიციფეს კაცი მოუკლავს, საწყალი აგერ გორავსა.

პოეტური წარმოსახვით მზე ქვეყნის სანთელია. „იკურთხოს იმის გამჩენი, შენა ხარ ქვეყნის სანთელი“. მზე ებიკურ ნაწარმოებთა გმირიც არის. მისი პირისნაბანი უკვდავების წამალია. ზოგჯერ მ. ისე ექცევიან, როგორც მიწიერ არსებას; სცემენ, ბალს უჩანაგებენ, აჯავრებენ, ეტრფიან. მზის სახე რთულ მეტაფორებშიც იჩენს თავს.

ორბი მოჰდა ორასი, ჯრთა გაშალა სამასი,
ნისკარტი ჰკრა ოთხასი, კლდე გაიპო ხუთასი...

პოპულარულია მზისა და მთვარის პაექრობა, შეჯიბრი პირველობისთვის. სტრაბონის მოწმობით ალბანიის იმ ნაწილში, სადაც ქართველებიც ცხოვრობდნენ, „ღმერთებად აღიარებენ მზეს, ზევსსა და მთვარეს“... ლეონტი მროველს აღნიშნული აქვს: „ქართველნი იქმნეს მსახურნი მზისაო“. მზის კულტი ჩვენში მოქცევამდე დიდი ხნით ადრე შემუშავდა; მისი ისტორია მაშინვე იწყება, როგორც კი ქართველობა ისტორიულ ასპარეზზე გამოჩნდა. მზის კულტს აღიარებდნენ აგრეთვე ძველი ხეობები და სხვა ხალხები. საქართველოში მზეს სხვადასხვა საგალობლები ეძღვნებოდა (მზე და მთვარე, ლილე, დელა, ადილე).

ლიტ., ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტორ., I, 1951; ხალხური სიბრძნე, IV, 1964; ქართული ხალხური პოეზია, I, 1972.

მ. ჩიქოვანი

მზის პირისნაბანი — სასწაულმოქმედი წყალი, რომელიც მკვდარს აცოცხლებს და ჩონჩხს ხორცს ასხამს. მ. პ. მოპოვება უძნელესი დავალებაა ზღაპრებში. მნათობი კეთილად არის განწყობილი ადამიანის მიმართ, დაკარგული გმირის ამბავს უამბობს და დლით მკვდარის გასაცოცხლებლად პირისნაბანს აძლევს. მ. პ. ზოგჯერ მზის დედა გადასცემს ზღაპრულ პერსონაჟს. მოტივი მზის კულტის გადანაშთია.

ლიტ.: პ. უმიკაშვილი, ხალხ. სიტყვ., III, 1964, № 32.

მ. ჩიქოვანი

მთვარე — ქართულ ფოლკლორში გავრცელებული მხატვრული სახე. უმთავრესად გამოიყენება ქალის სილამაზის დასახატავად:

თხუთმეტი დღის მთვარის მსგავსო,
მივირს, ასე რამ გაგავსო!

იშვიათად — მამაკაცის მშვეენებასაც გამოხატავს:

უხდებოდა შავი ქული
მთვარესავით პირზედაო.

მთვარის მხატვრული სახე გენეტიკურად მთვარის კულტს (ნ.) უკავშირდება. ქართულ წარმართულ პანთეონში მთვარე სწორედ მამაკაც-ღვთაებას წარმოადგენდა: „მზე დედაა ჩემი, მთვარე — მამა-ჩემი“. ქალის სილამაზესთან მთვარის დაკავშირება ქართული ხალხური პოეზიის განვითარების გვიან საფეხურზე მოხდა.

ჯ. ბარდაველიძე

მთვარის კულტი — მთვარე ძველი ქართული წარმართული პანთეონის ღვთაებას წარმოადგენდა. პირველი ცნობები კავკასიელ ტომთა მიერ მთვარის თაყვანისცემის შესახებ მოეპოვება სტრაბონს (ნ.): „ალბანელნი ღმერთებსავეით თაყვანსა სცემენ მზესა, ზევსს და მთვარეს, მეტად რე მთვარეს. მთვარის ტაძარი იბერიის მაზლობლად მდებარეობს. მეფის შემდგომ ყველაზე უფრო პატრიცემულ კაცად ის ითვლება, ვინც ტაძარს ემსახურება, იგი დიდსა და მჭიდროდ დასახლებულ ხატის მამულს განაგებს და ხატის ყმების უფროსად ითვლება, რომელთა შორის ბევრი ქადაგად დაეცემა და წინასწარმეტყველებს ხალმე; იმას, ვინც მეტად ატაცებული

ტყეებში მარტოკა დახეტილებს, ქურუმები დაიჭერენ, კისერზე ჯაჭვს დაადებენ და ერთი წლის განმავლობაში ზვარაკად კარგა ასუ-ქებენ ხოლმე; მერე მას, მირონცხებულს, სხვა საღმრთოებთან ერთად ღმერთს მსხვერპლად შესწირავენ“. მთვარის თაყვანისცემა შეინიშნება ყველა ქართველ ტომში. მატერიალური კულტურის ძეგლებსა და ზეპირსიტყვიერ ნიმუშებს შემოუნახავს ცნობები, რომელთა მიხედვით მთვარის კულტთან დაკავშირებული ცერემონიების სურათის აღდგენა შეიძლება. მთვარის დღედ ქართველთა შორის ორშაბათი ითვლებოდა (თუთაშხა, დოშდოშ). ხატობა იმართებოდა ღამით. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ მთვარის კულტი შეცვალა წმინდა გიორგის კულტმა. მთვარის თაყვანისცემის კვალი მკაფიოდ ჩანს წმ. გიორგისადმი მიძღვნილ ხატობებში („ნაციხურობა“, ლამპრობა, თეთრგიორგობა).

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია I, 1960; В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, 1957.

ჟ. ბარდაველიძე

მთრეხელი — XVII ს. პირველი ნახევრის ხევსური გმირი ს. ქმოსტიდან, გვარად ბურდული. მოხეური გადმოცემების მიხედვით, ხევსურზე გათხოვილი მოხევე ქალის შვილი. მ-მა მოკლა აღზევებული და გააზნაურების მსურველი შიოლა ღუღუშაური. ღუღუშაურების მღევარი მ-ს ს. ახალციხეში წამოეწია. მკვლელი მ. მოკლულის დამ შეიფარა. ღუღუშაურებმა იგი მოკლეს. მ. ხშირად გვხვდება შიოლას ციკლის ლექსებში და აგრეთვე დამოუკიდებლადაც.

ლიტ.: ა. შანიძე, ხალხური პოეზია, 1931, გვ. 337; ელ. ვირსალაძე, ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება, 1958, გვ. 113.

დ. გოგოჭერი

მთქმელი — ხალხური შემოქმედების ნაწარმოებთა შემსრულებელი, გადმოცემი. მთქმელთა სხვადასხვა ტიპი არსებობს: ერთი ტიპის მთქმელები ზეპირსიტყვიერების ტრადიციაში რიტუალის, ძველი წესჩვეულების, ხალხური ცოდნის დაცვის, წესის შესრულების ამოცანას ისახავენ მხოლოდ. ცდილობენ მაქსიმალური სიზუსტე დაიცვან. მეორე ტიპის მთქმელები მაღალი არტისტიზმით დაჯილდოებული ოსტატები არიან, მათთვის ხალხური ნა-

წარმოების შესრულება ესთეტიკური მოთხოვნების დაკმაყოფილებაა. ასეთი მთქმელები ავითარებენ, სცვლიან და აქტიურად განაგრძობენ ხალხური შემოქმედების ცოცხალი განვითარების გზას. მესამე ტიპის მთქმელები უბრალო გადამცემნი არიან, შემოქმედებითი გადამუშავების უნარი ნაკლებ გააჩნიათ და მათ მიერ შეტანილი ცვლილებანი ზოგჯერ ტექსტის დაკნინებას იწვევს.

ლიტ.: ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, თბ., 1949, გვ. 269—271; ვ. ვირსალაძე, ქართველ მთელთა ზეპირსიტყვიერება, მთიულეთ-გუდამაყარი, თბ., 1958, გვ. 42—47; მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, 1946.

ე. ვირსალაძე

მთქმელის პროფესიულობა — მთქმელთა (ნ.) ერთი ჯგუფისათვის ზეპირსიტყვიერი ნაწარმოების შესრულება ძირითად საარსებო წყაროს წარმოადგენდა, პროფესია იყო. აედები, ფილები, ბარდები, სკალდები, ყონგლიორები, სკომოროხები, შპილმანები, მიმები, პისტრიონები, მუტრიბნი, მუშაითნი, დასტანჩი, აშულები — პროფესიული შემსრულებლები იყვნენ. პროფესიონალად შეიძლება ჩავთვალოთ კარის მეზლაპრენიც (ნ.). პროფესიული მთქმელის ჩამოყალიბება შრომის განაწილების საფუძველზე მოხდა. იგი პოეზიის განვითარების მაღალ საფეხურზე ჩნდება. მეორე ჯგუფი მთქმელებისა ნახევრად პროფესიონალებისაგან შედგება. ამ დროს ზეპირსიტყვიერი ნაწარმოების შესრულება შემოსავლის გარკვეულ წყაროს წარმოადგენს, მაგრამ ასეთ მთქმელთა არსებობის მთავარი წყარო მაინც სოფლის მეურნეობა ან სხვა საქმიანობაა. ქართველ მესტვირეთა, მეჭიბონეთა და მეჩონგურეთა უდიდესი ნაწილი, უკრაინელი კობზარები, ბერძენი რაფსოდები ნახევრად პროფესიონალები იყვნენ.

მასობრივად არაპროფესიული მთქმელები მოყვარულთა ჯგუფს მიეკუთვნებიან.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ისტორია, თბ., 1956, გვ. 64—67; А. Н. Веселовский, Бродячие певцы. Историческая поэтика, Л., 1940, стр. 480—492.

ე. ვირსალაძე

მითი — ბერძნ. თქმულება, გადმოცემა. მ. ეწოდება თქმულებას პროზაული თუ ლექსითი ხასიათისას, სადაც ასახულია ადამიანთა პრიმიტიული, ფანტასტიკური, ილუზორული შეხედულებანი ბუნების მოვლენებისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა შესა-

ხებ. რაც უფრო დაბალი იყო ადამიანის განვითარების დონე, მით ნაკლებ იცნობდა იგი ბუნებას და დამოკიდებული იყო სტიქიურად მომქმედ ძალებზე. ადამიანს არ ესმოდა ბუნების მოვლენათა შორის არსებული კანონზომიერება. ამიტომ მას ფანტასტიკურ, ილუზორულ გამოხატულებას აძლევდა და თავის წარმოდგენაში სინამდვილეს „თავდაყირა“ აყენებდა. ამ ილუზორულ წარმოდგენებს პირველყოფილი ანიმიზმი (ნ.) და რელიგიის უმარტივესი ფორმები: ფეტიშიზმი (ნ.), ტოტემიზმი (ნ.), მაგია (ნ.) და მანიზმი (ნ.) ასაზრდოებდა. მიუხედავად ილუზორულობისა, მითს მაინც უდიდესი ადგილი უჭირავს ადამიანის მიერ ბუნების შეცნობის ისტორიაში, როგორც ადამიანის პირველ ცდას — გაერკვეს ბუნების მოვლენებში, შეიტანოს წესრიგი თავის მსოფლგაგებაში. ადამიანის განვითარების გარკვეულ საფეხურზე მითს პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. იგი სინამდვილის შეგნების და ბუნებაზე გაბატონების ცდას წარმოადგენდა. მაგრამ ბუნების ძალების ნამდვილ შეცნობისა და მამოძრავებელი კანონების აღმოჩენის შემდეგ, მითიური წარმოდგენები ქრებიან, გზას უთმობენ სწორ, გამოცდილებაზე, პრაქტიკაზე დამყარებულ წარმოდგენებს სინამდვილის თაობაზე.

მითს ნიადაგი ეცლება და როგორც ჩამორჩენილი, რეაქციული რელიგიური წარმოდგენების შემცველი დასალუბავადაა განწირული. მითიური რწმენა ქრება, იკარგება, მაგრამ ადამიანის მიერ მითების შექმნისას შეუგნებლად გამომუშავებული მხატვრული სახეები და შედარებები, ეპითეტები, მეტაფორები, ცალკეული მოტივები და სიუჟეტები რჩება მხატვრული შემოქმედების საგანძურში, ამდიდრებს მას. მითების რამდენიმე სახეობა არსებობს, ასეთია: კოსმოგონიური მითები, რომელნიც მსოფლიოს, ადამიანის წარმოშობაზე მოგვითხრობს; ესქატოლოგიური მითები, მსოფლიოს შესაძლებელ დასასრულს რომ აწერს; ნატურალური მითები ბუნების მოვლენების, წლის დროთა ბრუნვის შესახებ; ეტიოლოგიური მითები, რაც ცალკეული ცხოველის ან ბუნების მოვლენის წარმოშობის ახსნას იძლევა. საკულტო ხასიათის მითები რიტუალის ან კულტის ახსნას და განმტკიცებას ემსახურებიან. ადამიანის აღმოჩენებმა და გამოგონებებმა (ხელოსნობა, ხელოვნება, წერა-კითხვა) ასახვა პოვეს ე. წ. კულტურული გმირების მითებში

ლიტ.: მარქსი კ., პოლიტიკური ეკონომიის კრატისათვის; ენგელსი ფ., ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა; ე. ვირსალაძე, „მი-

თი — ხალხური პოეტური შემოქმედება, თბ., 1960; ტ. I, გვ. 347; მ. ჩიქოვანი, ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები. 1971.

ე. ვირსალაძე

მითოლოგია — მითების (ნ.) ერთობლიობა. მითოს — თქმულება და ლოგოს — სიტყვა, თხრობა, მეცნიერება. მითების სისტემას შემუშავებულს ამა თუ იმ ხალხის მიერ, მითოლოგიას უწოდებენ. მითოლოგია, როგორც ადამიანთა განვითარების ადრეული საფეხურების დამახასიათებელი ზეპირი შემოქმედების ფორმა, წარმოადგენდა სინკრეტულ მოვლენას, რომელშიც გაერთიანებული იყო მსოფლმხედველობრივი, რელიგიური, ცხოვრებისეული ელემენტები. მ. მთელი გვარის იდეოლოგიას გამოხატავდა. „ყოველი მითოლოგია სძლევს, იმორჩილებს და აყალიბებს ბუნების ძალებს ადამიანის წარმოსახვაში და წარმოსახვის საშუალებით“ მასხადაღმე, იგი ისპობა ამ ძალებზე ადამიანის ნამდვილ გაბატონების შედეგად“ (მარქსი). განვითარების შემდგომ ეტაპებზე მითოლოგია, ერთის მხრივ, რელიგიის განვითარების, ხოლო მეორე მხრივ, ხალხურ შემოქმედებაში მითოლოგიური სიუჟეტებისა და სახეების მხატვრული გადამუშავების საფუძველს წარმოადგენს. კ. მარქსი ბერძნული ხელოვნების ნიადაგსა და ძირითად არსენალს მითოლოგიაში ხედავდა.

(ცალკეული მითები ყოველ ხალხს აქვს შექმნილი, მაგრამ მითების ურთიერთ შეთანხმებული სისტემა — მითოლოგია ყველას არ გააჩნია.) ე. წ. პრიმიტიულ ხალხებს მოეძებნებათ მრავალფეროვანი ნატურალისტური ან ანიმისტური მითები, მაგრამ ბერძნების, ეგვიპტელების, ინდოელების და შუამდინარეთის ხალხების მსგავსად, მათ მითების დასრულებული სისტემა არ შეუქმნიათ. სამაგიეროდ, განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომ ხალხთა შემოქმედებაში ვხვდებით მითებს მათ ბუნებრივ ფორმაში, ზეპირი ტრადიციით მოღწეულს, ხოლო ძველი ცივილიზაციის ხალხების მითები, უმეტეს შემთხვევაში, უკვე ლიტერატურული გადამუშავების ან ადრეინდელი ფიქსაციის შედეგს წარმოადგენს. ძველი საბერძნეთის მითოლოგიას ძირითადად ჰომეროსისა და ჰესიოდეს პოემებით და სოფოკლეს ტრაგედიებით ვიცნობთ. ეგვიპტურ მითოლოგიას ე. წ. მიცვალებულთა წიგნებითა და საფლავების წარწერებით ვეცნობით, შუმერულ-აქადურს, ბაბილონურს — თიხის წიგნებში ფიქსირებულსა და ლიტერატურულად დამუშავებულს. ქართულ მითოლოგიას ჩვენამდე სრული სახით არ მიუღწევია. ქართული წარ-

მართული პანთეონისა და მითოლოგიის განვითარება ძირითადად შეწყდა საქართველოში ქრისტიანობის მიღებასთან ერთად. მაგრამ, მიუხედავად დევნისა, რომელსაც ქართული წარმართობა განიცდიდა, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი ქართული მითოლოგიური ხასიათის ძეგლი, მისი წმინდა სახით არ ყოფილა ფიქსირებული ძველ მწერლობაში, ზეპირმა ტრადიციამ მითები საკმაო რაოდენობით დაიცვა და შემოინახა. მასში ხშირად უძველეს, წარმართულს, მოგვიანო ხანის ქრისტიანული ელემენტები გადაეჭაჭვა, ხოლო ზოგჯერ ახალი, ქრისტიანული მითოლოგია და დემონოლოგია ჩამოყალიბდა. ქართველთა უძველესი რელიგიური და მითური წარმოდგენების შედარებითი შესწავლა გვიჩვენებს სხვადასხვა ქართველურ ტომებში მათ განსხვავებულ განვითარებას. მაგრამ უდავოდ ხდის მათ საერთო წარმოშობას და მტკიცე ერთობლიობას. ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში ვხვდებით ინტერესს უცხო ტომთა მითოლოგიის, მაგ., ანტიკური მითოლოგიის მიმართ.

მითოლოგიური თქმულებანი გვხვდება როგორც პროზის, ისე ლექსის ფორმით. ხშირია მათი პარალელური არსებობაც. მითოლოგიურ ძეგლებს რიტუალური ხასიათი ჰქონდა. ლექსებს ფერხულში მღეროდნენ. ამგვარმა ტრადიციამ ჩვენს დრომდე მოაღწია. ქართული მითების მნიშვნელოვანი ნაწილი დიდი დედის, ბუნების ღვთაების მრავალსახოვან კულტს უკავშირდება. ეს არის მითები წყლის, კლდეების, ნადირთა მწყემსის, ადგილის დევისა და ადამიანის ურთიერთობის შესახებ. ამგვარ თქმულებები ნადირობის, მეთევზეობის, უფრო გვიან კი მესაქონლეობის ინტიტუტთანაა დაკავშირებული. დალისა და ბეთქილის ლექსება, თქმულებები ეკაპებზე, ხოგაის მინდის თქმულება, ხთისშვილთა დევნათან ბრძოლის ამსახველი სიმღერები და თქმულებანი ქართული მითოლოგიის მდიდარ მასალას წარმოადგენს.

ლიტ.: კ. მარქსი და ფ. ენგელსი, გერმანული იდეოლოგია, 1948, გვ. 24; კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1951; მისივე, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, ტ. I, თბ., 1959; ვ. ვ. ბარდაველიძე, სეანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბ., 1930; მისივე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბ., 1941; პ. ინგოროყვა, ქართული წარმართული კალენდარი; ფილოსოფიის ისტ., I, 1956. ელ. ვირსალაძე, „მითი“, ქართ. ხალხ. პოეტური შემოქმედება, თბ., 1960; მისივე, სამონადირო ეპოსი, თბ., 1964; ქართულ ხალხური პოეზია, I, 1972.

ე. ვირსალაძე

მითოლოგიური თეორია — ანუ ინდოევროპული ანუ არიული თეორია — პირველი მეცნიერული თეორია ფოლკლორისტიკაში, ჩაისახა გერმანიაში XIX საუკ. დასაწყისში. მ. თ. წარმომადგენლები ფოლკლორული შემოქმედების საფუძვლად მითსა (ნ.) და ჯიველეს რელიგიურ წარმოდგენებს მიიჩნევდნენ. მ. თ. იდეოლოგიურ საფუძველს რომანტიკოსთა იდეალისტური ფალოსოფია (შელინგი, კრეიციერი) წარმოადგენდა: წარსულის გაიდეალება, მისტაციზმი, მითებში ღვთაებრივი საწყისის ძიება. ამ საერთო თეორიულ კონცეფციას შეუერთდა შედარებითი ენათმეცნიერების მიერ შექმნილი თეორია ინდოევროპულ ხალხთა საერთო ლეგენდარულ წინაპარზე, ე. წ. არიელთა ხალხზე, რომლის ენა და მითოლოგია დაედო საფუძვლად ინდო-ევროპულ ენათა ოჯახს. მ. თ. მიხედვით მითოსი ლეგენდად იქცა, ლეგენდა — ზღაპრად. ფოლკლორულ პროცესში მითოლოგები რეგრესულ განვითარებას ხედავდნენ მხოლოდ. მითოლოგია, მათი აზრით, ხალხის „შეუფლებლად მოქმედი სულის“ შემოქმედების ნაყოფია.

მითოლოგიურ თეორიას საფუძველი ჩაუყარეს ძმ. გრიმებმა (ნ.), იაკობმა (1785—1863) და ვილჰელმმა (1787—1859). მათ რომანტიკოსების იდეების შედარებითი დემოკრატიული მხარე განავითარეს. შელინგის „სახალხო სული“ დაბალი წოდების, მასების შემოქმედებას დაუკავშირეს, და ხალხური კულტურის საფუძვლად არა ქრისტიანობა და კათოლიკური საშუალო საუკუნეები, არამედ ხალხური რელიგია — წარმართობა აღიარეს. მათ მიერ იყო დამკვიდრებული შედარებითი მეთოდი მითოლოგიისა და ხალხური პოეზიის კვლევაში. ძმ. გრიმების მიერ გამოცემული გერმანული ზღაპრების (ნ.) კრებული და მათი თეორიული შრომები მნიშვნელოვან მოვლენად იქცა მსოფლიო კულტურის ისტორიაში. გრიმების მიმდევართა შრომებში მითოლოგიური სკოლის რომანტიზმმა მისტიციზმის, ზოლო ეროვნულმა იდეებმა, ზოგჯერ, უკიდურესი ნაციონალისტური ხასიათი მიიღო.

მ. თეორიაში ორი ძირითადი მიმართულება ჩამოყალიბდა: ე. წ. მეტეოროლოგიური — მითოსის მთავარ იდეებს ბუნების მოვლენათა გაღმერთებაში, უპირატესად სტიქიური მოვლენების — ელვა, ქექა-ქუხილი, ღრუბლები, ქარი — გაღმერთებაში ხედავდა

(აღ. კუნი, ვ. შვარცი). მეორე მიმართულება — სოლიარული, რომლის ადეპტი მაქს მიულერი იყო — მითოლოგიის საფუძველს მზისა და მზის გარშემო შექმნილ წარმოდგენებში ხედავდა.

მითოლოგიური სკოლის ჯერ მიმდევარი, შემდეგ კი მისი კრიტიკოსები იყვნენ ვილჰ. მანჰარტი და ალ. ვესელოვსკი. რუსმა მეცნიერებმა ა. აფანასიევმა, ფ. ბუსლაევმა და ო. მილერმა მითოლოგიური სკოლის დებულებანი განავრცეს და თავისებური განვითარება მოგვეცეს, ამ უკანასკნელთათვის მითი ხალხის მსოფლმხედველობის გამოხატულება იყო.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, იბ., 1946. I. Grimm, W. Grimm, Deutsche Kinder- und Hausmärchen, B, 1812; მათივე, Deutsche sagen, I-II, B. 1816—1818; I. Grimme, Deutsche Mythologie. Göttingen, 1835. Fr. Schelling, Philosophie der Kunst; F. Krcuzer, Symbolik und Mythologie der alten Völkes, besonders der griechen, Bd, I—V, 1810—1812; A. Kuhn, Die Herabkunft der Feuers und des göttertranke, 1859. W. Schwarz Wolken und Wind, Donner und Bleitz, 1878;

W. Manhgardt, Germanische Mythen. 1858; მისივე «Wald und Feldkulte», 1875—77; M. Müller, «Essays of comparative Mythology», 1858.

Дж. Коккьяра, История фольклористики в Европе, стр. 218—293, М. 1960. М. К. Азадовский, История русской фольклористики, т. II, стр. 47—84. ე. კირსალაძე.

მითრა — უძველესი ინდო-ირანული ღვთაება. განასახიერებს სინათლეს, სიწმინდესა და სიმართლეს ყოვლისმცოდნე და ყოვლისმხედველი. დარაჯობს და იცავს დედამიწას ბოროტებისგან მზის ამოსვლიდან დაღამებამდე, რის გამო მზეს მ. თვალს უწოდებენ. VI ს. ჩ. ერამდე ითვლებოდა სპარსეთის სახელმწიფოს მფარველად და გამარჯვების მომნიჭებლის ფუნქცია ეძლეოდა. I საუკუნისთვის მ. კულტს აღიარებდა წინა აზია, მესოპოტამია, სირია და მთელი რომის იმპერია. კულტის გავრცელებას ხელს უწყობდნენ მეომრები და მონები, რადგან მ. მორწმუნეთა შორის თანასწორობას ქადაგებდა და იმპერიაში სასუფეველს უქადდა.

საქართველოში მ. კულტის არსებობის ნაშთად ითვლება დღესასწაული მისრობა (სამეგრელოში) და მასთან დაკავშირებული სალოცავები.

ლიტ.: ს. მაკალათია, მითრას კულტი საქართველოში, საქ. მეზ. მოამბე, ტ. III, 1926, 181—194.

მ. ჩაჩავა

1 მიღექსება — ექსპრომტული კაფით მიმართვა მოპირდაპირისადმი. კაფიობა გავრცელებულია ფშავში. გვხვდება მთიელთ-გულდამაყარსა, ხევისურეთსა და ხევში (ნ. კაფია).

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართ. ხალხ. სიტყ. ისტ., 1956, გვ. 35; ვ. ხორნაული, ფშავური მიღექსებანი, 1939, გვ. 5.

დ. გოგოპური

მიმართვა — მხატვრული ხერხი, რომელიც მტკიცე პოეტური ფორმულის სახით შემუშავდა უძველეს ხალხურ ჰიმნებსა და საგალობლებში. თავდაპირველად მიმართვის ადრესატს წარმოადგენდნენ ღვთაებანი და საკულტო ობიექტები:

იავ-ნანა, ვარღო-ნანა, იავ-ნანინაო;

წმინდა გიორგი, ცხოველო, შენს სალოცავად მოველო.

მოგვიანებით ხალხურ ლექსებსა და სიმღერებში დამკვიდრდა მუსიკალური ინსტრუმენტებისადმი მიმართვა:

დაუკარ, ჩემო ჩონგურო,

შე თუთა წმინდის ხისაო;

დაკკარ და დაკკარ, ფანდურო,

კარგა მაძლიე ბანია.

ზოგჯერ მიმართვის ობიექტად თვით ლექსიც შეიძლება იყოს:

ლექსო, ამოგთქომ, ოხერო,

თორო იქნება კვედებოდე.

ლიტ.: ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1961.

ჟ. ბარდაველიძე

მიმი, მიმოსი — „მოთამაშე კაცი, რომელიც იქმს საკვირველებათა და ძნელებათა და არა გრძნებითა, არამედ ხელოვნებითა“ (საბა). მიმი პანტომიმურად განასახიერებდა იმას, რასაც გუნდი თუ ცალკეული შემსრულებელი მღეროდა. არაიშვიათად დამოუკიდებელი რეპერტუარიც გააჩნდა. უსიტყვოდ, მხოლოდ და მხოლოდ სხეულის მოძრაობითა და სახის გამომეტყველებით მიმოსები ახერხებდნენ გადმოცათ ესა თუ ის სცენა, უმთავრესად — იუმორი-

სტული. ხალხში მიმს, მიმოსს — „ბრეციას“ უწოდებდნენ, ხოლო მიმიკურ სცენას — „ჩრდილების კეთებას“.

ლიტ.: ი. მკედლიშვილი, ქართული ხალხური თეატრი, ჟურნ. „საბ. ხელოვნება“, 1935, № 6; დ. ჭანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, თბ., 1948.

ჯ. ბარდაველიძე

მიმიკა — სახის გამომეტყველება, რისი საშუალებითაც მიმი, მიმოსი (ნ.) ახერხებს რაიმე სცენის განსახიერებას.

მინეზინგერი — სარაინდო პოეტი-მომღერალი გერმანიაში. მინეზინგერთა პოეზიას საფუძველი ჩაეყარა XII—XIII საუკუნეებში პროვანსელ ტრუბადურთა გავლენით. მინეზინგერები უმღეროდნენ რაინდულ სიყვარულს, აღივებდნენ ღმერთს, აიდეალებდნენ მხედრულ ცხოვრებას და ხოტბას ასხამდნენ ჭვაროსნულ ლაშქრობებს. იმ დროს მინეზინგერთა სკოლებიც არსებობდა. მ. თავისი გავლენა მოახდინა ხალხურ პოეზიაზე.

ლიტ.: История нем. лиг-пес. т. I, М., 1962, თავი მე-7, 11; მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, 1946 წ., გვ. 52.

ნ. შამანაძე

მირიანაშვილი ისაკ გიორგის ძე (1877—1958) — სახელმწიფო-საზოგადოებრივი ავტორ-მთქმელი, დაიბადა სიღნაღის რაიონის სოფ. ანაგაში. ბავშვობა და ახალგაზრდობა მოჯამაგირეობაში გაატარა. მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში. ლექსებს თხზავდა 1914 წლიდან. ი. მ. ლექსები იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში, უფრო მეტად კი ვრცელდებოდა ზეპირი გზით. მ. ლექსები „ჩვენი ქვეყანა გაწითლდა“, „ლენინის ხსოვნას“ დიდი ხანია ფოლკლორის კუთვნილებად იქცა.

ლიტ.: საუნჯე ხალხური შემოქმედებისა, I, 1936; ქიზიყის პოეტური ფოლკლორი, 1940.

მ. მაცაბერიძე

მისამღერი — მუსიკალური მნიშვნელობის ფრაზა, რომელიც მეორდება სტრიქონის ან სტროფის შემდეგ. განსხვავებით რეფ-

რენისაგან (ნ.) მისამღერი არ არის მტკიცე ფორმისა, იგი იცვლება მუსიკალური რიტმის ცვლასთან ერთად:

ოდელია, დილა, ოდელია ოხოხოია, პოა,
ვაი, და უი დაეცა, ძმანებო, ჩვენს მტერს თავში, პოი,
ჩვენ მშვიდობა, გამარჯობა მოგვეს ღმერთმა,
ამ ყანის ადრე გათავება და კაი კეთება,
ვიხოხოი ადილაი ოდელია პოი.

ლიტ.: ჟ. ბარდაველიძე, ქართული ხალხური ლექსთწყობის საკითხები (რეფრენი, სტროფი, რითმა). თბილისი, 1960.

ჟ. ბარდაველიძე

მკვდრის ლექსი — მკვდრის შესახებ შექმნილი სამგლოვიარო ლექსი, რომელშიც გადმოცემულია მიცვალებულის ცხოვრების ღირსსახსოვარი მომენტები, სასახელო ეპიზოდები და დაღუპვით გამოწვეული მძიმე მწუხარება, როგორც ქირისუფლების, აგრეთვე მთელი სოფლისა და თემის. მ. ლ-ის ფუნქცია მიცვალებულის სახელის პოპულარიზაციაა. ლექსი ფანდურზე იმღერება მსმენელთა წინაშე, ზოგიერთ კუთხეში მკვდრის ლექსს საფერხულოდაც იყენებენ.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართ. ხალხ. სიტყვ. ისტ., 1956, გვ. 301; ე. ვირსალაძე, ქართ. მთიელთა ზეპირსიტყვიერება, 1958, გვ. 33.

დ. გოგოჭუბი

მოგვი — „ბრძენი“, „ყოვლისმცოდნე“ ადამიანი, რომელსაც ძველი რწმენით მიეწერებოდა ბუნების საიდუმლოებათა შეცნობის უნარი. მიაჩნდათ, რომ მოგვს შეუძლია კავშირი დაამყაროს ღმერთებთან და ზებუნებრივ ძალებთან.

ჟ. ბარდაველიძე

„მოგზაური“ (1901—1905) — ყოველთვიური ისტორიულ-არქეოლოგიური და გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული სურათებიანი ჟურნალი. რედაქტორი ივ. როსტომაშვილი. იარსება 4 წელიწადს. 1905 წლიდან გადაკეთდა კვირეულ გაზეთად, ახალი პროგრამითა და რედაქციით. „მ.“ ყურადღებას აქცევდა ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული ხასიათის წერილებსა და შასალებს. საქართველოს სხვადასხვა ქალაქის, კუთხისა და სოფლის, მათი მოსახლეობის ზნეჩვეულებათა შესახებ ჟურნალი ხშირად აქვეყნებდა ზ. კიკინაძის (ნ.), ინგილო ჯანაშვილის (ნ.), ნ. ურბნელის (ნ.), თ. სახოკიას (ნ.),

ალ. ხახანაშვილის (ნ.) და სხვების წერილებს. ბექდავდა ხალხური შემოქმედების ნაწარმოებებს. ზეპირსიტყვიერების შემკრებთან ჟურნალში თანამშრომლობდნენ: ი. ალხაზიშვილი, კ. გვარამაძე (ნ.), თ. რაზიკაშვილი (ნ.), ზ. ჩხიკვაძე (ნ.), „ქართველი ოსებში“ (ნ.) და სხვა. „მ.“ ყურადღებას ამახვილებდა ფოლკლორული შემოქმედების შესწავლაზე. აქ გამოქვეყნდა: გ. ელგანდაშვილის „მნიშვნელობა გამოცანებისა ბავშვების აღზრდაში“ და „ზღაპრების მნიშვნელობა“ (1904, № 3—4, 5—6), ტ. ართმელაძის „მცირე შენიშვნა“ (1901, № 3). ფოლკლორულ ნაწარმოებთა ჩაწერა-ფიქსირების პრინციპებზეა საუბარი თ. სახოკიას წერილში: „ფონოგრაფი და მისი გამოყენება ეთნოგრაფიისათვის“ (1902, № 9—10).

ლიტ.: „მოგზაური“, 1901—1905 წწ. დ. კარიკაშვილი, ქართული პერიოდული გამოცემების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა, „წიგნის მეგობარი“, 1925 წ., № 1—2.

ფ. ზანდუკელი

„მოდი, ვნახოთ ვენახი“ — პოპულარული ხალხური ლექსი, სადაც ჩამოთვლილია ის საგნები და ცხოველები, რომლებიც ერთმანეთს ემტერებიან, ებრძვიან და ანადგურებენ: ვენახს თხა ჭამს, თხას მგელი; მგელს ანადგურებს თოფი, თოფს ქანგი, ქანგს მიწა და ა. შ. ლექსი კუმულაციის ხერხითაა დამუშავებული. წარმოშობით მევენახეობა-მელვინეობის ღეთაების სადიდებელ ჰიმნთა ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს. სიუჟეტი მრავალი ხალხის ფოლკლორშია ცნობილი.

ლიტ.: ა. ღვინიაშვილი, ნარკვევები ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიიდან, 1962; დ. ჭანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, 1948.

ფ. ზანდუკელი

მოთქმით ტირილი — სამგლოვიარო სიტყვიერების სახეობა. მოტირალის მიერ კუბოსთან იმპროვიზაციულად წარმოთქმული ზოტბა-მოგონება. სრულდება სახალხოდ, რეჩიტატივის სახით უმეტესად ქალი-მოტირლების მიერ. „მოთქმით ტირილს შესხმითი ხასიათი ჰქონდა“ (აკაკი). მოტირლები მგრძნობიარე მხატვრული სიტყვებით მოუთხრობდნენ მსმენელებს მიცვალებულის დამსახურებაზე, მის მაღალ ადამიანურ ღირსებაზე; იხსენიებდნენ სხვა სახელოვან დაკლებულთა სახელებსაც.

• საქართველოში მოთქმით მოტირალთა ინსტიტუტს დიდი ხნის ისტორია აქვს. მისი არსებობის შესახებ ცნობები დაცულია როგორც საისტორიო წყაროებში, აგრეთვე მწერლობასა და უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერებში. მოთქმით მოტირლის აღსანიშნავად სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა კუთხეში განსხვავებული ტერმინები იხმარებოდა: გლოვის მგოსანი, გოდებს შემსხმელი, ხმით მოტირალი და სხვ. ცნობილი იყვნენ მოთქმით ტირილის საუკეთესო ოსტატები. მოთქმით ტირილის რიგი ფორმები დღემდე ცოცხლობს საქართველოს ზოგიერთ კუთხეში.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ 283.

დ. გოგოჭური

მოთქომა — ნ. მათქვამი.

მოლა ნასრედინი — მაჰმადიანური აღმოსავლეთის ენამოსწრებული ადამიანი, სასულიერო პირი, რომლის სახელთან მრავალი ანეგდოტი, ოხუნჯობა თუ კომიკური სიტუაციაა დაკავშირებული. დაზუსტებული არ იყო რეალური პიროვნება იგი თუ ფანტაზიის ნაყოფი, ან საიდან იყო წარმოშობით. მის სამშობლოდ სხვადასხვა ქვეყანას ასახელებდნენ. არც მისი მოღვაწეობის დრო იყო განსაზღვრული. ზოგი თვლიდა, რომ XIII—XIV საუკუნეებში ცხოვრობდა, ხოლო ზოგის აზრით XV—XVI ს. ამჟამად დადგენილია, რომ მ. ნ. რეალური პიროვნება ყოფილა. დაბადებულია ქ. აქშეხირში (მცირე აზია) XIII ს-ის დასაწყისში (1206 წ.). მის სახელს, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე ზეპირსიტყვიერებაში, შემდგომ ეპოქებში შექმნილი მახვილსიტყვაობის ნიმუშებიც დაუკავშირდა. მ. ნ. ოხუნჯობების კრებული პირველად გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში გამოვიდა სტამბოლში და თითქმის ყველა ევროპულ ენაზე ითარგმნა. ასეთი კრებული საქართველოში პირველად 1894 წელს გამოქვეყნდა. ამჟამად მ. ოხუნჯობათა რამდენიმე გამოცემა გაგვაჩნია. კრებული დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს; მასში კარგადაა დახატული ყოფა-ცხოვრება, მისი ნაკლი, სასაცილო მხარეები. მ. ნ. იმდენად პოპულარული ყო-

ფილა ჩვენში, რომ ჩვეულებრივ საუბარში ხშირად დღესაც ახსენებენ ენამოსწრებულობის მისეულ ნიმუშებს.

ლიტ.: მოლა ნასრედინი, ოხუნჯობანი, შეკრეფილი და გამართული თ. სახოკაის მიერ, 1927; Гордлевский В. А., Анекдоты о Ходже Наср-эдине, М.—Л., „Academia“, 1936.

გ. ბარნოვი

მოლაღურის გაჩენა — ლეგენდა. დედა თავის ერთადერთ შვილს — გოგიას სამშობლოს დასაცავად ომში გააგზავნის. მარტოდ დარჩენილი მშობელი ღმერთს ევედრება: თუ ჩემს გოგიას სიკვდილი ელის, ჩიტად გადამაქციე, რომ მომაკვდავ შვილთან მივფრინდე და უკანასკნელად მოვეალერსო. დედა მართლაც მოლაღურად იქცევა. ხალხის რწმენით, ეს პატარა ფრინველი ახლაც შვილს დაეძებს და ეძახის: „შვილო გოგია! შვილო გოგიაო!“.

ნ. შამანაძე

მომთქმელი — მოთქმით მოტირალი (ნ. მოთქმით ტირილი).

მორალისტური ანუ ლეგენდარული ზღაპრები — ქრისტიანული მორალის შემცველი ზღაპარი, ხშირად ქრისტიანული ლეგენდის საფუძველზეა აგებული ან მის ელემენტებს შეიცავს. ამგვარ ზღაპრებში მითოლოგიური წარმოდგენების ადგილს სასწაულმოქმედი (ქრისტიანული გაგებით) ელემენტები იჭერს. სიუჟეტიდან მორალისტური დასკვნა გამომდინარეობს. მაგ., „ორი შაური მართალი, თუ ორი თუმანი არამი“, „თხებით სავსე უფლის ვენახი“ და სხვ.

ლიტ.: ელ. ვირსალაძე, „ზღაპარი“, ქართ. ხალხ. პოეტ. შემ., II, 1965, გვ. 390.

ე. ვირსალაძე

მოსაგონარი — ის, რაც მიცვალებულის სიცოცხლეს მოგვაგონებს: 1. ლექსი, რომელიც მიცვალებულის სიცოცხლისა და დაღუპვის ამბებს მოგვითხრობს; 2. სასმისი (სურა, ყანწი, ჭიქა და სხვ.), რომელიც საგანგებოდ გაკეთებული ან დაწესებულია მიცვალებულის სულის მოსახსენებლად (ნ. მკვდრის ლექსი).

ლიტ.: ელ. ვირსალაძე, ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება, 1958, გვ. 68.

დ. გოგოჭური

მოსაზღვრე დისციპლინები — ფოლკლორისტიკა (ნ.) მკიდრო კავშირშია მეცნიერების სხვადასხვა დარგთან, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში „მოსაზღვრე დისციპლინებად“ იწოდებიან. ეს მეცნიერებანია: ლიტერატურათმცოდნეობა (ლიტერატურის ისტორია და თეორია), ენათმეცნიერება, არქეოლოგია, ეთნოგრაფია, სამოქალაქო ისტორია, აზროვნების ისტორია.

ფოლკლორისტიკის ურთიერთობა მოსაზღვრე დისციპლინებთან ორმხრივია. ასე, მაგალითად: ფოლკლორისტიკა კვლევის დროს ფართოდ იყენებს ლიტერატურის თეორიის მიღწევებს მხატვრული სტილის სფეროში, თავის მხრივ კი სწავლობს ლიტერატურის ფოლკლორულ წყაროებს და იკვლევს მხატვრული ფორმის გენეზისის საკითხებს; ეთნოგრაფია ფოლკლორისტიკას აწვდის ცნობებს ზეპირსიტყვიერ ნაწარმოებთა ყოფიერების შესახებ, ხსნის მათი შესრულების წესებსა და საწესჩვეულებო ფუნქციას, თავის მხრივ ფოლკლორისტიკა ეთნოგრაფიას ამარაგებს სიტყვიერი მასალით და აწვდის მის დახასიათებას.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხ. სიტყვიერების ისტორია, 1956; М. !О. Соколов, Русский фольклор. 1938.

ჯ. ბარდაველიძე

მოსახსენებელი — ნ. მოსაგონარი.

მოტივი — ძირითადი თემის შემადგენელი ნაწილი. სიუჟეტთან ნაწარმოებში თხრობის, მოქმედების განვითარების უმცირესი ელემენტი. ერთმანეთისაგან არჩევენ დინამიკურ და სტატიკურ ანუ თავისუფალ მოტივებს. პირველი — თხრობის, მოქმედების განვითარებას იწვევს, ახალ სიტუაციას ქმნის, მისი ამოღება სიუჟეტის მთლიანობას არღვევს („ამირანიანში“ ღმერთთან ბრძოლის მოტივი), მეორე — მოცემული სიტუაციის, მოქმედების დახასიათებას იძლევა. ამიტომ იგი თავისუფალია, ე. ი. სიუჟეტს (ნ.) არ განეკუთვნება და ამ უკანასკნელის განვითარებისა და მთლიანობისათვის არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. ეს უკანასკნელი ფოლკლორული ნაწარმოებისათვის ნაკლებად დამახასიათებელია.

ლიტ.: Тимофеев Л. И., Теория литературы, М., 1948.

ჯ. ბარდაველიძე

მოტივირება — ნაწარმოების მხატვრული ფორმის ყველა ელემენტის შინაარსით განპირობებულობა, მოქმედებისა და სიტუაციების განვითარების, პერსონაჟთა ხასიათის, ქცევის დამაჯერებლობა, შინაგანი მიზეზობრივი თანმიმდევრობა.

მოტივირება ფოლკლორში შედარებით იშვიათია. ფოლკლორული ნაწარმოების პერსონაჟი, ჩვეულებრივ, თავიდანვე ერთ რომელიმე ხასიათს წარმოადგენს და სიუჟეტის განვითარების პროცესში ცვლილებას არ განიცდის: ბოროტი ბოროტად რჩება. კეთილი კეთილად. მათი ქცევაც ამითაა განპირობებული. ფოლკლორის ამ თავისებურებიდან ერთგვარ გადახვევას წარმოადგენს „ეთერიანის“ (ნ.) პერსონაჟი მურმანი (ნ.), რომელიც წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებს და რომლის მოქმედება ნაწარმოებში (ეთერის ცოლად შერთვა) ნაწილობრივ მოტივირებულია (ეთერისადმი სიყვარული).

ლიტ.: ხალხური სიტყვიერება, IV, „ეთერიანი“ მ. ჩიქოვანის წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და რედაქციით, 1954; ჯ. ბარდაველიძე, ანდივიდუალური ხასიათის პრობლემა ფოლკლორში, „ქართული ფოლკლორი“, III, 1970.

ჯ. ბარდაველიძე

„მოხვევის ქალო თინაო“ — სატრფიალო ლირიკული ლექსი, ფართოდ გავრცელებული საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. მისი ვარიანტები XVIII საუკუნეში ხელთ ჰქონდათ მამუკა ბარათაშვილსა და დავით გურამიშვილს. ლექსის მეტრი და მოტივი პოპულარული ყოფილა.

ლიტ.: დ. გურამიშვილი, დავითიანი, 1931, გვ. 176; მ. ბარათაშვილი, ქაშნიკი, 1956, გვ. 133; მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 84.

დ. გოგოჭერი

მოხეტიალე სიუჟეტები — მრავალი ქვეყნისა და ხალხის ფოლკლორში გავრცელებული მსგავსი სიუჟეტის მქონე ნაწარმოებნი, რომელნიც ნასესხობის (ნ.) თეორიის თანახმად ერთ ქვეყანაში, ერთ ადგილას არიან შექმნილი და აქედან, სესხების გზით გადავიდნენ სხვა ხალხებში და ფართო გავრცელება ჰპოვეს. სიუჟეტების ამგვარ მსგავსებას, ნასესხობის გარდა, სიუჟეტების თვითჩასახვით (ნ.) ან ტიპოლოგიური მსგავსებით (ნ.) ხსნიან. მოხეტიალე სიუჟეტების რიცხვს ეკუთვნის, მაგ., მამა-შვილის ბრძოლის სიუჟეტი,

რომელიც გვხვდება სპარსულ „შაჰ-ნამეში“, 800 წელს ჩაწერილ ძველ გერმანულ ჰილდებრანტის საგაში, კელტურ ეპოსში, ანგლო-საქსურ „ბეროულფში“, რუსულ ბილინების ილია მურომეცის (ნ.) ციკლში, ქართულ „როსტომიანში“ და სხვაგან. გეოგრაფიული სკოლის წარმომადგენელი ამგვარი სიუჟეტების მონოგრაფიულ კვლევას აწარმოებდნენ.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, 1946; ქს. სიხარულიძე, ქართული საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, თბ., 1947; А. Веселовский, Историческая поэтика, М., 1940.

ე. ვირსალაძე

მრელაშვილი გიორგი (1879—1941) — იყალთოელი მთქმელი, ზღაპრებისა და ლექსების მდიდარი რეპერტუარის მქონე. მ. 15 წელი მოჯამაგირედ იყო. 1905 წლის რევოლუციაში მონაწილეობისთვის 1906 წ. ციმბირში გადაასახლეს, 1917 წელს კახეთში დაბრუნებული სოფლის მეურნეობაში ჩაება. მ. განსაკუთრებით ზღაპრების თქმა ემარჯვებოდა. ჰქონდა გადმოცემის თავისებური მანერა, ფრაზას მუდამ რიტმულად აგებდა. მისი რეპერტუარის ფიქსაცია ორჯერ მოხდა 1938 და 1948 წლებში (მ. ჩიქოვანი). მ. ნათქვამი ზღაპრებისა და ლექსების ნაწილი დაბეჭდილია და მალალმხატვრობით გამოირჩევა.

ლიტ.: სახალხო მთქმელები, I, 1956; ქართული ხალხ. ზღაპრები, I და II ტ, 1938, 1952 წ.; მ. ჩიქოვანი, ქართ ხალხ. სიტყვიერება — კახური მასალები ლიტ. ძიებანი, V, 1949.

მ. ჩიქოვანი

მსმენელთა აუდიტორია — ფოლკლორისტიკაში დამკვიდრებული ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ზეპირსიტყვიერი ნაწარმოების მსმენელთა ჯგუფს.

ჯ. ბარდაველიძე

მსმენელი — იგივე გამგონებელი. პიროვნება, რომელიც ისმენს ზეპირსიტყვიერ ნაწარმოებს:

მთქმელსა და გამგონებელსა
ღმერთი გწყალობდეთ ყველასა.

მსმენელი მრავალსაც გამოხატავს.

ჯ. ბარდაველიძე

მური — ისტორიული ადგილი ცაგერის მახლობლად მდ. ცხენისწყლის მარცხენა ნაპირას. ლეჩხუმი მე-19 საუკ. დასაწყისში მურის მაზრადაც იწოდებოდა. სახელდებით მური ცაგერსა და ჩხუტელს შუა მდებარეობს სვანეთის საზღვარზე. მურში რამდენიმე მნიშვნელოვანი სიძველეა. აქაა პოეზიაში ცნობილი სამი ციხე: „ჰკა მაგას“, „მაგრად დახვდი“, „არ გაუშვა“ (ნ.). იქვეა მაქსიმე აღმსარებლის, სახელობის ძველი ნაეკლესიარი, რომლის გათხრები 1914 წლის ივლისში მიმდინარეობდა ნ. მარის ხელმძღვანელობით, მაგრამ არ დასრულებულა. ლეგენდა გადმოგვცემს, რომ VII ს. დიდი ფილოსოფოსი და საეკლესიო მოღვაწე, რომლის გვერდით გამოხატულია შოთა რუსთაველი ჯერის მონასტერში (პალესტინა), მაქსიმე აღმსარებელი მურს არის დაკრძალული. ბერძნული წყაროებით ირკვევა, რომ ბიზანტიიდან გამოდევნილმა ფილოსოფოსმა ცხოვრების უკანასკნელი პერიოდი თაკვერ-ლეჩხუმში (დებვირი, მური) გაატარა და იქვე აღესრულა. მურს დადიანების სასახლეც შემორჩა რევოლუციამდე. აქაურ სიძველეებზე, გადმოცემები ჯეროვნად შესწავლილი არაა, იმართებოდა ღღესასწაული „მურობა“.

ლიტ.: ვახუშტი, საქ. სამეფოს აღწერა, 1941; ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, IV, 1941; კ. კეკელიძე, ეტიუდები, III, 1955; მ. ჩიქოვანი, ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, 1971.

მ. ჩიქოვანი

მურის ციხე — შუა საუკუნეების თვალსაჩინო სიმაგრე ცაგერის მახლობლად მდ. ცხენისწყლის მარცხენა ნაპირას. აქ სამი ციხეა; „ჰკა მაგას“, „მაგრად დახვდი“, „არ გაუშვას“ სახელწოდებებით (იხ. ი. აბაშიძის იმავე სახელწოდების ლექსები). ამ ციხეებზე მრავალი გადმოცემა და თქმულება არსებობს; მეცნიერულად ისინი შეუსწავლელია.

მ. ჩიქოვანი

მუტრიბი — იხსენიება საერო მომღერალთა და მუსიკოსთა შორის. საბას განმარტებით, მეჩანგე ქალს ნიშნავს, არაბები მესაკრავის, გამართობის მნიშვნელობით ხმარობენ. კლასიკური ხანიდან მ. ხშირად გვხვდება ქართულ ლიტერატურულ და ფოლკლორულ თხზულებებში: „მოასხნეს მრავალნი და კარგი მუტრიბნი („ვისრამიანი“). „ხარბად ნუ ითხოვ ხმოსანი, მუტრიბი ხარ თუ მგოსანი“ („ქილილა და დამანა“). ზოგჯერ ლიტერატურული წყაროები აიგი-

ვებენ მუტრიბსა და მომღერალს. ი. ჭავჭავიძის აზრით, მომღერალი ხმით მგალობელი და რეჩიტატორია, მუტრიბი — დამკვრელი და მომღერალი.

ლიტ.: ი. ჭავჭავიძე, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, 1938, გვ. 56; შ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 52.

გ. კელიძე

მუშაითი — აკრობატი, ეონგლიორი, საცირკო ხელოვნების წარმომადგენელი. მუშაითი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ხალხურ სანახაობებში. ძველი ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ თამარის ქორწინების დროს „იყო ზმა მგოსანთა და მუშაითთა სახეობათა მკვრეტელობანიო“. მუშაითები მოხსენებულნი არიან ვეფხისტყაოსანშიც.

ესე თქვა და სიხარულით თამაშობა აღიდა,
მგოსანი და მუშაითნი უხმეს, ჰპოვეს რაცა სადა.

ლიტ.: დ. ჭანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, თბილისი, 1948.

ჯ. ბარდაველიძე

მუცლით მეზღაპრე — გვხვდება ბიბლიაში არარაობათა, სისულელის, ტყუილების მთხრობელის მნიშვნელობით. ს.-ს. ორბელიანი მ. მ. ასე განმარტავს: „ესე იგი არს ეშმაკთ მკითხავი, გინა ეშმაკი მუცლითა გამოუბნობდეს“.

ლიტ.: ელ. ვირსალაძე, ზღაპარი: ქართ. ხალხ. პოეტ. შემ., ტ. II, 1965, გვ. 366—369.

ე. ვირსალაძე

მშენებელთა ლექსი — მშენებლობის დროს სათქმელი პოეტური ნაწარმოები, რომელიც შრომის რიტმს ეთანხმებოდა. ჩინეთში XII ს-ში (ჩვ. წ. აღ-მდე) დიდი სასახლეების აგებისას დოლის-მაგვარ დასაკრავს კაო-კუ-ს სცემდნენ. ჩვენამდე მოაღწია იმდროინდელი ლექსის ჩანაწერმა, რომლის შინაარსი ასეთია: „მათ მიწა კალათებით მიჰქონდათ, ყიფინით ჰყრიდნენ ამ მიწას კედლებში. ისინი სტეპნიდნენ მიწას ტენგ-ტუნგ; კედელი ხმას იძლეოდა ფინგ-ფინგ. ხუთი ათასი ფუტის სიმაღლის კედელი ისე სწრაფად აღიმართა, რომ კაო-კუ-მ ვერ მოასწრო დაჩუმება“.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართულ-ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 227; К. Енхлер, Рачета и ритм, 1923, стр. 56.

მცხეთური ბრინჯაოს სარტყელი — გვიან ბრინჯაოს ხანის ძეგლი (XIII—VII-სს), რომელიც აღმოჩენილი იქნა სამთავროში არქეოლოგიური გათხრების დროს. სარტყელზე გამოხატულია ნადირობის სცენა. სიუჟეტურად ამირანის თქმულებას გადმოგვცემს. ამირანი წინა პლანზე დგას, ხელში ცამცუმისეული მშვილდ-ისარი უჭირავს და ნაანდერძევი ცხენი მარჯაფად ჰყავს. უკან ბადრი და უსუპი მიყვებიან ნადირის დევნით. ამირანის ეპოსის ისტორიაში მ. ბ. ს. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, თრიალეთური ვერცხლის თასის (ნ.) და ყაზბეგის განძის (ნ.) გვერდით.

ლიტ.: შ. ამირანაშვილი, ქართ. ხელოვ. ისტორია I, 1944; მ. ჩიქოვანი, ქ. ეპოსი, I, 1959, გვ. 122—26.

მ. ჩიქოვანი

მწყემსების გართობა — მწყემსის გამხიარულება და მოწყენილობის გაფანტვა სხვადასხვა თავშესაქცევით: შაირობით, ზღაპრებისა და ფოლკლორის სხვა ეანრის ნაწარმოებთა მოყოლით. მწყემსისთვის სიმღერა და ლექსი თითქმის ერთი და იგივე ცნებებია; იგი ხშირად სიმღერით გადმოსცემს ლექსებს. მწყემსებში დიდი პოპულარობით სარგებლობს მუსიკალური საკრავები, განსაკუთრებით ფანდური. ამ საკრავის სახელიდან ნაწარმოები ტერმინი „საფანდურებელი“ მეათე საუკუნის ძეგლში გვხვდება. მწყემსები გასართობად იყენებენ აგრეთვე სტვირს, სალამურს, ჭუნირს, ზოგ შემთხვევაში გარმონსაც. მართავენ მთქმელთა შეჯიბრებებს, რომელშიც სხვადასხვა ბინებიდან მოსული მეცხვარეები მონაწილეობენ. ასეთ ფოლკლორულ საღამოებზე გამარჯვებულს ჯილდო ეძლევა.

ნ. შამანაძე

მწყემსთა პოეზია — ქართული ფოლკლორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შენაკადი. ყურადღებას იქცევს მრავალფეროვანი შინაარსითა და მაღალპოეტურობით. მწყემსთა პოეზიის ჩასახვა ში-

ნაურ ცხოველთა მოშენებისა და მომრავლების უხსოვარ დროს მიეკუთვნება. ხალხური შემოქმედების მრავალ ნიმუშს ქმნიდნენ და კვლავაც ქმნიან მწყემსები. ისინი პოეტური ხალხია, მხატვრული სიტყვის ძალას მთელი გულით განიცდიან და მსმენელსაც განაცდევინებენ. მწყემსთა მნიშვნელოვანი ნაწილი მეცხვარეები არიან. საქართველოს სამწყემსავ პირუტყვთა შორის ცხვარს უპირატესი ადგილი უჭირავს. სწორედ ყველაზე მეტი ლექსიც ამ უწყინარ ცხოველს ეძღვნება.

მწყემსური ცხოვრება აღსავსეა მოულოდნელი მარცხით და ხიფათით, ძნელად გადასალახავი გასაჭირითა და უბედური შემთხვევებით. იმის გარეშეც თვით მუშაობის პირობები მწყემსისა ერთობ ძნელია. იგი მუდამ გარეთ დახეტილობს და მომთაბარე. ცხოვრებას ეწევა. მწყემსების ძნელბედობა, გულის ხეაშიაღი კარგადაა დახატული მათსავე ლექსებში, ლირიკასა და ლირო-ეპიკაში. სოციალურ ურთიერთობათა ასახვის თვალსაზრისით მწყემსური პოეზია არ წარმოადგენს ერთიან ნაკადს. მასში გამოძახილი ჰპოვა ყველა ეპოქამ, ჩვენს ქვეყანაში მომხდარმა ძვრებმა. მ. პ. დამახასიათებელია სიუჟეტიანობა. იშვიათია ლექსი, გარკვეულ ამბავს ან შემთხვევას რომ არ ემყარებოდეს. განსაკუთრებით გამოირჩევა მეკობრეობის ამსახველი ნაწარმოებები და ე. წ. „მკვდრის ლექსები“. გამომსახველობითი საშუალებების მდიდარ კომპლექსში სახეობრივი აზროვნების საფუძვლად ხშირადაა გამოყენებული შინაური და გარეული ცხოველები, აგრეთვე ფრინველები, სტიქიური ძალები.

მრავალ ლექსში გვხვდება პოეტური მეტყველების ისეთი ფართოდ გავრცელებული სახე, როგორიცაა განპიროვნება. გარე სამყარო მწყემსისადმი ინდიფერენტულად კი არ არის განწყობილი, არამედ ადამიანივით განიცდის მის ბედს თუ უბედობას. აღსანიშნავია მხატვრული ხერხები, რომლებიც პროფესიონალიზმებს ემყარება და მწყემსთა მხატვრული აზროვნების ბუნებას ყველაზე უკეთ გვიჩვენებს.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956; ნ. შამანაძე, მეკობრეობის ასახვა მწყემსთა პოეზიაში, ბათუმის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1964 წ., გვ. 104; ნ. შამანაძე, მწყემსთა პოეზიის მხატვრული თავისებურებანი, ლიტ. ძიებანი, ტ. XV, 1963, გვ. 256.

6. შამანაძე

მკადიჯვარელი ქალი — სამშობლოსთვის თავგანწირული მამაცი მოხუცი ქალი, ერეკლე მეორის თანამედროვე სახალხო გმირი. მ. ქ-მა 1755 წელს გამოიჩინა გასაოცარი გმირობა ხუნძახის მფლობელის ნურსალ ბეგის წინამძღოლობით შემოსეულ ლეკებთან ბრძოლაში, მ. ქ-მა მკადისჯვრის ციხესთან ბრძოლაში მოკლა რამდენიმე ლეკი, მტერს საფარი დაუწვა და თითონაც დაიღუპა. ისტორიკოსის ცნობით ამგვარი მამაცობისთვის „ქებასა მისსა მოუთხრობდნენ შაირითა მესტვირენი“ (ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გვ. 50). მ. ქალის სახელი ქრისტიანე ყოფილა (ტრ. რუხაძე, სახელი მკადიჯვარელი დედაკაცისა, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1945, № 36). მ. ქ. გმირობაზე მოღწეულია გადმოცემა და საისტორიო ბალადა („ხუნძახმა სთქვა: სარდალი ვარ“). მკადისჯვარელ ქრისტიანეზე ხალხი გადმოსცემს: „იქ რომ ბებერმა საქმე ჰქნა, ის არ უქნია სხვასაო“.

ლიტ.: გ. ლენიძე, გმირი დედაბერი, „კომუნისტი“, 1941 წ. № 310; ქ. სიხარულიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა სამშობლოსათვის ერეკლე მეორის ხელმძღვანელობით, 1942; ქართველი სახალხო გმირები, 1952.

ქ. სიხარულიძე

6

ნადირობის ღვთაება — ნადირობის საქმის გამგებელი, ნადირთმწყემსი. დარგობრივ მითოლოგიაში (ნ.) ნადირთა ბატონი, მწყემსი ანუ ნადირობის ღვთაება თვალსაჩინო როლს ასრულებს. მისი პოპულარობა პროპორციულია იმ მნიშვნელობისა, რაც მონადირეობას ეძლევა სამეურნეო ცხოვრებაში. ნადირთა მწყემსის შესახებ წარმოდგენა პირველყოფილ საზოგადოებაში ჩნდება მოპოვებითი მეურნეობის დროს. ამაზე მეტყველებს ხელოვნების ძეგლები ქვისხანის გამოქვაბულებსა და უძველეს ადამიანთა საცხოვრისის ახლოს მდებარე კედლებზე გამოხატული რიტუალური ცეკვები, სიმღერები და მოთხრობები, რაც ასე გავრცელებულია არაცივილიზებულ ტომებში (მაგ. კალახარის უდაბნოს მცხოვრებნი). საქართველოში ნადირთა საქმეს თავდაპირველად ქალღმერთი (დალი, სამძივარი, ტყაში მათა) განაგებდა, შემდეგ მას მაშაკაცღვთაება შეენაცვლა (ბერ. შიშვლიშ, ოჩოპინტე, აფსათი). მატრიარქატის პატრიარქატით შეცვლას დიდი სარწმუნოებრივი გარდაქმნები მოყვა, ქალღმერთების ადგილი კაცღმერთებმა დაიჭი-

რეს. ეს პროცესი ასახულია ეპოსის ისეთ ძეგლში, როგორც ამირანიანია. ნ. ლ. შესახებ საქართველოში ბევრი მითი და თქმულებაა გავრცელებული. მისი ანარეკლი პოეზიის გარდა მხატვრული შემოქმედების სხვა დარგებშიც იჩენს თავს (მუსიკა, ქორეოგრაფია).

ლიტ.: ი. ჭავჭავაძე, ქართ. ენის ისტ., I, 1951; მ. ჩიქოვანი, ქ. ეპოსი, I, 1955; ე. ვირსალაძე, ქ. სამონადირო ეპოსი, 1964; ხალხური სიბრძნე, III, 1964; ქართული ხალხური პოეზია, I, 1972.

მ. ჩიქოვანი

ნადობი — ფშ. მოწაწლავე წყვილ ქალ-ვაჟს შორის ქალი-წაწალი. „ქალი ეძახის ვაჟს წაწალს და ნაძმობს, ვაჟიც ქალს — წაწალს და ნადობს“ (ვაჟა). (ნ. წაწალი).

ლიტ.: ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტ. I, 1961, გვ. 16; ს. მაკალათია, ფშავი, 1934, გვ. 118.

დ. გოგოჭური

ნათაძე იასონ — აჭარის ზეპირსიტყვიერების შემკრები. მის მიერ ჩაწერილი ნიმუშები „გარდმონხვეწილის“ ფსევდონიმით გამოქვეყნდა გ. „დროებაში“ 1882 წ. (№ 70, 73). ვრცელი ნარკვევი უძღვნა აგრეთვე აჭარელთა ყოფაცხოვრებას, სულიერ კულტურასა და ფოლკლორს.

ლიტ.: მაცაბერიძე ე., აჭარის ზეპირსიტყვიერების ისტორიის საკითხებისათვის, ბათუმის სამეც.-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, II, 1962.

ვ. მაცაბერიძე

ნათელაშვილი გელანა — მწყემსების მეთაური, ანუ როგორც ხშირად იხსენიება, „მწყემსთა სარდალი“. ზოგ ვარიანტში შეცვლილი სახელითა და გვარით გვხვდება: გიორგი დრეიძიშვილი, გელა ნათელაშვილი, გიორგი ყვრძეული, გიორგი მეძღვარიშვილი... ყოფილა დუშელი, სოფელ ბაზალეთიდან. ჰყოლია ღორის კოლტი, რომელსაც მოჯამაგირეთა დახმარებით მწყემსავდა. გ. ნათელაშვილმა ლექთა მარბიელ რაზმებთან ბრძოლაში ისე ისახელა თავი, რომ მისი ნახვა ერეკლეს მეფესაც მოუხსურებია. ნ. გ. მიძღვნილი ხალხური ლექსი მესტვირულის ტიპიური ნიმუშია. ლექსი მხატვრული

სახეებით არ გამოირჩევა, გვიზიდავს ამღვრებული სტრიქონებითა და ცხოვრებისეული სიმართლით.

ლიტ.: ზ. შაწმინდელი, გელა ნათელაშვილი ერთგული რაინდი მეფე ერეკლესი, „დროება“, 1878 წ., № 169; ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1934, გვ. 209; ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, 1949, გვ. 166; მისივე, ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, II, 1964: გვ. 328; ნ. შამანაძე, ფოლკლორული ეტიუდები, 1970.

ნ. შამანაძე

ნამდვილი ზღაპარი, ჰექია — აჭარელი მთქმელები ასე უწოდებენ წიგნიდან დასწავლილ ზღაპრებს, განსაკუთრებით, ეტიოლოგიურ თქმულებებს. ამგვარ სიუჟეტებს მეტი პატივისცემით ეკიდებიან და თავს იმპროვიზაციის უფლებას არ აძლევენ (ხმელი//ხულა ჰექიების საპირისპიროდ).

ნ. ციტიშვილი

ნართები — საერთო კავკასიური გავრცელების საგმირო ეპოსი. ნართული ეპოსის შეკრება საუკუნეზე მეტია მიმდინარეობს. დიდძალი მაღალმხატვრული თქმულებებია დაგროვილი ადიღურ, აფხაზურ, ოსურ, ვეინახურ, ყაბარდოულ, ქართველურ ენებზე. თითქმის ყველა ხალხის ეპოსი გამოქვეყნებულია სრულად ან ნაწილობრივ. გამოცემულია შერწყმული, ლიტერატურულად დამუშავებული ვერსიები ოსური, ყაბარდოული და აფხაზური ნართებისა. გამოქვეყნებულია აგრეთვე ფრანგული თარგმანი ე. დიუმენილის გამოკვლევითურთ. ნართები უებრო ვმირები არიან. ისინი მამაცურად იცავენ სამშობლოს, მაგრამ თავდასხმაზეც მიდიან, თუ ამას სათემო ინტერესები მოითხოვს. წარმოშობით ნ. ეპოსი ადგილობრივ-კავკასიურია. ზოგი ციკლის ხნოვანება ელინისტურ ხანამდე აღწევს. ძირითადად ეპოსის საშუალო საუკუნეების გაფორმებითაა მოღწეული. დიდი პოპულარობით სარგებლობენ ისეთი ნართი ვმირები, როგორც არის სოსრიყო (სოსლანი), სათანა, ბათრაზი, აცამაზი, ურიზმაგი, ბადინოყო, ძერასა, უარხაგი, გუნდა და სხვანი, რომლებსაც საერთოდ ცნობილ სახელებთან ერთად ადგილობრივი სახელწოდებანიც მოეპოვებათ ცალკე ხალხებში. ნ. ეპოსი ფართოდ ასახავს ჩრ. კავკასიის ხალხების მითოლოგიასა და კულტურას. იგი კოლექტიური შემოქმედების განუმეორებელ ნიმუშს წარმოადგენს და მსოფლიო მნიშვნელობისაა. ნართებს განიხილავენ ედას, კალევალას, ამირანის, ნიბელუნგების და სხვა

ეპოსთა პლეადაში. ნ. ეპოსის ნიმუშები ფიქსირებულია ქართულ ფოლკლორშიც; რამდენიმე ძირითადი სიუჟეტი გვხვდება ზემო რაჭასა და სვანეთში. აქაურ ვარიანტებს მნიშვნელოვანი თავისებურება ახასიათებთ, ამიტომ ისინი ზოგადი ნართოლოგიის თვალსაზრისით გარკვეულ ინტერესს აღძრავენ. საკუთრივ ნართულის გარდა ეპოსში ზღაპრული სიუჟეტებიც არის შესული. სხვადასხვა უნარიდან მომდინარე სიუჟეტებისა და სიტყვიერი ფაქტურის ნართიზაცია ჭერ დასრულებული არაა და ამის გამო მათ წარმომავლობის განსაზღვრა სიძნელეს არ შეადგენს.

ამირანიანის ზოგი ეპიზოდიც დასტურდება ნ. ეპოსში (ნასრენის ციკლი ადიღურ ფოლკლორში). ნართოლოგიამ დიდი წარმატებები მოიპოვა უკანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე. შეიქმნა თვალსაჩინო გამოკვლევები ნაციონალური ვერსიების შესახებ (ოსური, ადიღური, ყაბარდოული, აფხაზური); გამაერთიანებელი მონოგრაფიის დამუშავება ახლო მომავლის საქმედ ითვლება.

ლიტ.: В. Абаев, Нартский эпос. 1945; Н. Тресков, Фольклорные связи Северного Кавказа, 1963; Е. Мелетинский, Происхождение гер. эпоса, 1963; М. Я. Чикозанп, Нар. груз. эпос о прикованном Амраани, 1966; მისივე, ნართული ეპოსის შეზღვევლობისა და გავრცელების საკითხები, ქ. ეპოსი, II, 1965; Приключение нарта Сосрыквы, 1962; III. Дзидигური, Грузинские варианты нартского эпоса, 1971; Нартский эпос — эпос народов Кавказа, 1968; მ. ჩიქოვანი, ოსური ხათიაგუ და ქართული „ხატის ენა“, ბაცენ, № 2, 1972.

მ. ჩიქოვანი

ნატვრის თვალი — ზღაპრული ეპოსისათვის ნიშანდობლივო ჯადოსნური თვისებების მქონე ქვა. იგი ზღაპრის პერსონაჟებს ეხმარება რთული სიტუაციებიდან თავის დაღწევაში, ძირითადად, საარსებო წყაროების მოპოვებაში. თვისებებით ნატვრის თვალი ძალიან ჰგავს ჯადოსნურ ქვას — ხვითოს.

ფ. ზანდუკელი

ნაცვალგარდა — კოლექტიური შრომის სახე. შედგენილი სიტყვაა, მომდინარეობს „ნაცვლად გადასვლა“-დან, რაც მუშაში სამაგიეროდ მისვლას, სამაგიეროდ გადასვლას, მიხმარებას ნიშნავს. ნ. მიღებული იყო როგორც ხვნასა (გუთნეულის მსგავსად) და თოხნაში, ისე მკაში. თავისი მნიშვნელობით რიგრიგას (ნ.) ემთხვევა, იცოდნენ ქართლსა და კახეთში. ნაცვალგარდაში გაერთიან-

ნებული გლეხები ერთმანეთს მორიგეობით ემუშაებოდნენ, საერთო ძალით ხნავდნენ და მკიდნენ.

ლიტ.: თ. ოქროშიძე, ქართულ შრ. პოეზია, 1963; თ. მამალაძე, შრომის სიმღერები კახეთში, 1963; ქართული ენის განმარტ. ლექსიკონი, V, 1958.

მ. ჩიქოვანი

ნეკა თითი — გავრცელებული ზღაპრული მოტივი, უჩვეულო ძალის გმირი 3 დღეის მიერ ცეცხლზე შემოკიდებულ ქვაბს ნეკა თითით გადმოდგამს; მძინარე ტარიელს რაში ნეკა თითს მოკვნიტს და ისე გამოაღვიძებს; ამირანი ნეკა თითის მოპირით კვდება; ტყეში მცხოვრებ ქალს დევი შეეჩვევა და ნეკა თითიდან სისხლს წოვს და ა. შ. ნ. თ. სიმბოლიური ნიშანია, გავრცელებული სხვადასხვა ხალხთა ფოლკლორში და სიუჟეტური ფუნქცია აკისრია (შდრ. აქილევსის ქუსლი).

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ხალხური ვეფხისტყაოსანი, 1937; მისივე, მიჯაჭველი ამირანი, 1947.

მ. ჩიქოვანი

ნაძმობი — ფშ. მოწაწლავე წყვილ ქალ-ვაეს შორის ვაჟი-წაწალი. „ქალი ეძახის ვაეს წაწალს და ნაძმობს“ (ვაჟა. ნ. წაწალი).

ლიტ.: ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტ. IX, 1961, გვ. 16; ს. მაკალათია, ფშავი, 1934, გვ. 118.

დ. გოგოჭური

ნიჟარაძე ბესარიონ სიოშის ძე (1852—1919) — სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის თვალსაჩინო მკვლევარი, პედაგოგი. ნაყოფიერად თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში. მისი წერილები შეეხება ისტორიას, ეთნოგრაფიას, არქეოლოგიას, ფოლკლორს, გეოგრაფიას, სვანეთში დაცულ ხელნაწერებს. ეწეოდა ფოლკლორულ-შემკვრებლობით მუშაობას. მის მიერ შეკრებილი „სვანური ზღაპრები“ 1893 წელს გამოიცა ქუთაისში.

ლიტ.: ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I—II, აღ. რომაქიძის რედ., 1962—1964.

ნ. შამანაძე

„ნიშხა-ნიშხა“ — უძველესი ქართული საბავშვო თამაშობა, დაკავშირებული მზისა და გველეშაპის ბრძოლასთან. ამ მითითური სიუჟეტის პირველწყაროდ მიჩნეულია დღე-ღამისა და წლის დროების, ნათელი და ბნელი, კეთილი და ბოროტი ძალების ჭიდილის ამსახველი წარმოდგენები. მთავარი პერსონაჟი ბარბალუკა მზის ქალ-ღვთაების სახელია და მასვე განასახიერებს, ხოლო ნიშხა-ნიშხა გველეშაპის პერსონიფიციკრებულ სახეს წარმოადგენს (ვ. ბარდაველიძე). თამაშობა „ნ-ნ“, მზისა და გველეშაპის ბრძოლის მითოლოგიურ სცენას ასახავს.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ), 1941; დ. ჭანელიძე, ხალხური თეატრის საწყისები, 1948; ელ. ვირსალაძე, ბარბოლ-ბარბარი ქართულ ფოლკლორში, საქ. სსრ მეცნ. აკად. შობაძე, ტ. XVI, №2, 1955.

ფ. ზანდუკელი

„ნობათი“ (1883—1885) — საყმაწვილო ყოველთვიური სურათებიანი ჟურნალი. რედაქტორი ა. ლულაძე. „ნ“-ში ხშირად ქვეყნდებოდა ხალხური შემოქმედების ნიმუშები. გამოცანების, ანდაზების, ჩქარა გამოსათქმელების გვერდით აქ ვხვდებით საბავშვო ზღაპრებს („როსტომელა“, „ხელმწიფის შვილი“, „მუქთახორა“, „სამნი ძმანი“, „ბერიკაცი და დევი“, „ორი ძმა ქოსამატყუარა“ და სხვა). ჟურნალში იბეჭდებოდა გადმოკეთებული ზღაპრებიც (ანდერსენი, ტურგენევი, დიკენსი). „ნ“-ში გამოქვეყნებული ზღაპრები ცალკე წიგნებად გამოსცა ქართველ ქალთა წრემ.

ლიტ.: თ. ჯიბლაძე, ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიისათვის, 1959.

ფ. ზანდუკელი

ნოდერი — ლაზ. ნადი, მამითადი. კოლექტიური, ჯგუფური შრომა, მონაწილეობენ როგორც მამაკაცები, ისე ქალები:

ზ. თანდილავა

ნოდერიშ ბირაფა — ლაზ. ნადური სიმღერა. ახასიათებს შრომის პროცესთან (თესვასთან) შეხამებული რიტმი.

ზ. თანდილავა

ნოველისტური ზღაპარი — ნ. ხალხური ნოველა.

ნოველისტური საყოფაცხოვრებო ზღაპარი — ნ. ხალხური ნოველა.

ნოთქუმე — ლაზ. ნათქვამი, ანდაზა.

ნუსხა — შედარებით ნაკლებად გავრცელებული ტერმინი ფოლკლორისტიკაში, მაგრამ მასზე ხელის აღება მაინც შეუძლებელია. ნუსხა ფოლკლორული ტექსტის ხელით გამრავლების შედეგად მიიღება. ხშირია შემთხვევა, როცა მოღწეულია ადრინდელი ჩანაწერები და ისიც არა ერთი ხელნაწერის სახით. ქართული ზღაპრების პირველი კრებული XVII-ს 70-იან წლებშია შედგენილი. იგივე სიუჟეტები და ტექსტები გვხვდება XIX და XX სს ფონდებში. ხელნაწერების ურთიერთშედარება მათ სიშორე-სიახლოეს ადასტურებს. უკვდავების მაძიებელი ჭაბუკის სიუჟეტი რომ ავიღოთ, მისი 15-ზე მეტი ტექსტია უკვე გამოცემული. ჩანაწერთა შორის ხანგრძლივი დროის გავლისდა მიუხედავად ტექსტები საკმაო მსგავსებას აჩვენებს. ხალხური პროზის გარდა გამოცანები, შელოცვები, წვრილი ლექსები, პოემებიც კი მრავალჯერაა გადაწერილ-გადანუსხული. ხშირად გადამწერთა ხელში ფოლკლორული ტექსტი ორთოგრაფიულ, სტილისტურ თუ სტრუქტურულ ცვლილებას განიცდის, მაგრამ იგი არაა შეგნებული რედაქციული მუშაობის ნაყოფი; იგი უფრო მეტად სტიქიურ ხასიათს ატარებს, რაც თან სდევს გადამწერთა პროფესიას. ამნაირად ჩნდება ხელნაწერი ტექსტის ნუსხა, ორთოგრაფიულ-სტილისტური თავისებურებებისა და ანაზღეული შეცდომების შემცველი. ნუსხას რედაქცია (ნ.) უპირისპირდება. პირველი ადრე ფიქსირებული ტექსტის გამრავლების შედეგია, მეორე კი საგამომცემლო-ტექსტოლოგიური საქმიანობისა. აქვე შეიძლება დავასახლოთ ქართული ზღაპრების ბერნარდ ნეპოლელისეული ნუსხა, გამოცანების პლ. იოსელიანისეული ანდა ანდაზების დ. ჩუბინაშვილისეული ნუსხები, რომლებსაც ცალ-ცალკე თავთავიანთი პარალელური ჩანაწერები მოეპოვება.

ლიტ.: Д. Лихачев, Текстология, 1962. XVII საუკუნეში ჩაწერილი ქართული ზღაპრები, „მრავალთავი“, I, 1964; მ. ჩიქოვანი, ახალი საარქივო მასალები. გამოცანანი ქართულში. ლიტ. მიკბანი, III, 1946.

მ. ჩიქოვანი

ობირუ — ნ. ბირაფა.

ოთარა — ერეკლე II დროის ხუმარი და პროფესიონალი ბერეკა-მსახიობი. ო. ბევრჯერ უსახელებია თავი როგორც მეფის სასახლეში, ასევე დადიანთან, რისთვისაც საჩუქრებს ღებულობდა ხოლმე. ო. ხუმრობანი შეტანილია „კალმასობაში“, გრ. ბატონიშვილის ანთოლოგიაში და სხვა ხელნაწერ და დაბეჭდილ კრებულებში.

ლიტ.: ბატონიშვილი, ი., კალმასობა, I, 1936; ჯანელიძე და., ქართული თეატრის ხალხური საწყისები, I, 1948; რუხაძე, ტ., ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, 1949; ჩიქოვანი, მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956.

ვ. მაცაბერიძე

ოკოყონუ — ლაზ. შეერთება, შეკავშირება, ხმათა ურთიერთშეწყობა.

ოთხყურა-ოთხრქა ცხვარი — სამსხვერპლო ცხვარი, რომელიც იახსარის ხატის აღმსარებლებმა წაწადას თუ აბუდელაურის ტბაში ჩაკლეს წყლის გასანათლავად. ცხვრის სისხლმა ტბა გაწმინდა დევის სისხლისაგან და იახსარს საშუალება მიეცა ტბიდან ამოსულიყო! ჩვესურები ფიქრობენ, რომ ასეთი ცხვარი იშვიათად, მაგრამ მაინც გამოერევა ფარაში.

ლიტ.: ა. შანიძე, ხალხ. პოეზია, I, 1931; ვაჟა-ფშაველა, თხზ., IX, 1964, გვ. 80; ქართული ხალხური პოეზია, I, მითოლოგიური ლექსები, 1972.

მ. ჩიქოვანი

ონიანი არსენ ზურაბის ძე (1879 — 1948) — ფოლკლორისტი, ლერქსიკოგრაფოსი, პედაგოგი. დაიბადა ლაშხეთის თემის სოფ. სასაშში (ქვემო სვანეთი), დაწყებითი განათლება მიიღო სოფ. ორბელში. 1928 — 1930 წწ. მუშაობდა ლენინგრადში — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის იაფეტური ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლად და აკად. ნ. მარის ხელმძღვანელობით მონაწილეობდა სვანურ-რუსული ლექსიკონის შედგენაში. ფოლკლორისტულსა და ლექსიკოგრაფიულ მუშაობას ადრე შეუდგა. ქვემო სვანეთში შეკრიბა მდიდარი მასალა, რომლის

ნაწილი გამოქვეყნდა ორ წიგნად სერიაში «Материалы по Яфетическому языкознанию», н. VIII, IX, 1917, რომელიც აკად. ნ. მარის რედაქტორობით გამოდიოდა. ა. ონიანის მიერ ქვემო სვანეთში შეკრებილი ენობრივი და ფოლკლორული მასალა ფართო ინტერესს იწვევს, გამოირჩევა ჩაწერის სიზუსტითა და მრავალფეროვნებით. გამოუქვეყნებელი მასალა დაცულია საქ. მეცნიერებათა აკად. ენათმეცნიერების ინსტიტუტში.

ლიტ.: არსენა კონძან, ქვემო სვანეთში ბაღარაკ ენის ხორაკ (Арсен Ошанин, Сборник сванских названий деревьев и растений (на лашхском наречии, Петроград, 1917). ლუწუ აბჯარ ლღაშხუ შუმი ნინშუ. გიმ ი ზნეჯარ, არკალი ი ციგინარ, შაძარლი ი ლორჯალ, ლიმჯრალ, ნახკრიელ. არსენა კონძან მგსსაშიშ (Сванские тексты на лашхском наречии. Страна и нравы, рассказы и сказки, стихи и песни, заговоры, собран Арсен Ошанин из Сасаши, Петроград, 1917).

ა. ლონტი

„ორი ძმის ზღაპარი“ — ძველევგოპტური ხალხური მოთხრობა, რომელიც ჩაწერილია პაპირუსზე ჩვენს ერამდე 16-15 სს. ზღაპარში გადმოცემულია უმცროსი ძმის მძიმე თავგადასავალი, რაც გადახდა უფროსი ძმის ცოლის მხრივ ცილის დაწამების ნიადაგზე.

ლიტ.: ნ. А. Тураев, Египетская литература, I, 1920; Сказка о двух братьях, 1917.

ორიგინალი — თავდაპირველი ტექსტი, დედანი. ორიგინალი მოეპოვება ზეპირ ნაწარმოებსაც და ჩაწერილსაც. ზღაპრის მთქმელი თავის მსმენელთა მიმართ ხალხური მოთხრობის ორიგინალის მიმწოდებელია. თუ პირველი მთქმელის მსმენელები იმავე ნაამბობს სხვა მსმენელთა შორის გაიმეორებენ, ამ მეორე ნათქვამის ორიგინალი პირველი მთქმელის ნაამბობი იქნება. თავისი მხრით ეს მეორე ნაამბობი თვითონ შეიძლება იქცეს მომდევნო მთქმელისთვის ორიგინალად — დედნად. ამნაირად, ზეპირი ტექსტის ორიგინალი მისი უშუალო წინამორბედი მთქმელისაგან შესრულებული ტექსტია. პირველად ჩაწერილი ტექსტი მომდევნო გადამწერისათვის ორიგინალს წარმოადგენს, მისგან გადაწერილი კი ასლს.

ნეაპოლში აღმოჩენილი და 1964 წელს თბილისში გამოცემული ქართული ზღაპრების მე-17 საუკუნის კრებულის ორიგინალი 300 წელია იტალიაში ინახება (ნეაპოლის ეროვნული ბიბლიო-

თეკა), საქართველოში მისი ასლები (მ. თამარაშვილის მიერ შესრულებული ორი ზღაპრისა, ხელნაწერების ინსტიტუტი) და მიკროფილმი მოგვეპოვება (სრული კრებული, საქ. მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა). ფიქსირებული ტექსტის ორიგინალი არ იცვლება, იგი ხელუხლებელ ძეგლს წარმოადგენს, რომელსაც შეისწავლიან სხვადასხვა თაობის ტექსტოლოგები და, მაშასადამე, თითოეულს ერთნაირი ინფორმაცია უნდა გადაეცეს. ორიგინალის საფუძველზე შემოქმედებითი თუ სარედაქციო მუშაობის პროცესში ჩნდება სხვადასხვა ნუსხა და რედაქცია.

მ. ჩიქოვანი

ოლრიკი აქხელი (1864—1917)—დანიელი ფოლკლორისტი, ფინური სკოლის (ნ.) წარმომადგენელი, ერთ-ერთი ინიციატორი 1907 წელს შექმნილი საინფორმაციო ჟურნალისა «Folklore Fellows Communications». ო. იკვლევდა ჩრდილოეთის ქვეყნების მითოლოგიასა და გმირულ ეპოსს. სწავლობდა კავკასიის მითოლოგიას, კერძოდ, ამირანის თქმულებას. 1922 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში განაწილდა ამ თქმულების მითოლოგიური ინტერპრეტაცია კავკასიის ვულკანურ მოვლენებთან დაკავშირებით.

ლიტ.: გ. ზიდაია, ქართული ეთნოლოგია; მიმოხილველა; მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, 1947; A. Ulrik, Ragnarök. 1922.

მ. ჩაჩავა

ოროველი — 1. ქართულ წარმართულ პანთეონში მიწისა და მოსავლის კეთილი ღვთაება, 2. შრომის პოეზიაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ოროველისადმი მიძღვნილ საგალობლებს. „ოროველას“ სახელით უმთავრესად ცნობილია კალოური ლექს-სიმღერები. ზოგჯერ სრულდება გუთნურისა და ურმულის სახითაც. ო. თემატიკურად უახლოვდება სამკალ სიმღერებს.

ლიტ.: ოქროშიძე თ., ქართული ხალხური შრომის პოეზია, 1963; მამალაძე თ., შრომის სიმღერები კახეთში, 1963.

ვ. მაცაბერიძე

„ორშაბათობით აშენდა“ — ლირო-ეპიკური ჟანრის სიმღერა. შინაარსით წარმართული და ქრისტიანული ელემენტების შემცველია. შესრულების მხრივ დაკავშირებულია შრომის პოეზიის იმ

ჭგუფთან, რომელიც გუთნურის სახელითაა ცნობილი. იგი შეადგენდა აგრეთვე მესტვირეთა რეპერტუარის კუთვნილებას. პირველი პუბლიკაციები ეკუთვნის ი. გოგებაშვილსა და პ. უმიკაშვილს.

ლიტ.: ლექსები სახალხო სიმღერებიდან, შედგენილი პ. უმიკაშვილისაგან, 1874; ი. გოგებაშვილი, დედა-ენა, 1876; ჩიქოვანი მ., ქართ. ხალხ. სიტყვ. ისტორია, 1956; ოქროშიძე თ., ქართული ხალხური შრომის პოეზია, 1963.

ვ. მაცაბერიძე

ორხელა — პრიმიტიული, ორხელმოსაკიდისანი გუთანნი. გამოიყენება მთიან ადგილებში. ხალხურ პოეზიაში ო. და გუთანნი ხშირად ეპაექრებიან ერთმანეთს.

ვ. მაცაბერიძე

ორხელა და გუთანნი — შრომის პოეზიის დამახასიათებელი გაბაასების ქანრის ლექს-სიმღერა. ლექსში აშკარად ჩანს გუთნის უპირატესობა.

— ორხელამ შემოგითვალა, გუთანო, პური მშინო,
თუ გქონდეს გამომიგზანე, გადახდა შემიძლიანო.
— საკრეთით დახვრეტილი ხარ, არ გირეგია სატეხე.
მაშინ სად იყავ ორხელო, მე რომ ძეძენარი ვატეხე.

ლიტ.: ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956; ოქროშიძე თ., ქართული ხალხური შრომის პოეზია, 1963.

ვ. მაცაბერიძე

ორწიფობა — ორ წიფობის თვეს ანუ 2 ოქტომბერს ლეჩხუმში (აღვი) ტრადიციული დღესასწაული იმართებოდა სანახაობებითურთ. ო. სახელწოდება მოსავლის აღებაზე, კერძოდ, ყურძნის კრეფაზე (ღვინობისთვე) მიუთითებს. მწიფობის—წიფობის თვე შემოდგომის უხვი თვეა.

მ. ჩიქოვანი

ოსთერამუ — ლაზ. თამაში, ცეკვა.

ოჩიაური ალექსი ალეკას ძე (1893—1972) — დაიბადა არხოტის თემის ს. ახიელში (ხევს). პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. გადმოსახლდა ფშავში, ს. შუაფხოში. დიდხანს მასწავლებლობდა ფშავსა და ხევსურეთში. ო. არის მთის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალების თვალსაჩინო შემკრები და სანდო ინფორმა-

ტორი. მისი ჩაწერილი მასალები დაცულია საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში. ო-ს შეკრებილი ხევისურული პოეზიის ნიმუშები 1931 წელს გამოაქვეყნა ა. შანიძემ. 1971 წ. დაიბეჭდა მისი დამოუკიდებელი კრებული „ფშავ-ხევისურული პოეზია“.

დ. გოგოჭერი

ოხაჩქუშ ბირაფა — ლაზური, თესვის სიმღერა. სრულდება თესვის დროს, ყანაში. მღერის მთელი ნადი და ამის გამო მას ხშირად „ნოდერიშ ბირაფა“ (ნადური სიმღერა) ანუ „ყონაშ ბირაფა“ (ყანური სიმღერა) ეწოდება. (ნ. ნოდერიშ ბირაფა). მონაწილეობენ როგორც მამაკაცები, ისე ქალები.

ზ. თანდილავა

ოხორონუ ხორონი — ლაზ. ცეკვა.

ოხრაკა, ვახრაკა — ქართული ჯადოსნური ზღაპრის პერსონაჟი. მიღებულია გამოთქმიდან: „ოხ, რა კარგია!“. ო. მაქციობის ოსტატია, შეგირდებს ასწავლის ცხოველად, ფრინველად ან სხვა საგნად გარდაქმნის წესს. ერთმა შეგირდმა გადააქარბა ოსტატს. ორთაბრძოლაში ო. იღუპება. სიუჟეტი გავრცელებულია საერთაშორისო ზღაპრულ ეპოსში (აა 325).

ლიტ.: ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ელ. აღნიშვილისგან, 1890.

ვ. მაცაბერიძე

3

პალიასტომის ტბა — ფოთის ახლოს მდებარე დიდი ტბა. მის წარმოშობაზე არსებობს მრავალ ვარიანტად გავრცელებული ლეგენდა. თითქოს პალიასტომის ტბის ადგილას დასახლებული პუნქტი იყო, უცებ მიწა გაირღვა, წყალმა ამოხეთქა და იქაურობა დაფარა. პალიასტომის ტბის გადმოცემა ეტიოლოგიურ თქმულებათა რიცხვს მიეკუთვნება.

ლიტ.: ვ. ბაგრატიონი, საქართველოს აღწერა, გვ. 99; ა. სანადირაძე, „პალიასტომი“, საქართველოს ზუნება, 1969, № 3; მ. ჩიქოვანი, მართალია თუ არა ლეგენდა? „კომუნისტი“, 1969, 7 მარტი.

ბ. შამანაძე

პარამითი — ზღაპარი. იხმარება ლაზური ენის ვიწურ-არქაბულ და, უფრო მეტად, ათინურ კილოკავებში. ბერძნული ტერმინი ჩანს (პარა-მითი).

ზ. თანლიავა

პარემიოლოგია — ანდაზის (ნ.) უნარის შემსწავლელი მეცნიერება. სახელწოდება მისივე ობიექტის აღმნიშვნელი ბერძნული ტერმინიდან paroimia მომდინარეობს. პ.-ის მიზანია შეისწავლოს ანდაზის რაობა, წარმოშობა-განვითარება, ისტორიული როლი და ამოცანები. პ.-ში მრავალი თეორია შეიქმნა. მითოლოგიურმა სკოლამ ანდაზების წარმოშობა უძველეს მითებსა და რელიგიურ წარმოდგენებს დაუკავშირა. ისინი ანდაზებში მითოლოგიური პერიოდის გადმონაშთებს ეძებდნენ (თ. ბუსლაევი, ა. აფანასიევი). ანდაზას განიხილავდნენ როგორც განყენებულ ხალხურ სიბრძნეს, რომელიც შექმნის მომენტიდანვე უცვლელი სახით მომდინარეობს; მასში არ შეიმჩნევა არც კლასობრივი თვალსაზრისი და არც გარკვეული პიროვნება. აღნიშნული პოზიციებიდან გამომდინარე მითოლოგები თანამედროვე ანდაზების წარმოშობა-განვითარებისა და მათი შემეცნებითი როლის საკითხებზე არასწორ-თვალსაზრისს ავითარებდნენ. სესხების ანუ „მოხეტიალე სიუჟეტების თეორიის“ მიმდევრებმა (თ. ბენფეი, მ. მიხელსონი, ი. ტიმოშენკო) ანდაზათმცოდნეობის აქტუალურ პრობლემად სხვადასხვა ხალხის ანდაზების მსგავსებათა სათავეების ძიება აქციეს. ისინი ფოლკლორში გავრცელებულ მონათესავე ანდაზებს ერთი გარკვეული წყაროდან მომდინარედ თვლიდნენ. მსგავსი სიუჟეტებისა და მოტივების ურთიერთშეჯერებამ პარემიოლოგთა ყურადღება სხვა მხრივაც მიიქცია. აღმოჩნდა, რომ ანალოგიური ანდაზები ნიშანდობლივი იყო არა მარტო იმ ქვეყნებისათვის, რომელთაც ოდესღაც ერთმანეთთან ჰქონდათ გარკვეული ურთიერთობა, არამედ იმ კონტინენტებისთვისაც, რომელნიც არასოდეს ყოფილან ერთმანეთთან დაკავშირებული არც ეკონომიურ-კულტურული და არც გეოგრაფიული თვალსაზრისით. ამ პრობლემის ახსნისას პარემიოლოგთა შორის გაჩნდნენ ანთროპოლოგიური ანუ „თვითჩასახვის თეორიის“ მიმდევრები. ისინი სხვადასხვა ხალხთა ფოლკლორში მონათესავე ანდაზების არსებობას ადამიანური ბუნების, ფსიქიკის, აზროვნების ერთიანობით, საკაცობრიო კულტურის ევოლუციის მსგავსებით განსაზღვრავდნენ. საბჭოთა პარემიო-

ლოგებმა, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე, საკითხების მეცნიერული ანალიზი მოგვეცეს.

ფ. ზანდუკელი

პარით მემღერი — განსაკუთრებული საკრავის აკომპანიმენტზე მოცეკვავე. „პარი“ დღემდე შემორჩენილია სვანურსა და ფშავ-ხევსურულ „შუშპარში“, ცეკვას რომ აღნიშნავს, ხოლო თვით „პარი“ ლინს ჰქვია. ლინი საბას განმარტებით არის „რვალის საჩხარუნებელი დიდი“. ხევსურეთში შუშპარი ფიცარზე ლითონის დარტყმით წარმოქმნილ აკომპანიმენტზე შესრულებულ ცეკვას გულისხმობს. პარით მემღერის — მოცეკვავის არსებობას ადასტურებს ძველი ლიტერატურული ძეგლები.

ლიტ.: ს.-ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, 1928; თ. რაზიკაშვილი, ხალხ. სიტყვ., III, გვ. 122; მ. ჩიქოვანი, ქართ. ხალხ. სიტყვ. ისტორია, 1956, გვ. 49.

დ. გოგოჭური

„პატარძლების რეპერტუარი“ — ფოლკლორული მასალის მიგრაციის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა სოფლებიდან გამოთხოვილი ქალების რეპერტუარს. პ. როლს ფოლკლორის გავრცელებაში აღნიშნავდა ი. გოგებაშვილი: მათ „იციან სხვადასხვა ლექსები და ზღაპრები და მდიდარს სალაროს ხალხური პოეზიისას წარმოადგენენ“.

ლიტ.: გოგებაშვილი ი., თხზულებანი, ტ. II, 1940; ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956.

ვ. მაცაბერიძე

პაშურა — არაკი. იხმარება ძირითადად ლაზური ენის ათინურ კილოკავში, იშვიათად ვიწურ-არქაბულში.

პერევალენკო ვ. ფ. — ნაყოფიერი კორესპონდენტი გაზეთ „Кавказ“-ისა ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული მასალების შეკრების მხრივ. ცნობებს აწვდიდა აგრეთვე მ. ბროსეს. ბარტლომეისთან ერთად იმოგზაურა საქართველოში. ვ. პ. ოცდაათზე მეტი გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული და ფოლკლორული ხასიათის ნარკვევი ეჭუთენის, რომელთაც ძირითადად გაზეთ „Кавказ“-ში აქვეყნებდა. ასეთებია: „Подземный дворец Тамары“ (K, 1846, №50), „Поездка в Джручский монастырь“

(K, 1849, №18, 49), „Баслоба“ (K, 1850, №25), „Гочис Хучафати“ (K, 1850, №50), „Ахалквирис параскеვი“ (K, 1859, №42), „Бедის Гамоცა“ (K, 1959, №19), „Обряды слез“ (ЗКВ, 1849, №31), „Путевые заметки“ (K, 1851, №47, 56, 85), „Гелат“ (K, 1850, №86), „Предание о Томаре“ (K, 1854, №37). პ. დაინტერესებული ყოფილა აგრეთვე ოსების ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალითაც. („Поездка в Кударское ущелье“, K, 1849, №34, 40; „Осетинская песня (свадебная)“, ЗВ, 1853, №4; „Осетинская праздник „Хорхор“, K, 1835, №39 и др.).

ვ. არქევანიძე

პერსონაჟი — მხატვრული ნაწარმოების მოქმედი პირი. გარდა ადამიანისა, ფოლკლორში პერსონაჟი შეიძლება იყოს ბუნების საგნებიც და მოვლენებიც, ფრინველებიცა და ცხოველებიც, — თუ ისინი მოქმედ პირთა სახით გვევლინებიან. პერსონაჟი, ისე როგორც სიუჟეტი (ნ.), დამახასიათებელია მხოლოდ ეპიკური, დრამატული და ლირო-ეპიკური ჟანრებისათვის. ლირიკაში პერსონაჟი იშვიათად ჩანს. აქედან გამომდინარე, ვგაქვს: მითოლოგიური პერსონაჟი (მაგ. ხოგაის მინდია), ჯადოსნური პერსონაჟი (კუდიანი დედაბერი), საყოფაცხოვრებო პერსონაჟი (ქოსატყუილა).

ლიტ.: Тимофеев Л. И., Теория литературы, 1948; Веселовский А. Н., Историческая поэтика, 1910.

ჯ. ბარდაველიძე

პეტრიწი, იოანე — მე-11 საუკ. ბოლოსა და მე-12 საუკ. პირველი მეოთხედის გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი და საზოგადო მოღვაწე, გელათის აკადემიის მესვეური. ყურადღებას იქცევს მისი მითოლოგიური და პარემოლოგიური მსჯელობანი.

ლიტ.: ი. პეტრიწი, შრომები, 1937; კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, 1960; შ. ნუცუბიძე, ქართ. ფილოსოფიის ისტორია, II, 1958.

პეტროვი ი. ე. — ხონის სამასწავლებლო სემინარიის მასწავლებელი, 1886 წლიდან ხშირად ათავსებს ქართული ხალხური სიტყვიერების მასალებს სხვადასხვა რუსულ პერიოდულ გამოცემებში. მაგ., «Мингрельское сказание об одноглазе», «Две сванетские сказки»

(СМОМПК, 1886, № 5, II, 89—96). სწორედ ეს მასალა დაედო საფუძვლად ვ.ს. მილერის შრომას — «Кавказские сказания о циклопах» (Э. О., 1980, кн. IV, № 1) საინტერესოა აგრეთვე მისი «Мингрельские сказки» (СМОМПК, 1894, № 18, I, 59—90).

ვ. არჯევანიძე

პირველი ჩანაწერები — ამ გამოთქმაში ხალხური სიტყვიერების ის ნიმუშები და ქანრები იგულისხმება, რომელთა წერილობით ფორმაში მოქცევა ადრინდელ საუკუნეებს ეკუთვნის. წმინდა, გადამუშავებული სახით ფოლკლორული ნაწარმოებების ჩაწერა-შეგროვება შედარებით გვიანი მოვლენაა. ამას მაშინ ეყრება საფუძველი, როცა საკუთრივ ფოლკლორისტული თვალსაზრისის მომარჯვება იწყება. ორივე შემთხვევაში ქართულ ფოლკლორულ ჩანაწერებს საუკუნეები აქვს გამოვლილი.

პირველი ცნობები და ადაპტირებული ნიმუშები ქართული ხალხური შემოქმედებისა ყველაზე ადრინდელ ლიტერატურულ ძეგლში გვხვდება („შუშანიკის წამება“, V ს.). ცურტაველის მიერ გამოყენებულია მითიური, ლეგენდური, სასწაულებრივი და საწესჩვეულებო ფოლკლორის მაგალითები. იგივე დასტურდება სხვა აგიოგრაფიულ თხზულებებშიც. იქვე ანდაზების ფიქსაციის შემთხვევებიც გვხვდება (მაგალითად, გრ. ხანძთელის ცხოვრება). VII—VIII სს-ში ადგილობრივი ლეგენდებისა და თქმულებების ასპარეზი ფართოვდება. ყალიბდება ეროვნული ხასიათის გადმოცემები ფარნავაზის, მირიან მეფის, ვახტანგ გორგასალის, შუშანიკის, აბოს, მაქსიმე აღმსარებლის, გრ. ხანძთელის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, შოთა რუსთაველის და სხვათა მიმართ. გადამუშავებული, ამოცანისდა მიხედვით მისადაგებული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები უხვად გამოიყენება საერო მწერლობის ძეგლებში (ამირან-დარეჯანიანი, ვეფხისტყაოსანი, ქართლის ცხოვრება). დამახასიათებელია „ქართლის ცხოვრების“ ავტორების დამოკიდებულება ფოლკლორისადმი. აქ იგი ისტორიული წყაროს როლს ასულებს. ამით აიხსნება „ქართლის ცხოვრებაში“ ფარნავაზის სიზმრისა და განძის მოპოვების ლეგენდის, მზის სხივისა და მზის დაბნელების მითის, გლოვის მგოსნობის ნიმუშების, ანდაზებისა და გადმოცემების გამოყენების შემთხვევები. გარკვეული თვალსაზრისით ჭუანჭერი და ლეონტი მროველი ზეპირსიტყვიერების შემკრებ-გამომყენებლებადაც უნდა იქნან აღიარებული. საწესჩვე-

ულეზო-მაგიური პოეზიის ნიმუშები შესულია აგრეთვე კარაბა-
დინსა და კურთხევენში (13—14 სს.).

ცოტა მოგვიანებით, XV საუკ-დან, ხალხური პროზისა და პოე-
ზიის მალალპოეტური ნიმუშები იქნა ჩაწერილი სტილიზაციისა და
„შევსების“ გარეშე (ბერნარდე ნეაპოლელი). ზოგჯერ ხალხური
პოეზიის მარგალიტები შენობების კედლებზეც იჩენს თავს (ვანის
ქვაბების წარწერები). ამგვარად, ადრინდელი ფოლკლორული ცნო-
ბები, მინიშნებანი შეიძლება აღმოვაჩინოთ ისეთ მწერალთა თხზუ-
ლებებში, როგორც იყვნენ იაკობ ცურტაველი, იოანე საბანისძე,
გიორგი მერჩულე, არჩილი, თეიმურაზი, გურამიშვილი... ძველ ლი-
ტერატურაში ხალხური შემოქმედების გამოყენების მაგალითები
გარკვევით ხშირია, აქ მხოლოდ ზოგიერთი დავასახელებთ.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, 1946; მისივე, ქართ. ხალხ.
სიტყვ. ისტორია, 1956; ი. ჭავჭავაძე, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითა-
და საკითხები, 1938; ელ. ვირსალაძე, მე-17 საუკ. ჩაწერილი ორი ქართული ზღა-
პარი, ლიტ. ძიებანი IV, 1948; ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-
საისტორიო სიტყვიერება, 1948; პ. ინგროყვა, გ. მერჩულე, 1948.

მ. ჩიქოვანი

პირისქარი — ხეცს. ხუცობის ნაწილი, შესავალი, კურთხევის
დაწყებამდე სათქმელი, რომელშიც გადმოცემულია მორიგე ღმერ-
თისა და ღვთიშვილთა დიდება. პირისქარი უფრო მეტად ატარებს
ხალხურ-იმპროვიზაციულ ნიშნებს და შეიცავს წარმართულ სარ-
წმუნოების ელემენტებს, ვიდრე ხუცობის მეორე ნაწილი — კურ-
თხევა. პირისქარი კურთხევასთან შედარებით უფრო ნელი ტემპი-
თა და განსხვავებული ინტონაციით სრულდება.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართ. ხალხ. სიტყვ. ისტორია, 1956, გვ. 260.

დ. გოგოჭური

პირქუში — მკედლობის ოსტატი და გამგებელი ღვთისშვი-
ლი. მისი სალოცავები დაწესებულია ფშავსა (ს. ახადი) და ხევსუ-
რეთში (ს. ბაცალიგო). კოპალას დახმარებით გათავისუფლდა დევ-
თა ტყვეობიდან, შემდეგში კი ებრძოდა მათ. მეტოქეობას უწევდა
კოპალასა და იახსარს. მიჩნეულია სასტიკ ხატად (ნ. ყაწიმის მკე-
თე).

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, კახეთის 1961 წლის ფოლკლორული ექსპედიცია, ქარ-
თული ფოლკლორი, ტ. I—II, 1964, გვ. 241; თ. ოჩიუერი, მითოლოგიური გად-

მოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1967, გვ. 147, 186; ქართული ხალხური პოეზია, I, 1972.

დ. გოგოჭური

პირვეცხლი — 1. ზღაპრულ-მითოლოგიური პერსონაჟი, რომელიც პირიდან ცეცხლს აფრქვევს და ამით აზიანებს თავის მსხვერპლს. 2. კოპალას ეპითეტი, ვინაიდან ცეცხლით მუსრავდა დევებს.

ლიტ.: ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტ. 5, გვ. 25; თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1967, გვ. 176.

დ. გოგოჭური

პოლივკა იირჟი (1858—1933) — ჩეხი ფოლკლორისტი, ლინგვისტი, ლიტერატურის ისტორიკოსი, ზღაპართმცოდნე, ფინური სკოლის (ნ.) მიმდევარი. გამოკვლეული აქვს სლავური, ჩეხური და სლოვაკური ზღაპრები. საერთაშორისო მნიშვნელობა ენიჭება მის კომენტარებს, რომელიც გრიმების ზღაპრებს დაურთო. სიუჟეტთა მსგავსებას ხსნიდა კულტურის ერთიანობითა და ხალხთა გეოგრაფიული სიახლოვით.

ლიტ.: Дж. Кокхьяра. История изучения фольклористики в Европе, 1960.

მ. ჩაჩავა

პოლიფემი — ბერძ. მითოლოგიური პერსონაჟი, ცალთვალა მეცხვარე კიკლოპი, დაბრმავებული ოდისეესის მიერ. სიუჟეტები მოიპოვება როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ხალხთა ფოლკლორში. ბერძნულთან ყველაზე დიდ მსგავსებას კავკასიური ვარიანტი ამჟღავნებს. მეგრული ფოლკლორის ცალთვალა გოლიათი პოლიფემის ზუსტი შესატყვისია. ისიც კუნძულზე ცხოვრობს და ფარას მწყემსავს. დატყვევებულ მეთევზეთაგან ექვსს შექამს, ხოლო ორი დანარჩენი გაჯარვარებული შამფურით ამოსწვავენ თვალს. პოლიფემთან მსგავსებას ამჟღავნებენ ბრმა დევი ზღაპარში „ფეიქრის შვილი“ და სავაშლეთის დევი „ამირანიანის“ მიხედვით.

ლიტ.: აღ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, I, 1904; მ. ჩიჭოვანი, ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, 1971; Мингрельское сказание об одноплазном, СМЦМІТК, V, 1889.

მ. ჩაჩავა

პოტანიანი გრიგოლ ნიკოლოზის ძე (1835—1920) — პუბლიცისტი, ფოლკლორისტი და საზოგადო მოღვაწე. იმოგზაურა ციმბირში, მონღოლეთსა და შუა აზიაში. კრებდა ფოლკლორის ნიმუშებს და გამოკვლევებთან ერთად აქვეყნებდა. პ. ერთი პირველთაგანია, რომელმაც შეისწავლა თქმულება ამირანზე და მოუნახა პარალელები კავკასიურ და შუა აზიის ხალხთა ეპოსში.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, 1947; Г. Потанин, Восточные мотивы в средневековом европ. эпосе, М., 1899.

ვ. მაკაბერიძე

პრეტექსტი — წინარე ტექსტი, ამა თუ იმ ფოლკლორული ნაწარმოების თავდაპირველი ტექსტი, რომლის საფუძველზე თანდათან ჩამოყალიბდა ვერსიები, ვარიანტები, სახესხვაობანი და განსხვავებული წაკითხვანი. პ. ავტორმთქმელისეული ტექსტია (თუ საქმე გვაქვს ხალხური ნაწარმოების ინდივიდუალურ საწყისთან) ანდა კოლექტიური თანაავტორობით შექმნილი პირველი ბირთვი (თუ ტრადიციული ჰეგლის ჩასახვა ჯგუფში მოხდა). პრეტექსტი არქეტიპისაგან განსხვავებული მოვლენაა. პირველ შემთხვევაში ფოლკლორული ჟანრის ნიმუშის წარმოქმნასთან გვაქვს საქმე, მეორეთ კი მხედველობაშია უკვე ნაწარმოების განვითარების, ხალხში ბრუნვით მიღებულ განშტოებათა საწყისი მასალა.

მ. ჩიქოვანი

„პროგრამა“ — „პროგრამა ხალხის სიტყვიერების ნაწარმოების შემკრებთათვის“ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დავალებითა და ი. ჭავჭავაძის რედაქტორობით შეადგინეს პ. უმიკაშვილმა და ი. გოგებაშვილმა. დაიბეჭდა 1882 წ. გაზ. „დროებაში“, იმავე წელს ცალკე წიგნად გამოიცა. „პ“. შედგება სამი ნაწილისაგან: ხალხური სიტყვიერების მნიშვნელობა, ჩაწერის წესი და რა უნდა იქნას ჩაწერილი „პ.“ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თავის დროზე, მას დღემდე არ დაუქარგავს ღირებულება. მსგავსი პ. მომდევნო პერიოდში გამოაქვეყნა ა. ხახანაშვილმა (აკაკის კრებულში).

ლიტ.: თ. ოქროშიძე, ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ფოლკლორულ-შემკრებლობითი მუშაობა XIX საუკ. მეორე ნახევარში, ლიტ. ძიებანი, IV, 1947; ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956.

ვ. მაკაბერიძე

პრომეთე — ღვთისურიჩი და ცეცხლის მომპოვებელი ტიტანი ბერძნულ მითოლოგიაში. ღმერთებთან ბრძოლა და ადამიანების კეთილდღეობისათვის ზრუნვა პ. განუყრელი თვისებებია. მითი სრული სახით მოცემულია ჰესიოდეს „თეოგონიასა“ და ესქილეს „მიჯაჭვეულ პრომეთეში“. პ. მითის სხვადასხვა ვარიანტი გვხვდება. გავრცელებული ვერსიით, იგი ტიტან იაპეტისა და ნიმფა კლიმენეს შვილია. სახელი ეტიმოლოგიურად წინასწარმეტყველს, შორსმკვრეტელს ნიშნავს. მან წინდაწინ იცის ზევსის მომავალი ბედი. კურატის გაყოფისას ადამიანების მხარეზეა, ატყუილებს ზევსს სამსხვერპლო ხარის ხორცის განაწილებაში. ზევსი განრისხებულია. პ. სასჯელი მოელის. ტიტანმა ამის შემდეგ გამოაპარა ოლიმპოდან ცეცხლი და დედამიწაზე ჩამოიტანა. ახლა ზევსის რისხვას საზღვარი აღარ აქვს. ზევსის ბრძანებით ჰეფესტოსმა პ. სამუდამოდ მიაჯაჭვა კავკასიონის კლდეზე. ზევსმა სისხლისმსმელი არწივიც მიუჩინა გულღვიძლის ყოველდღიურ საკორტნელად. პ. გაუტეხელია, ყოველგვარ ტანჯვას იტანს, რადგან იცის, რომ ზევსის ტირანიას ბოლო მოეღება. მიჯაჭველი გმირი ჰერაკლემ გაათავისუფლა, მოკლა რა არწივი და დაამსხვრია მძიმე ბორკილები.

პრომეთე მარადიული მხატვრული სახეა. ორიათასხუთასზე მეტი წლის განმავლობაში მას მრავალი მწერალი და ფილოსოფოსი შეხებია ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. მიჯაჭველი გმირები, მტარვალებისაგან კაცობრიობის განთავისუფლებისათვის მებრძოლი გმირები, მსოფლიო ფოლკლორსა და ლიტერატურაში არა ერთგან გვხვდება. მათ შორის კავკასიონის ქედზე მიჯაჭველი ამირანი უნდა დავასახელოთ. ამდრანი და პრომეთე სრულყოფილი ორეულებია. სტრაბონი პ. მითს საბერძნეთში კავკასიიდან, კოლხიდიდან შეტანილად თვლიდა. ამჟამად მითის დამოუკიდებელი წარმოშობა უფროა სავარაუდებელი, თუმცა ბერძნულ თქმულებაში ქართული სიუჟეტის კვალიც შეიმჩნევა.

კ. მარქსი მაღალ შეფასებას აძლევდა პრომეთეს ზოგადკაცობრიულ სახეს. ამისათვის მარქსს ესქილეს სიტყვები აქვს გამოყენებული პრომეთე რომ ეუბნება ოლიმპოდან მოგზავნილ ჰერმესს:

მე არ გავცელიდი ამ ჩემს ტანჯვას შენს მონობაზე,
უმჯობესია მე ტყვე ვიყო ამ შავი კლდისა,
ვიდრე ზევსის ყურმოკრილი მონა, მიკრიკი.

ლიტ. : ელადი მუზა, რ. მიმინოშვილის თარგმანი, 1963; ესქილე, მიჯაჭველი პრომეთე, აღ. ქუთათელის თარგმანი, 1948; ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტ.

მ. ჩიქოვანი

პროტოგრაფი — პირველდაწყებითი ტექსტი. ეს ცნება გამოიყენება როგორც ზეპირი, ისე ფიქსირებული ტექსტის მიმართ. პრ. ზეპირი ან ფიქსირებული ტექსტის ახლო წინამორბედი. ამიტომაც მისგან დიდათ არ განსხვავდება, ზოგჯერ ემთხვევა კიდევ. დამთხვევა, იდენტურობა განსაკუთრებით პოეტურ ჟანრებს ახასიათებს პროზაულსაგან განსხვავებით (ლექსი, ანდაზა, გამოცანა, შელოცვა, წყევლა, საგალობელი). თუ პირველი მთქმელისაგან მოსმენილი ტექსტი მეორე შემსრულებლისათვის ორიგინალის როლში გამოდის, იგივე ტექსტი მესამე და მეოთხე შემსრულებლისათვის უკვე პროტოგრაფი იქნება. ასევე ფიქსირების შემთხვევაში, დედნიდან პირველგადმონაწერი ისლი ანუ პირია, მაგრამ 4—5 ჯერ გადანაღები ასლის მიმართ პირველი ტექსტი პროტოგრაფი არის. მთქმელი რეპერტუარს მხოლოდ ზეპირმონასმენის მიხედვით არ იმუშავებს. ამ შემთხვევაში მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს ნაბეჭდი წიგნი წარმოადგენს. დაბეჭდილი ტექსტი შეიძლება მოგვევლინოს ზეპირი ტექსტის როგორც პროტოგრაფად, ისე არქეტიპად (ნ.).

მ. ჩიქოვანი

ჟ

ჟამის წირვა — 1. ხატში მზის ამოსვლისას ხუცესის მიერ შესრულებული რიტუალი, დღეობის დაწყების გამოცხადება ზარების რეკითა და ხატის მადლის მოთხოვნით; 2. ხუცობის სახე, რომელიც სხვადასხვა რიტუალისა თუ ცერემონიის (მაგ., ჯვარის წერის დროს) სრულდებოდა.

ლიტ.: ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტ. V, 1961, გვ. 79.

დ. გოგოჭური

ჟღენტი სერგი მიხეილის ძე (1912—1963) — გამოჩენილი საბჭოთა ენათმეცნიერი — ფონეტიკოსი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ძვირფასი ფოლკლორული მასალაა შეტანილი მის წიგნებში. „გურული კილო“ (1936) და „ჭანური ტექსტები“ (1938). ჭანურის არქაბულ კილოზე ჩაწერილ ტექსტებს, რომლებიც დასახელებულ წიგნშია გამოქვეყნებული, დაუფასებელი მნიშვნელობა იქვს ირა მარტო ჭანურის ენობრივი თა-

ვისებურებების, არამედ ქანური ფოლკლორის ძირეული საკითხების შესასწავლად. ფასეულია მისი შრომები ხალხური ლექსწყობის თვალსაზრისით.

ლიტ.: ს. ჯღნტი, გურული კილო, 1936; მისივე. ქანური ტექსტები, 1938; ქართული ენის რიტმიულ-მელოდიური სტრუქტურა, თბ., 1963; ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები (რჩეული შრომები), თბ., 1965.

ა. ლლონტი

რ

„რამაიანა“ — ძველი ინდური საგმირო ეპოსი. შეიქმნა ჩვენს წ. აღ-მდე IV ს. სანსკრიტულ ენაზე. ავტორობა ლეგენდარულ პოეტს ვალმიკის მიეწერება. რ. შედგება 24 ათასი ორტაეპედიოთ (შლოკით) დაწერილი შვიდი წიგნისაგან. ინდოეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს. მასში აღწერილია მითიური გმირის რამას და მეუღლის სიტას თავგადასავალი.

ლიტ.: რამას განდევნა (პოემიდან „რამაიანი“), თარგმნილი გერმანულიდან ალ. ს.-შვილის მიერ, ტფ., 1897; რამაიანა, ინდური ეპოსი, ს. იორდანიშვილის წინასიტყვაობით, მთარგმნელი რ. გვეტაძე, თბ., 1951.

გ. შეთეჯაური

რეალისტური ზღაპარი — ნ. ხალხური ნოველა.

რედაქცია — ფოლკლორისტიკაში რედაქციის ცნება განსხვავებულად უნდა წარმოვიდგინოთ, ვიდრე ამას ადგილი აქვს ლიტერატურათმცოდნეობაში. აქ რედაქცია თავს იჩენს ტექსტის გამოსაცემად მომზადებისას. სახალხო მთქმელი ხალხური ნაწარმოების რედაქციას არ იძლევა. ეს ცნება შემკრებლობითს, საგამომცემლო და სარედაქციო მოღვაწეობასთან არის უშუალოდ დაკავშირებული. ზღაპრული კრებულის შემდგენელი სიუჟეტების შერჩევასთან ერთად საუკეთესო ჩანაწერების შერჩევასაც ახდენს. ბევრი სიუჟეტი რამდენიმე ისეთ ჩანაწერს იძლევა, რომელთაც ვარიანტებს ვერ დავარკმევთ, თანაც უცვლელი სახით დასაბეჭდადაც არ ვარგა. მიზეზი ზოგჯერ მთქმელია, ზოგჯერ კიდევ შემკრები.

მთქმელები ჩვეულებივ სხვადასხვა მხატვრული გემოვნებისა და ნიჭისანი არიან. ერთს სიუჟეტური დეტალების გადმოცემა ეხერხება და თავგადასავლის მთლიანობას იცავს იდეალურად, მეორეს შესრულების მანერულობა იტაცებს და ყურადღებას ამანვილებს მსმენელთა ემოციურ მხარეზე, რისთვისაც ხშირ დიალო-

გებსა და მძაფრ სიტუაციებს მიმართავს. მესამეს ფანტასტიკური ამბავი რეალისტურ ნიადაგზე სურს გადაიყვანოს და ადგილობრივ კოლორიტს აძლიერებს... ერთი სიტყვით, ზღაპრულ ტექსტში მთქმელის ხელწერა ჩანს. თუ გამომცემელს მიზნად აქვს გარკვეული ჟანრის სიუჟეტების შერჩევა და არა მთქმელის რეპერტუარის პუბლიკაცია, მაშინ მას ზოგჯერ ორიგინალის ტექსტში ჩარევაც უხდება: ხსნის უადგილო განმეორებებს, ბარბარიზმებსა და ვულგარიზმებს, ანეიტრალებს დიალექტიზმებს, ასწორებს გრამატიკულ შეცდომებს, იცავს პირთა თანმიმდევრობას. ეს უკვე პუნქტუალური სარედაქციო მუშაობაა და ამგვარი თითქოსდა „უმნიშვნელო“ ჩარევა მაინც ორიგინალის ახალ რედაქციას იძლევა. ამგვარად მივიღებთ შერჩეული ტექსტის დასაბეჭდ რედაქციას, რომლის თავისებურებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს გამოცემის ტიპი (აკადემიური. დიალექტოლოგიური, საბავშვო, მასიური საკითხავი თუ ერთი მთქმელის რეპერტუარის გადმომცემი). ამისდა მიხედვით ვმსჯელობთ ლადო აღნიაშვილის, თედო რაზიკაშვილის, პეტრე უმიკაშვილის, აკაკი წერეთლის, ექვთიმე თაყაიშვილის, ვახტანგ კოტეტიშვილის, ფილიპე გოგიჩაიშვილის და ჩვენი დროის კრებულთა შემდგენლების სარედაქციო პრაქტიკაზე, მათ მიერ შემუშავებული ტექსტების რედაქციაზე.

ლიტ.: ქართული ხალხური პოეზია, II, 1973.

მ. ჩიქოვანი

რექტორი დავით ალექსიშვილი — (1745—1824) — თელავის სემინარიის რექტორი. მწიგნობარ-ფილოსოფოსი. ამასთანავე იყო ზუმარა-კომიკი, მონაწილე თელავში და თბილისში გამართული წარმოდგენებისა. შედგენილი აქვს ანთოლოგიები, სადაც სხვა მასალებთან ერთად გვხვდება ზეპირად გავრცელებული ქალაქური და აშუღური ლექსი-სიმღერები, მათ შორის საიათნოვასი.

ლიტ.: რუხაძე ტ., ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, 1949; ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956; ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1966.

ვ. მაცაბერიძე

რეჩიტატივი — მხატვრული ნაწარმოების წამღერებით გადმოცემა. განსაკუთრებით ახასიათებს ხალხურ მთქმელებს. რეჩიტატი-

ვით წარმოთქვამენ არა მარტო ლექსებს, არამედ, ხშირად, პროზაულ ნიმუშებსაც. ამნაირი შესრულება ხელს უწყობს იმპროვიზაციის (ნ.) უნარის მაქსიმალურ გამოვლინებას.

ჟ. ბარდაველიძე

რიგ-რიგა — სეზონური სამუშაოების დროს, უმეტესად ქართლის სოფლებში, შეამხანაგების ერთ-ერთი სახე. გაერთიანდებოდა ხოლმე 10—12 კაცი და მორიგეობით ამუშაებდნენ ერთიმეორის ადგილ-მამულს. რ-რ-აში მღეროდნენ „ოდილაის“.

ლიტ.: ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956; ოქროშიძე თ., ქართული ხალხური შრომის პოეზია, 1963.

ვ. მაყაბერიძე

რიტმი — ფართო მნიშვნელობით თანაზომიერი ერთეულების კანონზომიერი განმეორება. თუ ისტორიულ თანმიმდევრობას დავიცავთ, ხალხური პოეზიიდან, შექმნის თვალსაზრისით, პირველ რიგში შრომის ლექსები და სიმღერები უნდა გამოვყოთ. ეს ლექსები ადამიანის სამეურნეო მოქმედების დროს წარმოიშობა და მასვე ასახავს. შრომის თქმის ყველა პროცესს თავისი რიტმი გააჩნია. რიტმი და რიტმული მოძრაობა იყო ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც, ერთის მხრივ, ხელს უწყობდა შრომის ჩვევად გადაქცევას, ხოლო, მეორე მხრივ, აკავშირებდა მოქმედებას ხმასთან, სიტყვასთან. ლექსი შრომის დროს შეთანხმებულია მოძრაობის რიტმთან.

ლიტ.: 1. მ. ჩიქოვანი, ქართ. ხალხ. სიტყვ. ისტორია, 1956, გვ. 225; 2. К. Бухар, Ритма и ритм, 1922.

ვ. ბარნოვი

რიტმული ამოძახილები — ყოველგვარ სამეურნეო შრომას თავისი რიტმი გააჩნია. განსაკუთრებით კოლექტიური სამუშაოების შესრულების დროს საჭირო იყო მაორგანიზებელი რიტმული ამოძახილები, რათა მას ხელი შეეწყოს შრომის ამა თუ იმ პროცესის დამახასიათებელ თანაბარი მოძრაობისთვის.

ვ. ბარნოვი

რიტუალი — სარწმუნოებრივი შინაარსის წეს-ჩვეულებათა კომპლექსი. რ-ს ხშირად ახლავს ზეპირსიტყვიერი ჟანრების შექმნა-შესრულება (ხუცობა, ქადაგობა, ფერხული და სხვ.).

დ. გოგოჭური

როდოსელი აპოლონიოს — ძვ. წ. აღრიცხვის III საუკ. ბერძენი პოეტი (დაიბ. დაახლ. 273 წ.). რ-მა სახელი გაითქვა პოემით „არგონავტიკა“ — არგონავტების ლაშქრობა კოლხეთში. ჩვენთვის მთავარია ის ამბები, რომლებიც კოლხიდას, კერძოდ, კოლხეთის მეფეს აიეტს, მის ქალიშვილ მედიას, კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული გმირის თავდადასავალსა და იასონისგან ოქროს საწმისის მოტაცებას შეეხება. რ-ის ცნობით, არგონავტებმა ნახეს პონტოს ზღვის უკიდურესი ყურე, ფაზის — რაიონის შესართავი და კავკასიონის მწვერვალები, სადაც მიჯაჭვული პრომეთე თავისი გულ-ღვიძლით კვებავდა საზარელ არწივს.

ლიტ.: ან. როდოსელი, არგონავტიკა, აკ. ურუშაძის თარგმანი, 1970.
მ. ჩიქოვანი

როკაპი — აჭარ. რომპაპი, კუდიან დედაბერთა უფროსი, ბოროტი მითითური არსება. ცხოვრობს ტაბაკელაში, აქვს წინ გამოშვერილი ღჯოლები, ჭაგრიანი კუდი, ცეცხლივით ანთებული თვალები და გრძელი გამხდარი ხელები, ჩონჩხივით სხეული. კუდიანები მას აღაწიანთა გულეზს სწირავენ. რ. ღვთისაგან დასჯალია, მიბმულია რკინის კეტზე, რომელიც მიწაშია ღრმად ჩასობილი. რ. რკინის კეტს ამოძრობამდე რომ მიიყვანს, მოფრინდება ბოლოქანქარა ჩიტი, დააჯდება კეტს, რ. უროს მოუქნევს, ჩიტი გაასწრებს და რკინის პალოს კვლავ ქვესკნელამდე ჩაარტობს. ყოველწლიურად ასე მეორდება და ბოროტი არსება მიჯაჭვული რჩება. ამირანის თქმულების ზოგ ვერსიას მსგავსი დაბოლოება აქვს (შდრ. აბრსკილი). აღ. ხახანაშვილი ფიქრობდა, იმერეთში ამირანი როკაპად ქცეულაო, სიუჟეტური დამთხვევა მეორადია. როკაპს ამირანის სახესთან კავშირი არა აქვს, სხვა წარმოშობისაა.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, 1947, გვ. 120—121; აღ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვ. ისტორია, I, გვ. 31; ჯ. ნოლაიდელი, ნარკვევები, 1970.
მ. ჩიქოვანი

როსტომაშვილი დავით ივანეს ძე (ნინოწმინდელი) — მე-19 ს. მეორე ნახევრის მოღვაწე, ფოლკლორისტი. გამოქვეყნებული აქვს თუშური და ხევსურული ზეპირსიტყვიერი ნიმუშები. შემოგვინახა მთქმელის ვაჟიკა არაბულის რეპერტუარი.

როსტომაშვილი მიხეილ გიორგის ძე — მე-19 ს. მეორე ნახევრის მოღვაწე, ფოლკლორისტ-შემკრები. მას ეკუთვნის „ამირანის“, „როსტომის“, „სოლომონ ბრძენის“, „სოვედაგრის“ და ა. შ., სულ ათზე მეტი ხალხური თხზულების პირველჩანაწერი.

რუსთაველი ფოლკლორში — საუკუნეების განმავლობაში ქართველმა ხალხმა თავისი საყვარელი პოეტის ზეპირსიტყვიერი ბიოგრაფია შექმნა, რომელსაც ლიტერატურაში ყოველთვის როდი ეძებნება დადასტურება. რუსთაველი შემოქმედებითაც და ცხოვრებითაც გადასულია ხალხში, ფოლკლორში. ვეფხისტყაოსნის სტროფები, და ხშირად მთელი ტექსტიც, ბოლო დრომდე სრულდებოდა და სრულდება ზეპირად სხვადასხვა შეკრებილობებში. პოემა ოჯახის ძვირფას საუნჯეს წარმოადგენდა, რომელსაც თვალსაჩინო ადგილი ეჭირა მზითვის წიგნებში. ამას მოწმობს სასიძღვრო ლექსი:

ქალი მყავდა მშვენიერი,
თავმორთული, კოსანი —
გავატხოვე, გავატანე
ჩემი ვეფხისტყაოსანი...

საქართველოში საუკუნეების სიღრმიდან მომდინარე მდიდარი ტრადიცია არსებობს რუსთაველის ლექსების შესრულებისა. სახალხო მგოსნებსა და მომღერლებს დამუშავებული ჰქონდათ წესები, როგორც ტურნირებისა, ისე ვრცელი პოემის შესწავლისა, ხშირად წიგნის გარეშე, სხვათა წაკითხვით ხელნაწერში. შემსრულებელთა პოეტური შეჯიბრი იმართებოდა ყოველდღიურ ყოფაში, განსაკუთრებით ქორწილსა და ნადიმობაში, აგრეთვე ლაშქრობის დროს. ტურნირში იმღერებოდა გარემოებისა და სიტუაციის შესაბამისი სტროფები, ეპიზოდები, თავები, თუ შეკრებილებას მანდილოსნები ესწრებოდნენ, — პირველად ქალთა საქებარი ითქმოდა, მერე ვაჟკაცობას, მეგობრობასა და მიჯნურობას დაახასიათებდნენ შაირსიტყვაობით. მობაეჭრეთ შეჯიბრში რუსთაველის ტექსტიდან გადახვევის ნება არ ჰქონდათ. ვინც საჭირო სტროფს

ვერ მოიგონებდა და აზრობრივად ვერ შეუწყობდა მოპირდაპირეს, — დამარცხებულად ითვლებოდა. საჯაროდ გადმოსცემდნენ აგრეთვე აფორიზმებს, თქმულებებს, ლეგენდებს პოეტის ცხოვრებაზე. ბევრმა ხალხურმა ცნობამ ასახვა ჰპოვა მწერლობაში.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, 1966; ში, სივე, ხალხური ეფემისტყაოსანი, 1927; И. Мегрелидзе, Руставели и фольклор-1960.

მ. ჩიქოვანი

რუსთაველი შოთა — XII ს. გენიალური ქართველი პოეტი, საგმირო-სამიჯნურო პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი. პოემარომანი მრავალმხრივ არის საინტერესო ფოლკლორისტული თვალსაზრისით: 1. ხალხში თითქმის ანალოგიური შინაარსის თქმულება არსებობს ტარიელიანის (ნ) სახელწოდებით, 2. მასში წარმოდგენილია შუასაუკუნეების ზეპირსიტყვიერი შემოქმედების ამსახველი ტერმინოლოგია (ყანრები, ტრადიცია, წესჩვეულებანი, მითოლოგია, მუსიკა). ამათ გარდა ფოლკლორული გზით ჩვენამდე მოღწეულია რუსთაველის ნათქვამი ლექსები და აფორიზმები, მაგ.:

ათასად კაცი დაფასდა,
ათი ათასად ზრდილობა,
თუ კაცი კაცად არ ვარგა
ცუღია გვარიშვილობა.

შოთა რუსთაველი ქართველი ხალხის სულიერი მამაა, მისი მეობის, ზნეობისა და საკაცობრიო ჰუმანიზმის გამომხატველი. განუზომელია პოეტის გავლენა მის შემდეგდროინდელ კულტურაზე, მსოფლგაგებაზე. ამგვარი ბეჭედი აზის ხალხურ პოეზიასაც. არსებობს რ. ფოლკლორული ბიოგრაფია (ნ. რუსთაველი ფოლკლორში).

ლიტ.: ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, 1956; მ. ჩიქოვანი, შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, 1966; „შოთა რუსთაველი, საიუბილეო კრებული“, 1966; И. Мегрелидзе, Руставели и фольклор, 1960.

მ. ჩიქოვანი

„რწყელი და ჭიანჭველა“ — კუმულაციური ზღაპარი, რომლის სიუჟეტი სხვადასხვა ვარიაციით გვხვდება როგორც კავკასიის, ასევე მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორში. პირველი პუბლიკაცია, მცირე ცვლილებებით, საკუთარი ჩანაწერის მიხედვით ეკუთვნის ი.

ზოგებაშვილს. ცვლილება ეხება ერთი პერსონაჟის სახელს (ტილის მაგიერ წარმოდგენილია რწყილი). რ. და ჭ. ცალკე წიგნად, გ. ტატიშვილის ილუსტრაციებით, დაიბეჭდა 1895 წ.

ვ. მაკაპერიძე

რჭულის ანდრეზი — სანიმუშო საკანონმდებლო გადმოცემა რჭულის კაცთათვის ანალოგიური შემთხვევის განსასჯელად. ზეპირსიტყვიერი თემური კოდექსი. თემური წყობილების პირობებში რჭული (სასამართლო) ხელმძღვანელობდა ზეპირად გადმოცემული კანონებით, — რჭულის ანდრეზებით (ნ. ანდრეზი).

ლიტ.: ქ. სიხარულიძე, ნარკვევები, 1958, გვ. 375; რ. ხარაძე, ხევისურული ანდრეზი, როგორც ხალხური სამართლის წყარო. ანალები, ისტორიის ინსტ. შრომები, 1947.

დ. გოგოჭერი

ს

საბავშვო ფოლკლორი — ბავშვებისთვის განკუთვნილი ზეპირსიტყვიერი შემოქმედება. მასში იგულისხმება ის ხალხური ნაწარმოებები, რომლებიც დაკავშირებულია ბავშვების ნაცნობ გარემოსთან და მათი ბუნებისა და ინტერესების გამომხატველია. ს. ფ. სამ ძირითად ჯგუფად იყოფა: ა) ფოლკლორი, რომელიც მოზრდილთა მიერ ბავშვებისთვის არის შექმნილი, ბ) ხალხური შემოქმედება, რომელიც მოზრდილთა რეპერტუარიდან საბავშვო ფოლკლორში დამკვიდრდა, გ) საკუთრივ ბავშვთა ზეპირსიტყვიერი შემოქმედება. პირველ ჯგუფში შედის სააკვნო ლექს-სიმღერები, სალალაო და შესაქცევარი პოეზია, ნაწარმოებები ცხოველებისა და ფრინველების შესახებ, „ცოცხალი ტყუილის“ ნიმუშები და სხვ. ამგვარ ნაწარმოებთა დანიშნულებაა მცირეწლოვანთა გართობა იმ ასაკში, როცა ისინი მთლიანად სხვაზე არიან დამოკიდებულნი. მეორე ჯგუფში ერთიანდება უძველესი რიტუალური პოეზია („მზეო, მზეო ამოდი“, „ივანესას მოვდიოდი“), თემატიკურად მრავალფეროვანი საისტორიო-საყოფაცხოვრებო ლექსები, შაირები, გამოცანები, ანდაზები... გართობასთან ერთად ამ ნაწარმოებების ძირითადი დანიშნულებაა ბავშვებს მოვლენებისა და საგნების, საზოგადოებრივი ურთიერთობის მიმართ გარკვეული თვალსაზრისი გამოუმუშაოს. მესამე ჯგუფში თავს იყრის პატარების მიერ შეთხზული, მათი გემოვნების, ფსიქიკისა და ბუნების გამომხატველი ნაწარმოებები.

ენენია: საგინგლო და გამოსაჯავრებელი ლექსები. ნაწილობრივ, ენის გასატეხი ფორმულები და სხვ. ს. ფოლკლორში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს თამაშობებს.

ზღაპრები ყოველთვის ითვლებოდა და ითვლება საბავშვო შემოქმედების პოპულარულ ჟანრად. ზღაპრები ცხოველთა შესახებ მცირეწლოვანთა საყვარელ რეპერტუარს წარმოადგენს. მათგან იწყებს ბავშვი სამყაროს შეცნობას. ასაკის ზრდასთან ერთად ფართოვდება ბავშვის გონებრივი პორიზონტი. ცხოველთა ეპოსით გატაცება ჯადოსნური ზღაპრების სიყვარულით იცვლება. საბავშვო ასაკის უმაღლეს საფეხურზე მოზარდები უფრო მეტად რეალისტური ზღაპრებით ინტერესდებიან.

ლიტ.: ხალხური სიტყვიერება, შედგენილი ქ. სიხარულიძისა და ფ. ზანდუკელის მიერ, 1972; ფ. ზანდუკელი, ხალხური საბავშვო პოეზიის ძირითადი სახეები, ქართული ფოლკლორი, ტ. III, 1969; მისივე, საბავშვო ფოლკლორი, ხალხური პოეტური შემოქმედება, III, 1973.

ფ. ზანდუკელი

საგინაშვილი გელია — თეიმურაზ II და ერეკლე II სამეფო კარის ხუმარ-მგოსანი, მახვილსიტყვაობის ოსტატი და იმპროვიზატორი. მას ეკუთვნის ლექსი წინწყაროელზე.

ლიტ.: ხელნაწერთა ინსტიტუტი A 1164; რუხაძე ტ., ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია; 1949; ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956.

ვ. მაცაბერიძე

სადიდებო — მყარი ტექსტი, რომელსაც ხუცესი ღვთისშვილთა სადიდებლად წამოთქვამს. (ნ. ჯვარის ხუცობა).

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 260; ს. მაკალათია, ხევსურეთი, 1935, გვ. 248. ქართული ხალხური პოეზია, I, 1972.

დ. გოგოჭური

საეკლესიო ბაზრობა — საკულტო დღესასწაულების დროს საეკლესიო ცენტრების მახლობლად (მცხეთა, ალავერდი, გელათი და სხვ.), სახალხო სანახაობებთან ერთად, სასოფლო-სამეურნეო და ხელოსნური წარმოების პროდუქტთა აღებ-მიმცემლობაც იმართე-

ბოდა. ამ დროს დიდი გასავალი ჰქონდა წარმართულ სიტყვიერებას, მუსიკას და ქორეოგრაფიას. ქრისტიანული რელიგია ებრძოდა მსგავს ტრადიციას. 1103 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ სპეციალური დადგენილება მიიღო ამის თაობაზე. „ნულარამცა კადრებულ არს ქმნიად ამიერითგან: ნუცა მონასტერთა შინა შექმნაჲ სავაჰროთა ერის კრებათაჲ, ნუცამცა რაჲ სხუაჲ სამოქალაქოჲ და სოფლიოჲ წესი ქმნილ არს მონასტერთა შინა“...

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვ. ისტ., 1956, გვ. 81; ქართული სამართლის ძეგლები, III, ი. დოლიძის რედ., 1969.

მ. ჩიქოვანი

საერო ზეპირსიტყვიერება — არასაკულტო შინაარსის ხალხური სიტყვიერება. ასახავს სამოქალაქო ცხოვრებას, სამეურნეო და საოჯახო ყოფას. მასში უმთავრესი ადგილი უჭირავს საგმირო, საისტორიო, სამიჯნურო, შრომის, სიკვდილ-სიცოცხლისა და დაბადება-აღზრდის თემატიკას. ენარობრივად მრავალფეროვანია და ცვალებადი.

მ. ჩიქოვანი

სავენახო — ვენახის სამუშაოებთან დაკავშირებული ლექს-სიმღერები. ს. გავრცელებული იყო მთელს საქართველოში და სრულდებოდა ვენახის ბარვის, თონის, გასწვლის, ყურძნის კრეფისა და სხვა სამუშაოების დროს. თითოეულ მათგანს შესაბამისი ტექსტი გააჩნდა და სრულდებოდა როგორც გუნდურად, ასევე ინდივიდუალურად.

ლიტ.: ჭამბაკურ-ორბელიანი ა., ივერიანელების გალობა, სიმღერა და დინი, ცისკარი, 1861, № 1; ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956; ოქროშიძე თ., ქართული ხალხური შრომის პოეზია, 1963.

ვ. მაყაბერიძე

საიღუმლო ენა — მინიშნებული, პაროლური სიტყვებით საუბარი, რასაც რიტუალის დროს ცრუმორწმუნეობის მსახურნი (მლოცავი, ხუცესი, ქადაგი და სხვა) მიმართავდნენ. მაგ., „თეთრეულ თეთრეულში გაგირივ“ — ფული შემოგწირა, „ქოჩრიანთ ეტლ მაერივ“ — რუსებმა გაიმარჯვეს და სხვა. ჭვარის ენა, ხატის ენაა.

ლიტ.: თ. ოჩიაური, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, 1954, გვ. 235; მ. ჩიქოვანი, ოსური „ხათიაგაუ“ და ქართული „ხატის ენა“, მაცნე, III, 1972.

დ. გოგოჭური

საკარგუმო — კარგი ყმის გმირობა-ვაჟკაცობის აღსანიშნავი სახალხო ჯილდო. 1. სასმისი, ვერცხლის განსაკუთრებული თასი, რომელიც ხატში ინახებოდა. დღესასწაულების დროს ხევისბერი საჯაროდ აღნიშნავდა კაი ყმის დამსახურებას და სავსე თასს, სახალხო პატივის ნიშნად, გამოსაცლელად გადასცემდა კაი ყმას. თუ კაი ყმა ცოცხალი აღარ იყო, საკარგუმოთი ხალხი მის მოსაგონარს სვამდა 2. კაი ყმის სადიდებელი სახობტო სიმღერა.

დ. გოგოჭური

სალაღობო — შაირის (ნ.) ტიპის მსუბუქი იუმორისტული ლექსი. ს. ლექსების დიდი ნაწილი სუფრასთან სრულდება.

ფ. ზანდუკელი

სალექსო — ლექსის შემქმნელისათვის განკუთვნილი საჩუქარი. ჯილდო. სამახსოვრო ნივთი, ლექსის ადრესატის ან თუ ადრესატი დაღუპულია, მისი მახლობლის მიერ გაცემული ლექსის ავტორზე. ზოგჯერ ნივთს თვით ავტორები ასახელებდნენ. ს. დამახასიათებელია საგმირო-სამგლოვიარო პოეზიისათვის.

ლიტ.: ელ. ვირსალაძე, ქართ. მთიელთა ზეპირისტყვიერება, 1958, გვ. 33;

დ. გოგოჭური

სამეულობა — ზეპირისტყვიერებაში მასიურად გავრცელებული რიცხვის კატეგორია. გვხვდება სამი გმირი (ძმა, და, ძმობილი), სამი დავალება, სამი ქომაგი, სამი სკნელი, სამთავიანი ურჩხული და სხვ. სამეულობა თავს იჩენს დროისა (სამი წელი, თვე, დღე, საათი) და ზნეობის სფეროებშიც. წარმოშობით ძველად სამს მაგიურ-საკრალური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. იგი თანდათან იქცა ეპიკურ რიცხვად.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, საგმირო-რომანტიკული მოტივები ქართულ ეპოსში. ლტ. ძიებანი, II, 1943; მისივე, ქართული ეპოსი, II, 1965; ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, 1966.

მ. ჩიქოვანი

სამკალი — შრომის პოეზიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახე, რომელშიც გამოიყოფა მოსამზადებელი პერიოდის, სამკალში გასვლის, ნამკლის გალესვის, მკისა და პურის ლეწვის, ანუ კალოურის (ნ.) ლექსები. მრავალფეროვანია მისი თემატიკა. სქარბობს საყოფაცხოვრებო, საგმირო და სატრფიალო მოტივები. ლექს-სიმღერები კოლექტიური შესრულებისაა. ზოგ მათგანს ერთვის შეძახილები: „ჰობ! ჰობ!“ ან „ჰეკა, ჰოკა, ჰეკა!“. შესაბამისად. „ჰობუნას“ და „ჰეკა-ოკას“ უწოდებენ.

ლიტ.: ოქროშიძე თ., ქართული ხალხური შრომის პოეზია, 1963.

მ. მაცაბერიძე

სამუჟათ ხვარამზე — ხვარამზე სამუჟაშვილი, პოპულარული, ნიქიერი ფშაველი მელექსე ქალი, ვაჟა-ფშაველას დედის თანატოლი და მეგობარი. ტრადიკული ბედის მქონე (მის სატრფოს, ვაჟიკა ნაკვეთაურს სხვა ქალი შერთეს, ხოლო ხვარამზე უვარგის ქმარზე გაათხოვეს). იგი მრავალი ბრწყინვალე ნაწარმოების ავტორია, მათ შორის სატრფიალო ელეგიებისა (ვაჟიკა და ხვარამზე).

ლიტ.: თ. რაზიკაშვილის ჩანაწერები, ხალხური სიტყვიერება. ტ. III, 1953, გვ. 150; მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 323.

დ. გოგოჭური

სამძივარი||სამძივარი — ხახმატის ჯვრის დობილი, ელჩი, ღვთისშვილთა და მახვეწართა შუამდგეგი, კეთილი მითოლოგიური არსება. გადმოცემით, თითქოს გიორგიმ დობილად მოიყვანა ქაჯავეთიდან აშექალ და მზექალთან ერთად. შემონახულია ნაქადაგარი ლექსები, სადაც ს. სამიჯნურო ურთიერთობასაც ამჟღავნებს.

ამაში მქონდა შაძლებაიო,
კმელეთზე ვიარებოდიო,
ქიმა-ლახტარას (მც.) ვზიდევდიო...
ამაში მქონდა შაძლებაიო,
აბულეთაურთ საღირასაო
ქალი საცოლედ მოვსწონდიო.
ჩავეხვიედი, ჩაუწვიედიო,
ძუძუ-მკერდს გამაეხვიედიო.
ქაჯავეთ ვიარებოდიო,
ნახირსა იქით ვადენდიო.

სამძივარი ლამაზი და მიმზიდველია, მაქციობით ხან ჯუათ ელენეს სახეს იღებს, ხან ჩუათ კმარას ემსგავსება. კეკლუცად ირთვება და ხელსაქმესაც მისდევს. გამყლავნებისას საცხოვრებელ ადგილს სწრაფად იცვლის და ნაკოპარ კვალს სტოვებს. წარმოშობით სამძივარი მატრიარქატის დროინდელ იბერთა ქალღმერთია, დასავლეთ-ქართულ, კოლხურ დალის შესაბამისად.

ლიტ.: თ. ოჩიაური, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, 1954; მ. ჩიქოვანი, მითოლოგია და ხალხური პოეზია, წიგნში: ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, 1971; ქართული ხალხური პოეზია, I, მითოლოგიური ლექსები, 1972.

მ. ჩიქოვანი

„სანადიროდ წამოვიდნენ“ — ამირანის ფერხულის სასიმღერო ლექსი. ტექსტი ხალხური თქმულებიდან მომდინარეობს. გავრცელებულია დამოუკიდებლადაც. ფორმით პოეტურ პერიოდს წარმოადგენს და მაღალი შაირით არის გაწყობილი. შექმნილია მონადირეთა წრეში, მიჯაჭვეული ამირანის ციკლთან ერთად. ასახულია თრიალეთურ ვერცხლის თასზე.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვეული ამირანი, 1947.

მ. ჩიქოვანი

საოჯახო ლექსები — ხალხური პოეზიის ნიმუშების ერთი ჯგუფი, რომლის თემაა ოჯახი, მისი წევრები, ამ წევრთა შორის ურთიერთობა. იგი აერთიანებს ტრადიციული და თანამედროვე ფოლკლორული შემოქმედების ნაწარმოებებს. ს. ლ. აქვს როგორც ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ისე ეთიკურ-დიდაქტიკური ფუნქცია. ამ ტიპის ლექსების ასახვის საგანია დედა, მამა, და, ძმა, რძალი, დედამთილი...

მაღალმხატვრულობითა და ფილოსოფიური გააზრებით ხასიათდება ლექსები, რომელთაც დედის ამავის მოტივი უძვეეს საფუძვლად („ზღვაზე ხიდსა ვერვინ გასდებს“, „დედის ტკბილი ხმის ჳირიმე“ და სხვ.). ასეთი შინაარსის ლექსში ხალხი დედის ღვაწლს უმაღლეს შეფასებას აძლევს:

ვაიმე, დედის ამავსა
რომ ვერ გაღვიხდი, რა ვუყო?!
ზურგს ავიკიდო საბლითა
რომ ვერა ვზიდო, რა ვუყო?!

განსაკუთრებული სიუხვითა და პოპულარობით ხასიათდება ქმრისა და ცოლის, რძლისა და დედამთილის თემების ამსახველი ტექსტები. მათში ფართოდაა შეჭრილი სატირულ-იუმორისტული მოტივები.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1956, გვ. 321; ა. ხინთიბიძე, ქალი ქართულ ფოლკლორში, თბ., 1956; ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, II, თბ., 1968, გვ. 281—287; გ. შეთეკაური, დედის სახე ქართულ ხალხურ პოეზიაში, ჟურნ. ცისკარი, № 3, 1969, გვ. 136—140.

გ. შეთეკაური

„სარკე თქმულთა“ („დღისა და ღამის გაბასება“) — თეიმურაზ II (1700—1762) ნაწარმოები. აღწერილია კახეთის ზნე-ჩვეულებანი. დიდი ადგილი ეთმობა საქორწილო ჩვეულებებს: ნიშნის მირთმევას, სიძის მოპატივებას და ა. შ. ძეობამდე. ზნეჩვეულებათა ასეთი დაწვრილებითი მოხსენიება ერთადერთია ქართულ ლიტერატურაში. ცნობები მეტნაკლებად თანხვედნილია ხალხში გავრცელებული წესჩვეულებისა.

ლიტ.: თეიმურაზ მეორე, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1939; კეკელიძე, კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1952; ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1955; სიხარულიძე კ., საწესჩვეულებო პოეზია, „ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება“, I, 1961.

მ. მაკაბერიძე

სასიყვარულო ლექსები — ასე აღნიშნავენ აჭარაში სატრფიალო ლექსების ჟანრს.

ნ. კეტიშვილი

„სასწაულმოქმედი პერანგი“ — ქართული ჯადოსნური ზღაპარი, აა 925 და 40 ატიპისა. ჩაწერილია ქიზიყში ვაჭირელი ქალის მიერ (ძვ. საქართველო, IV, 1915). ზოგი მოტივით ტრისტან და იზოლდას თქმულებას ემსგავსება.

ლიტ.: ხალხური სიბრძნე, I, 1963; მ. ჩიქოვანი, ხალხური ველისტყუალანი, 1937; И. Франк-Каменецкий, Грузинская параллель к древне-египетской повести о двух братьях (ЖС, IV, გვ. 39—71).

მ. ჩიქოვანი

სატანა — საზოგადოლო მოწინააღმდეგე, მტერი, ეშმაკი, დაცემული ანგელოზი. საღმრთო წერილის მიხედვით, ღმერთის მიერ ანგელოზად შექმნილი სატანა აღუდგა მას და გაძევებული იქნა ციდან. იხმარება ბოროტ სულთა მეთაურის, ღვთის მტრისა და ადამიანის სულის დამლუპველის მნიშვნელობით. აღნიშნავს ასევე ადამიანურ ცოდვას.

მ. ჩაჩავა

საფეიქრო — შრომის პოეზიის ერთ-ერთი სახე, უმთავრესად შექმნილია და სრულდება ქალთა წრეში. ს. ასახავს ჩეჩვის, ქსოვისა და ფეიქართა შრომის სხვა პროცესებს. შესრულების მიხედვით შეიძლება იყოს ინდივიდუალური და კოლექტიური, შინაარსით კი საყოფაცხოვრებო და სატრფიალო.

ლიტ.: ოქროშიძე თ., ქართული ხალხური შრომის პოეზია, 1963.

მ. მაცაბერიძე

საფერხისო ლექსები — ხატში ფერხულის დროს მოცეკვავეთა მიერ შესასრულებელი სამონადირო ან მითოლოგიური შინაარსის ლექსები. მათი გენეზისი უძველეს წარმართულ საგალობლებს უკავშირდება.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართ. ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 261.

დ. გოგოჭური

საქონლის ბედისკვერები — შინაურ პირუტყვეთა მფარველის -- წმ. თევდორეს დღეობაზე გამომცხვარი კვერები. „თევდორობა“ დიდმარხვის პირველი კვირის შაბათს მოდიოდა. ამ დღეს საქართველოს მთიან რაიონებში აცხობდნენ პურის კვერებს და წმ. თევდორეს საქონლის გამრავლებას ევედრებოდნენ, წარმოთქვამდნენ ლოცვას.

ლიტ.: ს. მაკალათია, მთის რაჭა, 1930, გვ. 63; მისივე, მთიულეთი, 1930, გვ. 139; მისივე, ხევი, 1934, გვ. 13.

ნ. შამანაძე

„საღმრთო ქორწინება“ — ძველ ქვეყნებში ფართოდ გავრცელებული ჩვეულება, რომლის მიზანს წარმოადგენდა მოსავლიანობის სიუხვე და ადამიანთა კეთილდღეობა. ადამიანებს სწამდათ, რომ

ღმერთები მათგან მოითხოვდნენ სხვადასხვა სახის მსხვერპლს, მათ შორის ულამაზეს ასულებსაც. ღმერთთა გულის მოსაგებად ლამაზ ქალწულებს ათავსებდნენ ამ მიზნისათვის სპეციალურად აგებულ შენობებში. სწამდათ, რომ ღმერთი ღამით მოდიოდა და განისვენებდა. ეს რჩეული ასული ღვთის მეუღლედ ითვლებოდა და ადამიანებთან ურთიერთობა არ შეეძლო. ეგვიპტელები ყოველწლიურად ნილოსში სასძლოდ მორთული ქალწულს გადაისვრიდნენ ხოლმე, რათა უზრუნველყნათ მდინარის კალაპოტიდან გადმოსვლა, ე. ი. წყალდიდობა. არსებობს ცნობა, რომ ერთხელ აღმოსავლეთ ინდოეთის კუნძულს — კაეილი-ა-ბარუსს ნიანგების საფრთხე დაემუქრა. კუნძულის მცხოვრებლებმა ეს იმით ახსნეს, რომ ნიანგების მეფეს ერთი ახალგაზრდა ქალწული მოეწონა. ამიტომ ქალიშვილის მამა აიძულეს თავისი შვილი სასძლოდ გამოეწყო და წყალში გადაეგდო, ნიანგთა მეფისათვის. ასეთ „საღმრთო ქორწინებას“, ფაქტიურად ადამიანთა მსხვერპლად შეწირვას, სხვა ხალხებიც ეწეოდნენ.

ლიტ.: Д. Фрезер, Золотая ветвь. I. 1931; Штернберг, Л. Первобытная религия, 1935.

გ. ბარნოვი

საყოფაცხოვრებო ზღაპარი — ნ. ხალხური ნოველა.

საყოფაცხოვრებო ლექსი — ხალხური პოეტური ნაწარმოები, რომლის ასახვის ობიექტი ადამიანთა ყოფაცხოვრებაა. მის თემატიკას განეკუთვნება ოჯახი, ოჯახის წევრთა ურთიერთობა, სტუმარმასპინძლობა. საყოფაცხოვრებო პოეზია გარკვეული სოციალური ფუნქციის მქონეა. იგი რეალისტურად და მაღალმხატვრულად, საზოგადოებრივი განვითარების ამა თუ იმ ეტაპის შესაბამისად გვიჩვენებს ქართველი ხალხის ყოფაცხოვრების დამახასიათებელ მხარეებს. აქ განსაკუთრებით სტუმარმასპინძლობის თემაზე შექმნილი ლექსები გამოიყოფა.

ტრადიციული ხალხური ლექსის მიხედვით, სტუმარი მზის სინათლესთანაა გატოლებული: „შორით მოდიან სტუმრები, სინათლეს ჰგვანან მზისასაო“. შექმებულია სტუმართმოყვარე მასპინძლებიც გულად კაცთან შედარებით პურადს უპირატესობა ენიჭება-

არშის თავს ვეფხვი დაკოდე, სამჭერ საომრად მეტია.
პურადი კაცი მამაცზე სამის გაფრენათ მეტია.

ამავე ჟანრში ყურადღებას იქცევს სუფრული სიმღერები.

ლიტ.: ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, ტფილისი, 1931, გვ. 015; 198—201; შ. ასლანიშვილი, ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ, თბ., 1954, გვ. 241—243; მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1956, გვ. 321; ხალხური სიბრძნე, ტ. IV, თბ., 1965, გვ. 384 — 441; ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, II, თბ., 1968, გვ. 265—287; გ. შეთეკაური სტუმარ-მასპინძლობის ასახვა ქართულ ხალხურ პოეზიაში, ე., „მნათობი“, 1968, № 7, გვ. 146—152.

გ. შეთეკაური

საშინაო ლექსები — აკ. ქალების ნადის დროს (ქსოვა, რთვა) სათქმელი სატრფიალო შაირები.

ნ. ცქიტიშვილი

საჩონგურო — ჩონგურზე დასამღერებელი ლექსები, რომელთა თემატიკა ფართო იყო: ბატონების „საბოლიშო“, სატრფიალო, საგმირო და სხვ. სრულდებოდა თვითონ ჩონგურისადმი მიძღვნილი ნიმუშებიც. დავით მაჩაბელი ცნობილ წერილში „ქართულთა ზნეობანი“ სხვა სიმღერებს შორის „ჩონგუროსაც“ იხსენიებს.

ლიტ.: დ. მაჩაბელი, ქართულთა ზნეობანი, „ციცქარი“, 1864, გვ. 52; ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1934, გვ. 282.

ნ. შამანაძე

საჩუქარი შემსრულებელს — სახალხო პოეტებსა და კარის მგოსნებს, შესაბამისად მათი დახელოვნებისა და თქმის ოსტატობისა, ეძლეოდათ საჩუქარი, გასამრჯელო, სალექსო (ნახ.) ფულით ან ნატურით. ცნობები ამის შესახებ, ავტორმთქმელის ან მთქმელის ვინაობასთან ერთად, შემონახულია ტექსტებში:

ამ შაირის გამომთქმელსა, ტანზე ჩოხა ჩამაცევსა,
ის ხუთი თუმანი ფული შიგ ჯიბეში ჩამიწყევსა.

ლიტ.: ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956.

მ. მაყაბერიძე

საცნაურა — ხევს. ზეპირსიტყვიერების ჟანრი, მცირე მოცულობის პოეტური ტექსტი, რომლის შინაარსი ამოხსნას მოითხოვს, გამოცანა (ნ.).

ლიტ.: ქს. სიხარულიძე, ხევსურეთში სამეცნ. მივლ. მოკლე ანგარიში, „ლიტ. ძ.“, III, გვ. 245; ქართ. ხალხ. პოეტური შემოქმედება, ტ. I, 1960, გვ. 328.

დ. გოგოჭური

საწყალზედო — წყლის მოსატანი ლექს-სიმღერები. უმეტესად გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოში. წყლის მოტანა ქალთა მძიმე საქმიანობად ითვლებოდა. ამის გამო ს. ქალები ასრულებდნენ. გამოიყოფა ორი ჯგუფი: სატრფიალო და საყოფაცხოვრებო. შინაარსით ორივე შერწყმულია წყლის ზიდვასთან. ასეთებია: „თებრონე მიდის წყალზედა“, „აი, თინანო, თინანო“, „იაო, ჩემო იაო“ და სხვანი.

ლიტ.: ორბელიანი, ა., ივერიანელების გალობა, სიმღერა და ღიღინი. კისკარი, 1861, № 1; ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური სატყუვიერების ისტორია, 1956; ოქროშიძე თ. ქართული ხალხური შრომის პოეზია, 1953.

მ. მაკაბერიძე

სახალხო ლექსად გადაქცევა — ფოლკლორული ნაწარმოები კოლექტიური შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენს, რაც სრულიადაც არ გამორიცხავს მის ინდივიდუალურ საწყისს. ტრადიციულ ფოლკლორულ მასალასთან ერთად, მთქმელებს ხშირად საკუთარი ლექსებიც აქვთ რეპერტუარში. ეს ლექსები ფოლკლორულად მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მივიჩნიოთ, თუ კი ხალხში ჰპოვებენ გავრცელებას. ამ მომენტისათვის განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევიათ ხალხური სიტყვიერების შემკრებთათვის 1882 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გამოცემულ პროგრამაში.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართ. ხალხ. სიტყ. ისტორია, 1956, გვ. 144.

გ. ბარნოვი

„სახელის ქმნა“ — ხევს. გმირობითა და ვაჟკაცობით თავის გამოჩენა, ძლიერი სათემო მტრის დამარცხება. ს. ქმნა უფრო მეტად უკავშირდებოდა მოსისხლე მტრებთან ანგარიშის გასწორებას და სამაგიეროს გადახდას სისხლის აღების სახით, რაც ხშირად მტრის ქვეყანაში თარეშს გულისხმობდა.

ს. ქმნა ერთ-ერთი წამყვანი თემათაგანია ხევისურულ საგმბრო
პოეზიაში.

„ვინაც ვაჟ იქამს სახელსა, გასპარამ იცის ქებისა“.

ლიტ.: ა. შანიძე, ხალხ. პოეზია, 1931, გვ. 97.

დ. გოგოჭური

სახესხვაობა — ტექსტოლოგიური ტერმინი, შინაარსით ვარი-
ანტზე უფრო მცირე ერთეულია და ფოლკლორული ტექსტების
შედარების ნიადაგზე მელაუნდება. ს. არაარსებითი ხასიათის განს-
ხვავებებს შეიცავს, რაც არ ცვლის ნაწარმოების საერთო ხა-
სიათს, მხატვრული მთლიანობის შინაარსობრივ მხარეს, კოლო-
რიტს.

მ. ჩიქოვანი

„სახნისმა თქო“ — გაბაასების ჟანრის, მრავალვარიანტად
ცნობილი, ლექსი, რომელიც შედიოდა გუთნურის რეპერტუარში.
პირველად გამოქვეყნდა 1888 წ. მთქ. თ. გულბათაშვილი. აღმოჩნ-
და ლექსის ადრინდელი ჩანაწერებიც. ერთი მათგანი, რომლის
მთქმელია ა. გოძიაშვილი, ხოლო ჩამწერი პ. უმიკაშვილი („აჩეჩამ
უთხრა გუთანსა“), დაიბეჭდა 1937 წ. ლექს-სიმღერაში კამათობენ
სახნისი (აჩეჩა). საკვეთელი, ჯამბარა და სხვ. სამეურნეო იარაღე-
ბისა და მათი ნაწილების გაბაასება ახალი როდია. იგი ცნობილი
იყო სუმერების პოეზიაშიც „თოხისა და გუთნის კამათის“ სახელ-
წოდებით.

ლიტ.: გაზ. „ივერია“. 1888, № 169; პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება.
I, 1937; იგივე, II, 1964; მიქოვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია.
1950, ტ. 1-ლი; თ. ქართული ხალხური შრომის პოეზია; Крамер С. Н., Исто-
рия начинается в Пумере. 1965.

მ. მაკაბერიძე

საჯავახურა — ნაღურის (ნ.) სახესხვაობა, გავრცელებული გუ-
რიასა და აჭარაში, გააჩნია საკუთარი ლექსი — „საჩივარი“ (ნ.). სიმ-
ღერა შექმნილი უნდა იყოს საჯავახოში.

ლიტ.: აქარის ხალხური პოეზია, I, 1969.

გ. კელიძე

სერსითე შგარინი — ხმით ტირილი, ხმით დატირება. დამახასიათებელი და ძირითადია სამგლოვიარო ხმა, ახლავს სიტყვიერი მასალაც. მოტირალის ყურადღება მელოდიაზეა გადატანილი და ეს უკანასკნელი ქმნის სამგლოვიარო განწყობილებას.

ზ. თანდილაძე

სიზმარა — ამავე სახელწოდების ზღაპრის პერსონაჟი. სიუჟეტი გავრცელებულია საერთაშორისო ეპოსში. ა — ა 725. ცალკეული მოტივები და ეპიზოდები პარალელს პოულობს ბიბლიურ იოსებ მშვენიერის თავგადასავალსა და სოლომონის ციკლში. მჭიდრო კავშირშია XVII საუკ. ჩაწერილ ზღაპართან „ბრძენი ვაჟი“.

ლიტ.: ვირსალაძე ე., მასალები ქართული ფოლკლორის ისტორიისათვის. ლიტ. ძიებანი, IV, 1948; ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956.

მ. მაცაბერიძე

სიმბოლიკა — იდეათა, ცნებათა და გრძნობათა გამოხატვა სიმბოლოებით, პირობითი ნიშნებით. ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებდა რელიგიური სიმბოლიკა (ფრინველთა და ცხოველთა თავები ღვთაებათა სიმბოლოებს წარმოადგენდნენ). ხალხურ სიტყვიერებასა და ხელოვნებაში სიმბოლოები ბუნების მოვლენათა გულუბრყვილო ახსნა-განმარტებასთან იყო დაკავშირებული (მაგალითად, ცისკარი, დილა და გაზაფხული წარმოადგენდნენ გამოღვიძების, ვანახლების, სიცოცხლის ახლად დაწყების სიმბოლოებს). სიმბოლიკა ქართულ ფოლკლორში ხშირად გვხვდება. მაგალითად, ცნობილი ლექსი „წუხელ სიზმარი ვნახე, ნეტავ დედავ, რაო?“ სიკვდილის სიმბოლური წარმოდგენის ნიმუშია. ალვის ხე ქალის ტანია, ტოტები — მკლავები, ფოთლები — თმები, კიდობანი — კუბო, ყორანი — დეკანოზი და ა.შ.

ნ. შამანაძე

სიმბოლო—პირობითი ნიშანი (საგანი ან მოქმედება). რომელიც რაიმე ცნებას, იდეას გამოხატავს. სიმბოლო ხშირად ღრმა განზოგადების მომცველი მხატვრული წარმოსახვის შედეგია.

ნ. შამანაძე

სიმღერე — ხეეს. კონკრეტულ ამბავთან დაკავშირებით შექმნილი საგმირო-საისტორიო, ხოტბითა შინაარსის მოკლე ხალხური

ლექსი. სიმღერე ხევსურეთში დიდად პოპულარული ქანრია და მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ტრადიციულ პოეზიაში. მისი ფუნქცია გმირობისა და კაიყმობის პროპაგანდაა. ს. მღერით სრულდებოდა მსმენელთა წინაშე ხატობა-დღეობებსა და სხვა საწესჩვეულებო თავშეყრის დროს. მას საკუთარი მელოდია ჰქონდა და სრულდებოდა ფანდურზე, ან მის გარეშეც.

ლიტ.: ა. შანიძე, ხალხ. პოეზია, 1931, გვ. 022; ქს. სიხარულიძე, ხევსურეთში სამეც. მოვლ. მოკლე ანგარიში, „ლიტ ძ.“, ტ. 111, 1946. გვ. 350.

დ. გოგოჭური

სინდაურისძე — სამონადირო სიტყვიერების პერსონაჟი? მასზე დარჩენილია ლეგენდები, გადმოცემები და სიმღერები. ს. განთქმული მონადირე ყოფილა, კიუხში სანადიროდ აყოლია ჭიხვებს. 16 ჭიხვი მოუკლავს, ნადირთა მფარველს შეუურისხავს, ჩამოსასვლელი გზა მოუსპია და კლდეებში დაუღუპავს. ამ კლდეს ამჟამად „სინდაურისძის მაღალს“ უწოდებენ ხევსურეთში.

ლიტ.: ა. შანიძე, ხალხ. პოეზია, 1931, გვ. 625.

დ. გოგოჭური

სიტყვა — მნიშვნელობის მქონე ბგერათკომპლექსი, რომელიც ენის ძირითადი ერთეულია, სხვანაირად — ბგერათშენაერთი, რასაც საგნობრივი მნიშვნელობა აქვს. ასეთია სიტყვის ყველაზე ზოგადი განსაზღვრა. ს. ენის საშენი მასალა, მეტყველების აგურია. უსიტყვოდ არ არის ენა, უენოდ — ადამიანი. სიტყვათა ერთობლიობა გრამატიკულ წყობასთან ერთად ენის საფუძველს, მისი სპეციფიკის არსს შეადგენს. ს.-ში გამოიყოფა ორი მომენტი: გარეგანი — ბგერები და შინაგანი — ამ ბგერათშეერთებით გადმოცემული მნიშვნელობა. სხვანაირად, სიტყვას ორი მხარე აქვს: ბგერითი და მითითებითი. პირველს გამოთქმას ვუწოდებთ, მეორეს — შინაარსს. ს., როგორც ენის ძირითადი ერთეული, გამოთქმისა და შინაარსის მთლიანობას შეადგენს. გამოთქმა თავისთავად ყოველთვის ბგერით მოდელს გულისხმობს. ს. აზრის სამოსელია, სინამდვილის ობიექტური, ენობრივი ასახვაა. მნიშვნელობა სიტყვისა გულისხმობს იმ შინაარსს, რაც ერთნაირად ესმის მოლაპარაკესა და მსმენელს. სიტყვის მნიშვნელობას თან ახლავს სტილისტიკური, აფექტური, სატირული, ფიგურული, ფამილარული, გრო-

ტესკული, ირონიული ტონი და ელფერი. თითოეული მათგანის ცალკე გამოყოფა საშუალებას მოგვცემს ამოვიცნოთ სიტყვის აზრი, სწორად გავიგოთ მისი ნამდვილი მნიშვნელობა. ენა გამომსახველობის საშუალებათა მთელი სისტემაა. სიტყვების ენა იყო და არის ერთადერთი ენა, საშუალება კომუნიკაციისა, განვითარებისა და ბრძოლისა, რომელმაც ადამიანი ცივილიზაციამდის მიიყვანა და დიდი აღმავლობის გზაზე დააყენა. ენის სიტყვობრივი მარაგი შეადგენს მის ლექსიკას, რომელიც ყველაზე მოქნილი და ცვალებადია, ფესდაფეს მისდევს ცხოვრებას, ასახავს საზოგადოების ეკონომიური და კულტურული განვითარების პროცესს. ლექსიკა ენისა განუწყვეტლივ ივსება ახალი მასალით, ხმარებიდან გამოდის მოძველებული ნაწილი, მის ადგილს იჭერს ახალი.

საზოგადოების ეკონომიური და კულტურული პროგრესი ქმნის ენის სიტყვობრივი მარაგის გამდიდრების მყარ ნიადაგს. ყოველ ენას, მათ შორის ქართულსაც, მოეპოვება ლექსიკის გამდიდრების საკუთარი საშუალებანი. ძირითადი საშუალება სამია: სიტყვათწარმოება, დიალექტური მეტყველება და სესხება. ქართული ენა, რომელსაც უაღრესად მდიდარი და ნაირფეროვანი სიტყვობრივი მარაგი აქვს, ლექსიკის გამდიდრების ამ სამივე შესაძლებლობას იყენებდა დასაბამიდან მოყოლებული და იყენებს დღესაც.

ა. ლლონტი

სიტყვის მასალა — ანდაზის მონათესავე ქანრი, ზოგად — დასრულებული სახე-ხასიათის შექმნის უნარმოკლებული მხატვრული ნაწარმოები. წინადადების ნაწილით გადმოიცემა და გადაკვრით ფართოდ გავრცელებული მხატვრული სახის მანიშნებელია. ს. მ.-ს მოსწრებულ სიტყვასაც უწოდებენ. ფორმითა და შინაარსით ანდაზას უახლოვდება, ანდაზა დასრულებული წინადადებაა („თხამ მღვდელობა მოინდომა, აქაოდა გრძელი წვერები მაქვსო“). ხოლო ს. მ. — წინადადების ნაწილი („თხამ მღვდელობა მოინდომა“).

ს. მ. არ არის მხატვრული აზროვნების უშუალო, პირველადი შედეგი. მისი არსებობა, როგორც წესი, ანდაზის, იგავის ან სხვა რომელიმე მხატვრული მოვლენის არსებობით არის განპირობებული.

ლიტ.: შიხ. ჩიქივაძე, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956; ფ. ზანდუკელი, ანდაზისა და სიტყვის მასალის ღრთიერთობისათვის. „ქართული ფოლკლორი“, I—II, 1964. Ляцкий, Е. А., Несколько замечаний к вопросу о

ფ. ზანდუკელი

სიტყვის მესელე — აჭარაში იხმარება „ანდაზის“ (ნ.) და „ანდაზეს“ პარალელურად. მისი ძირითადი მნიშვნელობა იგივეა, რაც ანდაზისა. „მესელე“ (არაბ.) ლიტერატურული „მასალის“ ექვივალენტია. აჭარაში იგი თურქული ენიდან შემოსული ჩანს. თურქულად *masae* იგავს, შეგონებას, სიტყვის მასალას და ანდაზას აღნიშნავს, ხოლო *mesele* საკითხს, პრობლემას, ამოცანას. აჭარულ დიალექტში მას სხვა ელფერიც გააჩნია: ერთ შემთხვევაში იგი ნიშნავს აზრის უბრალო სამკაულს, ამოუცნობსა და გაუგებარს. გამოთქმებში: „დეიწყებს იგი ახლა მესელეს“, ანდა „ნუ მოყვები მესელეს!“ — გაუთავებელ, გრძელ და თანაც უსარგებლო ლაპარაკს გამოხატავს. თვით „ანდაზას“ აჭარულ დიალექტში სხვა მნიშვნელობაც ეძლევა: აღნიშნავს ხელსაქმის ნიმუშს, ორნამენტს.

ლიტ.: ა. მსხალაძე, ანდაზები აჭარული მასალების მიხედვით. აჭარის მოსახლეობის უოფისა და კულტურის საკითხები, 1967, გვ. 101—102.

ნ. ცქიტიშვალი

სიუჟეტი — მხატვრულ ნაწარმოებში განსახიერებული მოქმედების. კონფლიქტის, სიტუაციების და პერსონაჟთა ურთიერთობის თანამიმდევრობა. სიუჟეტი გვევლინება როგორც ძირითადი ამბის მხატვრული გაშლა, წარმოსახვა. სიუჟეტი გამოვლენის ფართო ასპარეზს მოითხოვს. ამიტომ ფოლკლორის მცირეფორმიანი ქანრებისათვის (ანდაზა, გამოცანა, აფორიზმი, ლირიკა) იგი დამახასიათებელი არ არის. სიუჟეტი, როგორც აუცილებელი მხატვრული კომპონენტი, ეპიკურ (ნ.), დრამატულ (ნ.) და ლირო-ეპიკურ ნაწარმოებებს გააჩნია.

ხალხური ნაწარმოების სიუჟეტი სადა და გამჭირვალეა. როგორც წესი, იგი არ შეიცავს რთულ სიტუაციებს და ვითარდება სწორხაზობრივად.

ჯ. ბარდაველიძე

სლივიციი ივანე ალექსის ძე (1819 — 1875) — 1847 წლიდან თანამშრომლობს გაზ. „კავკაზში“, 1850 — 1854 წ. რედაქტორის მოადგილედ. 1862 წლებში თვითონ რედაქტორობდა ამ გაზეთს. ს. სიყვარუ-

ლით ეკიდებოდა ქართული კულტურის საკითხებს, ხშირად ქომაგისა და პოპულარიზატორის როლშიც გამოდიოდა. წერილებში აღნიშნავდა ქართველ და კავკასიელ ხალხთა ზნე-ჩვეულებებისა და ისტორიის შესწავლის საჭიროებას. ამ მხრივ საინტერესოა «О литературных занятиях священника Цискарова, и все что о грузинских монастырях» («Кавказ», 1850, № 7), «Сазандар» — Стихотворения Я. П. Полонского («Кавказ», 1850, № 10), «Мой ночлег в грузинской деревне» («Кавказ», 1853, № 2, 3). სლივიცის მიერაა ს. ორბელინი (მაშინდელ პრიუტში) ჩაწერილი თქმულება შოთა რუსთაველზე («Кавказ», 1853, № 4). თამარზე ხალხურ გადმოცემას ეხება წერილში — «Царица Тамара по историческим данным и по преданиям и ее влияние на век» (Зак. Вест., 1849, № 19). მნიშვნელოვანია აგრეთვე მისი წერილი «Цвет миндальных деревьев» («Кавказ», 1850, № 23), «Шарден и его путешествие по Грузии, «Кавказ», 1849, № 33—35) და სხვ.

ლიტ.: ე. არქევიანიძე, ანტიკრებული ბიბლიოგრაფია ვაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნებული ქართული ხალხური სიტყვიერების მასალისა, 1965.

ე. არქევიანიძე

სოლომონ ბრძენი — იუდეველთა ბიბლიური მეფე. რეალურად არსებული პიროვნებაა. მის დროს სემიტთა მოდგმამ არნახულ პროგრესს მიაღწია. მან სიბრძნითა და გონებამახვილობით საქვეყნოდ გაითქვა სახელი. ს. მსოფლიო ფოლკლორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პერსონაჟია. იგი ქართულ ხალხურ შემოქმედებაში ფართოდაა ცნობილი.

ლიტ.: მ. ნიქოიანი, ქართული ფოლკლორი. 1946. ვვ. 351. Со б. сочинений А. Н. Есселовского. т. VIII, стр. 5; А. С. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности. 1895. стр. 165.

ბ. შამანძე

„სონტარული“ — რაჭული საფერხულო ლექს-სიმღერა. შინაარსით ანალოგიურია იმ ლექსებისა, როგორცაა „ქვედრულა მოდიდებულა“, „ლიახვმა სთქვა“, „მეჭუდამ სთქვა ავდიდლები“ და სხვ. ს. პირველი პუბლიკაცია ეკუთვნის გ. მინდელს (1894). ერთი ვარიანტი ჩაუწერია დ. ლენგს ამერიკაში (ფ. არქ.).

ლიტ.: ჩიქოვანი მ., ამერიკაში შეკრებილი ქართული სიმღერები, გაზ. „საპრობლეს ხმა“, 1967, № 24.

ვ. მაცაბერიძე

სტვირი — უძველესი ეროვნული საკრავი, რომელთანაც დაკავშირებულია მრავალსაუკუნოვანი მესტვირული პოეზიის ტრადიცია. მზადდება მცენარის ღრუ ღეროს ან რქისაგან. სტვირის უფრო განვითარებული სახეობაა გუდა-სტვირი. თქმულებები სტვირის შექმნას ზოგჯერ მწყემსებს მიაწერენ, ზოგჯერ კი ფარნაოზ მეფეს.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, 1938, გვ. 187—96.

სტოიანოვი ა. თ. — ქუთაისის გიმნაზიის ინსპექტორი. ს. ერთმა პირველთაგანმა ჩაწერა და გამოაქვეყნა სვანური ტექსტები. «Записки Кавказского отдела имп. Русского Географического общества» ს. ფურცლებზე აქვეყნებს სვანეთში მოგზაურობის შედეგებს «Путешествие по Сванетии» (кн. X, отд. II, 1876, стр. 238). აქ, სვანეთის გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიულ-სტატისტიკური აღწერილობის ბოლოს ათავსებს ხალხური სიტყვიერების წიმუშებს, ტექსტები დაბეჭდილია ტრანსლიტერაციით და დართული აქვს სიტყვა-სიტყვითი რუსული თარგმანი. სტოიანოვს თბილისში გამართულ არქეოლოგთა V ყრილობაზეც წარუდგენია თავისი შეკრებილი სვანური ტექსტები («Заметки», K, 1881, № 214). უფრო მოგვიანებით დაბეჭდა «Образцы Сванетской народной поэзии» (СМОМКП, 1890, №10, II, стр. 9).

ვ. არჯენიძე

„სტუმარ-მასპინძელი“ — ვაჟა-ფშაველას პოემა, აგებული ზეპირსიტყვიერ მასალაზე. საფლავზე ზვიადურის შეწირვის ამბავს უშუალოდ მოეპოვება წყარო „ლუის ლუნუმის“ და სხვ. სახით. ფოლკლორული წარმომობისაა პოემის ცალკეული სიტუაცია, მხატვრული პასაჟი, ეპიზოდი, სახე და მთავარი მოტივი — მასპინძლის მოვალეობა სტუმრის წინაშე. პოემის ხალხურ წყაროებზე საგანგებოდ მიუთითებდა თვით ვაჟა.

ლიტ.: ვაჟა-ფშაველა, ტ. IX, 1964; ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია; I, ხევსურული, 1931, გვ. 023—024; მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია, 1956; ქს. სიხარულიძე, ქართული მწერლობა და ხალხური შემოქმედ-

დება, 1, 1956: მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველას პოემის „სტუმარ-მასპინძლის“ ფოლკლორული სარჩული. კრ. ვაჟა-ფშაველა, 1961.

გ. პელიძე

სულა და კურდღელა — ამავე სახელწოდების თქმულების მთავარი პერსონაჟები, ძმები გოგოჭურების გვარიდან. ს. ჩარვალში ციხე აუგიათ. სხვა თემის მგზავრებს ბაჟს ახდევინებდნენ და ნანადირევს ართმევდნენ. ახალწლის დილით ფშაველებმა სულა და კურდღელა დახოცეს, მათი ციხე გადაწვეს. გარდა პროზაულ გადმოცემებისა, მათზე არსებობს დის (ზოგ ვარიანტით მამის) ხმით-ნატირალი ტექსტები. ხალხური გადმოცემა-სიმღერების საფუძველზე ვაჟა-ფშაველამ შექმნა პოემა „სულა და კურდღელა“.

ლიტ.: ხალხ. სიტყვიერება. III, 1953, გვ. 87.

დ. გოგოჭური

სულამასული — ხევეს. მიცვალებულის რიგის დღე, სულის ამოხდომასთან დაკავშირებული ჩვეულების აღსრულება. იდგმება სულის ტაბლა და სრულდება სულის ხუცობა (ნ. სულის ხუცობა).

დ. გოგოჭური

სულები — 1. ფანტაზიით შექმნილი ადამიანის მსგავსი უსხეულო არსებები. განვითარების ადრეულ საფეხურზე პირველყოფილი ანიმისტური შეხედულების შედეგად ადამიანი ბუნების მოვლენათა კანონზომიერებას სიცოცხლის გამოვლინებად მიიჩნევდა, ასულიერებდა ბუნებას. სამყარო, მისი წარმოდგენით, სავსე იყო უჩინარი სულებით, რომლებიც სურვილისამებრ იცვლიდნენ გარეგნულ ფორმას; იყვნენ კეთილი და ბოროტი სულები, ისინი გავლენას ახდენდნენ ადამიანზე. ამის გამო ადამიანი ცდილობდა მათი გულის მოგებას, კეთილგანწყობის შექმნას. საქართველოში ამ უძველეს შეხედულებათა ნაშთის სახით შემორჩენილია წარმოდგენები ავადმყოფობათა (ბატონების) შესახებ.

2. ორეული, თვითდაკვირვებამ პირველყოფილი ადამიანი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მის ფიზიოლოგიურ პროცესებს წარმართავს სული ორეული, რომელიც დამოუკიდებლად არსებობს და იმყოფება სხეულის გარკვეულ ნაწილში (თავი, გული, სისხლი, პირი და სხვა). სული თითქოს უკვდავია, სხეული მისი გარეგნული ფორმაა. სული ძილისა და სიკვდილის დროს დროებით ან სა-

მულამოდ სტოვებს ადამიანს და არსებობას განაგრძობს სულეთში ან სხვა სხეულში.

ქართველთა უძველესი შეხედულებით, სულის სამყოფი ადგილი თავია, ზოგჯერ სული ამოდის ხილული სხეულიდან, გარდაიქმნება ლანდის მსგავს ჰაეროვან არსებად და ჩვეულებრივი ადამიანი ცხოვრებით ცხოვრობს.

ლიტ.: ს. ბაკალათა, ეთნოგრაფიული ნაწერები, 1956; ელ. ვირსალაძე, მიოი. ქართ. ხალხ. პოეტიკური შემოქმედება, I, 1960; M. Штронберг, Первоистинная религия, 1936.

მ. ჩაჩავა

სულეთი — მიცვალებულთა სულების სამყოფი ადგილი, საიქიო; ფშაველები „შავეთს“ უწოდებენ. სულეთის ლექსები ხშირია. საფუძვლად წარმართული წარმოდგენები უდევს. ს. ქვეყნის შუაგულშია, იქ მკრთალი სინათლეა, ჩამავალი მზის ახლად გამქრალი სხივების მსგავსი. ამ სინათლეს მკვდრის მზე ქვია. შუაზე ხევი ჩაუდის, აღმოდებული კუპრი მოედინება და ზედ ბეწვის ხილია გადებული. მართალნი მსუბუქად გადადიან ხიდზე, ცოდვილნი მღულარე კუპრში ცვივიან და იტანჯებიან. სულეთში მისუსტებულნი ხმით ლაპარაკობენ. ოდინდელი ხალხური წარმოდგენით:

სამზეს დაკლებულები სულეთსა გროვდებიანო,
სულეთში ახალგაზრდანი ერთ ალაგს იყრებიანო,
სანთელს ანთებენ, კელაპტრებს, წინ სუფრას გაიშლიანო,
სულეთში ბერნი — მოხუცი სუფრის თავს დასხდებიანო...

მიცვალებულები საიქიოში იმავე ადგილს იჭერენ, რაც სააქაოში ჰქონდათ. ვისაც მომხსენებელი არა ჰყავს, ის სუფრაზე პირშებრუნებული ჯდება. ს. ჰყავს მეუფროსე; ახალმოსულნი მას სამჭერ უკრავენ თავს. საუკუნეთში მოგზაურობაც არის დასაშვები. იქ სხვადასხვა წესით დასჯილებს ნახულობენ, რომელნიც ჯოჯოხეთურად იტანჯებიან.

ლიტ.: ვაჟა-ფშაველა, თხზ., IX, 1964; ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1961; ხალხური სიტყვიერება, III, 1953; ქართული ხალხური პოეზია, I₂, 1973.

მ. ჩიქოვანი

სულთაკრეფა — ხევს. მიცვალებულთა მოსაგონარი დღე. იმართება დიდმარხვაში. ახალი მიცვალებულისთვის აკურთხებენ (დალოცავენ) უხორცო ტაბლას და სასმელს, გამოფენენ და დაიტირე-

ბენ მიცვალბულის ტანსაცმელსა და იარაღს. იმართება შეჯიბრი სროლაში (ლაბაჯი), ძველი მიცვალბულებისთვის ამ დღეს ოჯახებში ილოცება საოჯახო სუფრა.

ლიტ.: ს. მაკალათია, ხეესურეთი, 1935.

დ. გოგოჭური

სულთ ამბოკვარნი — ხეეს. ხალხის რწმენით უპატრონო სულელები, რომლებიც პატრონიანთა განკითხვითა და მოწყალებით არსებობენ, პატრონიანთა სარჩენალნი (ამბოკვარნი) არიან. ჭირისუფალი სულთ ამბოკვართაც მოიხსენიებს საკუთარ მიცვალბულთან ერთად. გვხვდება სულით ხუცობის ტექსტებში: „სულით წმინდანო, სულთ ამბოკვარნო“...

ლიტ.: ს. ს. ორბელიანი, სიტყვის კონა: ფ. აჩ. კ-27, გვ. 86.

დ. გოგოჭური

სულთანობა — ხეეს. სულით ქადაგობა. მიცვალბულის სურვილების საჯაროდ გამოცხადება მესულთანე ქალის პირით. ხალხის რწმენით, მიცვალბულის სული დროებით გადადის მესულთანეს გვამში და ხალხს მოუთხრობს თავის დაღუპვის გარემოებასა და მიზეზებზე, იძლევა რჩევა-დარიგებას, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ჭირისუფლები. სულთანობა, სულით ტირილისაგან (ნ.) განსხვავებით, უფრო მეტად მკითხავ-მარჩიელობის შინაარსს ატარებს. სულთანობა ხდება არა საჯაროდ და მიცვალბულის სამგლოვიარო დღეებში, არამედ ნებისმიერ დროს მესულთანის ოჯახში. მესულბნეები ქალები არიან.

ლიტ.: ქს. სიხარულიძე, ხეესურეთში სამეც. მივლ. მოკლე ანგარიში, „ლიტ. დ.“, III, 1946; მ. ჩიქოვანი, ქართ. ხალხ. სიტყვ. ისტორია, 1956, გვ. 261.

დ. გოგოჭური

სულით ტირილი — ხეეს. მიცვალბულის დატირების სახე. დატირების პროცესში, მიცვალბულის სული, ხალხის რწმენით, გადადის დამტირებელი ქალის გვამში და ხალხს უცხადებს თავის სურვილებს. სულით ტირილს უფრო ხშირად მიმართავდნენ უგზო-უკვალოდ დაკარგულთა დატირებისას, იგი ფუნქციით მკითხაობას ჰგავდა, შესრულების ფორმით კი ხმით ტირილს. სრულ-

დებოდა მიცვალებულის ცხედართან ან მის მოსაგონარ სამგლოვიარო დღეებში, დატირების დროს.

ლიტ.: ქს. სიხარულიძე, ხევსურეთში სამეც. მივლ. მოკლე ანგარიში, „ლიტ. ძ.“, 111, 1946, გვ. 349.

დ. გოგოჭური

სულის გადმოსვენება — სტიქიური უბედურების ან სხვა შემთხვევითი მოვლენის მიზეზით ოჯახის გარეთ დაღუპული და უკვალოდ დაკარგული მიცვალებულის სულის შინ გადმოსვენებასთან დაკავშირებული მაგიური ხასიათის რიტუალი. ძირითადად გვხვდება საქართველოს მთიან კუთხეებში (ხევსურეთი, სვანეთი).

ლიტ.: ნ. ჯანაშია, წყალში დამხრჩველის სულის დაქერა, „მომამბე“, 11, 1897; მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956; ივ. ჯაკაბიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1960.

დ. წერედიანი

სულის ხუცობა — ხევს. ხუცობის ორი სახიდან ერთ-ერთი. ტექსტი, რომელსაც ხუცესი წარმოთქვამს მიცვალებულის მოსაგონებლად დაწესებული ტრადიციული რიტუალის დროს. სულის ხუცობა საჯაროდ სრულდება მიცვალებულის სულისთვის განკუთვნილ სანოვაგესთან (სუფრა, სასმელებიანი კასრები და სხვ.). მისი პირველი ნაწილი წარმოადგენს ღმერთისადმი მიმართვას, რომ ჭირისუფლებს შემდგომში მწუხარება ააცილოს და კეთილი მომადლოს, ხოლო მეორე ნაწილი წარმართული და ქრისტიანული დოგმების ნარევი. სულით ხუცობის ტექსტების შინაარსი თითქმის იდენტურია. იცვლება მხოლოდ მიცვალებულის სახელი (ნახ. ტაბლის ხუცობა).

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 283; ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართ. ქართველი მთიელების სასულიერო ტექსტები. მას. საქ. ეთნ., I, 1938, გვ. 11.

დ. გოგოჭური

სურამის ციხის ლეგენდა — ნ. კედელში ჩაშენებული მსხვერპლის სიუჟეტი.

სუფრული სიმღერები — საჯარო პურობის დროს სუფრაზე შესასრულებელი სიმღერები. ასეთებია: მრავალჯამიერი, სუფრული, ჩაკრულო, გვარის სიმღერა, სმური და ა. შ. თემატიკის მიხედვით

ს. ს. საქმაოდ მრავალფეროვანია. თითოეული მათგანი სხვადასხვა დანიშნულების ნადიმს ითვალისწინებს (საქორწილო, საძეო, სასტუმრო და სხვ.). ჟანრობრივად სუფრული სიმღერა უძველესი წარმოშობისაა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განსხვავებული კოლორიტით ხასიათდება. სიტყვიერ და მუსიკალურ კომპონენტთა ურთიერთობა გარკვეული თანაფარდობით არის მოცემული.

მდიდრად არის წარმოდგენილი სიმღერები, რომლებიც სტუმარმასპინძლურ ურთიერთობას ასახავენ:

ჩენი მასპინძლის სასახლე
ტურფად ნაგები ხეო,
შიგ არის სმა და ღრეობა
ნიადაგ კარი ღიაო.

ლიტ.: შ. ასლანიშვილი, ნარკვევები, I, 1954, გვ. 219—252. ხალხური სიბრძნე, ტ. IV, 1965, გვ. 432—441.

გ. შეთქაური

ტ

ტაბლა — 1. მიცვალებულის მოსახსენებლად ანთებული სანთლებითა და სავსე სასმისებით გაწყობილი სუფრა, რომელსაც ჯერ ხუცესი აკურთხებს („იხუცებს“), ხოლო შემდეგ დამსწრენი მოიხსენიებენ მიცვალებულის სულს. 2. დაბალი, სამფეხა სუფრა. „ფიცრის სუფრა ფეხელი“ (საბა).

ლიტ.: ს.-ს. ორბელიანი, სიტყვის კონა. 1928.

დ. გოგოჭური

ტაბლის ხუცობა — ტრადიციული ტექსტი, რომელსაც ხუცესი წარმოთქვამს მიცვალებულის მოსაგონებლად გაწყობილ სუფრასთან (ნახ. სულის ხუცობა).

დ. გოგოჭური

ტაბუ — რიტუალი, აკრძალვა რაიმე საგნის, მოქმედების, სიტყვის, საქმლის... ტ. დარღვევა თითქოს ღვთაებათა განაწყენებას იწვევს, რასაც დამნაშავეს დასჯა მოყვება. ტ. წარმოიშვა პირველყოფილი ხალხების რელიგიაში ზებუნებრივი ძალების რწმენათა და წარმოდგენათა გაჩენასთან ერთად. კლასობრივი საზოგადოების აღმოცენების შემდეგ ტ. შეიძინა სოციალური მნიშვნელობა და

7. ქართული ფოლკლორი, V

კულტის მსახურებმა ხალხზე ბატონობის იარაღად გამოიყენეს. ტ. დაკავშირებული ცრურწმენები და წეს-ჩვეულებანი ფართოდ აისახა ქრისტიანთა და იუდეველთა რელიგიებში. ბიბლია კრძალავს ღვთაებათა სახელების წარმოთქმას, მორწმუნეთა მიერ მარხვაში სახსნილო საკმლის მიღებას, უქმე დღეებში მუშაობას, საკურთხეველში ქალთა შესვლას და სხვ.

არსებობს ე. წ. ფოლკლორული ტ. ინდიელთა რწმენით, თუ დღისით ზღაპარს იტყვიან, გველი მივა და ხალხს დააზიანებს. სამხრეთ აფრიკის ბეჩუანები მზის ჩასვლამდე ზღაპრებს არ მოყვებიან, მოამბეს თავზე ღრუბლები დააცვივაო. ანალოგიური რწმენის გადმონაშთი ქართველ ტომთა შორის დღემდეა შემორჩენილი. აღმ. საქართველოში მთქმელი ხშირად აღნიშნავს: „დღე ზღაპარის თქმა არ ვარგაო“. განსაკუთრებით აღსანიშნავია ტაბუირების რთული სისტემა, ქართულ სამონადირეო ტრადიციებს რომ უკავშირდება.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, 1946, გვ. 73; ელ. ვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი, 1964, გვ. 26, С. А. Токарев, Ранние формы религии и их развитие, Москва. 1964.

ნ. შამანაძე

ტაგანა — მცირე ზომის ხის ქურქელი, რომელთანაც მოხეური საპატარძლო ლექსი „ჩემო ხელის მომკიდეო“ არის დაკავშირებული. ოჯახის საქმიანობაში პატარძლის ჩაბმის სიმბოლურ საწყისს წარმოადგენდა ხევისა და მთიულეთში გავრცელებული „პატარძლის წყალზე გაყვანის“ ჩვეულება. კერძოდ, ხეში, პატარძალს წყაროზე წაიყვანდნენ, ხელისმომკიდე სავსე ტაგანას აკიდებდა და შინ გამობრუნებისას მღეროდნენ:

ჩემო ხელის მომკიდეო,
ტაგანა მომკიდეო;
თუ ტაგანას არ მომკიდებ
ხელი მაინც მომკიდეო.

ლიტ.: ს. მაკალათია, მთიულეთი, 1930, გვ. 118; მისივე, ხევი, 1934, გვ. 164; ა. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. V, 1950, გვ. 40.

გ. შეთეკაური

ტავტოლოგიური რითმა — ერთი და იგივე გამოთქმების, აზრობრივად და სიტყვიერად იდენტური ფრაზეოლოგიური ერთეულების გამეორება სალექსო სტრიქონების ბოლოში (ზოგჯერ თავშიც). მაგალითად:

ბევრ ქალს კი შესძულდებოდა
თვალად ლამაზი ქმარიო,
ბევრ ქალს კი შეჰყვარდებოდა
პირად ჯელური ქმარიო.

ლიტ.: ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, 11, 1968, გვ. 284.

გ. კელიძე

ტაკვეცი — უროს მსგავსი შრომის იარაღი. ხმარობენ პარკო-სან მცენარეთა მარცვლის გამოსაყვანად, მოსატუყად. ზღაპრებში ჯადოსნურ საგნად გვევლინება და გმირს ეხმარება. „ამ ტაკვეცს უბრძანა გოქიმ, — გურტყი თავზე მაგასო“; „...ტაკვეცო, სანამ ჭკუაზე არ მუა, უთაქე და უთაქე თავშიო“, — არის ნათქვამი ზღაპარში.

ნ. ცქიტიშვილი

ტარიზანა — საზამთრო საძოვარი შირაქში (წითელწყაროს რაიონი). ხშირად იხსენიება მწყემსთა სიტყვიერებაში.

ლიტ.: ნ. შამანაძე, ერთი ქართული ხალხური ბალადა, „ფოლკლორული ერთეულები“, 1970.

ნ. შამანაძე

ტარიელიანი — ტარიელის ამბავი, — ზეპირსიტყვიერი თქმუ-ლებები და ლექსები ტარიელზე. ტერმინი შექმნილია ხელოვნურად, ლიტ. „ვისრამიანის“, „ამირანდარეჯანიანის“ კვლობაზე. თვითონ ფოლკლორში ტარიელის სიუჟეტი სხვადასხვაგვარად აღინიშნება: „ტარიელის ამბავი“, „ტარიელის ზღაპარი“, „ტარიელის ლექსი“, „ქაჯ-ტარიელის ზღაპარი“, „ტარიელის არაკი“, „გმირი ტარიელი“, ტარიელიანის სათაურით პირველი სრული ვარიანტი 1936 წელს დაიბეჭდა („ხალხური ვეფხისტყაოსანი“, 1936). ტერმინი შემდეგ ლიტერატურათმცოდნეობაშიც დამკვიდრდა ხალხური ნაწარმოე-ბის გამოსაყოფად.

ტარიელიანის შინაარსის გადმოცემა საჭირო არ არის, ისედაც კარგადაა ცნობილი. შეკრებილია ტ.-ნის პროზაული ლექსითი და ნარევი ვარიანტები. ჩაწერილია საქართველოს ყველა კუთხეში ქართულ, მეგრულ, სევანურ და ოსურ ენებზე; გვხვდება უზბეკუ-რადაც. ტ.-ნის პუბლიკაციას სათავე „ივერიის“ რედაქციამ დაუდო 1887 წელს, ჯავახური და კახური ვარიანტების გამოქვეყნებით

(№№ 215, 242). ამას ფშავური და სხვა კუთხეთა ჩანაწერები მოჰყვა. ტ. „ხალხური ვეფხისტყაოსნის“ სახელწოდებით ცალკე წიგნებად გამოქვეყნდა 1905 (ს. მერკვილაძის პუბლიკაცია), 1936 და 1937 წლებში (მ. ჩიქოვანის გამოცემა). 1890 წლიდან პრესაში კამათი გაჩაღდა ხალხური და ლიტერატურული ნაწარმოებების ურთიერთობის თაობაზე (ალ. ხაბანაშვილი, ვაჟა ფშაველა, ნ. მარი). ერთი ბანაკი (ალ. ხაბანაშვილი და სხვ.) ხალხური სიუჟეტის პირველადობას აღიარებდა, მეორე კი უარყოფდა რუსთაველის შემოქმედებაზე ყოველგვარ ფოლკლორულ გავლენას, (ვაჟა ფშაველა და სხვ.). საბჭოთა ხელისუფლების დროს რუსთაველის პირველი იუბილეს პერიოდში (1936—37) დისკუსიამ ახალი ძალით იფეთქა. ამჯერად პრობლემების კვლევას ფოლკლორისტიკების გარდა (მ. ჩიქოვანი, ვ. კოტეტიშვილი, ქს. სიხარულიძე, ელ. ვირსალაძე) ლიტერატურის ისტორიკოსებმაც მოკიდეს ხელი (ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა, ალ. ბარამიძე, ი. აბულაძე, შ. ნუცუბიძე, გ. იმედაშვილი, ს. ცაიშვილი, ი. მეგრელიძე, მ. გუგუშვილი და სხვ.). დადგინდა, რომ ფოლკლორი და მითოლოგია რუსთაველის შემოქმედებითი წყაროა. ზოგი მკვლევარის მოსაზრებით ტარიელისა და ავთანდილის ამბების ძირითადი ნაწილი წინ უსწრებდა რუსთაველის პოემას. ახლა ისიც აღიარებულია, რომ „ვეფხისტყაოსანმა“ გავლენა მოახდინა ქართულ ფოლკლორზე და ტარიელიანი დაიმსგავსა.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ხალხური ვეფხისტყაოსანი, 1937; მისივე, შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, 1966; ვ. კოტეტიშვილი, რჩ. ნაწერები, 1967; ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, 1966; კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, 11, 1958. ი. მეგრელიძე, რუსთაველი და ფოლკლორი, 1958.

მ. ჩიქოვანი

ტარტაროზი — 1. ბერძ. ტარტაროზ — წამების ადგილი ქვესკნელში, სადაც ჯოჯოხეთისაგან განსხვავებით, მხოლოდ ტიტანები იმყოფებიან. 2. ჯადოსნური ზღაპრის პერსონაჟი, ბოროტის საწყისი, ეშმაკთა ან ქაჯთა მეთაური, საშინელი გარეგნობისა და უკეთური ბუნების არსება. მთელი ტანი შავი ბალნით აქვს დაფარული, ორი კბილი ეშვებივით ჰკიდია. რომანულ ურთიერთობას ამყარებს ქალებთან. ბოროტი სულელები წელიწადში ერთხელ იკრიბებიან ბრუტსაბზელაზე ჯაჭვით დაბმული ტარტაროზის წინაშე და აუწყებენ მათ მიერ წლის მანძილზე ჩადენილ დანაშაულებებს.

ლიტ.: თ. ბატონიშვილი, ისტორია დაწყებიოვან ივერიისა, 1843.

მ. ჩაჩავა

ტატუირება — ადამიანის სხეულზე რაიმე ნახატის გაკეთება — ჩხვლეტით კანქვეშ საღებავის შეყვანა, რასაც ერთგვარი მაგიური ფუნქცია ჰქონდა. განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული კულტურულად განუვითარებელ ხალხებში. ხშირად გვხვდება ახალ ზელანდიასა და სამოას კუნძულებზე, მაორის ტომში. არსებობს ტატუირების დროს სათქმელი ლექსები ცალკე დედაკაცებისა და ცალკე მამაკაცებისათვის.

ლიტ.: K. Fisher. *Paints and Pigments*, 1922 г., стр. 98; მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956 წ., გვ. 227.

ბ. შამანაძე

ტბათანა — მთა, კახეთიდან თუშეთში გადასავალ გზაზე. იხსენიება მწყემსთა პოეზიაში.

ტბათანას მასწყდა ცალგვერდი,
ზოვად მოიდა ქვიშაო.

ლიტ.: ხალხური სიტყვიერება, III, მ. ჩიქოვანის რედ., გვ. 91.

ბ. შამანაძე

ტილორი ედუარდ ბერნეტი (1832 — 1917) — გამოჩენილი ინგლისელი ეთნოგრაფი, პირველყოფილი კულტურისა და რელიგიის მკვლევარი, თვითჩასახვის ანუ ანთროპოლოგიური თეორიის (ნ.) შემქმნელი. ტ. სხვადასხვა ხალხის ზნეჩვეულებებისა და რელიგიურ-პოეტური შეგედულებების შესატყვისობას აზროვნებისა და კულტურის მსგავსებით ხსნიდა. მის ნაშრომთაგან რუსულ ენაზე მოიპოვება: Введение к изучению человека и цивилизации (Антропология) — შესავალი ადამიანისა და ცივილიზაციის შესწავლისათვის (ანთროპოლოგია), 1924; Первобытная культура — პირველყოფილი კულტურა, 1939; Доисторический быт человечества и начало цивилизации — კაცობრიობის წინაისტორიული ყოფა და ცივილიზაციის დასაწყისი, 1968. მის ნაშრომებს იცნობდა და მის თეორიას ნაწილობრივ იზიარებდა ი. ჭავჭავაძე.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული აკოლკლორი, 1946; Ю. Соколов, Русский фольклор, 1941.

მ. ჩაჩავა

ტუცოვი ვ. ი. — ქუთაისის საქალაქო სასწავლებლის პედაგოგი. აგროვეზდა ქართული, კერძოდ სვანური მუსიკალური ფოლკლორის საინტერესო მასალას, ნარკვევში — «Сванетия (географический очерк)» (СМОМПК, № 10, 1, 1—73). მოთავსებულია «Сванетские мотивы и песни о Кансаве Кипиани», ნოტებით ჩაწერილ სიმღერას ლექსის ტექსტიც ერთვის, ამ სიმღერას კი მოყვება ნოტებზე ჩაწერილი ათი სხვა სვანური სიმღერა. საინტერესო ნარკვევს წარმოადგენს მისი «Из быта и верований мингрельцев,» მას ოთხი მეგრული ტექსტიც ერთვის (СМОМПК, 1894, № 18, III, 1—26).

მასვე აქვს გამოქვეყნებული «Агбулагские легенды» (СМОМПК, 1894, № 9), «По истокам Кубани и Терека» (СМОМПК, № 14).

ე. არქევანიძე

ტექსტი — მხატვრული ჩანაფიქრის დაფიქსირებული სიტყვიერი ფორმა, წერილობითი სახე. ფოლკლორული ტექსტი ხალხური შემოქმედების წერილობითი ფიქსაციაა, ის, რის წაქითხვა და უცვლელად შენახვა შეიძლება. ფოლკლორული ტექსტი მნიშვნელოვნად განსხვავდება ლიტერატურულისაგან, იგი უფრო რთული ფენომენია და მრავალმხრივ შესწავლას საჭიროებს. ფაქტიურად ფ. ტ. ზეპირია ან დაწერილი. პირველ შემთხვევაში ხალხური ნაწარმოები აღბეჭდილია მესხიერებაში, ამა თუ იმ მთქმელ-შემსრულებლის გონებაში. ხალხური „ტექსტი“ წარმოსახვაში, გონებაში ნაკლებად ემთხვევა იმ სახეს, რასაც იგი შესრულების, მსმენელებზე გადაცემის დროს მიიღებს. შესრულების პროცესი თვითონ არის შემოქმედებითი აქტი, სხვადასხვა ვითარებათაგან შეპირობებული. ობტიმალურ პირობებში შემსრულებელი მთლიანად ამკლავნებს თავის თავს, სრულყოფილად ქარავს სიტყვას და ტრადიციული ნაწარმოების იდეურ ვარიანტს გვაწვდის. თუ ზეპირად წარმოთქმულ სიტყვათა ნაკადს იმავდროულად ჩაეწერო ხელით ან სხვა ტექნიკური საშუალებებით, — მივიღებთ ფიქსირებულ ტექსტს, რომელსაც ზუსტად ასეთი ფორმა მხოლოდ ამ შესრულების დროს ჰქონდა და არავითარი გარანტია არ არსებობს იმისა, რომ იგი კვლავ იქნება ამ სახით გამეორებულ. მთელი რიგი უანრები, განსაკუთრებით მხატვრულ-მუსიკალური შესრულების ან ამგვარი ელემენტთა შემცვლელი ნაწარმოებები, ზეპირი ტექსტის მრავალრიცხოვან ვარიაციებს იძლევა. ზეპირი ტექსტი ხალხური ნაწარმოების შექმნისა და გადაცემის ტრადიციებითაა განსაზღვრული. ამგვარი ტ. მეცნი-

ერულ დაკვირვებას ნაკლებ ექვემდებარება, რადგან მისი არც წაკითხვა და არც დანახვა შეიძლება, მეხსიერებაზე აპელაცია კი მრავალ უხერხულობას ქმნის და ამის გამო ზეპირ ტექსტზე მსჯელობა მხოლოდ ფსიქოლოგიურ ასპექტში თუა შესაძლებელი, ყოველ შემთხვევაში მის კვლევას ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიურ ასპექტში არაფერს მიმართავს. ამიტომ კულტურის ისტორიისათვის აუცილებელია ფიქსირებული ტექსტის შექმნა. ამ ამოცანას შემკრებლობითი ფოლკლორისტიკა ემსახურება.

ზეპირი სიტყვის ჩაწერა მყარ ტექსტს იძლევა, რომელსაც ჩაწერის ტექნიკის კვალობაზე სხვადასხვა ფორმა შეიძლება ჰქონდეს (ანბანური, ხმიერი). ფონოგრამის გაშიფვრის შემდეგ ტექსტის ანბანურ ან სანოტო ჩანაწერს ვიღებთ, რომელიც უკვე ხელშესახებ მასალას წარმოადგენს. არსებითად მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ხალხური ნაწარმოების სიტყვიერ მონაცემს ტექსტი ეწოდოს. ესაა, ასე ვთქვათ, ტექსტის პირველი სახე, ორიგინალი, რომელიც მხოლოდ ხელნაწერად არსებობს და არსად არ გამოქვეყნებულა. გამოცემის შემთხვევაში ტექსტოლოგი ორიგინალს სწავლობს მხატვრული, სიუჟეტური, გრამატიკულ-სტილისტური თვალსაზრისით და თუ ამის აუცილებლობას დაინახავს გამოსაცემ ტექსტში შესწორებებიც შეაქვს (ცხადია, თითოეული შემთხვევის აღნუსხვეთ). დაბეჭდილი ტ. ორიგინალისაგან ცოტად თუ ბევრად განსხვავებულია. ამიტომ გამოეყოფთ ორიგინალისა და დაბეჭდილი ტექსტის ცნებებს. გამოცემული ტექსტი და ორიგინალი აბსოლუტურად იდენტური არასოდეს არაა.

წერილობითი ტექსტი ადვილად შეიძლება ზეპირ მოვლენად იქცეს და პირიქით, ზეპირი — წერილობით ფორმაში მოექცეს. დაბეჭდილი ტექსტი მხოლოდ საკითხავი მასალა როდია, იგი ხშირად საჯარო გადმოცემის საგანს წარმოადგენს. თავისი მხრით, შესრულება არასოდეს არაა პასიური აქტი. მთქმელ-მომღერალი, სიტყვით თუ მუსიკით შემსრულებელი ინდივიდი, ყოველთვის ახდენს „კანონიკურ“ ფორმაზე ერთგვარ გავლენას; რაღაცას ცვლის — უმატებს ან აკლებს, ემოციურობას აძლიერებს ან ანელებს, გარემოს ახლობელს ან შორეულს ჰხდის... ხმით ან გრაფიკულად გამოხატული ტექსტი თავისებურ ჟღერადობას იძენს. შეგნებულად თუ ქვეცნობიერად იცვლება. მეათედ გამეორებული ნაწარმოები ძალიან ხშირად აღარ ჰგავს მის პირველ ბირთვის, ამოსავალ ორიგინალს, და ცხადია, პირველჩამფიქრებლის აზრი შეიძლება არც იყოს შენარჩუნებული. ზეპირი ტექსტი მხოლოდ მოსმენის მომენტ-

ში არსებობს, მერე კი უჩინარდება. ტექსტი აზრის გარეშე ფიქციაა ისე, როგორც ხალხის ყოველგვარი გამონათქვამი არ შეიძლება ფოლკლორულ მოვლენად მივიჩნიოთ. კონკრეტულ ტექსტზე ლაპარაკი მაშინ შეიძლება, როცა სიტყვიერი მასალა ფიქსირებულია დამწერლობის საშუალებებით. ფოლკლორული ტექსტი იკითხება ან იმღერება, დაწერილია ან დაბეჭდილი.

ლიტ.: Приемы текстологического изучения фольклора, 1956б.

მ. ჩიქოვანი

ტექსტის რეკონსტრუქცია — აღრინდელი, სიუჟეტის განვითარების რომელიმე საფეხურის, ტექსტის აღდგენა, არსებული ფრაგმენტების, ვარიანტებისა თუ ცნობების მიხედვით. რეკონსტრუქცია რთული პროცესია, დიდ დახელოვნებასა და შემოქმედებით ალღოს მოითხოვს. რეკონსტრუქციული ფაქტი პრობლემატური ხასიათისაა, რადგან მისი ამგვარი არსებობა დოკუმენტურად დადასტურებული არაა და ის, რაც მოწოდებულია, ჰიპოთეტურ დაშვებას წარმოადგენს. მიუხედავად გარკვეული პირობითობისა, ფოლკლორულ ნაწარმოებთა რეკონსტრუქციას მაინც ხშირად მიმართავენ და მიმართავენ. ამას რამდენიმე გარემოება კარნახობს: 1. მოღწეულია უძველესი ეპოქის ფრაგმენტები და საჭიროა ნაწილების მიხედვით მთელის წარმოდგენა; 2. ხელთა გვაქვს დიდი მნიშვნელობის მხატვრული ძეგლის ვარიანტები და ვერსიები, დარღვეულია სიუჟეტის მთლიანობა და საჭიროა ხელოვნური ჩარევა; 3. მიღებულია ნაწარმოების განვითარების ეტაპები, მაგრამ არ ვიცით რა მხატვრული სახე ჰქონდა მას ამა თუ იმ საფეხურზე. ამ დროს ინტუიციას მიმართავენ და გარკვეული ზომიერებით აღადგენენ თითოეული საფეხურის სახეს; ვთქვათ, ამირანის თქმულებისათვის — ანტიკური პერიოდის სიუჟეტური ბირთვი, ადრე ფეოდალური ხანის, ქრისტიანიზაციის პირველი პერიოდის და ა. შ. 4. შემონახულია ისტორიული ცნობები, ზეპირი ტრადიცია, მაგრამ თვითონ ნაწარმოების ტექსტი არა ჩანს, ამ შემთხვევაში შეიძლება კონსტრუქტორი შეუდგეს მუშაობას; 5. ჩაწერილია ლექსის ნაწყვეტები, ცალკე სტროფები, ამავე დროს ხელთა გვაქვს ვრცელი ვარიანტი გარკვეული ლაკუნებით. მაშინ სრული ვარიანტის შევსებას იწყებენ ფრაგმენტებისა და გადარჩენილი სტროფების ხარჯზე. ტექსტის რესტავრაცია მეცნიერული და მხატვრულ-შემოქმედებითი მუშაობის იდეალურ შეხამებას

მოითხოვს. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ ლენროტის მაგალითი, რომელმაც კალევალა დაამუშავა ამ წესით.

ივ. ჭავჭავიძევილი ფიქრობდა, რომ ამირანის თქმულების პირველი სახით აღდგენა შესაძლებელია. ამ მიზნით მან გარკვეული მითითება დატოვა: „ვისაც ჰსურს ამირანის თქმულების თავდაპირველის სახე და დედა-აზრი აღადგინოს, მან უნდა შეისწავლოს შედარებით ყველა ქართული თქმულებები და ამ გზით თქმულების პირვანდელი სურათი აღადგინოს“. მართლაც, წარსულში ამირანის აღდგენის რამდენიმე შემთხვევა იყო (პ. მირიანაშვილი, შ. ნუცუბიძე, მ. ჩიქოვანი), მაგრამ ამოცანა დღემდე გადაუწყვეტელი რჩება. ცნობილი არსენას ლექსის ტექსტი 1972 წელს დაბეჭდილი რედაქციიდან მომდინარეობს. თვითონ ეს რედაქცია პ. უმიკაშვილს ეკუთვნის და გარკვეული აღდგენითი მუშაობის შედეგია. პ. უმიკაშვილს ხელთ ჰქონდა ორ ათეულზე მეტი ჩანაწერი, მაგრამ არც ერთის ტექსტი არ იყო სრული. ამიტომ უცდია პოემის აღდგენა: სტრიქონები თანმიმდევრულად დაულაგებია და რაც ერთ ვარიანტს აკლდა, ის სხვა ჩანაწერიდან შეუესია. ამგვარი შერწყმა-შერთვის საშუალებით მიღებულია ის რეკონსტრუირებული ტექსტი, რომელიც დღებდნიერი აღმოჩნდა და აღიარება მოიპოვა მომდევნო გამოცემებში. პ. უმიკაშვილმა 1875 წელს ეთერიანის აღდგენაც სცადა 13 ჩანაწერის საფუძველზე.

რეკონსტრუქცია თავდაპირველად ტექსტთან მიხედვების საშუალებაა. არავის შეუძლია დაამტკიცოს, რომ რეკონსტრუირებული ტექსტი არის ის, რასაც ხალხი დასაწყისშივე მღეროდა და ავრცელებდა. მიუხედავად პრობლემატურობისა, რეკონსტრუქცია მაინც საჭირო ღონისძიებაა და მეცნიერები მას ხშირად მიმართავენ სხვადასხვა შემთხვევაში.

ლიტ.: Д. Линчаев, Текстология. 1962; მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, II, 1965; ი. ჭავჭავიძევილი, ქართველი ერის ისტორია, ე. 1951; პ. უმიკაშვილი, ხალხ. სიტყ. I, II, IV, 1964.

მ. ჩიქოვანი

ტექსტის წყარო — ფიქსირებული ფოლკლორული ტექსტის პირველი წყარო მთქმელია. მისი მეოხებით ხდება შესაძლებელი ზეპირად მოგზაური ტექსტის საწერ მასალაზე დამაგრება. გარკვეულ საფეხურზე შეჩერება. გაყინვა. თუმცა ამით ხალხური ტექსტის ცხოვრება არ წყდება, რაკი კვლავ განაგრძობს სიცოცხლეს, ვარიანტებს, ბრუნვას. ყოველ ნუსხას (ნ.) თავისი წყარო, წინ მავა-

ლი დაწერილი ტექსტი გააჩნია. ხელნაწერებზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ რომელი ნუსხა რომელს ემყარება და თითოეულ ტექსტს რა ისტორია განუცდია. 1523—24 წლებში თუმბიან გოჯიშვილის მიერ ვანის ქვაბების ერთ-ერთ კედელზე მიწერილ, დღესაც პოპულარულ ჩალხურ ლექსს, „წვრილად ნახვეწო ისარო, კილოვ ნაღებო ინითა“ 54 ჩანაწერი მოეპოვება. კედლის წარწერასთან მიმართება ფილოლოგიურად გვირკვევს ამ ლექსის ისტორიას, მოძრაობის გზებს, ვარიანტების ურთიერთობას. იტალიიდან მიღებული მიკროფილმის მიხედვით გამოცემულ ქართული ზღაპრების კრებულის ტექსტს დოკუმენტირებული ისტორია და წყაროები გააჩნია. წყაროები ეძებნება თვითონ ბერნარდესეულ ტექსტს: ირკვევა, ბერნარდესეული კრებული არაა შედგენილი უშუალოდ მთქმელებთან მოპოვებული მასალით, არამედ გადაწერილ-შედგენილია ადრე შესრულებული ჩანაწერებიდან, არმოღწეულ ნუსხებიდან. არქეტიპიდან (ნ.) ვადმოწერის აშკარა კვალი ემჩნევა ბერნარდესეულ ორიგინალს. მავალითად, შემდგენელ-გადამწერს ზღაპრისათვის „ცაზე რამდენი ვარსკვლავია“ რომ წინანდელი ხელნაწერი გამოუყენებია, იქიდან ჩანს, რომ დასაწყისის მეორე წინადადებაში ორი სიტყვა ვერ ამოუკითხავს და მათთვის საჭირო თავისუფალი ადგილი დაუტოვებია თავის ხელნაწერში, ცარიელი ადგილი აღუდგენელი დარჩენილა, ხოლო ამოუკითხავი სიტყვების მკაფიო შიშობელი „და“ კი დაუწერია. ტექსტის გამომცემლის მიერ გამოტოვებული სიტყვები კონიექტურულად იქნა აღდგენილი: „ერთი [მუსეიბი] და [კვიანა] კაცი ჰყუანდა“. „პირველ კრებულად“ მიჩნეულ კრებულს, რომ წინ უსწრებდა ხელნაწერი ზღაპრები, ამაზე პირდაპირი მითითებაც არსებობს. ქიშმარის ხელმწიფის ქალის არაკის ბოლოს იტალიურად მიწერილია: „ამ ზღაპრის დედანს აკლდა, თვითონ იგი ერთ ძველ რვეულში იყო მოთავსებული. ჩანს, ეს ზღაპარი (ფაბულა) გრძელი უნდა ყოფილიყო“.

ფოლკლორული ტექსტის წყაროს ძიება დიდათ საჭიროა, იგი გვაახლოებს ნაწარმოებების შექმნის გარემოსთან და ჩანაწერთა ქრონოლოგიას ადგენს.

ლიტ.: ელ. ვირსალაძე, შოთა რუსთაველი და ქართული ხალხური სამიჯნურო პოეზია, „შოთა რუსთაველი“, საიუბ. კრებული, 1966, გვ. 141; შ. ონიანი,

უანის ქვაბთა მონასტრის წარწერების ისტორია. საბჭოთა ხელოვნება, № 7, 1959; მ. ჩიქოვანი, XVII საუკ-ში ჩაწერილი ზღაპრები, მრავალთავი, I, 1964, გვ. 120.

მ. ჩიქოვანი

ტექსტოლოგია ფოლკლორისტული — ზოგადი ტექსტოლოგიისაგან ფოლკლორისტული ტ-ია ძირითადად მხოლოდ მასალის თავისებურებითა და ამ უკანასკნელისაგან გამომდინარე ვითარებით თუ განსხვავდება. ფ. ტექსტოლოგიის მიზანს ხალხური ნაწარმოების სიტყვიერი ტექსტის დადგენა, კლასიფიკაცია და გამოცემა წარმოადგენს. მას ბევრი თავისებურება გააჩნია. ეს პირველ ყოვლისა ზეპირსიტყვიერი ნაწარმოების არსებობის ფორმით არის გამოწვეული. ფოლკლორული ძეგლი ფიქსაციამდე ტექსტოლოგიის საგანი ვერ გახდება, თუმცა ხალხური შემოქმედების ნიმუშთა გამომცემელს იმ გარემოს შერჩევა და ინფორმატორთა მოპოვებაც სჭირდება, რომელთა დახმარებით უნდა შეიქმნას წერილობითი დოკუმენტი. ამნაირად, ფ. ტ-ია ხალხური ნაწარმოებების მოპოვებაში, მათ შეკრება-ჩანაწერშიც ერევა. ფოლკლორისტის ტექსტოლოგიური მუშაობა საველე პირობებში იწყება. ჩაწერისა და კვალბაზე იგი თანდათან სწავლობს ფოლკლორულ ძეგლს ტექსტის თვალსაზრისით, ადგენს ნამდვილობას, ე. ი. ხალხურ წარმოშობას, განსაზღვრავს მის რაობას (ყანრი, დედანი, ვარიანტი, ვერსია), აკლასიფიცირებს და ზუსტი ფოლკლორული პრინციპების დაცვით ეწევა ედიციონურ მუშაობას. ფ. ტექსტოლოგია არ არის მხოლოდ კაბინეტური მეცნიერება ან მხოლოდ საგამომცემლო პრაქტიკული მოღვაწეობა, არამედ იგი ერთსა და იმავე დროს არის ტექსტის დამდგენი და მომპოვებელი, სასტამბოდ მომზადებელი და პუბლიკატორი. ქართულ ფოლკლორისტიკაში ტექსტოლოგიური მუშაობის პრინციპები თეორიულად ჯერჯერობით საბოლოოდ არ არის ჩამოყალიბებული, მაგრამ მომზადებულია პირობები ამგვარი განმაზოგადებელი თვალსაზრისის შესამუშავებლად.

ლიტ.: ტექსტოლოგიის საკითხები, I, 1970; მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური პოეზიის კლასიფიკაცია და გამოცემის პრინციპების შესახებ, 1962; Принципы текстологического изучения фольклора, М.-Л., 1966; Л. С. Лихачев, Текстология, 1962.

მ. ჩიქოვანი

ტაბი — მხატვრული სახე, რომელიც მოიცავს ერთგვარი ან ერთი წრის ადამიანებისათვის დამახასიათებელი ნიშნების ინდივი-

დუალიზებულ წარმოსახვას. ტიპი „ზოგადი სახეა ერთგვარის კაცებისა, რომელთაგანაც თვითოეულად ცალკე თვალსაჩინო ნიშნები მოგროვილი და ერთად შექსოვილი, ერთ ადამიანად ქცეული. ამიტომაც „ტიპი“ ყველასაც ჰგავს ზოგადად“, მაგრამ არც ერთსაც არ უდრის ცალკეულად (ი. ჰაკეჯავაძე).

ფოლკლორული ტიპი ადამიანთა ძალზე ზოგადი ქცევებისა და თვისებების ერთ პერსონაჟად გამოხატვას წარმოადგენს. ამისდა მიხედვით ქართულ ფოლკლორში ჩამოყალიბდა ამირანის (ფიზიკურად უძლიერესი ადამიანის), ნაცარქექიას (მოხერხებული ადამიანის), მურმანის (ბოროტი ადამიანის) და მრ. სხვ. ტიპები.

ლიტ.: Тихофеев А. И., Теория литературы, М., 1948.; Веселовский А. Н., Историческая поэтика, 1940.

ჟ. ბარდაველიძე

ტოტემი — პირველყოფილი ხალხების რწმენით — ცხოველი, მცენარე, საგანი ან ბუნების მოვლენა, რომელიც ამა თუ იმ გვაროვნული ჯგუფის სისხლის ნათესავად და წინაპრად ითვლება. გვაროვნული წყობილების გაქრობასთან ერთად ტოტემიც ქრება.

ლიტ.: ფ. ენგელსი, ოქახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, 1953 წ.; ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1950; შ. ჩიქოვანი ქართული ფოლკლორი, 1946; С. А. Токарев, Ранние формы религии и их развитие. Москва, 1964.

ნ. შამანაძე

ტოტემიზმი — რელიგიის ერთ-ერთი უძველესი ფორმა. ემყარება ადამიანთა გვაროვნული ჯგუფისა და რომელიმე ცხოველის, მცენარის, საგნის ან ბუნების მოვლენის ზებუნებრივი კავშირისა და სისხლით ნათესაობის რწმენას. ტოტემი არ არის ჩვეულებრივი ღვთაება, მას თაყვანს არ სცემენ, მაგრამ თვლიან ნათესავად, უფროს ძმად, მამად, მეგობრად, მფარველად.

ტოტემიზმის კვალი შეიმჩნევა ქართულ ხალხურ წარმოდგენებსა და ფოლკლორში. მაგალითად, ცხოველთა ეპოსში დათვის შეილები ყოველთვის უძლეველი გმირები არიან, ხოლო დათვის ხორცზე ტაბუა დადებული (ნ.).

ლიტ.: ფ. ენგელსი, ოქახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, 1953 წ.; ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1960; შ. ჩიქოვანი, ქართული

ტოპონიმი — ადგილის (დასახლებული პუნქტის, მთის, მდინარის, ტბის და მისთ.) სახელწოდება. ტ. ლექსიკურად ენის ერთეულია, გრამატიკულად — საკუთარი არსებითი სახელი. ტოპონიმია — მთელი ფონდი დასახლებული პუნქტების, სახელმწიფოების, მდინარეების, ტბების, ზღვების, მთების სახელწოდებათა ერთობლიობისა — სამ რკალად ჯგუფდება; გამოიყოფა მიკროტოპონიმია, საკუთრივ ტოპონიმია და მაკროტოპონიმია. ამ კლასიფიკაციას გეოგრაფიული, ისტორიული და ლინგვისტური საფუძველი აქვს. მიკროტოპონიმიაში თავს იყრის მცირე საგეოგრაფიო ერთეულების, ერთი თუ ორი დასახლებული პუნქტის ფარგლებში მოქცეული ადგილის, სახნავ-სათესი, საბოსტნე, სავენახე, საჩაიე ნაკვეთების, მცირე ლეღე-მდინარეთა, წყაროთა, მადლობთა, ხეობათა, ხეეების, ტყეების, უბნების, ქალაქებში — ქუჩების სახელწოდებანი. არეალის შეზღუდულობა ობიექტის ფარგლების სიმცირე — აი, მთავარია ნიშანთვისებანი მიკროტოპონიმისა. საკუთრივ ტოპონიმიაში ერთიანდება უფრო მოდილო საგეოგრაფიო ერთეულები. აქ გვაქვს დასახლებული პუნქტების (სოფლების, დაბების, ქალაქების), მოზრდილი და საშუალო მდინარეების, მცირე ტბების, სარაიონთაშორისო საძოვრების, მთების სახელწოდებანი. საკუთრივ ტოპონიმის არეალი ფართოა, ობიექტის ფარგლები — გაშლილი. საკუთრივ ტოპონიმია მეტად გამძლეა: მისი ასაკი ეპოქებს ითვლის. მაკროტოპონიმია გულისხმობს დიდ საგეოგრაფიო ერთეულთა, სახელმწიფოთა, უდიდეს ქალაქთა, მდინარეთა, ზღვათა, ტბათა, ოკეანეთა, ვზათა სახელწოდებებს. მაკროტოპონიმია სცილდება ამა თუ იმ სახელმწიფოს ბუნებრივ საზღვრებს და საერთაშორისო გავრცელება აქვს, საყოველთაოდ ცნობილი და გასაგებია. ამრიგად, ტოპონიმი. ფართო ცნებაა და დიდი თუ მცირე ადგილის, სახელმწიფოს, მდინარის, ზღვის, მთის და მათი ნაწილების სახელწოდებათა ერთობლიობას გულისხმობს.

პრაქტიკულად ტოპონიმთა ეს რკალები შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად. საქართველოს განეკუთვნება მაკროტოპონიმთა რკალს. აქვე იქნება ავრეთვე მაკროტოპონიმები: ქართლი, კახეთი, მესხეთი, ჯავახეთი, ხევსურეთი, თუშეთი; ფშავი, აჭარა, ჯურია, ლაზეთი, სამეგრელო, იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი,

მტკვარი, რიონი, ენგური, თბილისი, ქუთაისი; რუსთავი, ბათუმი, სოხუმი, კავკასიონი. თითოეულ ამ მაკროტოპონიმში გამოიყოფა საკუთრივ ტოპონიმები. ქართლში — გორი, ატენი, უფლისციხე, მეჭულა, ლიახვი, ქსანი, არაგვი, დვირი, ტირიფონი, ლორწომა და მისთ. ატენში გვაქვს მიკროტოპონიმები: დიდი ატენი, პატარა ატენი, გარდატენი, ქვექელაანთ უბანი, ციხისუბანი, ჭეფირი, მონასტერი, ტანა, დანახვისი... ობიექტის სიდიდე-სიმცირე განსაზღვრავს ტოპონიმთა კუთვნილებას ცალკე იარუსების ან საგეოგრაფიო რკალებისადმი.

ტოპონიმი დიდხანს ცოცხლობს. მისი ისტორია ბევრად უსწრებს დამწერლობის წარმოშობას. დამწერლობამდელ ეპოქაში იხმარებოდა სამივე რკალის (მიკრო-, მაკრო-, საკუთრივი) ტოპონიმები, მაგრამ საისტორიო წყაროებს უფრო მაკრო — და საკუთრივ ტოპონიმები შემორჩა, მიკროტოპონიმები კი უმთავრესად ხალხის ხსოვნამ შემონახა და თაობიდან თაობას ვადმოეცა. ამიტომ ყველაზე ნაკლებ გამძლე ტოპონიმთა შორის სწორედ ეს რკალი აღმოჩნდა.

ტოპონიმი ადამიანის განუყრელი თანამგზავრია. მისი პრაქტიკულად ცონდის მნიშვნელობა განსაკუთრებით საგრძნობია დღეს — წიგნის, გაზეთის, რადიოსა და ტელევიზიის ეპოქაში. ტოპონიმთა შეგროვება და დაცვა ისევე გადაუდებელი და საშური საქმეა, როგორც დიალექტური ლექსიკისა და ხალხური სიბრძნისა. ქართული ტოპონიმის შეგროვებასა და შესწავლას დიდი ტრადიცია აქვს. პირველი ცნობები ტოპონიმთა შესახებ შემონახულია ძველ ქართულ სალიტერატურო და საისტორიო თხზულებებში, რომლებიც V—XI და მომდევნო საუკუნეთა ეპოქას ეკუთვნიან. მდიდარ მასალას გვაწვდის „ქართლის ცხოვრება“, სიგელ-გუჯრები და საისტორიო-საგეოგრაფიო ძეგლები. ქართული ტოპონიმების მეცნიერულად შესწავლის ფუძემდებელია ვახუშტი ბაგრატიონი (1696—1770). ქართულ ტოპონიმთა შესწავლას შემდეგ ახალი მძლავრი ბიძგი მიეცა XIX საუკუნეში, მ. ბროსეს, ნ. ჩუბინაშვილის, დ. ჩუბინაშვილის, თ. ბაგრატიონის, დ. ბაქრაძის, გ. წერეთლის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ბ. ნიჟარაძის, კ. გვარამაძისა და სხვათა ისტორიულ-ლიტერატურულ ნაშრომებში განხილულია არა ერთი და ორი საგეოგრაფიო სახელი და დადგენილია მათი ეტიმოლოგია. ტოპონიმებისადმი ინტერესი განსაკუთრებით ჩვენს ეპოქაში გაღვივდა. ქართველი გეოგრაფოსების (ალ-ჯაეახიშვილი, ლ. მარუაშვილი, გ. ზარდალიშვილი), ისტორიკოსე-

ბის (ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, ალ. სვანიძე, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, გ. მელიქიშვილი, ი. სიხარულიძე, პ. ინგოროყვა, ს. კაკაბაძე), ლინგვისტების (ნ. მარი, ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, ს. ჭიქია, მ. მეგრელიძე, კ. დონდუა, ალ. ლლონტი), ფოლკლორისტების (მიხ. ჩიქოვანი, ქს. სიხარულიძე, ელ. ვირსალაძე) ნაშრომებში ტოპონიმთა ანალიზის საფუძველზე დასმული და გადაწყვეტილია უმნიშვნელოვანესი პრობლემები ეთნოგენეზისა, ქართველთა ნათესაობის შესახებ ევრაზიის უძველეს ხალხებთან, ქართველური ენების გრამატიკული წყობიდან და ლექსიკიდან.

ლიტ.: ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, I, ბათომი, 1958, II, ბათომი, 1960; ს. ჭიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, I, თბ., 1947; II, თბ., 1941; III, თბ., 1958; მიხ. ჩიქოვანი, ტოპონიმური ლექსიკონი, „თბ. უნ. შრომები“, XIX, 1939, გვ. 135—155; მ. გეგეშიძე, ქართლის სამეურნეო ტოპონიმია, თსუ შრომები, XXXVII, 1949, გვ. 166—173; ალ. ლლონტი, ქართული ლექსიკოლოგია, თბ., 1964; მისივე: ტოპონიმი და ტოპონიმია, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, № 4, 1947, გვ. 65—71.

ა. ლლონტი

ტოპონიმია — ლექსიკოლოგიის დარგი, რომელიც საგეოგრაფიო სახელებს — ტოპონიმებს (ნ.) სწავლობს. ტ. საგეოგრაფიო სახელებს გეოგრაფიული, ისტორიული და ლინგვისტური ასპექტი იკვლევს. ამდენად იგი ერთსა და იმავე დროს გეოგრაფიული, ისტორიული და ლინგვისტური მეცნიერებაა. გეოგრაფიული თვალსაზრისით ტოპონიმი განიხილება არეალისა და სიდიდე-სიმცირის მიხედვით, ისტორიული თვალსაზრისით ტოპონიმი უკავშირდება სახელმწიფოთა და დასახლებულ პუნქტთა კონტაქტებს, ხალხების დასახლების ზოლებს და მათთან დაკავშირებულ მოვლენებს, ხოლო, რაც შეეხება ლინგვისტიკას, ის ტოპონიმს უცქერის და სწავლობს როგორც ენის ფაქტს, ლექსიკურ ერთეულს. ტოპონიმის საგანი გეოგრაფიული ნომენკლატურა მცირე და ფართო მასშტაბით. ქვეყნის საგეოგრაფიო სახელწოდებათა სრულ გამოვლენას, სალიტერატურო, საისტორიო, საეპიგრაფიკო წყაროებში დამოწმებული და ხალხის ხსოვნაში შემონახული ტოპონიმების აღნუსხვა-გამოცემას ფართო მეცნიერული ინტერესი და დიდი პრაქტიკული დანიშნულება აქვს. ქართული ტოპონიმის განვითარებაში დიდი წვლილი აქვთ შეტანილი როგორც გეოგრაფოსებს, ისე ისტორიკოსებსა და ლინგვისტებს.

ა. ლლონტი

ტოპონიმიკური თქმულება -- თქმულება, გადმოცემა ტოპონიმთა (ნ.), ადგილის, დასახლებული პუნქტის, ქალაქის შესახებ. ტ. თ. ცნობილია მრავალ ხალხში. მსოფლიოში, მაგალითად, ბევრი ქალაქის სახელწოდების წარმოშობა-გავრცელება თქმულება-ლეგენდას უკავშირდება. რომის სახელწოდების წარმოქმნას, კერძოდ, საფუძვლად უძევს წარმტაცი თქმულება რომულისა და რემის შესახებ. ჩველი რომული და რემი, მარს ღვთაების შვილები, უპატრონოდ დაყარეს და მათ მოუარა ძუ მგელმა, გაზარდა ისინი მწყემსის ცოლმა. სასწაულებრივად გადარჩენილი რომული შემდეგ მეფე გახდა, დიდი ქალაქი ააშენა და მას თავისი სახელი — რომი უწოდაო. ასევე, თქმულებით, რიო-დე-ჟანეირო ტერმინის შექმნა მიეწერება ამერიკო ვესპუჩის. მოგზაური ბრაზილიაში იმყოფებოდა. ახალი წლის (პირველი იანვრის) ადრე დილით თავისი კარვიდან გამოსულა ადგილმდებარეობის დასახვერავად. თვალი მოუკრავს ზღვის უბისათვის, რომელიც მას დიდი მდინარე ჰგონებია და უწოდებია რიო-დე-ჟანეირო — „მდინარე იანვრისა“. სახელწოდება შემდეგ გავრცელდაო. ალექსანდრე მაკედონელს აზიაში ლაშქრობისას ერთ ადგილს ცხარე ბრძოლა მოუვია, მაგრამ საყვარელი ცხენი — ბუცეფალი კი დაუკარგავს. გამარჯვების აღსანიშნავად მეფეს ამ ადგილას ციხე-სიმაგრე აუგია და მისთვის ბუცეფალი უწოდებიაო. ტოპონიმი ახლაც ცნობილია. თითქოს თერთნის ფერის გამო წარმოქმნილი მაკრო ტოპონიმები (ნ.) — მონბლანი (ალპებშია), აკტაუ (შუა აზიაშია), მაუნაკეა (ჰავაიაშია), ბლანკა პიკ (აშშ) და მისთ. ყველა ეს სიტყვა ქართულად „თეთრ მთას“ ნიშნავს.

ტ. თ.-ს იცნობს ქართული ფოლკლორიც. ბევრი ადგილობრივი ტოპონიმის საფუძვლად ჩანს მშვენიერი თქმულება, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობენ და მრავალ ვარიაციადაც ვრცელდებიან. მშვენიერი თქმულებებია ცნობილი ისეთ ტოპონიმებზე, როგორცაა თბილისი, სამგორი, ჭეფირი, კალოუბანი, ვარძია, გორისჯვარი, უფლისციხე, მოდინახე, ერწო, ყვარელი, გლოლა, ლაწუნდარა, ქალის ციხე, სურამი, პალიასტომი, შეკვეთილი, ცხინვალი, ყვავსაყდარა და მისთ. შეგვიძლია აქ დავიმოწმოთ რამდენიმე ლამაზი თქმულება. ხალხი გადმოგვცემს: თბილისის მილამოები ადრე გაუვალნი ტყით იყო დაფარულიო. ერთხელ აქ ნადირობდა ვახტანგ მეფე, გორგასალი. მეძებრებმა ააფრინეს ზოხობი, რომელსაც მეფის მიმინო გამოედევნა და მალე ორივენი

გადაიკარგნენ. ბევრი ძეგლის შემდეგ ორივენი ცხელ წყალში ჩაფუჭული იპოვეს. მეფემ არე-მარე კარგად დაათვალიერა. ნახა, რომ ამ მშვენიერ ადგილებში დედამიწიდან აქა-იქ თბილი და ცხელი წყალი ამოჩუხჩუხებდა. ვახტანგ მეფეს ძალიან მოეწონა სამკურნალო თბილი წყაროები და ბრძანა ქალაქის აშენება. ქალაქს სახელად თბილისი ეწოდაო. არანაკლებ საინტერესოა ჭეფირ ტოპონიმის თქმულებაც. ჭეფირი დიდი და მძლავრი ვაჟკაცი ყოფილა და ცოლიც შესაფერისი ჰყოლია. ჭეფირს საწყალი ხალხი ებრალებოდა და მფარველობდა. ადრე ატენს უწყალობა ტანჯავდა, მდინარე ტანა სხვა მხარეს მიემართებოდა. ერთ დღეს ჭეფირმა კლდეს ლოდი მოსტეხა, ვეებერთელა ნაძვები დაჭრა, მოაბა კლდეს, ცოლის დახმარებით გაათრია და ღრმა კვალი გაავლო. ატენის ხეობა ამ კვალითაა გაკეთებულიო. ჭეფირმა მდ. ტანა ამ კვალში გადმოაგდო, ხალხიც აქ დასახლა და მუდმივი წყალი გაუჩინაო. ატენის ხეობაში ახლაცაა სოფელი ჭეფირი და იქვე ახლო თვით ჭეფირის საფლავსაც უჩვენებენ (აღნიშნული აქვს ვახუშტი ბაგრატიონსაც). კალოუბანთან ასეთი თქმულებაა დაკავშირებული: თბილისის ამ კუთხეში მუდამ კალოებო იყო გამართულიო. მრისხანე თემურ ლენგი რვაგზის შემოესია საქართველოს, მაგრამ მაინც ვერა და ვერ დაიმორჩილა ქვეყანა. თემურის განსაკუთრებული სისასტიკე პირველ რიგში თბილისს დაატყდა თავს. ერთხელ განრისხებულმა შაჰმა ამ კალოებზე თავი მოუყარა ბავშვებს და თავისი ცხენოსანი ჯარით გადათელა ისინი. ამის შემდეგ ხსენებულ ადგილს კალოუბანი უწოდაო. ასევე საყურადღებოა ყვავისაყდარას თქმულება: გლეხები პურსა მკიდნენ. მზარეულებმა ქვაბები გააჩაღეს და სადილის მზადებას შეუდგნენ. ჩქარა კერძები მომზადდა და მომკვლებიც ჩეროსაკენ ევილ-ხვილით წამოვიდნენ. მათი ხალისიანი ხმაურობა ქვაბებს ზევით მოფარტატე ყვავების საზარელმა ჩხავილმა დაფარა. უცებ ერთი ყვავი მხუილით პირდაპირ ქვაბში ჩავარდა და მდულარე წვენიში ჩაიფუჭქა. ამ წვენს ვილა ჰამდა და ქვაბი გადააპირქვავეს. მოხდა საკვირველება: გაფუჭქულ ყვავთან ერთად უშველებელი გველიც დაინახეს. ყველა მიხვდა ყვავის სასწაულს. ამ შემთხვევის სახსოვრად აქ თითქოს საყდარი ააგეს, რასაც ყვავისაყდარი უწოდეს.

ტ. თ. არ არის ლოკალიზებული ერთი განსაზღვრული ადგილით. ბევრ ტოპონიმთან ერთი თქმულებაა დაკავშირებული. მაგა-

ლითად, ყვაესაყდარა ტოპონიმი მოიპოვება თელავის, ცხინვალის, ქარელის რაიონებში და ყველა მათგანზე ერთი თქმულებაა ცნობილი. მეტიც შეიძლება ითქვას. მსგავსი თქმულებები სხვა ხალხების ზეპირსიტყვაობაშიც ვრცელდება. ტ. თ. ინტერნაციონალური გავრცელებისაა. თქმულება დაკავშირებულია როგორც მიკრო-და მაკრო-, ისე საკუთრივ ტოპონიმებთან.

ლიტ.: ხალხური სიბრძნე, III, თბ., 1964.

ალ. ლლონტი

ტრადიცია — 1. საუკუნეების მანძილზე შექმნილი, ისტორიულად განმტკიცებული და დღემდე შემორჩენილი ეროვნული თავისებურებები, გამოვლენილი საყოფაცხოვრებო, სარწმუნოებრივ, კულტურული და მხატვრული აზროვნების ძეგლებში. 2. ფოლკლორული ტრადიცია ნიშნავს თაობათა კოლექტიური თანამშრომლობით შემუშავებულ მხატვრულ მონაცემებს (გამომსახველობითი საშუალებანი, სიუჟეტები, მოტივები, სახეები, მზა ფორმულები), რომლებიც ეპოქას გადაეცემიან მეხსიერების საშუალებით, ზეპირად. ფოლკლორული ტრადიცია არ წარმოადგენს მხოლოდ რომელიმე ეპოქის თარიღდასმულ ინდივიდუალობას, იგი ყველა დროის, ყველა ეპოქის თაობათა მხატვრული მონაპოვრის შერწყმაა. ტ. დაუსრულებლად ივსება, მდიდრდება, იხვეწება და ეპოქების ანაბეჭდებით გადადის მომავალში. ტრადიციის საზოგადოებრივი ღირებულება მის პროგრესულობაშია.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956; მისივე, ქართული ხალხური პოეზიის კლასიფიკაციისა და გამოცემის პრინციპების შესახებ, 1962.

ა. კელიძე

ტრისტანი და იზოლდა — კელტური ფოლკლორული წარმოშობის გმირები, რომელთა მარადიული სიყვარული სიმბოლურად სიკვდილის შემდეგაც გრძელდება. ძველი კელტი მგოსნების — ბარდების შექმნილი რომანი პირველად ფრანგმა ტრუვერებმა გადმოიღეს. XII ს-ში ფრანგულ ენაზე შემუშავებულმა პოემამ მალე სახელი მოიხვეჭა მთელ ევროპაში. ჩამოყალიბდა გერმანული, ინგლისური, იტალიური, ესპანური, ნორვეგიული, ჩეხური, პოლონური, ბელორუსული, ახალბერძნული ვერსიები. ამრიგად, ტრისტანისა და იზოლდას სახელები უქცნობი, ჩაუქრობელი სიყვარულის სინო-

ნიმებად იქცნენ. მრავალრიცხოვანი ფრაგმენტებისა და ვარიანტების მიხედვით სიყვარულისა და სიკვდილის ეს ამბავი პროზაული სახით აღადგინა ფრანგმა მეცნიერმა ჟოზეფ ბედიემ. ამ უკანასკნელმა გ. ქიქოძის მშვენიერი თარგმანით ქართველ მკითხველამდეც მიაღწია 1925 წელს. კელტურ რომანს ტიპოლოგიური პარალელები მოეპოვება ქართულ ფოლკლორში ეთერიანის სახით.

ლიტ.: წიგნი ტრისტანისა და იზოლდის, 1953; მ. ჩიქოვანი, შუა საუკუნეების, სამი რომანის — „ტრისტან და იზოლდა“, „აბესალომ და ეთერის“ და „ვისი და რამინის“ ტიპოლოგიური ურთიერთობის პრობლემა. მაცნე, I, 1970, იგივე, ინვლუსურ და ფრანგულ ენებზე იაპონიაში კონგრესზე წაკითხული მოხსენების მიხედვით: *Proceedings VIII th International Congress of Anthropological and Ethnological Sciences, Tokio, 1968*, ტ. II, 337-340; *Acta Ethnographica, T. XIX, Budapest, 1970*; მისივე ზალხური ვეფხისტყაოსანი, 1937; გ. ინედაშვილი, ვისრამიანისა და ტრისტან-იზოლდას ურთიერთობისათვის, „მნათობი“, № 1, 1942.

მ. ჩიქოვანი

ტრუბადური — სახალხო მომღერალი, ხალხურ ლირიკულ ლექს-სიმღერათა შემსრულებელი XI—XIII საუკ. საფრანგეთში. ტრუბადურთა შემოქმედების ძირითადი თემა ქალისადმი რაინდული სიყვარული და პატრონისადმი ერთგულება იყო. ტრუბადურთა პოეზიამ დიდი გავლენა იქონია დასავლეთ ევროპის ლიტერატურისა და მუსიკის განვითარებაზე.

ლიტ.: Дж. Коккяра, История фольклористики в Европе, 1960.

მ. ჩაჩავა

უ

„უბიხს ავაგე საყდარი“ — თამარ მეფის ეპიტაფიად მიჩნეული საისტორიო ჟანრის ლექსი. გადმოცემულია თამარ მეფის (ნ.) სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ძირითადი ეტაპები.

ლიტ.: ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956; ქართ. ხალხ. საისტ. სიტყვიერება, I, 1961.

ვ. მაცაბერიძე

უკვდავების მაძიებელი ჭაბუკი — ეროვნული ქართული ზღაპრების ერთი ჯგუფის უპირველესი გმირი, რომელიც ისეთ ქვეყანას ეძებს, სადაც სიკვდილი არ არსებობს. ფილოსოფიურად გან-

წყობილი ქართველი ჰაბუკი ასე მსჯელობს: მას სიცოცხლე არავისთვის უთხოვია, რაკი დაიბადა და დავაჟაკდა, რად უნდა მოკვდეს?! არ მოსწონს სიკვდილ-სიცოცხლის არსებული წესი. ბევრი იარა, მაგრამ უსიკვდილო მხარე დედამიწაზე ვერსად იპოვა. ჩანს, მიწა ყველგან თავისას მოითხოვს! ვერც მარადიულმა მშვენიერებამ — ტურთა ქალმა იხსნა წუთისოფლის კანონისაგან. ათასეული წლების შემდეგ სიკვდილი მაინც ეწვია უკვდავების მაძიებელს. ამ ჯადოსნური ზღაპრის ჩაწერა საქართველოში მე-17 საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო. შემკრებთაგან შეიძლება დავასახელოთ: ბ. ნეაპოლელი, ს-ს. ორბელიანი, თ. რაზიკაშვილი, დებაი, ე. თაყაიშვილი, მ. ჩიქოვანი, ს. გაჩეჩილაძე, ელ. ვირსალაძე, დ. ჯიქურიშვილი, თ. გოგიჩაიშვილი... აღრიცხულია 23 ვარიანტი, აქედან 16 გამოქვეყნებულია. ზღაპარი სხვადასხვა სათაურითაა ცნობილი: „მიწა თავისას მოითხოვს“ და სხვა. ნაწილი თარგმნილია რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ ენებზე. პარალელები გვხვდება ევროპის, კავკასიისა და აზიის ხალხებში. ფრანგული თარგმანის საფუძველზე პარიზში ოპერაც დაიწერა.

ლიტ.: XVII საუკუნეში ჩაწერილი ქართული ზღაპრები, მიხ. ჩიქოვანის გამოცემა, „მრავალთავი“, I, 1964; მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, 1946, გვ. 309—10; მისივე, ქართული ეპოსი, II, 1965; დ. ფანხულიძე, ფრანგულ-ქართული ლიტ. ურთიერთობანი, 1968, Русинские сказки, 1972.

მ. ჩიქოვანი

უკლონი — ფშ.-ხევის. 1) მიცვალებულები, საიქიოს მკვიდრნი, უდროოდ დაღუპულნი, რომელნიც „შავეთში“ იმყოფებიან. გლოვის ლექსებსა და ხმით ნატირლებში ფართოდ და მგრძნობიარედ არის გადმოცემული უკლოთა ყოფის მძიმე სურათები. 2) საზოგადოდ უბედურნი.

შამიღეს კარი უკლოთა,
კარი მა შავეთისაო.

ლიტ.: ივ. ხორნაული, ფშავ-ხევსურული პოეზია, 1949, გვ. 235.

დ. გოგოჭური

ულამი — ნადი, მამითადი, კოლექტიური დახმარების წესი. ქართლში სახლის აგებისას ღარიბი გლეხი სოფელს დახმარებას სთხოვდა. მიეშველებოდნენ ურმით, ხარ-კამეჩით, ხე-ტყით, ქვიშის მიტანით. ზოგჯერ 60-80 გლეხი შეიკრიბებოდა ამ დროს. გამამხ-

ნევებელ სურათს გვიხატავს საბა-სულხან ორბელიანი სიტყვის განმარტებისას: „მრავალ ტვირთული გრძლად მიმავალი“.

ლიტ.: მ. ნიქოვანი, ქართული შრომის სიმღერები ვერმანელ: ენაზე. გაზ. „ახ. კომუნისტი“, № 17, 1952; К. Сидхер, Работа и ритм, 1923.

მ. ნიქოვანი

ურბნელი — ხიზანიშვილი ნიკოლოზ თადეოზის ძე (1851—1906) — ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი. შეკრება და გამოაქვეყნა ფშავ-ხევსურული ზეპირსიტყვიერი მასალები. მის კალამს ეკუთვნის გამოკვლევები: „ფშავ-ხევსურეთი“, „ჩემი რვეულიდან“, „კიდევ ლაშარობაზე“, „როსტომ გმირი“, „ხევსურულ პოეზიაზე“, „ზიზვა და ბახტრიონის ციხე“, „ხევსურული სიმღერები“, „ისტორიული კვალი სახალხო პოეზიისა“ და სხვა. შეკრება საყურადღებო ცნობები მთაში გავრცელებული წესჩვეულებებისა, როგორცაა: ხვეისბერობა, ხუცობა, თემობა, ხატობა, ქადაგობა, სულთანობა, ბოსლობა, კეჰნაობა, ჭირისწყენა და ა. შ.

ლიტ.: ნ. ურბნელი (ხიზანიშვილი), ეთნოგრაფიული წერილები, 1940.

გ. კელოძე

ურითმო ლექსი — იგივე „თეთრი ლექსი“. აღნიშნავს ისეთ ლექსს, რომელშიც რითმა შეგნებულად არაა გამოყენებული. ურითობა არქაული პოეტიკის თვისებაა.

ლაშარს მშავლები ახოხორდა,
გიგა არ სჭერდა თავისასა,
გიგავ, დასჭერდი, და გენაცვალოს,
ერთა ხოხორი ცუდი არი.

ურითობის საფეხური ყველაზე უკეთ შეინიშნება სვანურ ლექსებში:

ჯერაჲ ბოჯშ ჭიმწხერახ,
ჭიბინახ ლიზიკ-ლიჩელი,
ნაზუს ხაქადის შუკვამი,
კოჯას ხაგენდ თემიშე.

ხალხურ პოეზიაში ურითობის კომპენსაციას ახდენს სასიმღერო რიტმი და მელოდია.

ლიტ.: ჯ. ბარდაველიძე, ქართული ხალხური ლექსთწყობის საკითხები (რეფრენი, რითმა, სტროფი), თბილისი, 1960.

ჯ. ბარდაველიძე

ურმული — შრომის პოეზიის უძველესი ნიმუში. ინდივიდუალური შესრულების ლექს-სიმღერა, გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოში. ახასიათებს თემატიკური მრავალფეროვნება, უპირატესად — საყოფაცხოვრებო მოტივები. ურმულთან აკავშირებენ პოპულარულ ხალხურ ლექს-სიმღერას „აღზევანს წავალ“ (ნ.). პოპულარული ურმულებია: „ურემო“, „კამეჩი ღონიერია“, „ურემო ფერსო მაღალო“, „შავო კამეჩო“, „კამეჩმა თქვა“, „ნინიკას მარილზე წასვლა“, „სიბერე ძნელი ყოფილა“. უ. არქაული ლექს-სიმღერაა — საკულტო, საფერხისო მოტივების შემცველი.

ლიტ.: ალ. ჩამბაკურ-ორბელიანი, ივერიანელთა გალობა, სიმღერა და დინი, ცისკარი, 1861, № 1. დ. მაჩაბილი, ქართულთა ზნეობა, ცისკარი, 1864, V, გვ. 54; ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1955, გვ. 371; ი. ზურაბიშვილი, ხალხი შემოქმედი ვენა... ურმული, 1949; თ. მამალაძე, ქართლ-კახური შრომის სიმღერა — ურმული, მასალები საქ. ეთნოგრაფიისათვის, IV, 1955; გვ. 229; თ. ოქროშიძე, ქართული ხალხური შრომის პოეზია, 1963; გვ. 133; Д. И. Апракшашвили, Краткий очерк развития грузинских картлинско-калетинских народных песен, 1905, стр. 24.

გ. პელიძე

უსიბი — ქართული ეპიკურა პერსონაჟი, ამირანის ძმა. იგივე უსუფი, უსუპი.

„უტყუარი სარკე“ — ასე უწოდა ა. წერეთელმა ქართულ ხალხურ პოეზიას თავის წერილში „ზეპირსიტყვაობის გამო“. ამით ხაზი ესმის ფოლკლორის ისტორიულ მნიშვნელობას და მისი შეკრების აუცილებლობას.

ლიტ.: წერეთელი ა., ზეპირსიტყვაობის გამო, „აკაკის კრებული“, 1897, № 1; მოხსენება, წაკითხული ს. აბაშელის საღამოზე. „თემი“, 1913, № 118.

ვ. მაყაბერიძე

უშტარი — ფშაური ეთერიანის (ნ.) პერსონაჟის, აბესალომის დედის სახელი. უ., ქმრისაგან განსხვავებით, არ თაკილობს გლეხის ქალის რძლად მოყვანას, შემდგომში კი დასწვლულზე უვილს სატრფოსთან ეგზავნება. უშტარი ნიშნავს ბრმას, უსინათლოს.

ლიტ. ეთერიანი, ხალხური სიტყვიერება, IV, 1954.

დ. წერეთელი

ფაბლიო (ფრანგ. fabliau, მიღებულია ლათ. fabula-დან — თხრობა, თავგადასავალი, არაკი, ზღაპარი) — ქანრი შუასაუკუნეების ლიტერატურისა, რომელიც XII ს. საფრანგეთში შეიქმნა და XIII ს. განვითარების ზენიტს მიაღწია. ფ. უპირატესად სატირულ-იუმორისტული ნოველაა (ნ.), ასახვდა ქალაქისა და სოფლის, რაინდთა და სასულიერო პირთა ცხოვრებას მძაფრი სატირით. მისი თემატიკა მოიცავდა ადამიანთა პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების მანკიერ მხარეებს. ფ. აღორძინების ეპოქის დროინდელმა მოტივებმა გამოძახილი და ასახვა ჰპოვა ბოკაჩოს, რაბლეს, მოლიერის, ბალზაკისა და სხვ. თხზულებებში. ნ. ხ ა ლ ხ უ რ ი ფ ა ბ ლ ი ო .

ა. ლლონტი

ფაბულა — იგავი, ზღაპარი. ტერმინმა თანდათანობით მიიღო ამბის მნიშვნელობა და აღნიშნავს გარკვეული ქანრის ნაწარმოებს. ზოგიერთ ლიტერატურათმცოდნეს ფ. მიაჩნია სიუჟეტის მასალად, ზოგიერთი კი ამ ორ ტერმინს აიგივებს. რუსულ ტრადიციულ ფოლკლორისტიკაში ფაბულის ნაცვლად ხმარობდნენ ტერმინის სიუჟეტს, რაც ჩვენშიც გავრცელდა. ფაბულის განვითარებისა და გავრცელების პრობლემა წარმოადგენდა ფოლკლორული თეორიების (მითოლოგიური, მიგრაციული, ანთროპოლოგიური) ძირითად არსს.

დ. წერელიანი

ფანდური — სამლარიანი სამუსიკო საკრავი. ანტიკური ქვეყნების ლიტერატურაში II საუკუნიდან იხსენიება. საქართველოშიც უძველესი დროიდანაა ცნობილი. ფანდურისაგან ნაწარმოები „საფანდურებელი“ მეათე საუკუნეზე ადრეულ ძეგლში არ გვხვდება. ფანდური განსაკუთრებით პოპულარულია მწყემსებში. ფ. აკომპანემენტის როლსაც ასრულებს და შთაგონების წყაროსაც: მოქმედები ხშირად მიმართავენ და სიმღერის უნარის მომნიჭებლად მიიჩნევენ.

ლიტ.: ი. ჭავჭავიძე, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, 1938; ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1934; ნ. შამანაძე, ფოლკლორული ეტიუდები, 1970.

ნ. შამანაძე

ფარსმან ქველი — ქართლის მეფე ფარსმან II. მის სახელთან დაკავშირებულია მოთქმით დატირების (ნ.) უძველესი ჩვეულება.

ლიტ.: ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1955, გვ. 52.

გ. პელიძე

ფასკუნჯი — ჯადოსნური ზღაპრის პერსონაჟი, მითიური, გრძნეული ფრინველი, სიმურღის ორეული. ცხოვრობს ყაფის მთაზე ან ქვესკნელში. ადამიანურად მეტყველებს და ხშირად მფარველად ევლინება გმირებს. შვილების გადარჩენის გამო სიკეთეს სიკეთით იხდის და გმირი ერთი სამყაროდან მეორეში გადაჰყავს ქვესკნელიდან ზესკნელში. გამოირჩევა განუზომელი ღონითა და მადით, ქვესკნელიდან აფრენისას ერთ ფრთაზე კოდ ხორცს დაიდებს, მეორეზე ადამიანს შეისვამს. მის ფრთებს მაგიური და სამკურნალო თვისებები ახასიათებს. ფრთის დაწვა ფ. გამოწვევის საშუალებაა, ხოლო ჭრილობაზე წასმა მკურნალობისა. ზოგჯერ ადამიანური ცხოვრებით ცხოვრობს, აქვს ოჯახი, მამული. იშვიათად ბოროტ ბუნებას იჩენს, მტრობს და ებრძვის გმირებს.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი. ქართული ხალხ. ზღაპრები, I, 1938 (შესავალი).
მ. ჩაჩავა

ფაუსტის ლეგენდა — გერმანული ფოლკლორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი. ჩამოყალიბდა მე-16 საუკუნეში. შემორჩენილია დოკუმენტური ცნობები, რომლის მიხედვით იოჰან ფაუსტი, შემდგომში დოქტორ ფაუსტად ცნობილი, სწავლობდა ჰეიდელბერგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ ფაკულტეტზე 1509 წელს. დოქტორ ფაუსტის, როგორც ლეგენდის პერსონაჟის, დამახასიათებელი თვისებებია ყველაფრის შემეცნების დაუოკებელი სურვილი, ჯადოქრობა და არაჩვეულებრივი ნიჭი. ლეგენდის მთავარი მოტივია ეშმაკთან (მეფისტოფელი, დემონი) დაკავშირება ჰემპარიტების შეცნობის მიზნით.

ლეგენდები ფაუსტზე იქმნებოდა როგორც გმირის სიცოცხლეში, ისე გარდაცვალების შემდეგ. ამ ძეგლში შერწყმულია უძველესი გერმანული ლეგენდა-თქმულებანი ჯადოქრებსა და დემონებზე. მსგავსი სიუჟეტები გავრცელებულია მსოფლიოს მრავალ ხალხში. ფაუსტის ლეგენდას ეხმაურება ქართული თქმულება „ხოგაის მინდია“. ხალხურმა ლეგენდამ მრავალი გერმანელი და უცხო მწერალი შთააგონა. იგივე დაედო საფუძვლად გოეთეს გენიალურ „ფაუსტს“.

ლიტ.: Легенда о докторе Фаусте. Изд. подготовил В. М. Жирмунский, М., 1958.

ჯ. ბარდაველიძე

ფაცეცია — მცირე ზომის, მოკლე სახუმარო, სასაცილო შინაარსის მოთხრობა, ფაბლიო (ნ.), რომელიც უფრო ცხოვრებისეულ ნაკლოვანებებს ასახავს. ფაცეციების პირველი კრებულები გაჩნდა იტალიაში XV ს. და შემდეგ სხვაგანაც გავრცელდა. ლიტერატურული ფაცეცია ხალხური მოსწრებელი სიტყვა-პასუხიდან აღმოცენდა (ნ. ხალხური ფაცეცია).

ა. დონტი

ფეტიშიზმი — რელიგიური თაყვანისცემა ფეტიშებისა. ფეტიში უსულო საგანია, რომელსაც ზებუნებრივ ძალას მიაწერენ. ამის გამო ფეტიში რელიგიური კულტის ობიექტია, მორწმუნეთა თაყვანისცემის საგანი. მე-15 საუკუნის პორტუგალიელი მეზღვაურები ფეტიშს უწოდებენ: ქვის, ხის და თიხის ნივთებს, რომლებსაც დასავლეთ აფრიკის მოსახლეობა წმინდა საგნებად თვლიდა. ტერმინი ფეტიშიც აქედან გავრცელდა. ფეტიშის კულტი თავისებურად ვლინდება: ფეტიშს ტანსაცმლით მოსავენ, ალამაზებენ, საჩუქრებს მიაართმევენ, მსხვერპლს სწირავენ. გვხვდება ფეტიშების წვალების ჩვეულებაც: კერპის ფიგურებს ლურსმნებს არჭობენ, რომ აიძულონ ამა თუ იმ სურვილის შესრულება. ფეტიშიზმი არსებობს მონოთეისტურ რელიგიებშიც (მაგ., ქრისტიანებში: თაყვანისცემა ხატის, ჯვრის...). ქართველი ხალხის უძველეს რელიგიურ წარმოდგენებში ფეტიშიზმის გამოძახილია ავგაროზის, თილისმისა და ე. წ. ქალქვების რწმენა.

ლიტ.: ა. დონანი, ადამიანები, კერპები და ღმერთები, 1969, გვ. 68; ჩიქოვანი, კახეთის 1961 წლის ფოლკლორული ექსპედიცია, „ქართული ფოლკლორი“, I—II, 1964, გვ. 229; С. А. Токарев, Религиозные формы религии и их развитие, Москва, 1964.

ბ. შამანაჟე

ფეხის დაბწნა — ლეჩხუმში გავრცელებული საახალწლო ჩვეულება. თითოეული პიროვნება ახალწლის პირველ სამ დღეს „ფეხს იბწნის“, ე. ი. კეთილად მიჩნეულ ოჯახში მიდის და ბედს დაიხელოდება. მასპინძელი სუფრაზე მიიწვევს, ხელებს ღვინით დააბანინებს და თითებზე მარილს წააყრის. მეკვლეს მსგავსად, წასვლისას მასპინძელი ბამბის ქულას ან ყაპს დაუხელოდება თეთრთან ერთად, ეტყვის: „იმდენ წელს არაფერი გეტკანოს, რამდენი ბეწვიც ამაშია. შოვნაში და ბედნიერებაში გაგეტარებინოს მთელი წელიწადი“.

ლიტ.: ნ. ბრეგაძე, მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, 1969, გვ. 231; მ. ალაფიძე, ლეჩხუმის ზეპირსიტყვიანობა, 1951, გვ. 127.

მ. ჩიქოვანი

ფირალი — სოციალური პროტესტანტი მე-19 ს. მეორე ნახევრისა და მე-20 ს. დასაწყისის საქართველოში. ფირალობის ძირითადი არსი თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ პარტიზანულ გამოსვლებში მდგომარეობდა. ფ. უპირატესად მშრომელთა ინტერესებისათვის მებრძოლი ადამიანია. ცნობილია ფირალად გასვლის მრავალი შემთხვევა; გურიაში — მეხუზლა, დარჩია, შევარდნაძე, დოლიძე, იმერეთში — აფრასიონ მერკვილაძე, აღმოსავლეთ საქართველოში — მიხა ქუჭულაშვილი და ლადო ოზანელი. ფირალთა ვაჟკაცობა და გმირობა მრავალი ხალხური ლექს-სიმღერის წყაროდ იქცა (ნ. ფირალის ეპოსი).

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ფირალის ეპოსი გურიაში, მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის, 1934, გვ. 109; ა. ხინთიბიძე, გურული ფირალები, 1938; ნ. ცქიტიშვილი, ფირალური ეპოსიდან, მაცნე, 1967, № 1.

გ. ქელიძე

ფოლკლორი — ხალხის სიბრძნე, ცოდნა; საერთაშორისოდ გავრცელებული ტერმინი. ხალხური შემოქმედების აღსანიშნავად. მოიცავს სიტყვიერ, მუსიკალურ, ქორეოგრაფიულ, სანახაობრივ-თეატრალური და გამოყენებითი ხელოვნების დარგებს. ფ. იზმარება ფართო და ვიწრო გაგებით. უცხოეთში მასში ბევრ ისეთ მოვლენას აერთიანებენ, რასაც ჩვენში სხვა დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინა სწავლობს, მაგალითად, ეთნოგრაფია (რწმენა, წესჩვეულებები, ტანსაცმელი, საცხოვრებელი ბინა). ამათგან ახლა საგანგებოდ გამოვეყოფთ ხალხურ პოეტურ შემოქმედებას (ნ.), ქართულ ფოლკორს (ნ.).

მ. ჩიქოვანი

ფოლკლორი როგორც ისტორიული წყარო — ზეპირ მეხსიერებას უნარი შესწევს ხანგრძლივი დროის განმავლობაში შემოინახოს ცნობები წარსულის შესახებ, დაიცავს მხატვრული ძეგლები, სიტყვიერი ფორმულები და ასახოს საზოგადოებრივი წარმოდგენები. ყოველივე ეს ძვირფას მასალას წარმოადგენს მკვლევრისათვის განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა საქმე გვაქვს უმწერლობო ხალხებთან ან ისეთ მოვლენებთან, რომელთა გამო დამწერლობას ცნობები არ შემოუნახავს. ზეპირსიტყვიერება, ფოლკლორი

სოციალური ურთიერთობის მდიდარ დახასიათებას იძლევა. ხალხში დაცული ცნობები, მაგალითად, ბატონყმობაზე, რევოლუციურ მოძრაობაზე, სხვადასხვაგვარ თავდასხმებზე და ა. შ. ხშირ შემთხვევაში სწორად ასახავს იმ ვითარებას, რაც წერილობითი დოკუმენტების მიხედვითაც არის დადასტურებული (ასპინძის ომი, არსენას თავგადასვალი, დიკლო-შენაქოს აკლება, ყმების ყიდვა-გაყიდვა, 1905 წელი, სამამულო ომი). ამის გამო ძველი და ახალი დროის სწავლულები ფოლკლორის ისტორიული წყაროს უფლებით მიმართავენ, ცხადია, კრიტიკული ანალიზის საფუძველზე.

ლიტ.: ი. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, I, 1951; პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, III, 1964.

მ. ჩიქოვანი

ფოლკლორისტიკა — ფოლკლორის შემსწავლელი მეცნიერება. იმუშავებს მეთოდებს და პრინციპებს ხალხური შემოქმედების კვლევისათვის, იძლევა განზოგადებულ დასკვნებს ზეპირსიტყვიერების წარმოშობა-განვითარებაზე და ჰქმნის ხალხური შემოქმედების ისტორიას. ფ. არის ზოგადი და კერძო, ისტორიული და აღწერითი. მკიდრო კავშირი აქვს მომიჯნავე მეცნიერებებთან, ამაყარებს რა მათთან საურთიერთო კავშირს (ეთნოგრაფია, ლიტერატურათმცოდნეობა, ლინგვისტიკა, არქეოლოგია, აზროვნების ისტორია და სხვ.). ხალხური ხელოვნების თავისებურებების, სპეციფიკის შესწავლის საშუალებით ირკვევა ინდივიდუალური და კოლექტიური საწყისების ხვედრითი წონა, განვითარების ეტაპები, უანრების ჩამოყალიბებისა და ერთა ფოლკლორული ურთიერთობის რთული პროცესი. პროფესიონალური ხელოვნების სათავეს ხალხური შემოქმედება წარმოადგენს. მხატვრული აზროვნების ეს ორი სახე ურთიერთის გამდიდრებასა და ამალლებას იწვევს. ყველაზე სრულყოფილი, მარადიული სახეები ფოლკლორშია შექმნილი.

წარსულში ხალხური შემოქმედების გაცნობას სხვადასხვა თვალსაზრისით მისდევდნენ. მათ შორის უმთავრესად იყო მხატვრული, რელიგიური და მეცნიერული შესწავლა. მხატვრული შესწავლა მწერლობის შექმნა-განვითარებას უწყობს ხელს და დროის მიხედვით არ არის შეზღუდული: იგი პროფესიული ხელოვნების ჩასახვიდანვე დაფუძნდა და კვლავ ინტენსიურად მიმდინარეობს. ხალხური შემოქმედების რელიგიურმა შესწავლამ ხელი შეუწყო მონისტურ სარწმუნოებათა ძეგლების შექმნას მთელ მსოფლიო-

ში (ბიბლია, ვედები და სხვ.), ხოლო მესამე შემთხვევაში უფრო ფართო პერსპექტივები დაისახა და თვითონ ხალხური შემოქმედების რაობა, წარმოშობა და ფორმირება, საფეხურები და კანონზომიერებანი, შინაგანი სტრუქტურა და პოეტური ენა იქცა დაკვირვების საგნად ყოველგვარ ფორმაში, განსხვავებულ ენობრივ მონაცემებზე დაყრდნობით. ფოლკლორისტიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოს ყველა ხალხის შემოქმედებაა კვლევადიების არეშე მოქცეული, შექმნილია მრავალრიცხოვანი ზოგადი და კერძო თეორიები, რომელთა დახასიათება სპეციალური დისციპლინის — ისტორიოგრაფიის ამოცანას წარმოადგენს.

ფ. მე-18 საუკუნეში იწყებს ჩამოყალიბებას ევროპაში. ხალხური შემოქმედების კერძოდ, მისი სიტყვიერი ნაწილის კვლევას დიდად შეუწყო ხელი ინგლისელი მწერლის ჯ. მაქფერსონის „ოსიანის სიმღერების“ ორტომიანმა გამოცემამ (1765) და სიძველეთა შემკრების ტ. პერსის „ძველი ინგლისური პოეზიის რელიქვიების“ გამოსვლამ (1765). დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე გერმანული მკვლევარის ი. ჰერდერის „ხალხთა ხმები სიმღერებში“-ს გამოჩენას (1778—79). მე-19 საუკუნე დასაწყისში ძმებმა გრიმებმა უფრო გააღრმავეს ფოლკლორის კვლევისა და პუბლიკაციის საქმე, საფუძველი ჩაუყარეს მითოლოგიურ თეორიას (ნ.), რომლის იდეურ საფუძველს გერმანული კლასიკური ფილოსოფია წარმოადგენდა. მითოლოგებმა (გრიმები, ა. კუნი, ვ. შვარცი, ა. პიქტე, მაქს მიულერი, თ. ბუსლაევი, ა. აფანასიევი, ო. მილერი და სხვ.) შექმნეს ხალხური შემოქმედების მითების საფუძველზე წარმოქმნის თეორია. მათი აზრით, ეპოსი მითისა და ისტორიის შეერთების შედეგია. მომდევნო პერიოდში მითოლოგიურ თეორიას თ. ბენფის ნასესხობის, მოხეტიალე სიუჟეტების ანუ მიგრაციული თეორია (ნ.) დაუპირდაპირდა. ეს უკანასკნელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ხალხების ურთიერთ კულტურულ გავლენას. მაგ., ევროპული ზღაპრული სიუჟეტების უმეტესი ნაწილი აღმოსავლეთიდან, ინდოეთიდან შემოტანილად მიაჩნდათ. მალე ნასესხობის პრინციპს თვითჩასახვის პრინციპი ცვლის. ამ შეხედულებებმა დასრულებული სახე ე. ტეილორის ანთროპოლოგიურ თეორიაში (ნ.) ჰპოვეს.

მსგავსი ფოლკლორული მოვლენების წარმოშობას ახლა პოლიგენეზისის საფუძველზე ცდილობენ. სამი ძირითადი მიმართულების დამკვიდრების თუ უარყოფა-კრიტიკის პერიოდში კვლავ ახალი სკოლები და მიმდინარეობები იჩენს თავს „ფინური სკოლის“ (ნ.), „ისტორიული სკოლის“ (ნ.) და სხვ. სახით:

საბჭოთა ფოლკლორისტიკა ახლა საერთაშორისო ფოლკლორისტიკაში ერთ-ერთი მოწინავე მეცნიერებაა. იგი, იდეალისტურ-ბურჟუაზიული თეორიების წინააღმდეგ ხალხური შემოქმედების მატერიალისტურ-დიალექტიკურ ახსნას იძლევა.

სხვადასხვა ხალხი ისტორიულ ასპარეზზე სხვადასხვა დროს გამოდის. კონკრეტული სოციალური პირობების შესაბამისად თითოეული მათგანი გარკვეულ დროს აღწევს კულტურის იმ საფეხურს, როცა თვითონ იწყებს თავისი ზეპირი შემოქმედების ფიქსაციას, გამოყენებას. ამის კვალობაზე ფოლკლორული ჩანაწერების სიძველედ ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში ერთნაირი არ არის. აღმოსავლეთში, მაგალითად, ჩინელებს ხალხური ტექსტები ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჩაუწერიათ. ქართულ ლიტერატურაში ადატირებული ტექსტები 10 საუკუნიდან გვხვდება, ხოლო მე-15 საუკუნიდან უკვე წმინდა ხალხური ჩანაწერებია მოღწეული (ვანის ქვაბების წარწერები). მე-17 საუკუნეში ზღაპრების კრებულის შექმნაც დასტურდება (ბერნარდე ნეპოლელი), ხოლო სისტემატური შემკრებლობითი მოღვაწეობა მე-19 საუკუნის დასაწყისიდან მკვიდრდება და მალე მთელ მოძრაობაში გადაიზრდება. საქართველო ფოლკლორისტულ საქმიანობაში ადრიდანვე ჩაება. XI—XII სს. ბერძნულ მითოლოგიას სწავლობდნენ. ვახტანგ მეექვსემ „ქილილა და დამანას“ წინასიტყვაობაში ყურადღება გაამახვილა ხალხების ზეპირსიტყვიერ ურთიერთობაზე, კონტაქტებზე. მე-19 საუკუნეში 50-იანი წლებში ჩვენში მსკელობენ მითოლოგიური სკოლის ევროპელ წარმომადგენელთა შესახებ, იცნობენ ჰერდერის, გრიმების და სხვათა შეხედულებებს. ფართო მასშტაბის ფოლკლორულ-შემკრებლობასა და საგამომცემლო საქმიანობას მისდევდნენ გრ. ბავრატიონი, პლ. იოსელიანი, დ. ჩუბინაშვილი, თ. ბატონიშვილი, მ. ბროსე, ი. ცისკარიშვილი, რ. ერისთავი, გ. ერისთავი. მომდევნო საფეხური ილ. ჭავჭავაძის და აკ. წერეთლის სახელებთანაა დაკავშირებული, რომლებსაც გვერდში ამოუდგნენ ი. გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, პ. უმიკაშვილი, თ. რაზიკაშვილი, ალ. ყაზბეგი, ალ. ხახანაშვილი, ალ. ცაგარელი, ლ. აღნიაშვილი, ექვთ. თაყაიშვილი და ჩვენი კულტურის სხვა კორიფეები.

ფოლკლორისტიკა საბჭოთა ხელისუფლების დროს უფრო სწრაფად წავიდა წინ. მოკლე ხანში შესაძლებელი გახდა ახალი სამეცნიერო დისციპლინის ფორმირება და შესაბამისი საკვლევადი ეზო უჭრედების შექმნა (სახელმწიფო მუზეუმი, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, უნივერსიტეტი, კონსერვატორია, ბათუმის

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი) და მკვლევართა კადრების მომზადება. ქართული საბჭოთა ფოლკლორისტიკის თეორიული და პრაქტიკული საკითხების დამუშავებაში პირველი ნაბიჯების გადადგმა დაკავშირებულია დ. არაყიშვილის, ვ. კოტეტიშვილის, თ. ბეგიაშვილის, ა. შანიძის, ფ. გოგიჩაიშვილის მოღვაწეობასთან. 30-40 წლებიდან ხალხური შემოქმედების შესწავლა ახალის ძალით ჩაღებოდა რამდენიმე მიმართულებით (მ. ჩიქოვანი, ქს. სიხარულიძე, ელ. ვირსალაძე, და სხვა), მუსიკაში (გრ. ჩხიკვაძე, შ. ასლანიშვილი), ხალხურ თეატრში (დ. ჯანელიძე), ქორეოგრაფიაში (დ. ჯავრიშვილი, ლ. გვარამაძე) და სხვ.

ქართული ფოლკლორისტიკა ფართო პრობლემატიკით ხასიათდება. კვლევა-ძიებასთან შეთანხმებულია სისტემატური ტექსტოლოგიური, საარქივო და საველე-საექსპედიციო მუშაობა. ქართული ხალხური შემოქმედება საერთაშორისო ფოლკლორისტიკის ორბიტაშია მოქცეული. მისი გენეზისისა და განვითარების საკითხებით დაინტერესებული არიან როგორც საბჭოთა, ისე უცხოელი მკვლევრები. რამდენიმე ძირითადი პრობლემა (ეპოსი, ლირიკა, ისტორიული სიტყვიერება, ტრადიცია, საბჭოთა ფოლკლორი) საკავშირო კონფერენციებისა და მსოფლიო კონგრესების მსჯელობის საგანიც იყო უკანასკნელ პერიოდში.

ჩვენში ხალხური შემოქმედება ინტენსიურად ვითარდება, იგივე პროცესი ახასიათებს მის შემსწავლელ მეცნიერებას, ფოლკლორისტიკას.

ლიტ.: ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, I—III, 1959—71; მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, 1946; მისივე, ქართული ფოლკლორისტიკა ოქტომბრის რევოლუციის 50-წლისთავზე. „ქართული საბჭოთა მწერლობის საკითხები“, 1967; ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური სიტყვიერების ქრესტომათია, ე, 1956; ელ. ვირსალაძე, ფოლკლორის სპეციფიკის პრობლემა, ლიტ. ძიებანი, IX, 1955; გ. კალანდაძე, ქართული ხალხური ბალადა, 1957. II. Коккьяра, История фольклористики в Европе, 1960.

მ. ჩიქოვანი

„ფოლკლორული კანონები“ — ვარიანტების შექმნისა და გავრცელების მთავარი პრინციპები, რომლებიც შეიმუშავა „ფინურმა სკოლამ“ (ნ.). ესაა: დავიწყებისა და გაფართოების კანონები; პირველი იწვევს ფაბულის დაკნინებას, მოტივებისა და ეპიზოდების შეკვეცასა და გადაადგილებას, ხოლო მეორე — ფაბულის გავრცელებას, შესაფერი მოტივებითა და ეპიზოდებით გამდიდრებას; გადასხვაფერების კანონი, რომელიც შეიცავს სხვადასხვა ქვეკანონს.

როგორცაა, მაგალითად, თანაბარ სიდიდეთა შენაცვლების კანონი და კონტრასტული შეცვლის კანონი. ფოლკლორული ნაწარმოების საბოლოო ფორმის ჩამოყალიბებასა და მის შენარჩუნებას არე-
ცულირებს თვითგასწორების კანონი.

„ფინური სკოლის“ მიერ შემუშავებული ეს კანონები ემყარება ამ სკოლის დამაარსებელთა კვლევის მეთოდს, რომელიც ისტორიულ-გეოგრაფიული მეთოდის (ნ.) სახელწოდებითაა ცნობილი.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, 1946; Ю. Соколов, Русский фольклор, 1938.

ჯ. ბარდაველიძე

ფოლკლორული ჟანრების კლასიფიკაცია — ფოლკლორის აღმოცენების ადრეულ საფეხურებზე, ე. წ. ხელოვნების სინკრეტიზმის (ნ.) ხანაში ჟანრობრივი დიფერენციაცია არ არსებობდა. განვითარების შემდგომ ეტაპზე ფოლკლორში თანდათან გამოიკვეთა ეპიკური (ნ.), დრამატული (ნ.), ლირო-ეპიკური (ნ.) და ლირიკული (ნ.) ჟანრები. ამასთან ერთად, ზეპირსიტყვიერების თავისებურებამ ფოლკლორისტიკაში წარმოშვა აუცილებლობა თემატური ჟანრების დაკანონებისა. აქედან გამომდინარე, თანამედროვე მეცნიერება ჟანრის მნიშვნელობას ანიჭებს ისეთ თემატურ ჯგუფებს, როგორცაა: მითოლოგიური (ნ.), საწესჩვეულებო (ნ.), შრომის (ნ.), საგმირო (ნ.), საისტორიო (ნ.), სამონადირეო (ნ.), სატრფიალო (ნ.), საყოფაცხოვრებო ლექსები (ნ.).

ჯ. ბარდაველიძე

ფოლკლორული რეპერტუარი — მხატვრულ ნიმუშთა მარაგი, რომელიც მთქმელს გააჩნია. პროფესიული მთქმელები წმინდა ფოლკლორული ტექსტების პარალელურად ასრულებენ ინდივიდუალური შემოქმედების ნიმუშებსაც. რეპერტუარის დამუშავება ისტორიული პროცესის შედეგია. რეპერტუარის აღრიცხვა და სრული ჩაწერა შემკრების ძირითადი ამოცანაა. ი. გოგებაშვილი შემკრებთა საყურადღებოდ აცხადებდა, რომ საჭიროა იმის ცოდნა თუ სად მოვნახოთ ჩვენთვის საინტერესო ხალხური მასალა: „უკეთესი იქნება, დამწერმა სახალხო ლექსების, ზღაპრების და სხვა თქმულების მცოდნე მოსძებნოს სოფლის ენამეტყველ კაცებში, მწყემსებში, მესტვირეებში და მეფან-

დურეებში. ამათში უფრო მდიდარი მასალა მოიპოვება. აგრეთვე ხალიან საჭიროა ვიცოდეთ, რომ ბევრი სიტყვიერი ნაწარმოები, მეტადრე ზღაპრები, შელოცვა, ძველებური ლექსები, ლეგენდები დედაკაცებმა უფრო უკეთესად იციან“. გემოვნებისდა მიხედვით, ზოგი მთქმელის რეპერტუარში ეპიკური ჟანრი ჭარბობს, ზოგისაში — ლირიკა და ა. შ. ისტორიულად ფ. რ. იცვლებოდა, თანამედროვეობის ამსახველი ნაწარმოებები მასში ყოველთვის მნიშვნელოვან ადგილს იჭერდა.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 144—145.

გ ბარნოვი

ფოლკლორული ხალამოები — ზეპირსიტყვიერი ნაწარმოებების შესრულება-გავრცელების ტრადიციული გარემო. საქართველოში ოდითგანვე არსებობდა ჩვეულება, მხატვრული სიტყვის გავრცელება-განმტკიცების მიზნით, ზეპირ ნაწარმოებთა მოსასმენად მოეწყოთ შეჯიბრი მელექსეობაში, ზღაპრის თხრობასა და მახვილსიტყვიერებაში. ასეთ შეკრება-შეჯიბრებებს სამეცნიერო ლიტერატურაში ფოლკლორული ხალამოები ეწოდება. ფ. ს. უმთავრესად ზამრთის გრძელ დამეებში ეწყობოდა. თავს მოიყრიდნენ ქალები და კაცები, მეტწილად ქალები, მოიტანდნენ ხელსაქმეს და შეუდგებოდნენ ზოგი ჩიჩვას, ზოგიც რთვას, ქსოვას, და ა. შ. მამაკაცები კი ზღაპრების თხრობას მიჰყოფდნენ ხელს. სანამ მეზღაპრე დაიწყებდა, ერთი ვინმე გაიხუმრებდა:

ქალას ჩიტი მომკვდარიყო,
მალა შავდე; გამხმარიყო,
ჩამოვიდე, დამბალიყო,
დიდ ქვაბში არ ეტეოლა,
პატარაში სულ არ იყო!

ამის შემდეგ მიყოლებით, ყველა შეასრულებდა რაიმე ხალხურ ნაწარმოებს. ფ. ს. გავრცელებული იყო მწყემსთა შორისაც, ველზე, საძოვრებზე. იცოდნენ კარგი მთქმელ-შემსრულებლის, მეზღაპრის წაქეზება სირისკუდათი (ნ.) — ხილით, საჩუქრით. ფ. ს. ში ქალებიც აქტიურად მონაწილეობდნენ, ზღაპარს ცვლიდა ლექსი, ჩონგურზე დაკვრა, თამაშობანი. სალამო-შეკრების დამთავრებისას ერთი დაიძახებდა: „ელასა, მელასა, მთქმელსა და გამგონებელსა, ძილი გაამოს ყველასა“ და დაიშლებოდნენ. ფ. ს. დიდი რო-

ლი შეასრულა მხატვრულ ქმნილებათა გადარჩენის, სრულყოფის. გავრცელების დარგში. იგი ხელს უწყობდა ესთეტიკურ აღზრდას და საფუძველს უმზადებდა ლიტერატურული საღამოების ტრადიციას.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ზღაპრის თქმის ჩვეულება საქართველოში. ქართული ხალხური ზღაპრები, I, 1938, გვ. XIX; მისივე, პოეტური ტექსტი და მისი შესრულება, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 37.

გ. პელიძე

ფორმულა — მუდმივი გამოთქმა, რომელიც გამოიყენება ეპოსში სტრუქტურული და სტილური მიზნით. ტრადიციული კლიშე-ფორმულები მასიურად გვხვდება ზღაპრებში დასაწყისის თუ დასასრულის, გმირთა შეხვედრებისა თუ მოიწარმების გადმოსაცემად (იყო და არა იყო რა; იარა, იარა; ცოტა იარა თუ ბევრი იარა; ადამის სული მომდის; გზაზე სამი ქვა იყო და სხვ.).

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური ზღაპრები, I, შესავალი. 1938, მისივე, მე-17 ს-ში ჩაწერილი ზღაპრები, მრავალთავი. 1. 1964, შენიშვნები.

მ. ჩიქოვანი

ფრეზერი, ჯეიმს ჯორჯ (1854—1941) — ინგლისელი მეცნიერი, რელიგიის ისტორიის მკვლევარი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მაგიას. ფართოდაა ცნობილი მისი გამოკვლევები „ოქროს ტოტი“ (1890), „ტოტემიზმი და ექზოგამია“ (1910) და „ფოლკლორი ძველ აღთქმაში“ (1919). მიმდევარი იყო პოზიტივისტური და აგნოსტიკური ფილოსოფიისა.

ფრინველთა ენის ცოდნა — გავრცელებული ფოლკორული მოტივი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბრძენი გმირის ჩამოყალიბებაში. ფ. ენის გაგებას ადამიანი სხვადასხვა გზით აღწევს. მიზეზი — გველის ხორცის შეჭმა, ნახარშის, ქონის ან სისხლის მიღება, ენაზე ენის შეხება, ფურთხი ან სხვა ჯადოსნური საგანი (პურის მარცვლები). ფ. ენის მცოდნე ამავე დროს ბუნების მესაიდუმლეა, იცის რა რის წამალია. ესმის მცენარეთა და ცხოველთა საუბარი. ამით თავს აღწევს გასაჭირს, ხდება სახელგანთქმული მკურნალი (მინდია, ჯანაოზი, ლოხმანი). ეს მოტივი უდევს საფუძვლად ვაჟა-ფშაველას ფილოსოფიურ პოემას „გველის მკამელს“.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია, 1956; მისივე, ვაჟა-ფშაველას ეპიკური შემოქმედების წყაროები, ლიტ. ძიებანი, XV, 1963; ა. გაჩეჩი-9. ქართული ფოლკლორი V

ლამე. გადმოცემა „ხოგაის მინდიაზე“, 1959; ე. არაქვეანიძე, ანოტირებული ბიბლიოგრაფია, 1965, გვ. 64; ა. როდოსელი, არგონავტიკა, ა. გელოვანის თარგმანი. მნათობი, № 10, 1972, გვ. 90.

მ. ჩიქოვანი

ფუნქცია ხალხური ნაწარმოებისა — ხალხური ტექსტების უმრავლესობას თავდაპირველად სარწმუნოებრივი ფუნქცია გააჩნდა. შემსრულებლები (მლოცველები, ქადაგები, შამანები, ჯადოსნები) სარწმუნოებრივი მოსაზრებებით სიტყვებს განგებ აბუნდოვნებდნენ და ტექსტს ხმადაბლა წარმოთქვამდნენ, რომ სხვებს ვერ გაეგოთ. განსაკუთრებით საგრძნობია სარწმუნოებრივი ფუნქცია შელოცვებში (ნ.) და საწესჩვეულებო პოეზიაში (ნ.). სარწმუნოებრივი ფუნქცია უდევს საფუძვლად იმ გარემოებას, რომ დღისით მიუღებელი იყო ზღაპრის თქმა და სხვ. ძველი რწმენების გაქრობასთან ერთად ფოლკლორულმა ეანრებმა შემდგომში თანდათან დაკარგეს სარწმუნოებრივი ტუნქცია. ამჟამად მათ, ძირითადად, მხატვრული და შემეცნებითი ფუნქცია გააჩნიათ.

ჯ. ბარდაველიძე

ფუნქციური შენაცვლება — ფუნქცია ზღაპრული გმირის ისეთი მოქმედებაა, რომელიც ხელს უწყობს სიუჟეტის განვითარებას. ჯადოსნურ ზღაპრებში შემჩნეულია ფუნქციათა სიმყარე, მუდმივობა, — ცვალებადია შემსრულებელი, პერსონაჟი. ერთი და იგივე ფუნქცია, მოვალეობა შეიძლება სხვადასხვა პერსონაჟმა იკისროს: მაგ., ქვესკნელიდან ხელმწიფის შვილი ამოყავს არწივს, ფასკუნჯს, ჩიტს და სხვ. ფუნქციების რაოდენობა განსაზღვრულია, შემსრულებლისა კი არა. ამიტომ მოქმედებათა ერთნაირობისდა მიუხედავად ზღაპრებს განსაცვიფრებელი მრავალფეროვნება ახასიათებს.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური ზღაპრები, I, წინასიტყვაობა, 1938; В. Я. Пропп, Морфология сказки, 1969.

მ. ჩიქოვანი

ფურცელაძე ანტონ (1839—1931) — მწერალი, ზეპირსიტყვიერი ნიმუშების შემკრები. ფოლკლორულ წყაროებს ემყარება მისი თხზულებები „მაცი ხვითა“, „ქიტესა“, „მართა“, „შოთა ღაზნელი“ და სხვ. ფ. ეკუთვნის ცნობები „არსენას ლექსის“ (ნ.) ერთ-ერთი მთქმელის — გიორგი ქებაძის — ვინაობაზე.

ლიტ.: გაზ. „დროება“, 1867, № 34; ანტონ ფურცელაძე, რჩეული, ს. კილიას წინასიტყვაობით, 1960; ვ. სიღამონიძე, „კინ არის „არსენას ლექსის“ ავტორი?“, ეურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1967, გვ. 69.

ბ. კელაძე

„ფშაველი დედაკაცის მდგომარეობა და იდეალი ფშაური პოეზიის გამოსატყულებით“ — ვაჟა-ფშაველას ცნობილი ეთნოგრაფიულ ფოლკლორული წერილი (1889), სადაც საუბარია ქალის როლზე საზოგადოებაში, კერძოდ ფშავეში. ავტორი ეხება წაწლობის ჩვეულებას და მასთან დაკავშირებულ ლექს-სიმღერებს. ფშაური ხალხური პოეზიის მიხედვით ვაჟა გვიჩვენებს ვაჟკაცისა და დედაკაცის მორალურ სახეს. წერილი საინტერესოა იმიტომაც, რომ მასში უხვადაა გამოყენებული ფშაური პოეზიის შესანიშნავი ნიმუშები, რომელთა პირველ ფიქსატორად უმეტეს შემთხვევაში თვით ვაჟა კველინება.

გ. ბარნოვი

„ფშავ-ხევსურული პოეზია“ — ფშავ-ხევსურული პოეზიის კრებული, შედგენილი ივანე ხორნაულის მიერ. ახლავს შემდგენლის წინათქმა და შენიშვნები, ქს. სიხარულიძის წინასიტყვაობითა და რედაქციით, გამოცემული თბილისში 1949 წელს. კრებული შედგება შემდეგი თავებისაგან: 1. ფშავ-ხევსურული საბჭოთა პოეზია, 2. საისტორიო და საგმირო ლექსები, 3. ლექსები ნადირობასა და მწყემსობაზე, საყოფაცხოვრებო ლექსები, 4. ძველი ომი და სალდათობა, 5. სატრფიალო ლექსები და შაირები, 6. ლექსები წუთისოფელსა და სიკედილზე, 7. გალექსებანი, 8. ნარევი.

წიგნში შეტანილია როგორც ფშავ-ხევსურეთის ადგილობრივ მკვიდრთა, აგრეთვე ბარის რაიონებში გადმოსახლებულ ფშავ-ხევსურთა ნაწარმოებები. ბარის რაიონებში შექმნილი ფშავ-ხევსურული პოეზია ადგილობრივ ყოფით მოტივთა და დიალექტთა გავლენით ხასიათდება.

დ. გოგოჭური

ჟ

ქადაგი — კულტმსახური, რომელიც ღვთაების ნება-სურვილს აუწყებს ხალხს, მისი პირით ლაპარაკობს, ქადაგთა ინსტიტუტი დასტურდება საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. მთაში ქადაგობას მხოლოდ მამაკაცები მისდევენ, ბარში კი ორივე სქესის ქადაგს

ვხვდებით. ქადაგობა ხდება რელიგიური დღესასწაულების დროს ხატ-სალოცავებში.

ლიტ.: მ. ჩიქვანი, ქართ. ხალხ. სიტყ. ისტორია, 1956, გვ. 261; თ. ოჩიაური, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, 1954, გვ. 4.

დ. გოგოჭური

ქალუნდაური მამუკა — ხევსურთა ტომობრივი გმირი. ლექსებსა და თქმულებებში დახატულია უებრო ვაჟკაცად. ზურაბ ერისთავის წინააღმდეგ ბრძოლაში ისახელა თავი განსაკუთრებით. შეტაკება მოხდა ბეგენ-გორს, სოფელ გუდანის ახლოს. მამუკამ თორმეტი კაცი მოკლა, თანამებრძოლნი პირადი მაგალითებით აღაფრთოვანა და მომხდურთა დამარცხებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა. მის სახელს მითიური მოტივებიც უკავშირდება.

ლიტ.: ნ. ხიზანიშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, 1940, გვ. 134; ავ. შანიძე, ხევსურული პოეზია, 1931, გვ. 11; ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, 1949, გვ. 157. ხალხური სიბრძნე, III, 1965, გვ. 142.

ნ. შამანძე

ქალქევი — მეგალითური კულტურის ძეგლები, რომლებთანაც ლეგენდა-გადმოცემები და გარკვეული კულტი არის დაკავშირებული. ასეთია, მაგ., ქალქვა ყვარლის ახლოს და „მამიდაის ქვა“ მანგლისის მთაზე. მათ ქალის ფორმა აქვთ და ამინდის მართვის მაგიური ფუნქცია ჰქონდათ დაკისრებული. გადმოცემით ისინი გაქვავებულ ქალებს წარმოადგენენ. რელიგიური ხასიათის ლეგენდა უძველეს საფუძვლად „ქალქვას“ ს. გურჯაანში. აქაც ქალის გაქვავების ამბავია გადმოცემული:

... მობრუნდა, იქვე გაქვავდა,
ჭერაც მოღის დანაშრეტი.

ლიტ.: ლ. მელიქსეთ-ბეგი, მეგალითური კულტურა საქართველოში, თბ., 1938, გვ. 13—17—20, 109—113; ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბ., 1961, გვ. 335; ხალხური სიბრძნე, ტ. III, 1965, გვ. 209—210.

გ. შეთეაკური

„ქართლის ცხოვრება“ — საისტორიო თხზულებების გრანდიოზული კრებული, რომელიც მოგვითხრობს ქართველი ერის თავგადასავალს დასაწყისიდან მე-18 საუკუნემდე. კრებული თანდა-

თან ყალიბდებოდა, მასში შესულია ლეონტი მროველის, ჭუანჭერის, ბასილი ეზოსმოძღვრის და სხვათა ნაშრომები. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ქ. ც.-ში ქრისტიანობამდელი თხზულებებიცაა შეტანილი თუ გამოყენებული. ქ. ც-ბის ავტორებსა და რედაქტორებს სხვადასხვა წყარო გამოუყენებიათ როგორც ადგილობრივი ქართული, ისე უცხოური. წყაროთა შორის ზეპირსიტყვიერებაცაა მოშველიებული — გადმოცემების, მითების, ლეგენდების, თქმულებების, ანდაზების, ტრადიციული ჩვეულებების სახით. ასეთია, მაგალითად, ფარნავაზის სიზმარი და განძის პოვნა, მზის დაბნელების ამბავი, ფარსმან ქველის გლოვა, თამარის ქორწილი, ტექსტში ჩართული ანონიმური ლექსები და ანდაზები, საგმირო ეპოსის რემინისცენციები. ფოლკლორისტული თვალსაზრისით ძველი ჯერჯერობით ნაკლებ შესწავლილია.

ლიტ.: ქართლის ცხოვრება, I, II, IV, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1955—73; ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945; მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვ. ისტორია, 1956; მისივე, მიჯაჭვული ამირანი, 1947.
მ. ჩიქოვანი

„ქართლური ზღაპრები“ — შემოკლებული სახელწოდება 1909 წელს გამოცემული კრებულისა: „ხალხური ზღაპრები, ქართლში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ. ტფილისი“. დაბეჭდილია 107 ტექსტი. ენარობრივად შეიცავს საგმირო, ჯადოსნურ, ნოველისტურ, ცხოველთა ზღაპრების ნამდვილ ხალხურ ნიმუშებს. ძირითადად მასალა შეკრებილია მე-19 საუკ. 90-იან წლებში გორის მახლობლად (ქიწნისი, ხელთუბანი, სვენეთი). მთქმელ-ინფორმატორთა შორის გამოირჩევიან სოლომონ გულიშვილი, გიგია, ილა და კოლა გაგნიძეები, მიტრა ქავთარაძე, სარდიონ, სონა და არტემ ფალელაშვილები, მიხეილ იაშვილი, ფილო ბეჟანიშვილი, ისაკ ილარიონი, სოფიო და შაქრო დათუნაშვილები. ყველაზე სრულად სოფ. ხელთუბნის რეპერტუარია წარმოდგენილი. „ქართლური ზღაპრები“ 1952 წ. ხელახლა გამოიცა (საბლიტგამი), თუმცა არასრული მოცულობით, კახური და ფშაური ზღაპრების მსგავსად (1951). ქ. ზ. შესულია ბევრი უნიკალური სიუჟეტი, რომელთა შესწავლას ზოგად-თეორიული მნიშვნელობა აქვს (მიწა თავისას მოითხოვს). კრებულიდან შერჩეული ნაწარმოებები თარგმნილია რუსულ, გერმანულ, ჩეხურ, ბულგარულ, ინგლისურ და სხვ. ენებზე. ამ კრებულის შექმნით თ. რაზიკაშვილმა დიდი ღვაწლი დასდო ქართულ ფოლკლორისტიკას, მეცნიერებას და კულტურას.

ქართული მითოლოგია — ზეპირგადმოცემათა სისტემა, რომელიც დამკვიდრებულია ქართულ ფოლკლორში და გვაცნობს სამყაროს შექმნას, ღვთაებათა ცხოვრებასა და თავგადასავალს. მითოლოგია უძველეს წარმოდგენებსა და სიტყვიერებას ემყარება. იგი ბუნების ძალებისა და საზოგადოებრივი მოვლენების ფანტასტიკური ასახვაა, განსაკუთრებით იმ პერიოდში, როცა ადამიანს არ ძაძალუძს სინამდვილის მეცნიერული ახსნა. ქართველებს, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთ უძველეს ხალხს, თავისი არსებობის 5—6 ათასი წლის მანძილზე მითოლოგიურ გადმოცემათა დიდი მარაგი შეუქმნია. ქ. მ. თავს იჩენს ზეპირსიტყვიერებასა და მუსიკაში, ხელოვნებასა და ლიტერატურაში, რელიგიასა და რწმენაში, ყოფაცხოვრებაში. გამოვლინების ნაირ-ნაირი ფორმებისდა მიუხედავად, მითოლოგია ხელშესახებად უფრო მაინც ფოლკლორსა და რელიგიაში ჩანს. სწორედ აქ არის თავმოყრილი მხატვრულ ფორმაში ჩამოქნილი მცირე თუ ვრცელი მოთხრობები, მაგიური ფორმულები, საგალობლები საზოგადოებრივ და ბუნებრივ ძალთა ურთიერთობაზე.

ადამიანი არსებობის პირველ საფეხურიდანვე ცდილობდა ბუნების საიდუმლოებათა შეცნობას, აქტიურად მოქმედებდა გარემოზე და, თუმცა ნელა, მაგრამ მაინც მტკიცედ ავრცელებდა თავის ზეგავლენას სამყაროზე, წარმართავდა თავისთავსაც და ირგვლივ გარემოსაც. ამ ხანგრძლივ კვიდილში წამოიქმნა ის ფანტასტიკური, სინამდვილესთან ძველად შესათავსებელი წარმოდგენები და მისი ამსახველი გადმოცემები, ქართველ კაცს რომ შეუქმნია ეროვნული მითოლოგიის სახით. ყოველგვარი მითოლოგია ღვთაებათა სასუფეველს გვიხასიათებს. თვით წარმოდგენებიც იცვლებოდა ღვთაებათა შესახებ, რთულდებოდა, დაბალიდან მაღალ საფეხურზე აღიოდა. ეს გზა პოლითეიზმიდან მონოთეიზმისაკენ მიემართებამრავალმერთიანობა ბრძოლით უთმობს ადგილს ერთმერთიანობას, უკანასკნელი კი მონისტურ რელიგიებში კპოვებს განსახიერებას. ჩვენში ეს პროცესი ქრისტიანობითა და წარმართობით არის წარმოდგენილი. ქრისტიანულმა სარწმუნოებამ თვითონ შექმნა მისთვის შესაფერისი მითოლოგიური იერარქია, რომელიც ორივე ფე-

ხებით ემყარება ადრინდელ მითოლოგიას, დარგობრივი საფეხურით წარმოდგენილს. დარგობრივი მითოლოგია ქართლის მოქცევის წინა პერიოდია. ამ სტადიაზე ადამიანურ ყოფას თუ სტიქიურ მოვლენათა კომპლექსს დარგობრივად თავისი გამგებელი, მწყემსი, ბატონი, მფარველი გააჩნია და ის არის შესაფერისი სფეროს ბატონ-პატრონი, სრულყოფილებიანი გამრიგე. სინათლის მიმნიჭებელი და ქვეყნის ამლორძინებელი მზე-ღმერთია. მას სიყვარულის უმაღლესი გრძნობაც ახასიათებს და შეუძლია ურჩი დასაჯოს, შური იძიოს. მთვარე მამა-ღმერთია, ვისაც მზესთან ერთად, ტახტი ცაში უდგას და უმშვენიერეს ასულებს ზრდის. ამქვეყნიურ საქმეებსაც გამგებლები ჰყავს. ნადირობის ხელობას „ნადირთმწყემსი“, ოქროსნაწნავეებიანი დალი აწესრიგებს; ფრინველებისა და თევზების მეუფეთ აფსათი ითვლება, სამართლიანობა და კანონიერება კვირიას ეკითხება; ომიანობას, ხევსურთა შეხედულებით, გუდანის ხატი ბერი ბაადური განაგებს; ცა-ღრუბლების პატრონობა პირიმზეს ანდა ელიას ევალება. ყოველ ადგილს თავისი დედა ჰყავს. ასევე არსებობენ კლდეთა, ტყეთა, ყვავილთა, სახლთა გამგებელნი. ისინი ადამიანებს ეხმარებიან და მხარში უდგებიან საჭიროებისამებრ. კეთილ ძალთა საპირისპიროთ ავი სულები გვეცხადებიან მაცილების, როკაპების, ეშმაკების, დევეებისა და სხვათა სახელით. ღვთაებათა და ზებუნებრივ ძალთა მოქმედება ყოველთვის ადამიანისას წააგავს. ზეციური პანთეონი ამქვეყნიურ სინამდვილესთანაა შეხამებული და როგორც მიზეზი შედეგს ისე განსაზღვრავს.

უძველესი ქართული მხატვრული ძეგლები ადაპტირებული სახით წარმოგვიდგენენ იმ მითებს. რომლებიც ხალხში ტრიალებდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ამირანის მიერ გველ-ეშაპის გვერდის გამოჭრა მზის გაათავისუფლების საშუალებად დასახული. დაბნელებული, შთანთქმული მნათობი ადვილად სწვავს ამირანის ჩელტს და კვლავ ქვეყანას ევლინება მანათებლად. ასევე, მირიან მეფემ ქრისტიანობის მიღება მის შემდეგ გადაწყვიტა, რაც გაუჩინარებული მზის გადარჩენა ნინო კაპადოკიელის სალოცავის დახმარებით მოახერხა ნადირობის ქაშს და ა. შ. მზის დაბნელების მითი რუსთაველის პოემაშიც არის ასახული, ხოლო მე-10 საუკუნელოვნების ძეგლებზე რელიეფური გამოხატულება გვაქვს (ფავნისის ეკლესია). მითოლოგიური წარმოდგენით, ღვთაება ყოველთვის ერევა ადამიანის პირად ცხოვრებაში. მეკობრეობაზე გადაგებული მთიელები ურთიერთ დალაშქვრას ხატ-სალოცავთა რჩევითა და მონაწილეობით ახდენდნენ. გუდანის ხატის ქადაგი წინას-

წარ სკვრეტდა, რა შედეგი მოჰყვებოდა ხევსურთა გალაშქრებას. ხატი ღვთაებრივ სანქციას იძლეოდა ყოველთვის, საგანგებოდ გამორჩეული ქადაგის პირით, ბერძენი დელფოსელი ორაკულების მსგავსად.

ქადაგობს გაიდაური: ბრძანებს გუდანის ჯვარიო;

საათენენოდ განიძღვან სამის ბატონის ყმანიო.

სამი ააბან დროშიაი, სამსავ შააბან ზარიო;

ქვესურებ დაამწყალობნან, უკულმ არ გახყვას ჯვარიო;

გაბეგრონ არხოტიენები, კვამლზე აილონ ცხვარიო.

ანდა

...ახიელის ძირ ჩავიდათ, ვატროთ ქალი, ზალიო.

იქ უნდა დავზღვათ ბეგარი, კვამლად თითოი ცხვარიო.

ფშავ-ხევსურულ-თუშურ პოეზიაში ღვთის ნასახნი ბერი ბადური, თერგვაული, კოპალა, იახსარი, ლაშარი, პირქეში, ხახმატის გიორგი, თამარის ჯვარი თავგანწირვით ებრძვიან მოძალადეებს, დევებსა და ქაჯებს. ისინი თვალცრემლიანი ელჩობენ მორიგის წინაშე, პიროფლიიანნი მხარში უდგებიან თავიანთ მახვეწართ ჭირსა და ლხინში, მაშინაც კი, როცა ხან არ არს გამოჩენისა.

ქართულ მითოლოგიას მეტად შორეული ძირები ასაზრდოებს. მასში გამოხატულებას პოულობს ტოტემიზმი და ანიმიზმი, სიტყვისა და მოქმედების მაგია, საყულტო ღრამა.

ლიტ.: ა. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1951; ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, 1939, თ. თიანეთი, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს შიდაეთში, 1967; მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, I, 1959; მისივე, ხალხური პოეზია და მითოლოგია (ქართ. ხალხური პოეზია, 1); მისივე, ბერძნულ-ქართული მითოლოგიის საკითხები, 1971; В. Бардавелидзе, „Греческие и не религиозные верования“, 1957.

მ. ჩიქოვანი

ქართული ფოლკლორი — მრავალფეროვანი სიტყვიერი, მუსიკალური, ქორეოგრაფიული, გამომსახველობითი, საყოფიერო და რელიგიური წინაარსის ნაწარმოებთა დიდძალი მარაგი, რომელიც ქართველ ტომებს შეუქმნიათ ათასეული წლების მანძილზე და შემოუნახავთ ზეპირი ტრადიციების მეოხებით. აღრინდელი სინკრეტიზმის პერიოდიდან მოყოლებული ეს ძვირფასი კულტურა სამეურნეო-მატერიალური ცხოვრების შესაბამისად ზოგჯერ ნელი, ზოგჯერაც ნახტომების გზით ვითარდებოდა, აღწევდა მხატვრული სრულყოფის მაღალ ესთეტიკურ საფეხურს და ეროვნულ საუნჯედ

ლაგდებოდა. ქ. ფ-ის თითოეულ განაყოფს მისთვის დამახასიათებელი ნიშნეულობანი და სიმდიდრე გააჩნია. ვერ ვიტყვით, რომ ამჟამად ისინი ისე იყვნენ შესწავლილი, როგორც ამას მათი ისტორიული როლი და მნიშვნელობა მოითხოვს. ქ. ფ. შეუდარებლად ხანგრძლივი წარსულის მქონეა, მისი მეცნიერული გამოკვლევა კი საუკუნენახევარსაც არ ითვლის. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მალალ დონეს მიაღწია შემკრებლობითმა ფოლკლორისტიკამ. ყველა უბანზე შეგროვდა დიდძალი ფაქტიური მასალა, რომლის დამუშავება და პუბლიკაცია თანამედროვე მეთოდებითა და საშუალებებით წარმოებს. კლასიფიცირებული და გამოქვეყნებულია ათეულობით ტომი უნიკალური ტექსტების და ნოტებისა, სანახაობრივი და გამოსახველობითი ხელოვნების ფაქტებისა. საიმედოდ დოკუმენტირებული ძეგლების შესასწავლად ფართო კვლევა-ძიებაა გაჩაღებული, რომ სრულყოფილად იქნეს წარმოდგენილი ხალხის სულიერი მოძრაობა და მომავალ თაობათა ღირსსახსოვარი საუნჯე.

ქ. ფ.-ის სიტყვიერი ნაწილი მაშინვე იწყებს ფორმირებას, როგორც კი ქართული სამეტყველო ენა ჩნდება და მკვიდრდება. ენის გარეშე სიტყვიერ ფოლკლორს არსებობა საზოგადოდ არ შეუძლია და ამ კანონს არც ჩვენი ისტორიის უუშორეს საფეხურზე ჰქონია გამოცალი. პირველი ნაბიჯები ამგვარი სიტყვათშემოქმედების და მხატვრული ქმნადობისა უცვლელი სახით მოღწეული არ არის. ამისდა მიუხედავად ჩვენ ზოგადად მაინც შეგვიძლია ვილაპარაკოთ მონადირეობის, მესაქონლეობის თუ მიწათმოქმედების აღრინდელი ეტაპების თანმხლებ ზეპირსიტყვიერებაზე, უმარტივეს მაგიურ თუ მითოლოგიურ წარმოდგენებზე, რომლებიც შემუშავებულ იქნა ბუნებისა და საზოგადოებრივი მოვლენების შესახებ. მზე და მთვარე, ვარსკვლავები, მაშინდელი გაგებით, ადამიანივით სულიერი არსებებია. ნათესაობა აქვთ ადამიანებთან, ხოლო უკანასკნელთაგან განსხვავებით ცაში ცხოვრობენ და ყოვლის შემძლენი არიან. ცხოველთა და მცენარეთა სამყარო ადამიანთა მიმართ ხან კეთილად განეწყობა, ხან კიდევ ბოროტ სახეს იღებს და მის დაღუპვას ლამობს. სიტყვიერი მაგია, ტაბუ და ფეტიშიზმი — ამგვარი ურთიერთობის ანარეკლია და ქართველთა ყოფას იმთავითვე თან სდევდა. ზესკნელ-ქვესკნელ-გარესკნელის დანახვა და დიფერენცირება სიტყვიერი შემოქმედების უძველესი ფენებიდან მომდინარეობს. წარმოდგენების ამგვარი კომპლქსი თანდათან საფუძვლად დაედო სიტყვიერი ხელოვნების სხვადასხვა ენარს.

ხელოვნების უადრესი სინკრეტიზმიდან სიტყვა, მუსიკა, მოქმედება და სანახაობა თითქმის ერთსა და იმავე პერიოდში გამოიყო და საკუთარი გზით იწყო სვლა მეტ-ნაკლები წარმატებებითა და დამოუკიდებლობით.

სიტყვა-აზრი, სიტყვა-საქმე, სიტყვა-მხატვრობა განუყრელ კომპლექსებად გვევლინებიან ადამიანთა თანამშრომლობის მთელ მანძილზე და განვითარების რთულ გზას გადიან. ძნელია იმის თქმა, თუ როდის გაფორმდა ზუსტად ზეპირსიტყვიერების ესა თუ ის ქანრი, მაგრამ დაბეჭივებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ქართულ ფოლკლორში ეპოსი, ლირიკა და დრამა მეტად შორეულ წარსულში ჩაისახა და ინტენსიური განვითარება იწყო საზოგადოებრივ ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში.

ლიტერატურულ საფუძვრს ქართულმა ცივილიზაციამ გვიან მიაღწია: მანამდე მას არსებობის ორჯერ მეტი ხანგრძლივობა ჰქონდა, ვიდრე დამწერლობის შემოღების შემდეგაა განვლილი. სულ მცირე ქართველთა ისტორიის ორი მესამედი უმწერლობის ხანაზე მოდის. ცხადია, ადრინდელი ისტორიის ამ დიდ მანძილზე ჩვენს ხალხს მხატვრული სიტყვიერების გარეშე არ შეეძლო ყოფნა. არათუ არ შეეძლო, მისთვის ეს აუცილებელიც იყო, როგორც სამეურნეო და სულიერი ცხოვრების მიღწევათა დაგროვების, გავრცელების და მემკვიდრეობით გადაცემის ძირითადი საშუალება. სწორედ ამ პერიოდში აღწევს ზეპირსიტყვიერება ფართო განშტობას, ქანრთა და გვართა სიუბნვეს. იგი სრულ გაქანებას იღებს თავისუფალი შემოქმედების გზაზე, რადგან დამწერლობა ჭერჯერობით შემუშავებული არ არის და ხალხის მთელი სასიცოცხლო ძალები, მხატვრული პოტენცია, ფოლკლორს ემსახურება; მასში პოეებს უპირველეს გამოხატულებას. ამის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ უკლასო საზოგადოებაში, სახელდობრ წინაფეოდალურ სტადიაზე, ქართული დამწერლობის გაჩენამდე სიტყვიერი ფოლკლორული ქანრები არანაკლებ მრავალრიცხოვანია, ვიდრე მომდევნო პერიოდში, როცა შემოქმედებითი ძალების გადაჯგუფება მოხდა და მისი თვალსაჩინო ნაწილი, შეიძლება უფრო მოქმედი და ნივთიერად უზრუნველყოფილი, ლიტერატურაში გადაბარგდა.

თუ ისტორიულ პერსპექტივებს და სხვა ერთა გამოცდილებას გავითვალისწინებთ, უნდა დავასკვნათ, რომ დამწერლობამდეც (IV—V სს) ქართულ ფოლკლორში ადგილი ჰქონდა სიტყვიერი ხელოვნების გარკვეულ გვარებსა და ქანრებს. მიახლოებით ეს სტრუქტურა ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

I. ეპოსი, თავისი ჟანრებითა და სახეებით:

ამბავი-თქმულება (ისტორიული, ტოპონიმური, გმირული, სოციალური, უტოპიური);

მითი (კოსმოგონიური, ეტიოლოგიური; პოლითეისტური, მონოთეისტური);

გადმოცემა (კოსმიური, ეპონიმური, ტოპონიმური, ისტორიული, დემონოლოგიური, გმირული);

ლეგენდა (სარწმუნოებრივი, ზებუნებრივი, დემონოლოგიური);

ზღაპარი (ცხოველთა, საგმირო-ფანტასტიკური, ჯადოსნური, ნოველისტური);

სიმღერა (მითოლოგიური, საგმირო, ისტორიული);

ბალადა (მითოლოგიური, საგმირო, ისტორიული, სამიჯნურო, რელიგიური);

პოემა (სარწმუნოებრივი, ისტორიული, საგმირო, მეკობრული, მწყემსური);

შელოცვა (კოსმოგონიური, სამკურნალო, სამეურნეო);

ანდრეზი (საგვარეულო, საოჯახო, ინდივიდუალური);

სადიდებო (პოლითეისტური, მონოთეისტური);

წინასწარმეტყველება (კალენდარული, მეტეოროლოგიური, კოსმიური, სალაშქრო, მეკობრული, სარწმუნოებრივი, საყოფიერო);

ფიცი (სარწმუნოებრივი, საყოფაცხოვრებო, სოციალური);

წყევლა (დემონოლოგიური, საყოფიერო, კულტურულ-ისტორიული);

იგავი (ცხოველთა, სოციალური);

ანეკდოტი (ეთნიკური, ისტორიული, საყოფაცხოვრებო).

II. ლირიკა, თავისი ჟანრებითა და სახეებით:

შრომის ლექსი (ურმული, გუთნური, თონხური, სამკალი, კალოური, მთიბლური, საწყალზედო, სამონადირო, სამეთუნეო, ბარვისა);

კალენდარული ლექს-სიმღერები (ალილო, საახალწლო, სააღდგომო, ჭონა, საბერიკო, საყეენობო);

მაყრული (მგზავრული, სატრფიალო);

სწორფრული (წაწლობა, სწორფრობა, სადობილძმობილო).

სუფრული (დალოცვა, თამადური, მრავალჯამიერი);

ხმით ნატირალი ლექსები (მოთქმა, მოსაგონარი, ზრუნი, ზარი, სულთა გადასასვენებელი);

ეპიტაფია (ისტორიული, ფილოსოფიური);
 ქება (ისტორიული, სატრფიალო, სარწმუნოებრივი, პერსონალური);
 ელეგია (საყოფიერო, საოჯახო, პატრიოტული);
 გაბაასება (კოსმოგონიური, ხილთა ქება, ქალვავიანი);
 კაფია (ცალფა, ორფა);
 გალექსება (ტერიტორიული, ტომობრივი, პერსონალური);
 საგმირო ლექსი (ისტორიული, მხედრული, მეკობრული);
 შიირი (სატრფიალო, საგინგლაო, ფილოსოფიური);
 აფორიზმი (ისტორიული, საყოფიერო, ფილოსოფიური);
 ანდაზა (ფილოსოფიური, საზოგადოებრივ-ისტორიული);
 სიტყვის მასალა (ისტორიული, საყოფიერო);
 გამოცანა (მითოლოგიური, რეალისტური);
 ზმა (ისტორიული, საყოფიერო).

III. დ რ ა მ ა, თავისი ჟანრებითა და სახეებით:

მისტერია (წარმართული, ქრისტიანული);
 სანახაობრივი მოქმედებანი (ფერხისა, ბერიკაობა, ყეენობა, ლაზარობა, სოციალური, სადღეობო);
 კომედია (სოციალური, საყოფაცხოვრებო);
 საკუთრივ დრამა (კოსმოგონიური, სოციალური).

უმრავლეს შემთხვევაში ფოლკლორული ჟანრი სუფთა სახით ნაკლებად გვხვდება; თითოეულ ნაწარმოებში თავს იჩენს მომიჯნავე ჟანრის ნიშნეულობა, მაგრამ ნიმუშების გამოყოფა-კლასიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ძირითად მაჩვენებლებსა და ტრადიციას აქვს. განსაკუთრებით ეს ითქმის ლირო-ეპიკურ ნაწარმოებთა ჯგუფზე. ფ. ჟანრი არ არის უცვლელი მოვლენა, მასზე გაქრობა-აღორძინების კანონი მოქმედებს. როცა ჟანრის ნიმუშები კლასიკურ დახვეწილობას აღწევენ, ისინი ეროვნულ საუბრეში მკვიდრდებიან და მარადიულდებიან ჩაწერასთან ერთად.

ფოლკლორის ისტორია ისევე შესაძლებელია, როგორც მხატვრული შემოქმედების სხვა დარგებისა (ლიტერატურა, ხელოვნება, მუსიკა). ქ. ფ. რთული ისტორია აქვს. ხალხური შემოქმედების ისტორია მასალას სხვადასხვა წყაროებიდან იღებს (დამწერლობა, არქეოლოგია, ეთნოგრაფია), მთავარი და განმსაზღვრელი კი თვითონ სიტყვიერი ხელოვნების ფაქტებია, რომელთა შესწავლაც წარმოებს ისტორიული თვალსაზრისით.

ქ. ფოლკლორმა განვითარების რამდენიმე საფეხური განვლო. უძველესი ცნობები შემონახულია ანტიკური ხანის წერილობით თხზულებებში და არქეოლოგიურ ძეგლებზე, რომლებიც აღმოჩენილი არიან საქართველოს ტერიტორიაზე და ადგილობრივ ნაკეთობას წარმოადგენენ.

ლიტ.: ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, I—III, 1960—72; მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1975; ქართული ფოლკლორი, მასალები და გამოკვლევები, I—III, 1964—69; მ. ჩიქოვანი, ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, თბ., 1971.

მ. ჩიქოვანი

„ქართული ფოლკლორის სერია“ — დაარსდა 1936 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სერიის მიზანს შეადგენდა ქართული სიტყვიერი ფოლკლორის ნიმუშების პუბლიკაცია. მართლაც, ამ სახელწოდებით გამოქვეყნდა სერიის დამაარსებლის მ. ჩიქოვანის „ხალხური ვეფხისტყაოსანი“ ორ გამოცემად (1936—37 წწ.), ალ. დლონტის „გურული ფოლკლორი“ (1937), ქს. სიხარულიძის „საბავშვო ფოლკლორი“ (1938) და „ქართული ხალხური ზღაპრების“ ხუთტომეულის პირველი წიგნი მ. ჩიქოვანის შესავალი წერილითა და რედაქციით.

სერია შეწყდა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის საქართველოს აკადემიის სისტემაში გადასვლასთან დაკავშირებით (1942), მეცნიერებათა აკადემიაში ხალხური ტექსტების პუბლიკაცია მეტი ინტენსივობით გაგრძელდა, ახლა სერიას „ხალხური სიტყვიერება“ ეწოდა.

მ. ჩიქოვანი

„ქართული ქრისტომატია“ — შედგენილი დავით ჩუბინაშვილის მიერ ორ ნაწილად. გამოიცა პეტერბურგში 1846 წელს. ქართული ლიტერატურის სხვა ძეგლებთან ერთად, აქ პირველად დაისტამბა ქართული ანდაზების მოზრდილი კოლექცია (500 ნიმუში). ქ. ქრ. გამოცემა 1863 წელს განმეორდა, ახლა რამდენიმე ხალხური ლექსიც შეემატა.

მ. ჩიქოვანი

„ქართული წიგნი“ — ბიბლიოგრაფიული საძიებელი ქართული ნაბეჭდი წიგნისა დაარსებიდან ბოლო დრომდე. აღრიცხულია დიდი თუ მცირე ფოლკლორული გამოცემები საბჭოთა კავშირის ყველა წიგნსაცავების მიხედვით. ქ. წ. ჯერჯერობით ერთადერთი

რჩეული საძიებელია, რომლის მიხედვით შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ ფოლკლორის მწიგნობრული ფონდის რაობაზე.

ლიტ.: ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია, I—III, 1941—54.
მ. ჩიქოვანი

ქაქაოზ მეფე — ირანის ლეგენდარული მეფე, ქაიანთა დინასტიის წარმომადგენელი. ფირდოუსის (6.) „შაჰ-ნამეს“ პერსონაჟი. ქ. იხსენიება ქართულ ხალხურ როსტომიანში (6.).

ვ. მაკაბერიძე

ქაჭი — ჯადოსნური ზღაპრის პერსონაჟი, ბოროტი საწყისის გამოვლინება. ადამიანის მსგავსი თავზარდამცემი შესახედობის არსება. ქაჭები ფლობენ ჯადოსნურ შესაძლებლობებს: დღეს ცვლიან ღამედ, ან პირიქით, იწვევენ ზღვის ღელვას და სძირავენ ნავეებს, აქვთ სახის შეცვლის და გაუჩინარების უნარი, თავისუფლად დადიან წყლის ზედაპირზე. განირჩევა ხმელეთისა და წყლის ქაჭი. ხმელეთის ქაჭი მიუვალ კლდეებსა და ტყეებში ცხოვრობს, ადამიანებს მტრობს, სასიკვდილოდ სცემს და ჭკუიდან შლის. წყლის ქაჭი ნაკლებ მავნეა, მდინარეებსა და ტბებში ცხოვრობს და ხშირად მეთევზეებს მფარველობს. განსაკუთრებული სილამაზით არის დაჯილდოებული ქაჭის ქალი, რომელიც ადამიანებთან რომანულ ურთიერთობას ამყარებს, არაიშვიათად განსაცდელისაგან იხსნის და ცოლადაც მიყვება გმირებს.

ლიტ.: კ. კეკელიძე, ავტორი ვეფხ. და დრო მისი დაწერისა, მნათობი, 1931, 7—8; მ. ჩიქოვანი, ვეფხ. მითოლოგია, საბჭ. ხელოვნება, 1961, № 11; შ. ჩიქავაძე, ვეფხ. ერთი ტაეპის გაგებისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, 1964, II.

მ. ჩაჩავა

ქეროღლანი — ქოროღლის ეპოსის პერსონაჟი, ზოგად სახელად გადაქცეული — „ქაჩალა“. ხშირად მოქმედებს აქარულ საყოფიერო-ნოველისტურ ზღაპრებში.

ნ. ცქიტიშვილი

ქეჩხო — საკულტმსახურო ტყავი. მაჰმადიანები ლოცვის დროს ფეხთსაგებლად იყენებენ. ზღაპრებში ჯადოსნური ხალიჩის მოვალეობას ასრულებს. „... ორი კაცი ჩხუბობდნენ მათრახზე და ქეჩხოზე... ასლანი დაჯდა ქეჩხოზე და ცაზე აფრინდა“.

ნ. ცქიტიშვილი

„ქვედრულა“ — რაჭული საფერხულო ლექს-სიმღერა არსებობს მისი რამდენიმე ვარიანტი. ერთი მათგანი ჩაუწერია ბოჰორი-შვილს 1894 წ. დაიბეჭდა პ. უმიკაშვილის კრებულში „ხალხური სიტყვიერება“. მსგავსი ვარიანტი ჩაუწერია დ. ლენგს ამერიკაში (ფ. არქ.).

ვ. მაცაბერიძე

ქვევრის რეცხვისა — სავენახო პოეზიის ინდივიდუალური ჯგუფის ლექს-სიმღერა, გავრცელებული უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოში. ქ. რ. ვარიანტები შეიცავენ სოციალურ, საყოფაცხოვრებო, სატრფიალო მოტივებს. ქ. რ. დაკავშირებულ პირველ ცნობებს გვაწვდის ალ. ჯამბაყურ-ორბელიანი „სხვადასხვა მუშაობის სიმღერებში“ .

ლიტ.: ალ. ჯამბაყურ-ორბელიანი, ივერიანელების ვალობა, სიმღერა და დინი, ცისკარი, 1861, № 1, გვ. 157; მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 112; თ. ოქროშიძე, ქართული ხალხური შრომის პოეზია, 1963, გვ. 108.

გ. პელიძე

ქვესკნელი — ხალხის წარმოდგენით, ქვედა ქვეყანა, მოთავსებულია დედამიწის შუაგულში. უწყლო და უწყალო ადგილია. ადამიანები იქ გაკვირვებით ცხოვრობენ. ქ-ში არსებობს სახელმწიფოც, თავისი მეფე-ვეზირებითა და მსახურებით. ქ-ში მოხვედრილი ზღაპრული გმირი ფრინველების თუ ცხოველების დახმარებით უბრუნდება სამშენს.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური ზღაპრები, I, წინასიტყვაობა, 1938; დ. შენგელაია, წერილები, 1955.

მ. ჩიქოვანი

ქვესკნელში მოგზაურობა — ჯადოსნური ზღაპრების დამახასიათებელი მოტივი. ქვ. მ. ტიპიური სიუჟეტი: სამი ძმა დაჭრილი დევის კვალს გაყვება და ღრმა ორმოს მიადგება. ძმებს შორის ორმოში ჩასვლას მხოლოდ უმცროსი გაბედავს. ორმო დევის სასახლეს უერთდება, სადაც სამი მზეთუნახავია დამწყვდეული. გმირი დევს მოკლავს და მზეთუნახავებს დედამიწაზე ამოგზავნის. უფროსი ძმები უმცროსს უღალატებენ. უმცროსი მზეთუნახავის გაფრთხილების მიხედვით უმცროსი ძმა თეთრ ვერძზე შეჭდომას ცდილობს, მაგრამ ამაოდ, შავი კი ქვედა ქვეყანაში — ქვესკნელში ჩაი-

ყვანს. თავგასავლების შემდეგ გმირი არწივის (ფასკუნჯის) დახმარებით დელამიწაზე ამოვა და მზეთუნახავს დაიბრუნებს.

მ. ჩიქოვანი

ქვეყანა ოქროს, ვერცხლის, სპილენძის და რკინისა — უძველესი მითოლოგიური წარმოდგენით, საზოგადოების განვითარების რამდენიმე პერიოდი არსებობდა (ოქროს, ვერცხლის, სპილენძის, რკინის). გადანაშთის სახით ამგვარი წარმოდგენა შემონახულია ქართულ ფოლკლორშიც. ზღაპრებში ზოგჯერ საშინელ დევებთან ბრძოლა განსაკუთრებულ პირობებში მიმდინარეობს. დევის დამარცხება დიდ ძალას მოითხოვს. ბუმბერაზული შერკინების ჰიპერბოლიზაციის მიზნით ამგვარი ბრძოლა ჯერ სპილენძის, მერე ვერცხლის, ბოლოს ოქროს ან რკინის მოედანზე (კალოზე) წარმოებს. ნიადაგის სიმტკიცის ზრდა სიუჟეტური ფუნქციის შესრულების სიძნელეზე მეტყველებს (თ. რაზიკაშვილის ჩაწერილი „გმირების ზღაპარი. მონადირე“).

მ. ჩიქოვანი

„ქიზიყის პოეტური ფოლკლორი“ — ს. ებრაღიძისა და შ. ლლონტის შედგენილი კრებული (1940). მასში შეტანილია ქიზიყის როგორც ტრადიციული, ისე თანამედროვე ხალხური პოეზიის ნიმუშები. საყურადღებოა ლექსები სახალხო გმირებზე (პაატა ბაღაშვილი, მიხა ქუჭულაშვილი (ნ.) და სხვანი). მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ბრძოლისა და გამარჯვების ლირიკას, აგრეთვე საყოფაცხოვრებო და სატრფიალო ლექსებს.

ვ. მაყაბერიძე

ქილილა და დამანა — მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული იგავ-არაკთა კრებული, სადაც ცხოველთა სამყაროს საშუალებით გადმოცემულია ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების სურათები. სახელწოდება მიღებული აქვს ყველაზე დიდი არაკის მიხედვით. თარგმნილია მრავალი ხალხის ენაზე. თავდაპირველი სამშობლო ინდოეთია, სადაც იგი პანჩატანტრად იწოდება. VI საუკ. დამუშავდა ფალაურად და ითარგმნა სირიულად. VIII საუკ. ჩამოყალიბდა არაბული ვერსია. XI—XIII ს. პირველ ქართულ თარგმანს ჩვენამდე არ მოუღწევია, ხელახლა ითარგმნა XVI—XVIII საუკ. და მომდინარეობს ანვარი სოჰაილის სახელით ცნობილი სპარსული ვერსიიდან, რომელიც სპარსეთში შემუშავდა XV საუკ.-ში. ქართულ ენაზე სამი რედაქცია მოიპოვება: 1. დავით კახთა მეფის (კუ და ღრი-

ანკალის არაკამდე), 2. ვახტანგ VI და 3. სულხან-საბა ორბელიანის, რომელიც ყველაზე გავრცელებულია. ქილილას და დამანას არაკები ძველთაგანვე დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ საქართველოში, რასაც ვახტანგ VI მითითებაც მოწმობს: „რაოდენსაცა საქართველოს შინა არაკსა, ანუ იგავსა, ანუ ზეპირ მუნსიბსა ლექსსა იტყვიან, უფროსი ერთი ამაში სწერია“-ო. ბევრი არაკი განალხურებულა და ფოლკლორშია გადასული.

ლიტ.: ქილილა და დამანა, ალ. ბარამიძის წინასიტყვაობა, 1952.
მ. ჩაჩავა

ქოროლლი — ამავე სახელწოდების ხალხური ეპიკური ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი. ქოროლლის თქმულება სხვადასხვა ვერსიების სახითაა გავრცელებული როგორც კავკასიის, ისე შუა აზიის ხალხებში, აგრეთვე თურქეთსა და ირანში. ამ ვერსიებში ქოროლლი კეთილშობილ, ლეგენდარულ გმირადაა გამოყვანილი. ქ. აზერბაიჯანული თქმულება ქართულად დ. გივიშვილის მიერ არის გალექსილი.

ლიტ.: ყაჩალი ქოროლი, ქართულად გალექსილი დავით კვიციანისაგან, ტფ., 1887. В. М. Жирмунский и Х. Т. Сагитов, Узбекский народный героический эпос, М., 1947, стр. 165—166.

გ. შეთეკური

ქორწილი — ქალ-ვაყის შეუღლების ტრადიციული ცერემონიალი. ქორწინების დღის მთავარი მოქმედი პირები არიან მექორწილე წყვილი — საპატარძლო და სასიძო („მეფე-დედოფალი“). განსაკუთრებული ფუნქციები აქვს დაკისრებული ხელის მომკიდეს, ეჯიბს, მდადეს, მეჭვარესა და ნაყრებს ორივე მხრიდან. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში საქორწილო ცერემონიალი ნაირსახეობით ხასიათდება. ამან შესაბამისი ასახვა პოვა ადგილობრივ ფოლკლორულ ძეგლებში. ხალხური ეპოსის ზოგიერთი ნიმუში (მაგ., საყოფაცხოვრებო ზღაპრები) ქორწილს სიუჟეტური ეპიზოდის სახით შეიცავს. ხშირად ქორწილი ზღაპრის ფინალს წარმოადგენს. ამ დროს იგი, არცთუ იშვიათად, ზღაპრის მთავარი პერსონაჟის ხიფათიანი თავგადასავლის ბედნიერ დაბოლოებად გვევლინება. ქორწილთან დაკავშირებულია ხალხური ლექს-სიმღერები, დალოცვა-საღმრთოებები (ნ. საქორწილო პოეზია), გამოცანები, ზმები.

ნეფეო, შენსა გვირგვინსა
ოთხუთხევე ჟვარი სწერია...

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1956, გვ. 273—276; ქს. სიხარულიძე, საქორწილო პოეზია, ლიტერატურული ძიებანი, XI.

გ. შეთქაური

ქსენეფონტე (ძვ. წ. აღრ. 430—355/4) — ბერძენი ისტორიკოსი, რომელსაც მოეპოვება ცნობები ჭანების (მოსინიკების) საგუნდო-სალაშქრო სიმღერებისა და ცეკვების შესახებ. საომრად მიმავალი ჭანების რაზმში ერთი იწყებდა, „ხოლო ყველა დანარჩენი მღერით რიტმიულად მიაბიჯებდა“. მტერზე გამარჯვების მერე მეომრებმა „თავები მოკლულებს მოაჭრეს და განსაკუთრებული ყაიდის ცეკვა-სიმღერით უჩვენებდნენ ბერძნებსა და თავის მტრულად განწყობილ თანამემამულეებს“. ამგვარად, ჩვ. წ. აღ-მდე IV საუკუნეში, ქართველ ტომებს განვითარებული ხალხური მუსიკა და ქორეოგრაფია ჰქონიათ.

ლიტ.: ი. ჭავჭავაძე, ქართ. მუსიკის ისტ. ძირ. საკითხები, 1938; შ. ასლანიშვილი, ნარკვევები, I, 1954.

მ. ჩიქოვანი

ლ

ლამისთევა — რელიგიური რიტუალი, ერთი ან რამდენიმე ღვთისშვილის პატივსაცემად, ოჯახში მოწყობილი ლოცვა-ნადიმი. კალენდარულ დღესასწაულთან დაკავშირებით ოჯახში ხატის მსახურთა მიწვევა სახატო დროშით, რაც ადგილობრივთა წარმოდგენით ხატის სტუმრობად ითვლება.

ლიტ.: თ. ოჩიაური, ქართ. უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, 1953.
დ. გოგოჭური

ლაჭაურა — ფშაველი სახალხო გმირი, რომელთანაც ისტორიული ხასიათის გადმოცემები და ლექსებია დაკავშირებული.

ავად არს ლაჭაურაი,
მოკვდებ—მორჩება ველარა,
ღედის დამცხვართა საგძალთა
ველად გაიხმობს ველარა.

ლიტ.: ვეჯა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IX, 1964, გვ. 35—36; ხალხური სიბრძნე, ტ. IV, 1965, გვ. 158.

გ. შეთქაური

„ღვთისმშობლის მიმოსვლა“ — საქრისტიანო ქვეყნებში გავრცელებული და ქართულ მწერლობაში მე-13 საუკუნის ხელნაწერებით შემონახული აპოკრიფულ-ესქატოლოგიური ძეგლი, რომელმაც თავისი გავლენა იქონია ქართულ ხალხურ სასულიერო თხზულებებზე: „ჯოჯოხეთში ვინ არის“, „მზის ქალი“, „საიქიოს ზღაპარი“, „ბაყაყის ასული“ და სხვ.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 398—405.

გ. ქელიძე

ღვთისშვილი — ფშავ-ხევს. მორიგე ღმერთის მიერ ფუნქციონირებული წარმართული ღვთაებანი. ისინი მორიგე ღმერთის გარეგნობის მიხედვით განაგებენ სამყაროს. ყოველი ღვთისშვილი, გარდა იმისა, რომ საზოგადოდ განაგებს თავის ყმათა (მლოცველთა) ბედს, აგრეთვე მორიგე ღმერთის კარზე რომელიმე კონკრეტული დარგის — ლაშქრობის, გამრავლების, დარ-ამინდის და სხვ. გამგებელიცაა. ღვთისშვილების სახელზე დაწესებულია სალოცავი ხატები.

ლიტ.: ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1960, გვ. 38; მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური ზემბრისიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 258; მისივე, ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, 1971, გვ. 164.

დ. გოგოჭერი

ღინჯა ხულელი — ხალხური მთქმელი, ტრადიციული მოხუერი ლექსების საუკეთესო მცოდნე და ფანდურზე შემსრულებელი. ცხოვრობდა მე-19 საუკუნეში ხევში და თავის თანამემამულეთა შორის ცნობილი იყო როგორც გონებაგამჭრიახი, ნიჭიერი მელექსე, რომელთანაც ალექსანდრე ყაზბეგს ახლო ურთიერთობა ჰქონდა. კერძოდ, მას ღინჯა ხულელისგან ჩაუწერია საგმირო ლექსები, მათ რიცხვში ერთკლეს გლოვის ლექსი „აღსდევ გმირთგმირო“. აყაზბეგს ღინჯა „ელგუჯას“ პერსონაჟად ჰყავს გამოყვანილი. აქ იგი ფანდურზე დამღერის:

შე დაჰირების კულაო,
მოდი, დაგვეხსენ სულაო...

ლიტ.: ალ. ყაზბეგი, თხზ., ტ. I, თბ., 1948, გვ. 137; მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1956, გვ. 160—162.

გ. შეთეკაური

ღირღიტა -- გუთნის ნაწილი, რვალის თავის დასადები ფამ-
ფვალაქის გოგორა, რომელიც ხშირად იხსენიება გუთნურ (6.) ლექს-
სიმღერებში. მაგ.:

გადი გამოლი გუთანო,
ღირღიტავ, ბანი უთხარო...

ლი ტ.: თ. ოქროშიძე, ქართული ხალხური შრომის პოეზია, 1963, გვ. 60.
გ. პელიძე

ღრუბელთ უფალი — ცა-ღრუბლების ბატონი, ტაროსის ღეთა-
ება. ქართული მითოლოგიური წარმოდგენით ღრუბელს, ნისლს, ქვე-
ქა-ქუხილს, წვიმას თავისი გამგებელი ჰყავს, რომელიც სხვადასხვა
სახელით არის პერსონიფიცირებული (ელია, ლაზარე, პირიმზე, მაქ-
სიმე). ზღაპრები და თქმულებები გვაცნობს მათ გარეგნობას, თვისე-
ბებს, დარგობრივ ასპარეზს. ელია ბრმაა, ქვეყანას ვერა ჰხედავს და
ამიტომ ხან სად დაკრავს სეტყვას და წვიმას და ხან სად. პირიმზე
ამირანიანის ძირითადი პერსონაჟია და ქაჯთ-ბატონის სახითაა წარ-
მოდგენილი. ამინდის მართვისათვის ხალხს ლაზარობა, ელიობა
დაუწესებია.

ლი ტ.: ი. ჯავახიშვილი, ქ. ერის ისტ., I, 1951; მ. ჩიქოვანი, ქართული ეპო-
სი, I, 1959; ქართ. ხალხური პოეზია, I, 1972.

მ. ჩიქოვანი

ღუღუშაური შიოლა — XVII საუკუნის ისტორიული პიროვ-
ნება, რომლის სახელთან სოციალური უთანასწორობის ამსახველი
ლექსებია დაკავშირებული. ზოგ ლექსში იგი „აჩხოტის ბატონად“
არის მოხსენიებული. თანამემამულეთა მიმართ მის უდიერ დამო-
კიდებულებას გადმოგვცემენ სტრიქონები:

შიოლაღ ღუღუშაურო, სკამს ზიხარ ერისთვისასა,
აღარც ქალს ინდობ, აღარც კაცს, არცა ბაღს ერთისთვისასა,
პირიდან ცეცხლსა მეხად ჰყრი, კლდეს ადნობ ბასრის ქვისასა.

შიოლა ღუღუშაურის თემაზე შექმნილ ნაწარმოებთა შორის
აღსანიშნავია ბალადა „შიოლა და მთრეხელი“.

ლი ტ.: ა. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. IV, 1950, გვ. 151; ა. მაკალათია, ხევი,
1934, გვ. 43—44; ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, 1931,
გვ. 14—15; 336—34; გ. კალანდაძე, ქართული ხალხური ბალადა, 1957, გვ. 112—
116; ხალხური სიბრძნე, ტ. IV, 1965, გვ. 179—180.

გ. შეთეკაური

ყაზბეგი ალექსანდრე გაბრიელის ძე (1848—1893) — ქართული ლიტერატურის კლასიკოსი. ბავშვობიდანვე, გამზრდელ ნინოს მეშვეობით, გატაცებული იყო ზეპირსიტყვიერებით. მის სახელთანაა დაკავშირებული: „სახალხო ლექსები ხევში შეკრებილი მოჩხუბარიძისაგან“ („ივერია“, 1885); „სახალხო ლექსები მოხვევთა და მოხვევის სიმღერები“ (ცალკე წიგნი, 1886); „სახალხო ლექსები, ანდაზები და აფორიზმები“, „ზღაპრები შეკრებილი, შესწორებული და შედგენილი ა. მოჩხუბარიძისაგან“. პირველჩანაწერები პოპულარული ნიმუშებისა: „ძთაო გადმიშვი მალალო“, „კარგი ყმა ხმალსა ჩასძახის“, „ბეთლემის კარზედ ჰკიდიო“, „ამოდუღდი მარგალიტო“, „კარგი ყმა ლაშქარს მოკვდება“, „გაუსვი და გამოუსვი“, „მთის შვილო, მთაში გაზრდილო“, „წუთისოფელმა გამწირა“, „ვეჟა-ჯურხაის ლეგენდა“, „ჯარჯი“, „აღსდეგ გმირთგმირო“. აგრეთვე სახალხო ცერემონიალების აღწერა (გლოვა, ფანდურზე დატირება, ფერხული, ხატობა, გალექსება, ხატის მსახურთა მოქმედება...), ხალხური მგოსნის ღინჯა ხულელის სახე და მისთანანი. ხალხური სიტყვიერება ყაზბეგის შემოქმედების ერთ-ერთი წყაროა. ამის ნიმუშია „ხევისბერი გოჩა“, „ნინო“, „ციკო“, „შიოლა ლუღუშაური“, დრამა „არსენა“ და დაუმთავრებელი მოთხრობები.

ლიტ.: ელ. ვირსალაძე, აღ. ყაზბეგი და ქართული ხალხური შემოქმედება, ლიტ. ძიებანი, V, 1949, გვ. 41; მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 156; ქს. სიხარულიძე, ქართული მწერლები და ხალხური შემოქმედება, 1956, გვ. 133.

გ. ჰელიძე

ყაზბეგის განძი — ამ სახელწოდებით ცნობილია ბრინჯაოს ითიფალური ფიგურები, სტეფანწმინდაში რომ აღმოჩნდა 1871—4 წლებში და ქართულ მითოლოგიასა და ეპოსს ასახავს. ქართული სიუჟეტებიდან აქ ბრინჯაოს მცირე ქანდაკებებში მატერიალიზებულია ამირანის დევებთან ბრძოლა, ცბიერი შიკრიკი, მემუსიკე ბადრი, ძლეული ამირანი, განძი ძვ. წ. VII—VI სს. თარიღდება.

ლიტ.: შ. ამირანაშვილი, ქ. ხელოვნების ისტ., I, 1944; მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, 1947.

მ. ჩიქოვანი

ყამარი — ამირანიანის პერსონაჟი. ხალხურ ვარიანტებში ხან ყამარი ჰქვია, ხან კამარი ან ქეთუ. თვისებებითა და გარეგნობით

ღვთიური ჩამომავლობის კეთილი მზეთუნახავია. თავდადებით ეტრფის ამირანს და მიჯაჭვის შემდეგაც უცდის. ერთი წარმოდგენით უ. ზღვას გაღმა ცხოვრობს, მეორეთი — ციურ კოშკში. უ. ამირანის სიუჟეტში რომანტიკული ხაზის შემქმნელია. ყამარს ღვთისურჩი გმირი იტაცებს. სიუჟეტური ფუნქციების შედარებითი შესწავლა უჩვენებს, რომ პრომეთეს მიჯაჭვის მიზეზი მხოლოდ ცეცხლის გამოპარება არ იყო, ლიტერატურამდელ ბერძნულ მითში ადგილი ჰქონდა სამიჯნურო თავგადასავალს, ამირან-ყამარის ანალოგიურად.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, ე, 1959; М. Чиковани, К проблеме взаимосвязи греческого мифа о Прометее и коллидо-иберийского сказания о прикованном к Кавказскому хребту Амурани. Acta Antiqua, XV, Budapest, 1967; Revue de Kartvelologie, Paris, V. XXVII, 1970.

მ. ჩიქოვანი

ყარამანიანი — დ. ორბელიანის მიერ სპარსულიდან ქართულად თარგმნილი საგმირო-საფალავნო თხზულება. პირველად 1875 წ. გამოიცა, მეორედ 1965 წ. უ. რამდენიმე ეპიზოდი შესულია ქართულ ზღაპრებში.

ლიტ.: ყარამანიანი, 1965.

ვ. მაცაბერიძე

ყარაჩოღელი — ძველ თბილისში წვრილი ვაჭარი ან ხელოსანი (შავჩოხიანი. თურქ. კარა — „შავი“, სპარს. — ჩუხა, „ჩოხა“). გამოირჩეოდა ვაყეაცობით, სიღარბაისლით, რაინდობით. იყო დროსტარებისა და ქეიფის მოყვარული. ემარჯვებოდა მხატვრული სიტყვა, ასრულებდა ხალხურ ლექსებს, ზოგჯერ თვითონაც ჰქმნიდა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს.

ლიტ.: ი. გრიშაშვილი, თხზ., ტ. III, 1963, გვ. 137.

ნ. შამანაძე

„ყაყაჩოსა სიწითლითა“ — ხალხური საბავშვო ლექსი. პირველი ჩანაწერი შესულია ბატონიშვილის „კალმასობაში“, როგორც საწესჩვეულებო:

იავ ნანა, ვარღო ნანა, იავ ნანინაო,
იის ვარღი რით სჯობაა, იავ ნანინაო,
რით უფრო მშვენიერია, იავ ნანინაო,

სილაშხით ყაყაჩოს სჯობს, იავ ნანიწაო,
ყანა დაუმშვენებია, იავ ნანიწაო!

ღროთა განმავლობაში საღაღობო-საყოფიერო ნაწარმოებად
იქცა.

ყაყაჩოსა სიწითლითა
ყანა დაუმშვენებია,
წითელ ნუნუას ვაჟკაცის
გული გაუხარებია.

იაკ. გოგებაშვილმა გარკვეული დამუშავების შემდეგ ლექსი
„დედა-ენაში“ შეიტანა და დიდი პოპულარობაც მოიპოვა.

ლიტ.: მიხ. ჩიქოვანი, ქართ. ხალხ. სიტყვ. ისტორია, 1956; ან. ლენინაშვი-
ლი, ნარკვევები ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიიდან, 1962.

ფ. ზანდუკელი

ყაწიმის მკეთე — ხევს. საომარი იარაღის სამკაულთა მკეთე-
ბელა, ოსტატი, მჭედელი. ყ. მ. პირქუშის (ნ.) ეპითეტია, იგი ხში-
რად გვხვდება ხევსურულ მითოლოგიურ ლექს-სიმღერებში.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, კახეთის 1961 წლის ფოლკლორული ექსპედიცია, „ქარ-
თული ფოლკლორი“, ტ. I—II, გვ. 241; ქართული ხალხური პოეზია, I, 1972.

დ. გოგოჭერა

ყვავსაყდარა — ეკლესია სოფელ ენისელში. უკავშირდება ამა-
ვე სახელწოდების თქმულება. ყანაში მომუშავე გლეხებს შხამიან-
ნი გველისაგან მოწამლვა მოელოდათ. ყვავმა ისინი სიკვდილს გა-
დაარჩინა. თვითონ კი დაიღუპა. მადლიერმა ხალხმა ყვავის დაღუ-
პვის ადგილას ეკლესია ააგო და მისი სახელი უწოდა. ამგვარი ტო-
პონიმები საქ. სხვა კუთხეებშიც გვხვდება.

ლიტ.: ხალხური სიბრძნე, III, 1964.

6. შამანძე

ყიფშიძე იოსებ (1882—1919) — ქართველოლოგი, ენათმეცნი-
ერი, პროფესორი, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარ-
სებელი. ყ-ის ცალკე გამოკვლევები, მონოგრაფიები ქართულის,
ჭანურისა და მეგრულის გრამატიკული წყობისა და ლექსიკის შესა-
ხებ მეცნიერების ძვირფასი მონაპოვარია. ყ. „მეგრული გრამატი-
კა, ქრესტომათიითა და ლექსიკონით“ (1914) იმითაც არის შესანი-
შნავი, რომ მასში გამოქვეყნდა მეგრული მეტყველების უნიკალუ-

რი ტექსტები და ვრცელი მეგრულ-რუსული ლექსიკონი. მონოგრაფიის ქრესტომათიულ ნაწილში დაბეჭდილია მეგრული ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშები: ზღაპრები (გვ. 3—107), ლექსები (გვ. 108—176), ანდაზები (გვ. 176—180), ნათქვამები (გვ. 181—182), გამოცანები (გვ. 182—185), შელოცვები (გვ. 185—188). ასევე ძვირფასი შენაძენია მისგან შეკრებილი ჭანური დიალექტოლოგიური და ფოლკლორული მასალები, რომლის ნაწილი 1911 წ. გამოქვეყნდა, ნაწილი კი მისი გარდაცვალების შემდეგ — 1939 წ.

ლიტ.: ს. გორგაძე, იოსებ ყიფშიძე, „მომოხილველი“, I, თბ., 1926, გვ. 334—356; ა. ჩიქობავა, ი. ყიფშიძე და ჭანურის მეცნიერული შესწავლა (წიგნში: ი. ყიფშიძე, ჭანური ტექსტები, თბ., 1939, გვ. XXI—XXIII).

ა. ლლონტი

„ყმანი მემროწლენი“ — მეჯოგენი, მწყემსები. თამარის ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოდღარი წერს: „ყმანი მემროწლენი, განჯე-ბასა შინა ორნატთასა, თამარის ქებათა მელექსეობდიანო“. მე-12-13 სს. მიჯნის ეს ცნობა მოწმობს, რომ ზენა-თესვის დროს გუთანზე მომუშავენი კვალის გავლებისას თამარ მეფის საქებას ლექსებს წარმოთქვამდნენ. მაშასადამე, შრომის ლექს-სიმღერებში ისტორიულ თემატიკას თვალსაჩინო ადგილი ეჭირა.

ლიტ.: ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1959, გვ. 146; მ. ჩიქოვანი, ქ. ხალხ. სიტყვ. ისტ., 1956, გვ. 79.

მ. ჩიქოვანი

ყუფი — ხევს. რითმა. ყუფის დაცვას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სახალხო მთქმელები. კაფიობაში, მაგალითად, მეტოქეს უფლება არა ჰქონდა „სხვა ყუფზე შეემღერნა“, მიეღებოდა. პაექრობისას თუ გამოყენებული იყო ადრე სხვადასხვა რითმაზე ნათქვამი ლექსები, მაშინ დასაშვებად თვლიდნენ ყუფის გამოცვლას.

სხვას ყუფზე გადავაქოთ
ლექსმ რო ლექს გააგრძელასა.

გ. შეთეაური

ყურძნის დაწურვისა — სავენახო ლექს-სიმღერების ერთი სახე, რომელსაც ზოგჯერ საწნაბლურსაც უწოდებენ. სრულდებოდა კოლექტიურად. ყ. დ. აღწერილი აქვთ ნ. ბერძნიშვილს, იპოლიტოვ-ივანოვსა და სხვებს.

ლიტ.: სვანიძე, გ., ქართული ხალხური სიმღერები და მათთან დაკავშირებული თქმულებანი, 1957; ოქროშიძე თ., ქართული ხალხური პოეზია, 1963.

ვ. მაცაბერიძე

შ

შავეთი — ფშ.-ხევს. საიქიო, მიცვალებულთა მარადიული სამყოფელი, შუაზე ხევი ჩამოუღდის და შიგ ცეცხლმოდებული კუპრის მდინარე მიედინება. ზედ ბეწვის ხილია, საიდანაც ცოდვილნი კუპრის ცეცხლში ცვივდებიან, უცოდველნი კი უვნებლად გადიან.

რა იცის წუთისოფელმა,
შავეთს რა სამართალია?

ლიტ.: ს. მაკალათია, ფშავი, 1934, გვ. 157; მ. ჩიქოვანი, ქართ. ხალხ. სიტყვ. ისტორია, 1956, გვ. 285; ქართული ხალხური პოეზია, I—II, 1972—73.

დ. გოგოჭურო

შავერდაშვილი ყაყიჩი — ხალხური ლექსის გმირი. დაჭირავებული მეცხვარე. თავი გამოიჩინა მარბიელ თათართა წინააღმდეგ ბრძოლაში. ლექსის ერთი საუკეთესო ვარიანტი ვაჟა-ფშაველას ჩაუწერია.

ლიტ.: ქს. სიხარულიძე, ქართველი სახალხო გმირები, 1952 წ.: ნ. შამანაძე, მეკობრეობის ასახვა მწყემსთა პოეზიაში. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1964.

შავი მოზვერი — ღამის სიმბოლო, გამოცანის კომპონენტი; „მოვიდა თეთრი მოზვერი, გააგდო შავი მოზვერი“.

დ. გოგოჭურო

შაირი — ქართული ხალხური ლექსის ძირითადი საზომი, მეტრი. მარცვალთა რაოდენობის მიხედვით გვაქვს თექვსმეტმარცვლიანი (ნ.) და რვა მარცვლიანი (ნ.), ტერფების განლაგების მიხედვით — მაღალი (მ.) და დაბალი შაირი (ნ.). გენეტიკურად ქართული ხალხური ლექსის აღმოცენების პირველ საფეხურებს უკავშირდება. შაირის ნიმუშები დატულია უძველეს მითოლოგიურ და საწესჩვეულებო ლექს-სიმღერებში, აგრეთვე ამირანის თქმულებაში (ნ.). გავრცელებულია ყველა ქართველურ ტომში და ყველგან ძირითად სალექსო საზომს წარმოადგენს.

შაირის საზომი, ერთნაირად შესაფერისია როგორც ეპიკური, ასევე ლირო-ეპიკური და ლირიკული ლექსებისთვის. ამ მხრივ იგი უნივერსალურია. მე-10 საუკუნიდან შაირი ლიტერატურაშიც შეიქრა და მთელი ცხრა საუკუნის მანძილზე გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა. ხალხური შაირის უძველესი ნიმუშები ასტროფულია.

ლიტ.: ს. გორუაძე, ქართული ლექსი, 1930; Н Я. Марр, Кавказская поэзия и ее техничские основы; ლიტ. ძიებანი, III; პ. ბერაძე, ჰეგზამეტრი და გრძელშაირის ლექსი, „ლიტ. საქარ.ველო“, 1941, № 20; ჯ. ბარდაველიძე, ქართული ხალხური ლექსის საზომები (შაირი და დისტიკაური), „ქართული ფოლკლორი“, I—II, 194; პ. ბერაძე, ძველი ბერძნული და ქართული ლექსთწყობის საკითხები, 1969.

ჯ. ბარდაველიძე

შაირობა — ძველად აღნიშნავდა, საზოგადოდ, ლექსის თქმას: შაირობა პირველადვე სიბრძნისა ერთი დარგი (რუსთ.). ხალხურ სიტყვიერებაში ამავე მნიშვნელობით იხმარებოდა აგრეთვე შაირსიტყვაობა: შაირსიტყვითა მესტიერემ ღმერთი მაღალი ახსენა. შაირობის ცნება შემდეგში დავიწროვდა და, უმთავრესად, შაირების შესრულების აღმნიშვნელი ტერმინი გახდა:

შაირობა და ლექსობა
სულ ჩემი მოგონილია.

ჯ. ბარდაველიძე

შაირჯი — ლაზ. მოშაირე, მოლექსე, მოკაფიავე („ჯი“ თურქულში პროფესიის მაწარმოებელი აფიქსია).

ზ. თანდილავა

შანიძე აკაკი გაბრიელის ძე (1887) — ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი და საზოგადო მოღვაწე. თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის ეროვნული ზეპირსიტყვიერების შესწავლაში. საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში პირველი შეუდგა ფოლკლორული ტექსტების მეცნიერულ გამოცემას. 1924 წ. „წელიწადულში“ სათანადო კომენტარებითა და ლექსიკონით გამოაქვეყნა „ხევსურული მასალები“. 1931 წ. დაბეჭდა „ქართული ხალხური პოეზიის“ პირველი ტომი, რომელიც ხევსურული ლექსების კრებულს წარმოადგენს. ამ კრებულში დიდი რაოდენობითაა შესული თვითონ ა. შანიძის მიერ ფშავსა და ხევსურეთში ჩაწერილი ნიმუშები. აქ ძირითადად ტექსტებს დართული აქვს ვარიანტები და ფართო ხასიათის კომენტარები.

ლიტ.: ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, ტფ, 1931; შ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1956, გვ. 219; შ. ჩიქოვანი, აკაკი შანიძე — ფოლკლორისტი, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1967, № 69.

გ. შეთეკაური

შატბერაშვილი გიორგი (1910—1965) — მწერალი. დაინტერესებული იყო ფოლკლორისტიკის საკითხებითაც. აღსანიშნავია მისი გამოკვლევები: „ბალადა ქართველი მოყმისა და ყივჩაღისა“, „მესხური სუფრული“, „წარმართული ხარება“, „მოთქმით ტირილი“, „გიორგი სააკაძე ხალხის ხსოვნაში“. შ. გ. ფოლკლორულ-შემკრებლობით მუშაობასაც ეწეოდა.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი, ნაფიქრი, 1959 წ.; მისივე „ქაშნიკი“, — 1964.

ნ. შამანაძე

„შატილს გადილდა ხოხობი“ — საგმირო ბალადა. მასში ნაჩვენებია ბრძოლა ფშაველ მოყმესა და შვიდ ქისტს შორის, ფშაველი მოყმის მიერ მომხდურთა დახოცვა და გოდერძის ქალის — თამარის ტყვეობიდან გამოსხნა. ფშაველი მოყმის მამაცობას მისი თავმდაბლობაც ეხამება:

ნუ იტყვის ჩემსა სახელსა,
ჩვენ ვიყვეთ და-ძმობაზედა.

ბალადა მალაღობეტურ ნაწარმოებს წარმოადგენს და აღმოსავლეთ საქართველოში მრავალ ვარიანტად არის გავრცელებული.

ლიტ.: ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1961, გვ. 371; გ. კალანდაძე, ქართული ხალხური ბალადა, 1957, გვ. 57—62; ქს. სიხარულიძე, ნარკვევები, I, 1958, გვ. 207—209. ხალხური სიბრძნე, ტ. IV, 1965, გვ. 112—115.

გ. შეთეკაური

შელოცვა — ფოლკლორის ერთ-ერთი არქაული ჟანრი. მაგიური დანიშნულების სიტყვიერი ფორმულა. შ. ფართოდ იყო ცნობილი ყველა ხალხში, მათ შორის ქართველებშიც. შ. ძირითადად ორი სახისაა: სამეურნეო და სამკურნალო. ორივე შემთხვევაში თავს ჩვენდა რწმენა სიტყვიერი ფორმულის გავლენისა როგორც ავსულებსა და ბოროტ ძალებზე, ისე დაავადებათა გამომწვევ მიზეზებზე. შ. თან ახლდა მოქმედება, რაც თითქოს აძლიერებდა შ. ზემოქმედების ძალას. შ. შემსრულებელნი უმეტესად ხანში შესული და მოხუცი ქალები იყვნენ. შ. ჩურჩულით წარმოსთქვამდნენ და ტექსტს

არავის გაანდობდნენ. სამეურნეო ხასიათის შ. დაკავშირებული იყო ჭირნახულის მოყვანასთან, ამინდთან, ნადირობასთან და სხვა შრომით საქმიანობასთან. შ. სიტყვიერი ფორმულა შედარებით მყარია ხშირად რიტმული ტექსტის სახე აქვს. უძველესი ჩანაწერები გვხვდება ისეთ ძეგლებში, როგორცაა: „კარაბადინი“, „ავგაროზი“, „კურთხევანი“ და სხვ. შელოცვის მნიშვნელობით იხმარებოდა ძველი ქართული ტერმინი „სახვრა“. თანამედროვე ფოლკლორში შელოცვამ მთლიანად დაკარგა თავისი მნიშვნელობა და მისი ნიმუშების მიკვლევა მხოლოდ გამოკითხვით ხერხდება.

ლიტ.: ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1952; ოქროშიძე თ., შელოცვის უძველესი ქართული ტერმინი, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XI, № 2, 1955.

ვ. შაცაბერიძე

„შემომეყარა ყივჩაღი“ — საგმირო ბალადა. გენეზისით აღმ. საქართველოს უკავშირდება და სხვადასხვა ვარიანტად არის გავრცელებული. ყველაზე ვრცელია სასხორში ჩაწერილი ტექსტი. ლექსის დასაწყისში ქართველი მოყმის ჰუმანური სულისკვეთება და სტუმართმოყვარეობაა გადმოცემული:

შემომეყარა ყივჩაღი სამზღვარს მუხრანის გზისასა,
პური მთხოვა და ვაქშიე, ვურჩევდი თავთუხისასა,
ხორცი მთხოვა და ვაქშიე, ვურჩევდი ხოხობისასა,
ღვინო მთხოვა და ვასშიე, ვურჩევდი ბადაგისასა.

ყივჩაღი ქალს უტიფრად მოეჭყევა, ეს კი კონფლიქტის მიზეზი ხდება. მოყმე ყივჩაღს ჰკლავს.

ვარიანტებში ბალადას სხვადასხვანაირი დაბოლოება აქვს. ზოგან ბრძოლის ფინალი მოყმის გამარჯვებით მთავრდება, ზოგან კი ურთიერთშერკინება ორივე მოპირდაპირისათვის ტრაგიკულია. უფრო ხშირად მოქმედების ადგილად „მუხრანის სამზღვარია“ დასახელებული. აქა-იქ ყივჩაღის სახელიც სხვადასხვანაირად არის მოხსენიებული („ხირჩლა“, „ყინჩა“, „ყიბრაგი“ და სხვ.).

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1956, გვ. 335—338; გ. კალანდაძე, ქართული ხალხური ბალადა, თბ., 1957, გვ. 42—47; ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბ., 1961, გვ. 363—364; გ. შატბერაშვილი, ქაშნიკი, თბ., 1964, გვ. 253—286 ხალხური სიბრძნე, ტ. IV, თბ., 1965, გვ. 111—112.

გ. შეთეაკური

შემოქმედებითი პროცესი — მხატვრული ნაწარმოების შექმნის პროცესი. ფოლკლორის სპეციფიკა თავისებურ დაღს ასვამს ზეპირსიტყვიერ შემოქმედებით პროცესს. თუ ინდივიდუალური შემოქმედი, პროფესიული პოეტი ან მწერალი, ნაწარმოებს ქმნის და ასრულებს თავისი ნიჭის, გემოვნებისა და შეხედულებების შესაბამისად, ხალხური შემოქმედი, ჩვეულებრივ, მხოლოდ იწყებს ნაწარმოების შექმნას, რომელსაც კოლექტივი აძლევს საბოლოოდ ჩამოყალიბებულ სახეს. ფოლკლორული შემოქმედებითი პროცესი არაჩვეულებრივად ხანგრძლივია და ზოგჯერ მთელ თაობებსაც მოიცავს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხალხური შემოქმედი, ინდივიდუალური პიროვნება, უძლური იყოს დამოუკიდებლად შექმნას ნაწარმოები. არაიშვიათად, ცალკეული პიროვნებანიც ახერხებენ სრულფასოვანი ნაწარმოებების შექმნას, მაგრამ დროთა განმავლობაში ზეპირი ბრუნვა მათ თავისებურ კვალს აჩნევს და, ამდენად, შემოქმედებითი პროცესი მაინც გრძელდება.

მხატვრული აზროვნების ჩასახვის შორეულ ხანაში ფოლკლორულ პროცესში ქვეცნობიერი ელემენტი ჭარბობდა. განვითარების მაღალ საფეხურზე ნაწარმოების შექმნის პროცესი სავსებით გათვითცნობიერებულია, ემყარება მდიდარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას და სინამდვილისადმი შეგნებულ დამოკიდებულებას.

ზეპირსიტყვიერი შემოქმედებითი პროცესის თავისებურებანი განპირობებულია ფოლკლორში ინდივიდუალური და კოლექტიური საწყისების (ბ.) დიალექტიკური ურთიერთობით.

ლიტ.: მიხ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956; A. H. Веселовский, Историч. поэтика, 1940.

ჯ. ზარდაველიძე

შეხვედრა დადებითი — ემპიკურ ნაწარმოებთა დამახასიათებელი სტილური ნიშანი. დამოხილვებული პერსონაჟები ერთმანეთს გაპირვებაში ბოლომდე შევლიან („რწყილი და ჭიანჭველა“).

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქ. ხ. სიტყვ. ისტ., 1956, გვ. 363.

მ. ჩიქოვანი

შეხვედრა უარყოფითი — ცხოველთა ეპოსის სტილური ნიშანი. სულის ცხონებაზე გაწვილებული მგელი შექმას უპირებს მოზვერს, ერკემალსა და სახედარს, მაგრამ ხახამშრალი რჩება („მგლის ბერად შედგომა“).

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქ. ხ. სიტყვ. ისტ., 1956, გვ. 363.

მ. ჩიქოვანი

შვიდი — წმინდა, საკრალური წარმოშობის რიცხვი, რომელიც ხშირად იხმარება ხალხურ პოეზიასა და პროზაში: „შვიდი დღე და შვიდი ღამე“, „შვიდი ნაწნავი თმა“, „შვიდი მაისის წვიმა“, „შვიდი ცა“, „შვიდი მხარი მათრახი“... მსგავსი გამორჩეული რიცხვებია აგრეთვე ერთი, სამი, ცხრა, თორმეტი. ეპიკურ რიცხვთა გამოყენება ლიტერატურაშიც სისტემურ ხასიათს ატარებს („ვეფხისტყაოსანი“).

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, II, 1965, გვ. 33—35.

მ. ჩიქოვანი

„შვიდი მაისის წვიმა“ — სამეურნეო-აგრაარული ლექსი, რომელიც ვედრებაა ამინდის ღვთაებისადმი. ხალხი შვიდი მაისის წვიმას მაგიურ ძალას ანიჭებდა. ამ დღეს ქალები ფერხულს აბამდნენ და ლექსებს მღეროდნენ. მათი რწმენით, „შვიდ მაისს რომ შვიდი ძირი ყანა იდგეს, შვიდი მაისის წვიმა მოხვდეს, მაინც ყანად იქცევაო“.

ლიტ.: ხალხური სიტყვიერების მასალები, შეკრებილი ჯ. სონღულაშვილის მიერ, I, ელ. ვირსალაძის რედ.; ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური სიტყვიერება, ქრესტომათია, I, 1956 წ.

ნ. შამანძე

შირიშშო — საბავშვო თამაშობა. წარმომავლობა და თავდაპირველი მნიშვნელობა დაუდგენელია. ფიქსირებულია 1968 წელს ს. დიდაქარაში და 1969 წელს — ვერხენალში (ხულოს რ.). წილისყრის შემდეგ ერთი მოთამაშე მიწაზე წვება, ფეხებს მალლა აიშვერს და ფეხებზე თავშალს შემოახვევენ. პირს გაუკეთებენ, ხელში ჯოხებს მისცემენ და ზედ კაბას გადმოაცვამენ. ჯოხები ვითომ ხელებია. მერე მიუმღერებენ:

— შირიშშო! ესეკრობა მოსულა,
ესეკრს კრეფენ, მიჰყავანო,

შენი ქმარიც მიჰყავანო,
იტირე, იტირეო! —

ისიც გადაბრუნდება და ტირის. ან: შენი ქმარი არ მიჰყავანო! — და, -ჰა-ჰა -ჰა-ჰა! — გაიცინებს. 1969 წელს ჩაწერილი ტექსტი „რძალ-დედამთილიანის“ ციკლისაა: ეუბნებიან, — დედამთილი გიკვდებაო! — იცინის, — გირჩებაო, — ტირის. თამაში სალალობო შესაქცევარია.

6. ცქიტიშვილი

შობა — ქრისტიანული რელიგიური დღესასწაული. აღინიშნებოდა 25 დეკემბერს (ახ. სტ. 7 იანვარს). ხალხურ კალენდარულ ლექსში ნათქვამია: „ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე დაბადებულაო“. საქართველოში საალილოდ ჩამოვლა იცოდნენ. ეკლესიამ მხოლოდ IV საუკუნეში დააწესა 25 დეკ. ქრისტეს შობის დღედ. იგი მოპირდაპირე სარწმუნოებებთან ბრძოლის მნიშვნელოვანი საშუალება იყო. წარმოშობით შ. პრექრისტიანულია. აღმოცენდა სამიწათმოქმედო კულტეთის საფუძველზე, რაც ე. წ. „მოკვდავ და მკვდრეთით აღმდგარ“ ღვთაებათა სახით არსებობდა ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში. 6 იანვარს იქ ოსირისის დაბადებას აღნიშნავდნენ. საბერძნეთში 6 იანვარი დიონისეს დღედ ითვლებოდა, არიელები კი 25 დეკ. მითრას გამოცხადებას ზეიმობდნენ. როგორც თვითონ შ-ის დღესასწაული, ისე მასთან დაკავშირებული ზეპირსიტყვიერება უხვად შეიცავს ძველ მითოლოგიურ მოტივებს.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქ. ხ. სიტყვ. ისტ., 1956, გვ. 263.

მ. ჩიქოვანი

„შობა რუსთაველის სახელობის კულტურული ლაშქრობა“ — 1934 წელს, „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავის საიუბილეო მზადების პერიოდში გაზეთ „კოლექტივიზაციის“ რედაქციამ (რედ. ა. ჭყონია) წამოიწყო „შობა რუსთაველის სახ. კულტურული ლაშქრობა“, რომლის მიზანი ხალხური პოეზიის ნიმუშების შეკრება იყო. ლაშქრობის მონაწილენი საქართველოს ყველა რაიონში შეუდგნენ ფოლკლორის შეკრებას. ჩანაწერთა მრავალი ნიმუში დაიბეჭდა იმავე გაზეთში. შეგროვილი მასალის საფუძველზე შემდეგში გამოიცა „საუნჯე ხალხური შემოქმედებისა“ სამ წიგნად. შ. ლ-ის სრული მასალა დაცულია გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტ. მუზეუმში.

მ. ჩიქოვანი

შრომის სიმღერა — ხალხური შემოქმედების უძველესი ქანრი. ასახავს ადამიანთა საწარმოო ურთიერთობასა და აზროვნებას. საზოგადოების განვითარების ადრინდელ საფეხურზე შრომის სიმღერებში მცირეა სიტყვიერი მასალა; წარმოებისა და ენის განვითარებასთან ერთად ვითარდება სასიმღერო ტექსტი, რომელიც გუნდურად სრულდება. ტექსტი თანდათან ხდება მელოდიის საყრდენი და დროთა ვითარებაში გამთლიანებულ პოეტურ ნაწარმოებად იქცევა. ქართული შრომის სიმღერების პოეტური ტექსტები თავისი სახეებით, თემატიკით, სოციალური შინაარსით, მუსიკალური ჰანგებითა და მხატვრული ფორმებით მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენაა. იგი მოიცავს ადამიანთა სამეურნეო საქმიანობის ყველა სფეროს (მონადირეობა, მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მეზღვაურობა, საოჯახო წარმოება და სხვ.).

შ. ს., შესრულების მიხედვით, იყოფა ინდივიდუალურ (უბრმული, მიწის ბარვისა) და კოლექტიურ (გუთნური, ნადური, სამკალი, კალოური, მთიბლური, ვენახის, საფეიქრო და სხვ.) ლექს-სიმღერებად. შ. ს. მსოფლიოს ყველა ხალხს გააჩნია. ქართველ ტომებს იგი თავისი ისტორიის დასაწყისიდანვე ჰქონიათ. შ. სიმღერებზე უძველესი წერილობითი ცნობა მოცემულია მე-10 ს. ძეგლში „ცხოვრება ხანძთელისა“. შრომის ს. შესრულების ტრადიციას გვაცნობს თამარის ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოძღვარი: „ყრმანი მენროწლენი განუებასა შინა ორნატასა თამარის ქებასა მელექსეობდიან“. შ. ს. ცალკეულ სახეთა შესახებ ცნობები შემოგვინახეს საბამ, ბესიკმა, გურამიშვილმა; ი. ბატონიშვილის „კალმასობაში“ მოგვეპოვება მკის ლექს-სიმღერის ტექსტი.

ლიტ.: „ქართლის ცხოვრება“, ბროსეს გამოცემა, 1847, გვ. 336; მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 225; ქს. სიხარულაძე, ქართული ხალხური სიტყვიერება, ქრესტომათია, 1956, გვ. 15; თ. ოქროშიძე, ქართული ხალხური შრომის პოეზია, 1963.

გ. პელოძე

შურის ციხე — ციხე ხევსურეთში, ს. ბარისახოსთან, რომელიც შიდა ხევსურეთში შესასვლელ ხეობას კეტავდა. იგი ცხრასართულიანი ყოფილა — უძველესი და აულებელი. შეუშუსრავს და დაუნგრევია ზურაბ ერისთავს. მასთან დაკავშირებით არსებობს ლეგენდები, საისტორიო გადმოცემები და სიმღერები. ციხის კარზე იდგა ალვის ხე, რომლის წვერიც ოქროს ჭაჭვით ცაზე იყო მიბმული და ზეციურ ძალებთან დაკავშირებული. ციხის საიდუ-

მლოება გაუცია ღუღელ სუმელჯი არიშაულს, ალვის ხე მოუქრიათ, ოქროს ჯაქვი გაწყვეტილა და ცაში აყეცილა. ღეთიშვილებთან კავშირის გაწყვეტის შემდეგ ცახე დაცემულა.

ლიტ.: ვაჟა-ფშაველა, თხზ., 1961, V, გვ. 50; ა. შანიძე, ხალხური პოეზია, 1931, გვ. 272; მ. ჩიქოვანი, ქართ. ხალხ. სიტყვ. ისტორია, 1956, გვ. 266; მისივე, დემეტრეს წმ. მუხა: ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, 1971, დ. გოგოჭერი

შუშპარი — საფერხულო თამაშობა, ათი ქალისა და დაახლოებით ოცი მამაკაცის მონაწილეობით. ისინი მწკრივში დგანან და შეწყობით ტაშს უკრავენ. სიმღერას ასრულებს, როგორც ყოველთვის, ორ გუნდად გაყოფილი, მწკრივად გაშლილი ან წრედ შეკრული ფერხული. ამ მწკრივის წინ თუ წრის შიგნით ხან ერთი და ხან კიდევ ორი მოთამაშე ცეკვავს.

ლიტ.: დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, 1948; H. Marr, *Из поэзнок в Свании летом 1911 и 1912 гг.*, «Хв. Восток», I.

ფ. ზანდუკელი

ჩ

ჩაბალხეთი — ამირანის თქმულებაში მოხსენიებული ტოპონიმი. „ბადრი, უსუპი, ამირან ობლები მოვიზარდენით, დევების დაშინებულნი ჩაბალხეთს ჩავიყარენით“. რეალური შესატყვისი არ ეძებნება, ნაწარმოებია ბალხიდან; ბალხ — ბალხ-ეთ-ი. ეპოსში ხშირია როგორც რეალური, ისე მოგონილი საგეოგრაფიო სახელები.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, II, 1965, გვ. 117—19.

მ. ჩიქოვანი

ჩათმა — შირაქის ნაწილი, საძოვარი. ხშირად იხსენიება მწყემსთა სიტყვიერებაში. ზოგჯერ ჩეთმასაც უწოდებენ. ტერიტორიულად ახლა წითელწყაროს ეკუთვნის.

ლიტ.: ნ. შამანაძე, ერთი ქართული ხალხური ბალადა, „ფოლკლორული ეტიუდები“, 1970.

ნ. შამანაძე

„ჩაუხდეთ მუხრან-ბატონსა“ — სოციალური ურთიერთობის ამსახველი სიმღერა. კლასობრივი წინააღმდეგობის ნიადაგზეა შექმნილი და თავად მუხრან-ბატონს ამათრახებს:

ხიდის თავს შავკრათ პირობა,
ჩვენ გავხდეთ ღვიძლი ძმანია,
ჩაუხდეთ მუხრან-ბატონსა,
თავს დაენაგრიოთ ბანია...

ზოგიერთ ვარიანტში „მუხრან-ბატონის“ ნაცვლად გვხვდება „ბარათაშვილსა“.

ლიტ.: დ. ჭანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, თბ., 1948, გვ. 512; ხალხური სიბრძნე, ტ. IV, თბ., 1965, გვ. 306.

გ. შეთაკაური

„ჩაღმა ჩაყრილო ვენახო“ — სავენახო ლექს-სიმღერა. ასახავს ქართველი ხალხის ისტორიის ერთ ტრაგიკულ პერიოდს, როცა თურქებმა ააოხრეს დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი და მიიტაცეს აჭარა. ჩამწერი (ქედის რაიონის სოფელი მერისი) ამბობს: „თათრებმა ქართველების ჩაღმა ჩაყრილი ვენახი მოთხარეს და აღმა ჩაყარესო“. ლექსში გლეხი გულისტკივილით მისტირის საკუთარი შრომით ჩაყრილ და გაზრდილ ვენახს:

ჩაღმა ჩაყრილო ვენახო,
სად წადი და სად მოგნახო?
ჩემო გაზრდილო ვენახო,
სად წადი და სად მოგნახო?

ლიტ.: თ. ოქროშიძე, ქართული ხალხური შრომის პოეზია, 1962; აჭარის ხალხური პოეზია, ტ. I, 1970.

გ. ჭელიძე

ჩახალ-ოლლი — სახალხო გმირი, ცნობილი ლექსის „ჩახალ-ოლლის“ მთავარი პერსონაჟი. ცხოვრობდა და მოქმედებდა აჭარაში სელიმ ხიმშიაშვილის ფაშობის დროს. გადმოცემით ჩ. მე-19 ს. პირველ ნახევარში აჭარის გლეხთა მღელვარების მეთაური ყოფილა, რისთვისაც ოსმალეთის მთავრობას (ახმედ-ბეგი) ღალატით მოუყვლევიანებია. ჩახალ-ოლლის გვარად ბერიძეს ასახელებენ. ჩ. ლექსების უძველესი ნიმუში ჩაწერილია პ. უმიკაშვილის მიერ 1859 წ. მერისელი მთქმელისაგან. ლექსი გამოქვეყნდა „დროებასა“ და „ივერიაში“. ჩ. ცხოვრებაზე მასალები იპოვება ზ. ჭიჭინაძის, ვინმე მესხის, ს. მესხის შრომებში.

ლიტ.: აჭარის ხალხური პოეზია, I, 1968, გვ. 59; აზ. ახვლედიანი, აჭარის საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, 1970, გვ. 159.

გ. ჭელიძე

ჩუბინაშვილი დავით იესეს ძე (1814—1891) — ქართველოლოგი, ენათმეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი, პირველი ქართველი პროფესორი პეტერბურგის უნივერსიტეტში. ქართული ანდაზების ერთი შემკრებთაგანი. ჩაწერა უწარმოებია საქართველოში. პირველი ცნობები ჩ. ანდაზების შესახებ გვხვდება პლ. იოსელიანის მ. ბროსესადმი გაგზავნილ წერილში (1837 წ.). მ. ბროსეს ჩ. შეკრებილი ანდაზები ხელნაწერებიდან უთარგმნია ფრანგულ ენაზე და დაცულია მისსავე არქივში (ლენინგრადი, აღმოსავლეთ-მცოდნ. ინსტ.). „ქართულ ქრესტომათიაში“ დ. ჩ. პირველად გამოაქვეყნა ხალხური ანდაზების 500-მდე ნიმუში და რამდენიმე ხალხური ლექსი.

ლიტ.: ვ. ბერიძე, დავით ჩუბინაშვილი, „რუსთველოლოგიური ეტიუდები“, თბ., 1961, გვ. 16—27; ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, აღ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961; ა. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965, გვ. 291—301; მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხ. სიტყვ. ისტორია, 1956.

ა. ლლონტი

გ

ცაგარელი ალექსანდრე ანტონის ძე (1844—1929) — ქართველოლოგი, ენათმეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი, პროფესორი პეტერბურგისა (ლენინგრადის) (1888—1922 წწ.) და თბილისის (1922—1929 წწ.) უნივერსიტეტებისა. დაიბადა კასპში.

ა. ც. მეგრული ფოლკლორის შესწავლის პიონერია. მისი „მეგრული ეტიუდების“ პირველ წიგნში გამოქვეყნებულია მეგრული ხალხური შემოქმედების ნიმუშები (ზღაპრები, ლექსები, ანდაზები) რუსული თარგმანითურთ (1880). მოცემულია ფოლკლორული ტექსტების ანალიზი და ზღაპრების პერსონაჟთა ახსნა-განმარტება. ა. ც. მეცნიერული მემკვიდრეობა ახალ ეტაპს წარმოადგენს ქართველოლოგიის განვითარებაში.

ლიტ.: ა. შანიძე, პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, X, 1930; ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937, გვ. 7—8; ა. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965, გვ. 301—304.

ა. ლლონტი

„ცა და დედაშიწა“ — გაბაასების ქანრის ლექს-სიმღერა. პირველად დაიბეჭდა 1874 წ. ლექსში გადმოცემულია ც. და დ. პაექ-

რობა. ორივე მხარე ცდილობს თავისი უპირატესობის დამტკიცებას. გამარჯვებული გამოდის დედამიწა.

ლიტ.: უმიკაშვილი პ., ლექსები, სახალხო სიმღერებისაგან შედგენილი, 1874.

ვ. მაკაბერიძე

ცალთვალა — ბერძ. კიკლოპი, ცინთვალი. ჰომეროსის პოემებიდან მოყოლებული ლიტერატურასა და ფოლკლორში ბევრჯერ იხსენიება ცალთვალა გმირები. ბერძნული წყაროები არიმასპებს — ცალთვალა აღამიანებსაც ასახელებენ. ქართულ ფოლკლორში ც. დევები მოქმედებენ, რომელთა დამარცხება დიდ სიძნელეს წარმოადგენს. ხევსურულ ლექსებში ცალთვალას შესატყვისი ცინთვალი: დევი „სუმბატა ცინთვალ იყო, შუბლში ეჭდა ერთი თვალი“.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, 1971.
მ. ჩიქოვანი

ცამცუმი — ამირანის თქმულების ეპიზოდური გმირი. ნაწარმოებში მკვდარი ც. იხსენიება, მისი სიუჟეტი დაკარგული ჩანს.

ლიტ.: ვ. ბარნოვი, თხზ., X, 1963; მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, I, 1959.
მ. ჩიქოვანი

ცელისტარზე დამღერება — ხევს. შრომის სიმღერა, სრულდება თიბვის დროს. სიმღერას ორიგინალური მეტრი და საკუთარი მელოდია გააჩნია (ნახ. მთიბლური).

დ. გოგოჭური

ცეცხლი — ცეცხლის კულტა და მასთან დაკავშირებულ რიტუალებს ყველა წარმართულ რელიგიაში დიდი ადგილი უჭირავს. ც. ერთი მხრივ მზეს განასახიერებდა, მეორე მხრივ კი სნეულებათა და ავსულთაგან დამცველ საშუალებას წარმოადგენდა. ეს მომენტი ქრისტიანული ხანის წესჩვეულებებშიც იჩენს თავს. მრავალი რელიგიური დღესასწაულის და მის გარშემო თამაშის წესშიც რიტუალთა გადმონაშთი უნდა დაეინახოთ. ც.-ის თავყვანისცემის კვალი ჩანს აგრეთვე კერის კულტში. უძველესი მითოლოგიური წარმოდგენების მიხედვით ცეცხლის თავდაპირველი ადგილი ზესკნელი იყო. ღმერთი განრისხების დროს დედამიწას ცეცხლის წვიმას უგზავნიდა. ზესკნელიდან მოიტაცა ცეცხლი პრომეთემ. ზეს-

კნელიდან იტაცებს ამირანი ყამარს, რომელიც, როგორც ამტკიცებენ ცეცხლის ღვთაებას განასახიერებს. (ნ. ამირანიანი).

ლი ტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, 1, 1959.

დ. წერეთლიანი

ცისკარი — მხატვრული სახე სატრფიალო ლექსებში. გვხვდება როგორც მეტაფორის, ისე შედარების სახით. გამოიყენება ქალის სილამაზის დახასიათების მიზნით. აქ მას ხოტბით-ჰიპერბოლური ფუნქცია აკისრია.

ცისკარი ქალის მეტაფორაა:

ეჰა, განთიად აღსდგები,
ცისკარო ნარგიზნარევი

ცისკარი შედარებაა:

ასეთა ქალა გამოჩნდა
როგორც დილის ცისკარია!

ც. როგორც პოეტური სახე წარმოშობით მითოსს უკავშირდება (ბერძნული მითოსის ავრორა ყოველ დილით ხსნიდა ცის კარებს; რომაელთა სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთის ვენერას სახელიც ცისკრის ვარსკვლავს ერქვა).

ლი ტ.: ხალხური სიბრძნე, ტ. IV, თბ., 1965, გვ. 321—322, 334, 344—345; ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბ., 1961, გვ. 357.

გ. შეთეკაური

ცისკარიშვილი ივანე დავითის ძე (1821—1903) — ალვანელი წოვათუში, თბილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ შევიდა სამხ. სამსახურში და მონაწილეობა მიიღო ჭარ-ბელაქნის ბრძოლებში. ცისკარიშვილის სალიტერატურო მოღვაწეობა მრავალმხრივია. მე-19 საუკუნის 40—50-იან წლებში ხელს ჰკიდებს ხალხური სიტყვიერების, კერძოდ, თუშური ნიმუშების შეკრება-პოპულარიზაციას. ჩინებული ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული ნარკვევების გარდა («Картина Тушетин, «Кавказ», 1846, № 50; «Записки о Тушетин», «Кавказ», 1849, № 7, 8, 10, 11, 12, 13; «Тушинские песни», «Кавказ», 1849, № 38), მის კალამს მხატვრული თხზულებებიც ეკუთვნის («Дикло и Шенако», «Кавказ», 1846, № 27; «Тушинский наездник Ганши», «Закавказский вестник», 1848, № 26—28). ც. გაზ. «Кавказ»-ში პირველმა დაიწყო მსჯელობა ამირანის ეპოსზე. მან ხაზი გაუსვა ამირანისა და პრომეთესის მითის მსგავსებას. რაფიელ ერისთავი მაღალ შეფასებას

აძლედა ც. მოლვაწობას («Мои заметки», «Кавказ», 1855, № 331; «О Тушино-Пшаво-Хевсурском округе», ЗКОИРГО, кн. III).

ლიტ.: ე. არჯევანიძე, გაზეთ „კავკაზის“ ქართული ფოლკლორული მასალებიდან. პუშკინის სახ. თბ. პედინსტრუქტის შრომები, ტ. 21, 1967.

ე. არჯევანიძე

ციხკარიშვილი იოზ პავლეს ძე — წარმოშობით წოვა-თუში. დაბ. XIX საუკუნის ათიან წლებში სოფ. ალვანში (ახმეტის რაიონი), გარდაიცვალა 1877 წ. 1860-იან წლებში თიანეთის სასულიერო ადმინისტრაციას უდგას სათავეში. არის ნათლია ვაჟა-ფშაველასი. ავტორი წოვა-თუშური ენის პირველი გრამატიკისა. პირადი ნაცნობობა და მიმოწერა ჰქონდა მარი ბროსესთან და ა. შიფნერთან (Ленинград, Архив ИВ АН СССР, разряд II, опись № 2 და № 20). საენათმეცნიერო მასალების გარდა, იოზი 1847—1848 წლებში მათ უგზავნიდა ქართული ხალხური, კერძოდ, თუშური, სიტყვიერების ნიმუშებს (И. Сливницкий, «О литературных занятиях священника Цискарова, и коечто о грузинских монастырях», «Кавказ», 1850, № 7, «Библиография», А. Шифнер, «Характеристика Тушинского языка», «Кавказ», 1855, № 12).

ლიტ.: ე. არჯევანიძე, გაზეთ „კავკაზის“ ქართული ფოლკლორული მასალებიდან (თუშური ხალხური ლექსები ციხკარიშვილებისეული პირველჩანაწერები), პუშკინის სახ. თბ. პედ. ინსტ. შრომები, ტ. 21, 1957.

ე. არჯევანიძე

ცხეკიშ ანგლეზ (ტყის ანგელოზი) — სვანების რწმენით, გარეული მტაცებელი ნადირის (გარდა მგლისა) მფარველი არსება. გვხვდება მითოლოგიური ქანრის ფოლკლორულ ტექსტებში.

ლიტ.: არსენ ონანი, ლეშნუ ჰამბვარ, 1917; მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956; ქართული ეპოსი, I, 1959.

დ. წერედიანი

ცხვარი — წვრილფეხა რქოსანი ცხოველი. ხალხურ ლექსებსა და ზღაპრებში ეკონომიური ძლიერების წყაროდაა მიჩნეული, უძველეს მითიურ წარმოდგენებში კი — ნაყოფიერების სიმბოლოდ.

ლიტ.: ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1934.

ბ. შამანაძე

ცხვრის უქმე — საკულტო დღე ხევში. აღდგომის დიდ შაბათზე მოდიოდა. მოხევეები ამ დღეს მარხულობდნენ და უქმობდნენ, ცხვარი აღარ დაგვიზარალებდა.

ლიტ.: ს. მაკალათია, ხევი, 1936, გვ. 194.

6. შამანძე

ცხოველთა ეპოსი — ზღაპრული ეპოსის შემადგენელი ნაწილი, რომელიც შეიცავს ზღაპრებს ცხოველების შესახებ, ჩამოყალიბდა ფოლკლორის განვითარების უძველეს საფეხურზე. ცხ. ეპოსში ასახვა პპოვა ადამიანის პირველყოფილმა შეხედულებებმა, კერძოდ, ანიმიზმმა (ნ.) და ტოტემიზმმა (ნ.).

ცხოველთა ეპოსმა დიდი ცვლილებანი განიცადა. წარმართული რწმენების გაქრობამ და მონისტური რელიგიის დამკვიდრებამ ეპოსს ახალი იდეური გააზრება მისცა. ცხ. ეპოსის პერსონაჟებია როგორც გარეული (დათვი, მგელი, მელა, ტურა, ოფოფი, ძერა და სხვ.), ისე შინაური ცხოველები და ფრინველები. ძირითად კომპოზიციურ ელემენტს წარმოადგენს პერსონაჟთა შეხვედრა და დაძმობილება. მხატვრული თვალსაზრისით ტიპიური განმეორებები და ფორმულები ახასიათებს. ხშირია დიალოგები, რომლებიც ზოგჯერ მოკლე ლექსების სახითაა წარმოდგენილი. საერთოდ პროზისა და ლექსის მონაცვლეობა ცხ. ეპოსში იშვიათი არაა.

ცხ. ეპოსი უმთავრესად საბავშვო ფოლკლორის სფეროში შედის. აქ ხშირად დაპირისპირებულია ბოროტება და სიკეთე, სამართლიანობა და უსამართლობა, შუღლი და მეგობრობა.

ლიტ.: ქართული ხალხური ზღაპრები, ტ. I, მიხეილ ჩიქოვანის რედაქციით, კომენტარებით და ლექსიკონით, თბ., 1938.

ფ. ზანდუკელი

ცხრა — გამორჩეული ეპიკური რიცხვი. ემყარება ცხრაობით თვლას. ქართულ ზეპირსიტყვაობაში პოპულარულია: ცხრა მთა, ცხრა კლიტული, ცხრათავიანი დევი, ცხრა ძმა, ცხრა მაზლი, ცხრა კარი, ცხრა ადლი ტილო... ეთნოგრაფიულ ყოფაში დასტურდება ცხრა სათვალავის საწესჩვეულებო გამოყენება: მელოგინე ქალს ძღვნად მიართმევდნენ სამ-ცხრა ლავაშს, სამ-ცხრა კოტოტიან პურს. სალოცავად აცხობდნენ ამ რაოდენობის კვერს, ხმიადს. ც. ზოგჯერ აქვს საკრალური, მაგიური მნიშვნელობა.

მ. ჩიქოვანი

ცხრა მთა — სიშორის აღმნიშვნელი ფიგურალური გამოთქმა: იარა, იარა, ც. მ. გადაიარა; ც. მ. იქით! დამახასიათებელია ზღაპრის სტილისათვის.

d

„ძველის წერა“ — რუის-ურბნისის 1103 წ. საეკლესიო კრების დადგენილების სახელწოდება. ეს სასულიერო იურიდიული აქტი მკაცრად შეეხო ზეპირსიტყვიერებას. მისი სახით ფეოდალურ საქართველოში სასტიკი ბრძოლა გამოეცხადა წარმართული ხანიდან მემკვიდრეობით გადმოცემულ სიტყვიერებასა და მუსიკას, მის ტრადიციულ შემსრულებლობას. ყოველგვარ კერპბორგნეულთან ბრძოლა მის აღმოფხვრასა და ჯვარის სახელით პრაქტიკიდან განდევნას ნიშნავდა. ძ. წ.-ამ დააჩქარა ქრისტიანული შინაარსის ახალი ნაწარმოებების შექმნა და ძველი რეპერტუარის ქრისტიანიზაცია.

ლიტ.: ქართული საეკლესიო იურიდიული ძაგლები, ნაწ. I, ი. დოლიძის რედ., 1970; მ. ჩიქოვანი, ქ. ხ. სიტყვ. ისტორია, 1956, გვ. 81—82.

მ. ჩიქოვანი

ძმადნაფიცობა — დაძმობილება, ზეპირსიტყვიერების უძველესი მოტივი. „ამირანიანში“, „ადიხანჯალაში“ და ხალხური ეპოსის დანარჩენ ნიმუშებში, აგრეთვე ფოლკლორულ ლექსებში, სხვადასხვა სახის დაძმობილებაა მოცემული. სპეციფიკური ხასიათის ძმადნაფიცობას ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიან კუთხეებში, რაც, ხევის მაგალითზე ა. ყაზბეგს თავის რომანებში აქვს აღწერილი. ძმადნაფიცობა, როგორც ჯანსაღი ტრადიციული ჩვეულება ხალხური პოეზიის ხოტბის საგანს შეადგენს:

ძმადნაფიცისთვის სიკვდილი
სათემოდ შესამღერია...

ლიტ.: ს. მაკალათია, ხევი, ტფ., 1934, გვ. 154; მ. ჩიქოვანი, საგმირო-რომანტიკული მოტივები ქართულ ეპოსში, ლიტერატურული ძიებანი, I, 1943, გვ. 246—249; ა. ლლონტი, ქართული ხალხური ნოველა, თბ., 1963, გვ. 233—237; ხალხური სიბრძნე, ტ. IV, თბ., 1965, გვ. 99—100.

გ. შეთეკაური

ძნის მოტანისა — სამკალი (ნ.) ლექს-სიმღერების ერთ-ერთი სახეობა. ნამჯის ამკრეფნი, იგივე მეძნეურები ხელეურებს (ნ.) კონებად კრავენ. ყოველ სამ ან ხუთ მომკელზე ერთი მეძნეურია. მომ-

კელი ნამჯას ნამგალს ამოსდებს, მიუტანს მეძნეურს და მიუმღერებს; მეძნეურიც გამოეპასუხება. მკაში ხშირად მღერიან:

სადა მეძნეურები,
დაიწყო ხელეურები...

ლიტ.: თ. ოქროშიძე, ქართული ხალხური შრომის პოეზია, 1963, გვ. 22.
გ. ქალიძე

წ

წავკისელი თინა (გვარად ფეიქრიშვილი) — მე-18 საუკუნის გმირი ქალი. სოფელ წავკისში დაბადებული, ადგილობრივ მებატონეთა ყმა. მონაწილეობა მიუღია სამშობლოს დაცვასა და ბატონყმურ უსამართლობასთან ბრძოლაში. მას, როგორც სახელოვან მებრძოლ ქალს, ერეკლე მეფე დიდად აფასებდა, ბოლოს ირანელებს ბოლნისის მხარეში მოუკლავთ. თინა წავკისელის გმირობა ხალხის ზოტბის საგანს წარმოადგენს. ერთი ლექსის მიხედვით იგი ტყვეა და ერეკლე მეფეს სიმართლისათვის ბრძოლაში შევლას აღუთქვამს:

მეც მალე დაგეხმარები,
თუ რომ გამიხსნეს ხელიო.

ლიტ.: ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, თბ., 1949, გვ. 175—176; დ. ქორიძე, სახელოვანი ქართველი ქალები, თბ., 1965, გვ. 174—177; ხალხური სიბრძნე, ტ. IV, თბ., 1965, გვ. 198.

გ. შეთყაყრი

წარმართობა — ფართოდ გავრცელებული ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ქრისტიანობამდელ და არაქრისტიანულ რელიგიებს. ვიწრო მნიშვნელობით წ. გულისხმობს პოლითეისტურ რელიგიებს. გულისხმობს მრავალ ღვთაებათა თაყვანისცემას, ფეტიშებს და ა. შ. ქართველმა ხალხმაც განვლო წარმართობის ხანგრძლივი პერიოდი. ქართველთა რწმენაში წარმართობის დროინდელი უზენაესი ღვთაება მთვარე იყო. თაყვანს სცემდნენ აგრეთვე მორღვეს — კრონოსს, განაყოფიერებისა და შვილიერების მფარველ ღვთაება კვირიას, ტაროსის ღვთაება ვობს, ნადირთა და მონადირეობის ღვთაებებს: ანატორს, ოჩოპინტრეს, ბოჩს, დალს, მცენარეულობის ღვთაებას და სხვ. ქართულ წარმართობაზე ცნობებს გვაწვდის საისტორიო წყაროები, ფოლკლორი და წესჩვეულებანი.

ლიტ.: ი. ჭავჭავაძე, ქართველთა ერის ისტორია, 1, 1960, გვ. 38; ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, 1941; მ. ჩიქო-

ვანი, ქართული ფოლკლორი, 1946, გვ. 197; ელ. ვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი, 1964.

6. შამანაძე

წარღვნა — წყალდიდობა, რომელმაც მთელი დედამიწა დაფარა. წარღვნის ლეგენდას თითქმის მსოფლიოს ყველა ხალხი იცნობს. იგი გვხვდება როგორც მალაღგანვითარებულ, ისე განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომ ტომთა ფოლკლორში. წარღვნის ლეგენდის დღემდე ცნობილ ვერსიებს შორის ყველაზე ადრინდელია სუმერული ვერსია. იგი აღმოჩენილ იქნა ქალაქ ლიპურში. დაწერილია თახის ფირფიტებზე და დაახლოებით 2100 წლით თარიღდება. ბაბილონელმა სემიტებმა წარღვნის ლეგენდა სუმერებისაგან ისესხეს. წ. ბაბილონური გადმოცემის თავისებურ ვერსიას გილგამეშის ეპოსის მე-11 ფირფიტა გვაძლევს. ყველაზე ცნობილია ბიბლიური ვერსია. იგი მოგვითხრობს, თითქოს ორმოცი დღედაღამე განუწყვეტლივ წვიმდა. დედამიწა წყალმა დაფარა და მოისპო მთელი კაცობრიობა, ცხოველთა სამყარო. „წინასწარმეტყველმა“ ნოემ გააკეთა კიდობანი, რითაც დალუპვას გადაარჩინა თავისი ოჯახი და თითო წყვილი ყოველი სულდგმულისა. ლეგენდის თანახმად ნოე და მისი ოჯახია თანამედროვე ხალხთა წინაპარი. წარღვნის ქართული ლეგენდა ბიბლიური ლეგენდის გავლენითაა დამუშავებული.

ლიტ.: Д.ж. Фрезер. Библeйские сказания, 1931, გვ. 75; მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, 1946, გვ. 280; ნ. შამანაძე, ქართული ხალხური ლეგენდები, 1973.

6. შამანაძე

წაწლობის ლექსები — წაწლობის ჩვეულების ამსახველი უამრავი ლექსია შექმნილი ფშავსა და ხევსურეთში. როგორც ვაჟა აღნიშნავდა, წაწლობა „მდიდარ მასალას აძლევდა ფშაურს რომანტიკულს პოეზიას და თვით ფშაველსაც — პოეტურს ხასიათს“. წაწლობასთან დაკავშირებულ მოგვიანო ხანის ლექსებში შეიმჩნევა იუმორისტული დამოკიდებულება ჩვეულებისადმი, მაგრამ ადრეულ პერიოდის ფშაური წაწლობის მრავალი ლექსი თავისუფლად შეიძლება მივიკუთვნოთ სატრფიალო პოეზიის ოქროს ფონდს.

ლიტ.: გ. ბარნოვი, ფშავ-ხევსურული სატრფიალო პოეზიიდან. ქართული ფოლკლორი, III, 1969.

გ. ბარნოვი

წელწადწუხრა — ხევს. ძველი წლის გაცილებისა და ახალი წლის დაწყების ღამე. წლის გასვლის საღამო, რაც გარკვეული რიტუალთა ალინიშნებოდა ხევსურთა ხატებში. წელწადწუხრას უკავშირდებოდა რიგი ზეპირსიტყვიერი ქანრების შესრულება.

ლიტ.: ს. მაკალათია, ხევსურეთი, 1935.

დ. გოგოჭური

წერეთელი აკაკი როსტომის ძე (1840—1915) — დიდი ქართველი პოეტი, საზოგადო მოღვაწე, ფოლკლორისტი. ხალხური შემოქმედების შემკრები და მკვლევარი. ამავე დროს აკაკი იყენებდა ფოლკლორს როგორც ინდივიდუალურ-მხატვრული შემოქმედების წყაროს. დიდია აკაკის დამსახურება ხალხური სიტყვიერების შეკრებისა და პოპულარიზაციის საქმეში. იგი ხშირად მოგზაურობდა სხვადასხვა კუთხეში და ახალ-ახალ ნიმუშებს ჰკრებდა. 1897 წელს დააარსა „აკაკის კრებული“, რომელშიც ხშირად ბეჭდავდა როგორც საკუთარ ფოლკლორულ ჩანაწერებს, ისე ჟურნალის ირგვლივ გაერთიანებულ შემკრებთა მასალებს (ზღაპრები, ანდაზები, გამოცანები, ლექსები, მახვილსიტყვაობა). ფოლკლორის შემკრებთა დასახმარებლად აკაკიმ სპეციალური წერილი გამოაქვეყნა: „როგორ შევეკრიბოთ ზეპირგადმოცემები“. დიდმნიშვნელოვანია მისი სტატიები: „ზეპირსიტყვაობის გამო“, „ზეპირსიტყვიერება და მისი მნიშვნელობა“. აკაკი საკვლევადიებო მუშაობასაც ეწეოდა. იგი სწავლობდა ზეპირსიტყვიერების ქანრებს. ანდაზის პოეტისეული განმარტება ამ მხრივ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს. ა. წ. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ხალხთა ფოლკლორულ ურთიერთობას და ეპიკურ ქანრებს. ამირან-პრომეთეს პრობლემას მან უძღვნა „მედიას“ ცნობილი „შენიშვნები“ (აკაკის კრებული, 1897 წ.), სადაც არა ერთი ორიგინალური დაკვირვებაა მოცემული. ქართული ეროვნული ფოლკლორი აკაკის შემოქმედების თვალსაჩინო წყარო არის. რამდენიმე მისი მხატვრული ნაწარმოები ხალხური სიბრძნითაა შთაგონებული. პოეტის ენა, სტილი, რიტმი, მხატვრული სახეები თუ ხერხები ხალხურს ენათესავენ. აკაკი წერეთლის ხანგრძლივმა მოღვაწეობამ წარუშლელი კვალი დაამჩნია ქართული ფოლკლორისტიკის განვითარებას.

ლიტ.: კ. კეკელიძე, ბაში-აჩუყის ერთი ეპიზოდისათვის. „ეტიუდები“, ტ. II; მ. ჩიქოვანი, აკაკი წერეთელი და ხალხური სიტყვიერება, 1958; ქს. სიხარულიძე, ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, 1956.

ფ. ზანდუყელი

წერეთელი გიორგი ექვთიმეს ძე (1842 — 1900) — მწერალი, პე-
დაგოგი, ჟურნალისტი. როგორც ყველა სამოციანელი, დიდ ინტერესს
იჩენდა ხალხური შემოქმედების მიმართ. შემკრებლობასა და საკვლე-
ვაძიებო მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა საის-
ტორიო და ეპიკური ციკლის ნაწარმოებებს. ჩანაწერები იმერეთის მე-
ფის სოლომონ მეორისა და სოლომონ ლეონიძის თემაზე გამოაქვეყნა
„კვალში“ და „აკაკის კრებულში“, საგმირო-საისტორიო ზეპირსიტყ-
ვიერების ნიმუშებს ბეჭდავდა „ნოვოე ობოზრენიეში“. საყურადღე-
ბოა მისი ნარკვევები „ჩვენი ძველი გმირები“ („ჭეჭილი“), «Мифы
Кавказа на грузинской почве» («Кавказ», 1892 г.), „ხალხური პო-
ეზია და ბატონი კელენჯერიძე, კრიტიკული წერილი ფ. მახარაძისა“
 („კვალი“, 1898 წ.). მის მხატვრულ ნაწარმოებებში („პირველი ნა-
ბიჯი“, „გულქანი“, „ჩვენი ცხოვრების ყვაილი“, „კიკოლიკი, ჩიკ-
ოლიკი და კუდაბზიკა“ და სხვ.) გამოყენებულია ფოლკლორული მა-
სალა.

ლიტ.: გ. წერეთელი, რჩეული ნაწერები, I—II; ქს. სიხარულძე, ქართველი
მწერლები და ხალხური შემოქმედება, 11, 1966 წ.; სახალხო განათლების მოღვაწეები
და სახალხო მასწავლებლები, 111, 1968.

ფ. ზანდუყელი

წერილი ლექსად — სატრფიალო პოეზიის სახეობა. ამ ტიპის
ლექსი სატრფიალო გასაუბრებას შეიცავს. ადრესატად შეიძლება
იყოს როგორც ქალი, ისე ვაჟი. ქალისადმი მიწერილი ლექს-ბარა-
თები უფრო ხშირად გვხვდება: „წიგნი არ მიმიწერა“, „სიტყვა ფიქ-
რია მღელვარე“...

სიტყვა ფიქრია მღელვარე
ჩემ გული — კალმის წვერია,
ქალღმრთელ შავი მელანი
დამდნარი გულის წვერია,
ამ გულის წვერით ნაწერი
ქალავ, აღერსი შენია...

ვაჟისადმი გაგზავნილ ლექს-წერილის ნიმუში — „რა ბევრი მი-
ტირებია“. ხალხური ლექსის შექმნა-გავრცელების ეს სახე ქარ-
თულ ფოლკლორში ახალი არაა.

ლიტ.: ელ. ვირსალაძე, ქართული ხალხური სატრფიალო პოეზიის ძირი-
თადი სახეობანი, ლიტერატურული ძიებანი, ტ. VIII, 1953, გვ. 291—292; ხალ-
ხური სიბრძნე, ტ. IV, თბ., 1965, გვ. 341; 360—362; 380—381.

გ. შეთქაური

წიგნის გამომცემელ ქართველთა ამხანაგობა — დაარსდა 1890 წ. მის მიზანს შეადგენდა ეროვნული ლიტერატურის გამოცემა და გავრცელება. დიდ ყურადღებას აქცევდა ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ბეჭდვას. გამოაქვეყნა ლ. აღნიაშვილის „ქართული ზღაპრები“ (1890), თ. რაზიკაშვილის მიერ შეკრებილი ზღაპრების ორი ტომი (1909) და სხვანი.

ვ. მაიაბერიძე

წუთისოფელი — ფილოსოფიური ლირიკის ერთ-ერთი ძირითადი თემა. წუთისოფლის შესახებ ლექსებსა და სიმღერებში გადმოცემულია ხალხის შეხედულებანი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხებზე, ადამიანის მოვალეობასა და როლზე საზოგადოებაში. ამ ლექსების განწყობილება, უმეტესად, სევდიანია. გამოთქმულია სინანული სიცოცხლის ხანმოკლეობასა და წარმავლობაზე.

ბინდის ფერია სოფელი, უფრო და უფრო ბინდდება;
რა არი ჩვენი სიცოცხლე, ჩიტვით გაკვიფრინდება.

მწარე სინამდვილე, მძიმე ცხოვრება, პირადი და საზოგადოებრივი უბედურებანი — ხალხში წუთისოფლისადმი უნდობლობას ჰბადებდა. ამან განსაზღვრა წუთისოფლის მხატვრული გააზრება როგორც „ვერაგისა“, „გაუტანლისა“, „უსამართლოსი“ და ა. შ. მიუხედავად ამისა, თანდაყოლილი ოპტიმიზმი ქვეშეცნეულადაც კარნახობდა მშრომელ ადამიანს სიკეთის, სამართლიანობის, ჰუმანიზმის მაღალ იდეებს:

წუთისოფელი ასეა, — ღამე დღეს უთენებია,
რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია.

ჟ. ბარდაველაძე

წყევლა — წყევა, შეჩვენება. დარისხება, დაკრულვა. მაგიური ფორმულა რისამე აღსაკვეთად, შესაჩვენებლად, გასაქრობად. გამოიყენებოდა ბოროტების დასათრგუნად, ჭადოქრობის დასაშლელად, გასაუვნებლად. დაწყევლილ-შეჩვენებულს საგანი თუ არსება შეკრული, მოკვეთილი იყო; მის ახსნას, ხელისხლებას ვერავინ ბედავდა. წ. ზეპირიც შეიძლება იყოს და წერილობითიც. პირველს საყოფაცხოვრებო ხასიათი ჰქონდა და ყოველდღიურ ურთი-

ერთობაში იჩენდა თავს. დაწერილი სახით წყ. შთამომავლობაზე, წამკითხველზე და ტაბუს დამრღვევზე გადადიოდა. ძველ იურიდიულ ძეგლებში, სხვადასხვა შინაარსის სიგელ-გუჯრებში, ნასყიდობა-გასაჩუქრების საბუთებში ხშირადაა შესული ამგვარი სიტყვიერების ფორმულები. წყველის კვალი სამეფო აქტებშიც შეიმჩნევა. 1699—1701 წწ. თავის წყალობის წიგნს იმერეთის მეფე სვიმონი წყველითაც ამაგრებდა: „რაც ჩვენის შედეგის ბატონისაგან შენ ეს ჩვენი წყალობა მოგეშალოს, მასამც რისხავს თავათ ღმერთი და ყოველი მისი წმინდანი ზეცისანი, ქვეყნისანი, ხორციელნი და უხორციონი“ (საქ. სიძვ., II, 163). ზოგჯერ წ. ფორმულა სასულიერო სტილზეა გავრცობილ-დაზუსტებული: „აწე ვინცა და რამანცა თქვენმან ნათესავემან გუარმან კაცმან შლად და ქცევად ქელყოს, თავადამც რისხავს ღ-თი, მამა, ძე და სულიწმინდა, ზეცისანი და ქვეყნისანი, შეცაედების კეთრი გეზისა, შიშთიელი იუდასი, ძრწოლა კაენისა, მეხთატეხილობა დიოსკორესი, ცოცხლივ დანთქმა დათან და აბირონისი“ (საქ. სიძვ., II, 263). ამგვარად, წყ. ზეპირსიტყვიერების უძველესი უნარია და თავის დადასტურებას პოულობს წერილობით ძეგლებში.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, 1971, გვ. 108.

მ. ჩიქოვანი

წყლის დედა — წყლის გამგებელი და პატრონი. სიმურ დალი, რომელსაც ახალწლის დილას „ნიჰს“ მიუტანენ და წყალს „მოპარავენ“, შემდეგი სიტყვებით: „წყალო, ნიჰი მაგიტანე, ბედი გამომატანეო“. ვინც წყალს პირველად ამოიღებს, იმის საქმე მთელ წელიწადს დოვლათიანი და ნაყოფიერი იქნებოდა. წყლის დედის კულტი გვხვდება სხვადასხვა კუთხეთა ზეპირსიტყვიერებაშიც.

ლიტ.: ნ. ჭანაშია, აფხაზები, ე. „მოამბე“, 1897, № 5; გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში., I, 1930, გვ. 40.

დ. გოგოჭური

ჰ

„ჰადმა თქვა“ — გაბაასების უნარის ნაწარმოები, „ხილთა ქების“ (ნ.) ნიმუში. „ხილთა ქებაში“ მჰადის (სიმინდის) მონაწილეობა მერმინდელი მოვლენაა, რადგანაც თვითონ კულტურა საქართველოში გვიანაა შემოსული. მცენარეებთან დიალოგში მჰადი (სიმინდი) თავმდაბალია და მორიდებული:

ქაღმა თქვა: „ერთსა მეც ვიტყვი,
მეც მოსავალში ვწერივარ,
მე არც არავინ მაკურთხებს,
არცა ნაწილში ვწერივარ...

ლიტ.: ხალხ. სიტყვ. I, ე. თაყაიშვილის რედ., ტფ., 1916, გვ. 346;
გ. შეთეკაური

ჭავჭავაძე ილია გრიგოლის ძე (1837—1907) — ქართული ლიტერატურის კლასიკოსი, მე-19 ს. მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაური, ხალხური სიტყვიერების შეკრებისა და შესწავლის ორგანიზატორი. ილიას პატარაობიდანვე იტაცებდა ხალხური შემოქმედება, განსაკუთრებულ ინტერესი კი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან დაკავშირებით ჩამოუყალიბდა. ზეპირსიტყვიერების შესწავლა ერის აღორძინების, ლიტერატურისა და ხელოვნების გამდიდრების საშუალებად მიაჩნდა. ი. ჭ. პირადად ჰკრებდა ფოლკლორულ ნიმუშებს. მისი ჩაწერილი ტექსტები გამოქვეყნდა „კრებულში“ (გლეხური სიმღერები, 1873), „ივერიაში“ (ამბავათ გაგონილნი). ილიას ჩაწერილი ლექსები დღემდე ცოცხლობს ხალხში („ამირანი“, „გავვიძიდ ბერო მინდიავ“, „დუჟეთს იყრების ლაშქარი“, „ზურაბის მოკვლა“, „ავარდა ბატონიშვილი“, „ვერ გაიგეთა ქართველნო“). მწერლის ხალხურ შემოქმედებასთან დამოკიდებულების გასაცნობად საინტერესო მასალას იძლევა „ილიაობის“ დღესასწაული საგურამოში. ი. ჭ. ხელმძღვანელობდა ქართველთა შორის წ/კ გამავრცელებელი საზოგადოების ფოლკლორისტულ საქმიანობას. მონაწილეობა მიიღო შემკრებთა დასახმარებლად პროგრამის გამოცემაში (1882). კარგად იცნობდა ქართულ, რუსულ, ინგლისურ და სხვა ხალხების ფოლკლორის შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას. საყურადღებოა ე. ტეილორის „პირველყოფილი კულტურისა“ და „ანთოპოლოგიის“ გვერდებზე მიწერილი ილიასეული შენიშვნები. ი. ჭ. კვლევებიდან შედარებით-ისტორიულ მეთოდს მიმართავდა. მისი დამოუკიდებელი ხასიათის შეხედულებანი ფოლკლორზე გადმოცემულია წერილებში: „ხალხის ზნეჩვეულებათა შესახებ“. „ერი და ისტორია“, „ქართული ხალხური მუსიკა“. მხატვრულსა და პუბლიცისტურ ნაწერებში ილიას განმარტებული აქვს ფოლკლორულ ჟანრთა რაობა (ანდაზა, ზღაპარი, იგავი, არაკი), ხალხური შე-

მოქმედების აღმზრდელიობით და ისტორიულ მნიშვნელობაზეა გამახვილებული ყურადღება „ქვათა ღალადში“.

ფოლკლორი ილიას შემოქმედების იდეური და მხატვრული წყაროც არის. ეს თვალსაჩინოდ ჩანს „აჩრდილის“, „განდევლის“, „კაკო ყაჩაღის“, „ოთარაანთ ქერივის“ მაგალითებზე. ი. ჰავჭავაძის სახე ფოლკლორში გადავიდა ხალხში დღემდე შემონახული გადმოცემებისა და მახვილსიტყვაობის დამახასიათებელი ნიმუშების ნაწილი ილიას სახელს უკავშირდება.

ლიტ.: ი. ჰავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქციით; მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956; ქს. სიხარულიძე, ქართ. მწერლები და ხალხ. შემოქმედება, I, 1956.

ფ. ზანდუკელი

კანდა — ლაზ. ქორწილი, წვეულება.

ქეჟა-ქუხილის ღვთაება — სეტყვისა და ელქექის გამგებელი ღვთიშვილი, პირიმზე მურყვანოსელი. მისი თავდაპირველი საბინისი ხევსურეთსა და მთიულეთს შორის მდებარე საჩალის მაღალი მთის წვერი ყოფილა. ამჟამად ამ ღვთიშვილს გიორგის სახელით ს. ჩირდილის სამკიბალის ხატში ლოცულობენ. მისი მეორე ნიში მოთავსებულია ბარისახოს მთაზე და ელიას სახელით ლოცულობენ. პირიმზე მურყვანოსელზე არსებობს მითოლოგიურ-ლეგენდური ხასიათის ნაწარმოებები.

ლიტ.: ს. მაკალათია, ხევსურეთი, 1935, გვ. 16; მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 258.

დ. გოგოჭური

ჰინკა — ზღაპრული მავნე არსება. ცრურწმენით, ჰინკები ჩნდებიან ჰინკობის თვეში (სექტემბერში). მთავარანგელოზობის წინა ღამეს (7 დეკემბერს) მიქელ-გაბრიელი შეკრავს ყველა ჰინკას და გადისვრის წყალში. ჰინკა სამი-ოთხი წლის ბავშვის სიმაღლის ღონიერი მითოლოგიური არსებაა, ვნებს ადამიანს, აზიანებს საქონელს. თმისა და ფრჩხილის მოჭრით ჰ. ადამიანის ერთგულ მსახურად იქცევა იმ დრომდე, ვიდრე თმასა და ფრჩხილს უკანვე არ დაიბრუნებს.

ლიტ.: კ. მალრაძე, ივერია, 1886; № 227 ს. მაკალათია, ეთნოგრაფიული ნაწერები, 1956.

მ. ჩაჩავა

ჭირისპატრონი — ხევს. ჭირისუფალი, მიცვალეზულის, მტრის მიერ მოკლულის პატრონი. გვხვდება სამგლოვიარო ლექსებსა და ხმითნატირლებში.

მეწყალი, ჭირის პატრონო!
ჭირის გონობა ძნელია!
ჭირი არ წავას უჭიროდ,
თუ ჭირის დედა მთელია.

ლიტ.: ა. შანიძე, ხალხური პოეზია, 1931, გვ. 214, 569.

დ. გოგოჭური

ჭირისწყენა — ხევს. მომარტება, მისამძიმრება, გარეშე ჭირის მიერ მიცვალეზულის პატრონისადმი მიმართვის ტრადიციული ტექსტი, რასაც დიალოგის ფორმით მოსდევს ჭირისუფალის პასუხები. ჭირისწყენა ხდება საზოგადოებისაგან გამოცალკეებულ გარემოში.

ლიტ.: „ივერია“, 1886, № 200; ა. შანიძე, ხალხური პოეზია, 1931, გვ. 569; ს. მაკალათია, ხევსურეთი, 1938.

დ. გოგოჭური

ჭიჭინაძე ზაქარია ეგნატეს ძე (1854—1931) — საზოგადო მოღვაწე, ხალხური შემოქმედების ნიმუშების შემკრები და გამომცემელი. ჭ. ზეპირსიტყვიერებას დემოკრატიული პოზიციებიდან განიხილავდა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საისტორიო სიტყვიერებას. წერილები უძღვნა მესტვირულ და აშულურ პოეზიას. ასევე იკვლევდა ამირანიანს, ტარიელიანს, ეთერიანსა და ბეჟანიანს. ჭ-ის მიერ შეკრებილი მასალები ქვეყნდებოდა ზ. მთაწმინდელის, ია მარუშაძის, სა-ლას, სანდალას, შავშელის ფსევდონიმებით „დროების“, „ივერიის“, „აკაკის კრებულის“, „მოგზაურის“, „ჭეჭილის“ ფურცლებზე. ჭ. შემკრებლობით მუშაობას ეწეოდა ქართლში, კახეთში, იმერეთსა და აჭარაში. განსაკუთრებული გულმოდგინებით სწავლობდა ისტორიულ პირებთან (თამარი, ერეკლე მეორე) და სახალხო გმირებთან (გელანა ნათელაშვილი, პაატა თემურიშვილი, თამრო ვაშლოვანელი) დაკავშირებულ სიტყვიერებას.

ჭიჭინაძეს თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვის ფოლკლორული ნიმუშების გამოცემის საქმეში. სხვადასხვა დროს გამოაქვეყნა წიგნები: „ქართული სახალხო სიმღერები“, „ქალ-ვაჟიანი“, „არსენას ლექსი“, „სახალხო ლეგენდები და ლექსები“, „მესტვირე და

ქამანჩა“, „თამარ მეფე“, „ბენია, ქართველი მეფეების ხუმარა“ და სხვა.

ქ.-თვის დამახასიათებელი იყო ხალხურ ნაწარმოებთა სტილიზება.

ლიტ.: ზ. კიკინაძე, ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები XVII და XVIII საუკუნეებში, 1888; ამირანდარეჯანიანი, 1896; საქ. სახ. ლიტ. მუზ., ზ. კიკინაძის ფონდი, საქმე № 570; ვ. მაცაბერიძე, აპარის ზეპირსიტყვიერების შესწავლის ისტორიის საკითხებისათვის, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ტ. II, 1962; ფ. ზანდუკელი, ზ. კიკინაძის ფოლკლორისტული მოღვაწეობა, მაცნე, 1967.

ფ. ზანდუკელი

ქონქაძე დანიელ (1830 1860) — მწერალი, ხალხური ლეგენდა გამოიყენა თავისი ცნობილი მოთხრობის „სურამის ციხის“ შესაქმნელად. ნაწარმოებში ლეგენდას საკმაო ცვლილებები განუცდიდა, გმირთა სრულყოფილი დახატვისათვის მწერალს სჭირდება შურისძიების მოტივის შეტანა. ზურაბი თავისი ნებით კი არ ჩაემუნება კედელში, არამედ ძალდატანებით, შურისძიების ნიდაგზე, რაც ხალხურ ტრადიციას არ ახასიათებს.

ლიტ.: დ. ქონქაძე, სურამის ციხე, მ. ზანდუკელის რედ., 1932.
ნ. შამანაძე

ბ

ხადურულა — მდინარე კახეთიდან თუშეთში გადასავალ გზაზე. იხსენიება მწყემსთა პოეზიაში: ხადურულაში ჩაყრილი ბახტრიონს გამოდისაო.

ლიტ.: ხალხური სიტყვიერება, III, მ. ჩიქოვანის რედ., გვ. 91.
ნ. შამანაძე

ხალიაისძე — საგმირო ბალადის პერსონაჟი. ბალადაში ნაჩვენებია ბრძოლა თუშებსა და ცხვრის გასატაცებლად მომხდურ ქისტებს შორის. სახალხო მთქმელი ქებით იხსენიებს ფშაველი ხალიაისძის ვაჟკაცობას:

მოვარდა ხალიაისძე — არწივი მეომარია,
ისე დაბრუნდა ომშია, როგორც კალღში ხარია.

ლიტ.: ხალხური სიტყვიერება, III, ხალხური ლექსები თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი, მ. ჩიქოვანის რედ., თბ., 1953, გვ. 49.

გ. შეთეკაური

ხალხური დრამა — სინთეტიკური ფოლკლორული ჟანრი, რომელსაც საფუძვლად უდევს სიტყვის, მუსიკის, მოქმედების, პანტომიმის შერწყმულობა-დაუნაწევრებლობა. ხ. დ. ზეპირსიტყვიერების ჩანასახში, პირველყოფილი ხელოვნების მთლიანობაში იჩენს თავს. მხატვრულმა გაბაასებამ, კორიფესა და გუნდს შორის გამართულმა პაექრობამ სათავე დაუდო დრამატულ 'დილოგს, ხოლო სიტყვისა და განსახოვნების საშუალებებს ნიადაგი მოუმზადა საწესჩვეულებო მოქმედებამ. ხ. დ. უმარტივესი სახე მოცემულია თვით ზეპირ შესრულებაში (გამომეტყველებითი თხრობა, მღერა, საკრავის მოშველიება, ცეკვა, მიმიკა). ქადაგი საკულტო დრამის მსახიობია, მისი როლის შესრულება სპეციალურ მომზადებას მოითხოვს. ხ. დ. ადრე სამეურნეო დანიშნულებას ემსახურებოდა, ხელოვნებად იგი საწესჩვეულებო პოეზიის განვითარების მაღალ საფეხურზე იქცა. თავდაპირველ ნიმუშებს წარმოადგენს ლაზარობა (გვალვის დროს წვიმის მოყვანა და, პირიქით, გამოამინდების ცდა), გამოზაფხულის თამაშობა-გართობანი (ბერიკაობა, ყუენობა და სხვ.) ხ. დ. ნაწარმოებებია „რძალ-დედამთილიანი“, „მზეთუნახავი და თორმეტი თვე“, „მოდი ვნახოთ ვენახი“, „რწყილი და ჭიანჭველა“, „კაცი და ქაჯები“ (სვანური), დალის ციკლის თხზულებანი. ლიტერატურული დრამის შექმნამდე (აღორძინების ეპოქა) საქართველოში მის მოვალეობას ხალხური დრამა-სანახაობანი ასრულებდა.

ლიტ.: დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, 1848: მ. ჩიქოვანი, ხალხური დრამა. ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956; მისივე, ხალხური დრამა, ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, II, 1968.

გ. ჭელიძე

ხალხური ლექსი — რიტმულ-ინტონაციურად ორგანიზებული პოეტური ტექსტი, რომლის ძირითადი კომპონენტებია: რიტმი (ნ.), ინტონაცია (ნ.), რითმა (ნ.), სტროფი. მახვილი, საზომი. ხალხური ლექსი გენეტიკურად მხატვრული აზროვნების განვითარების ადრეულ საფეხურზე ჩნდება. მის სათავეს წარმოადგენს ფოლკლორული სინკრეტიზმი (ნ.), ე. ი. მუსიკის, ცეკვისა და სიტყვიერი ტექსტის თავდაპირველი ერთიანობა. პოეტური შემოქმედების შემდგომ საფეხურზე თანდათან იწყო რღვევა ამ სამი ელემენტის ერთიანობამ და სიტყვიერმა ტექსტმა ორგანიზებული ფორმა მიიღო, დამოუკიდებლად იწყო განვითარება.

ლექსის ფორმირებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა გუნდურ შესრულებიდან ინდივიდუალურ შესრულებაზე გადასვლამ, რაც კორიფეს (ნ.) ანუ დამწყების გააქტიურებას მოჰყვა. ამ საფეხურზე სიმღერის დამწყები ლექსის გაუმჯობესებაზე ზრუნავს: საგანგებოდ არჩევს სიტყვებსა და ფრაზებს, რომელსაც ან თვითონ თხზავს, ან სხვებისაგან გაგონილს იმახსოვრებს. სიტყვიერი ტექსტი თანდათან იძენდა იდეურ-მხატვრულ გააზრებასა და მტკიცე რიტმულ წყობას.

ლექსის ფორმირებაში გადამწყვეტი როლი ითამაშეს ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა: მესტირეებმა, მეჩონგურეებმა, მეფანდურეებმა. ხალხური ლექსი განვითარების ყოველ ეტაპზე მკიდროდ იყო დაკავშირებული სიმღერასთან.

ლი ტ.: მ. ჩიქვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1956; ჯ. ბარდაველიძე, ქართული ხალხური ლექსთწყობის საკითხები (რეფრენი, სტროფი, რითმა), თბ., 1960.

ჯ. ბარდაველიძე

ხალხური ნოველა — მცირე ხალხური მოთხრობა საყოფაცხოვრებო თემაზე. ფოლკლორული პროზის უძველესი და ძირითადი სახე. სიუჟეტურად და შინაარსობრივად უპირისპირდება ჯადოსნურ ზღაპარს. (ხ. ნ. საფუძველი და სპეციფიკის არსი არის ბუნებისა და საზოგადოების ძალებზე რეალისტური წარმოდგენა, ცხოვრების სინამდვილით ასახვა, სცენაზე გამოყვანა ცხოვრების შუაგულიდან ამორჩეული პერსონაჟებისა, რომლებიც მოქმედებენ ტიპობრივ გარემოში. ზთავისი სტრუქტურითა და სტილით ხ. ნ. ლიტერატურულის უშუალო წინამორბედი. უძველესმა ნოველისტურმა მოტივებმა ნიადაგი მოუშადადეს როგორც ზეპირი სადასიტყვაობის თვისებრივ გაღრმავებას საერთოდ, ისე ლიტერატურული ნოველის აღმოცენებასა და მწერლობაში დამკვიდრებას, კერძოდ. ეს მოტივები მხოლოდ გარეგანი მოდელით ემსგავსებიან ერთმანეთს, ხოლო შინაგანად სხვადასხვა ხალხის ზეპირშემოქმედებაში დამოუკიდებელი მხატვრულ-ესთეტიკური ფენომენის სახეს ღებულობენ. ამის საილუსტრაციო მასალას უხვად გვაწვდის ძველი ქართული მწიგნობრობა, რომელშიც ნოველისტურმა მოტივებმა, უეჭველად, პირდაპირ ხალხური ეპოსის წიალიდან ჰპოვეს ასახვა.

(ხალხური პროზის ამ სახის აღსანიშნავად ფოლკლორისტიკაში გამოყენებულია სხვა ტერმინებიც. ყველაზე გავრცელებული

ტერმინებია: საყოფაცხოვრებო ზღაპარი (ნ.), ნოველისტური ან რეალისტური ზღაპარი (ნ.), ნოველისტური საყოფაცხოვრებო ზღაპარი (ნ.), საყოფიერო ნოველისტური ზღაპარი (ნ.), ნოველა-მოთხრობა. ხ. ნ.-ის ნიმუშებია „ერთი მანეთის შოვნა“, „ცაზე რამდენიმე ვარსკვლავია“, „ცოლ-ქმრის ამბავი“, „მეფე და ვეზირები“, „ვინც საქმე გააკეთა, პურიც იმანა ჭამოს“, „ობოლი და ქოსამატყუარა“.)

ხ. ნ.-ის ცაკლე კრებულები ადრე არ იცემოდა და მისი ნიმუშები ზღაპრების ჩვეულებრივ კრებულებში შექჷონდათ. ყველაზე ადრინდელი ჩანაწერებია ქართული ხ. ნ.-ისა ეკუთვნის XVII ს. მეორე ნახევარს, იგი გვხვდება ბერნარდე ნეაოლელის კრებულში (ნ.), რომელიც მიხ. ჩიქოვანმა გამოსცა 1964 წ. ბევრი ნიმუშია გამოქვეყნებული „აკაიის კრებულში“. ლ. აღნიაშვილის (ნ.), თ. რაზიკაშვილის (ნ.), აგრეთვე მიხ. ჩიქოვანის, ქს. სიხარულიძის, ელ. ვირსალაძის, ალ. ღლონტის და სხვ. კრებულებში ქართული ხ. ნ.-ის პირველი ცალკე კრებული 1956 წ. გამოიცა.

ლიტ.: ალ. ღლონტი, ქართული ხალხური ნოველა, I, თბ., 1963; II, თბ., 1966; მიხ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1956; მიხ. ჩიქოვანი, ქართული ზღაპრები, კრებ. „ქართული ხალხური ზღაპრები“, I, თბ., 1938; ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური სიტყვიერება, I, თბ., 1956; ელ. ვირსალაძე, ზღაპარი, ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, I, თბ., 1960; ტექსტები: ქართული ხალხური ნოველები, ჩაწერა, გამართა, გამოკლევა და შენიშვნები დაურთო ალ. ღლონტმა, 1956; „ხალხური სიბრძნე“, II, შეადგინა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ალ. ღლონტმა, თბ., 1964; Грузинские народные повелы, составление, обработка, примечания А. А. Глопти, Тб., 1974.

ალ. ღლონტი

ხალხური ლექსწყობა — რიტმულად ორგანიზებული ხალხური ლექსის სისტემა. ხალხური ლექსწყობის ფორმირებაში, ენობრივ მოვლენებთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მუსიკამ და შესრულების გუნდურმა წესებმა. ხალხური ლექსის სასიმღერო ხასიათი ხალხური ლექსწყობის მუსიკასთან მჭიდრო კავშირმაც განაპირობა. დროთა განმავლობაში ხალხურმა ლექსწყობამ დამოუკიდებელი არსებობის უნარი შეიძინა, მაგრამ მუსიკის კვალი მის ბუნებას ბოლომდე შემორჩა. ქართული ხალხური ლექსწყობის ძირითადი კომპონენტებია: რიტმი, საზომი, რითმა, მახვილი,

ინტონაცია, სტროფი. სალექსო სისტემის თვალსაზრსით იგი ახლოს დგას სილაბურ-ტონურთან.

ლიტ.: ჟ. ბარდაველიძე, ქართული ხალხური ლექსწყობის საკითხები, 1960.
ჟ. ბარდაველიძე

ხალხური პოეტური შემოქმედება — ზეპირსიტყვიერი მხატვრული შემოქმედების მრავალფეროვანი სახეებისა და ფორმების მთლიანობა, რომელიც კოლექტიური თანავეტორობის პროცესშია ჩამოყალიბებული დროთა განმავლობაში. ქართულ პრესაში ხშირად გვხვდება სინონიმური გამოთქმები: ხალხური სიტყვიერება, ზეპირსიტყვიერება, ხალხური პოეზია, ბოლო ხანებში — ინგლისური წარმოშობის, ფოლკლორი (Folk-lore — ხალხის სიბრძნე); ისინი მნიშვნელობით ერთმანეთს ყოველთვის არ ფარავენ. განსაკუთრებით ეს ითქმის მსოფლიოში გავრცელებული „ფოლკლორის“ თაობაზე. ხალხის პოეტური შემოქმედება რთული ცნებაა და განმარტებას საჭიროებს. „პოეტური“ ზოგჯერ „მხატვრული“-ს მნიშვნელობითაც ესმით. ისინი იდენტური ცნებები არ არიან. პოეტური ყოველთვის გულისხმობს მხატვრულს, მაგრამ თვითონ მხატვრული მუდამ არ არის მხოლოდ პოეტური, ის შემცველობით უფრო მეტია. „მხატვრულში“ პოეტური სიტყვიერების გარდა შეიძლება ვიგულისხმოდ ფერწერული, სკულპტურული, ქორეოგრაფიული, სანახაობრივი და ა. შ., ე. ი. ყოველგვარი კოლექტიური ესთეტიკურად ამადლებული და საგნობრივად გამოხატული. თითოეული ეს მომენტი ხალხურ შემოქმედებას საერთოდ ახასიათებს, მის შემადგენლობაში შედის, მაგრამ სიტყვიერი ხელოვნების ფარგლების გარეშე იმყოფება, აღემატება როგორც მთელი ნაწილს. ამ შემთხვევაში „პოეტური“ აკონკრეტებს, გამოყოფს საერთო კომპლექსიდან ჩვენთვის მნიშვნელოვან მოვლენას და მხოლოდ სიტყვიერი შემოქმედებით საზღვრავს მას. ამჟამად სწორედ ესაა მთავარი. ამგვარად, ხ. პ. შ. გულისხმობს ფართო მასების იმ შემოქმედებას, რომელიც მეტყველების საშუალებით აღიქმება და მხატვრულ ფორმაშია მოქცეული.

რადგან გარკვეული შემოქმედება სიტყვის საშუალებით ვლინდება, ცხადია, სიტყვის გარეშე მისი წარმოდგენა არ შეიძლება. სიტყვიერი მხატვრული შემოქმედება პირველყოვლისა მხოლოდ სიტყვების საშუალებით ხდება რეალური და ხელშესახები. უნდა

ოლინიშნოს, რომ სანამ ადამიანს სამეტყველო ენა არ შეუქმნია, ურთიერთობისთვის სიტყვების გამოყენება არ უსწავლია, მანამდე არც ის არსებობს, რასაც ხალხური პოეტური შემოქმედება ეწოდება ფოლკლორისტიკაში. ენაა საშუალებაცა და საფუძველიც, რომლის მეოხებით ადამიანები უხსოვარი დროიდან ახერხებდნენ ემოციებისა და იდეოლოგიის ფიქსაციას. სიტყვიერი ფოლკლორის შექმნა ნაწილობრივ თან სდევს ენის შემოქმედებითს პროცესს, მაგრამ განვითარებული სახით იგი მხოლოდ შემდეგროდინდელია, მასზეა დაშენებული.

ქართველთა სიტყვიერი შემოქმედების პირველი ნიმუშები ძალიან შორეულ წარსულშია შექმნილი. ეს იმ დროინდელია, როცა თვითონ ქართველმა ხალხმა იწყო ჩამოყალიბება, როცა ქართული მეტყველება წარმოიშვა და ადამიანთა ჯგუფების შემაკავშირებელ ფენომენად იქცა. ისტორიულად ეს უკლასო საზოგადოებაში, სულ მცირე 5-6 ათასი წლის წინათ მოხდა. საგვარეულო და ტომობრივი საფეხურიდან სახელმწიფოებრივ გაერთიანებაზე გადასვლას დიდი დრო დასჭირდა. ამ ხანაში თვითონ სიტყვიერი შემოქმედება, სულიერი კულტურის სხვა სფეროებთან ერთად, თვალსაჩინო ცვლილებებს განიცდიდა. ამ გზაზე თავდაპირველი გაურჩევლობა, შერწყმულობა, ხელოვნების მომავალი დამოუკიდებელი დარგების სინკრეტულობა, ადგილს უთმობს დიფერენცირებულ, ერთმანეთისაგან გამიჯნულ დარგებს (სიტყვა, მუსიკა, ცეკვა, მხატვრობა, სანახაობა). გამოყოფის უძველეს საფეხურზე ცალცალკე იწყებს განვითარებას სიტყვიერი ხელოვნება, მუსიკა, ცეკვა, მხატვრობა... მაგრამ სიტყვიერ ხელოვნებაში ჯერ კიდევ არ ჩანს ამ კულტურის დამახასიათებელი დრამატიული, ეპიკური და ლირიკული ჟანრები, პოეტურად ორგანიზებული სიტყვა-ლექსი და თხრობისთვის დანიშნული ტექსტი — პროზა. ყოველივე ეს ჩანასახობრივ მდგომარეობაშია და ცხოვრების წესის გართულების კვალობაზე თვითონაც რთულდება, ვითარდება, მხატვრული ნორმის საფეხურს აღწევს. დიდხანს სიტყვიერი ხელოვნება, და მისი ცალკე სახეები, გვარები, ჟანრები მთლიან საზოგადოებას, მთელ ხალხს ემსახურებოდა, რადგან არ არსებობდა კლასები, სოციალური დაყოფა, ბატონი და ყმა, მჩაგვრელი და ჩაგრული, მორჩილი და დამმორჩილებელი. მაშინ არც დამწერლობა არსებობს. ამის გამო საზოგადოების კულტურული მომსახურება. ესთეტიკური აღზრდა მხოლოდ ფოლკლორის საშუალებით წარ-

მოებს. ამ საფეხურზე, შრომის განაწილების კვალობაზე, ზეპირ-სიტყვიერების შემსრულებელთა, შემქმნელ-გამავრცელებელთა ჯგუფები ჩნდებიან, იწყება ერთგვარი პროფესიონალიზაცია, თუმცა ინდივიდუალური პოეტური შეგნება კვლავ ნაკლებ იგრძნობა, რადგან არავინ იცის რა არის „ჩემი“ და „შენი“. პირველყოფილი კომუნიზმის დროს სიტყვიერი ნაწარმოებების მთელი მარაგი საერთო მფლობელობაშია და ინდივიდუალური ავტორი არ ჩანს. ყველაფერი კოლექტივისაა, ჩვენია, და არა ჩემი ან შენი. კორიფეთავეისი მდიდარი რეპერტუარით, გუნდშია გაუჩინარებული, მხოლოდ შესრულების დროს გამოიყოფა როვორც დამწყები, სიტყვიერი ხელოვნებოს განმასახიერებელი, მაგრამ არა მესაკუთრე.

კლასობრივ საზოგადოებაში, დამწერლობის მომარჯვების შემდეგ, ფოლკლორული შემოქმედება საერთო სახალხო მომსახურებიდან ძირა ფენებში გადაინაცვლებს და ფართო მასების კუთვნილებად იქცევა უმთავრესად. რაკი კლასი კლასისაგან ჩინური კედლებით არ არის გამოყოფილი, ამის გამო ისინი სულიერი კულტურითაც თანაზიარი არიან და ერთმანეთზე გავლენას ახდენენ. დამწერლობის წარმოშობით ზეპირსიტყვიერებას ძლიერი მოპირდაპირე უჩნდება, მაგრამ არა მესაფლავე. ლიტერატურა წინ გადადგმული ნაბიჯია ესთეტიკური განვითარების გზაზე, მაგრამ იგი დიდხანს საყოველთაო მოვლენას არ წარმოადგენს და ამდენად უფრო მეტ გავლენას განიცდის ფოლკლორისაგან, ვიდრე თვითონ ახდენდეს მასზე შემოქმედებას. ზეპირითობა, კოლექტიურობა, ვარიანტულობა და ხალხურობა თანდათან განსხვავებულ ნიშნებად ყალიბდება ეროვნული კულტურის ინდივიდუალურ-ავტორისეული ნაკადისაგან გამოსაცალკევებლად. თანდათან ზეპირი პოეტური შემოქმედების ბედით თვითონ ხალხი, ფართო მშრომელი მასები ინტერესდებიან და ისინი ხდებიან ფოლკლორის შემნახველიცა და გამავრცელებელიც, შემქმნელიცა და მომხმარებელიც. ამ დროს განსაკუთრებით ფასდება სახალხო შემსრულებელთა როლი, იმპროვიზატორული წვლილი, მგოსნების, მესტვირეების, მეფანდურეების, — შემსრულებელთა მხატვრულ მოღვაწეობასთან რომაა უშუალოდ დაკავშირებული.

პოეტურ შემოქმედებაზე უპირველეს გავლენას მისი მატარებელი ხალხის ისტორიული წარსული ახდენს. ეპოქის, რეალური გარემოს ბეჭედი აზის ხალხის ყოველ ნაწარმოებს. საზოგადოების კოლექტიური მოთხოვნების მიხედვით თანდათან ჩამოყალიბ-

და სიტყვიერი ხელოვნების ფორმები ლექსის, პროზისა და დრამის სახით. საერთო მარაგში ერთმანეთისაგან ფუნქციათა და პოეტური სტრუქტურით გამოიყო შრომის ლექსი და სიმღერა, საწესჩვეულებო-საყოფო პოეზია, შელოცვა, ანდაზა, გამოცანა, მითი. ზღაპარი, ლეგენდა, თქმულება, გადმოცემა, საგმირო და სამიჯნურო ეპოსი, ისტორიული ლექსი, სატრფიალო თუ საყოფიერო ლირიკა, ხალხური დრამა. თითოეული ჟანრის დამკვიდრებას თავისებური წარსული აქვს. ჟანრები და სახეები ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული და ერთმანეთს განაპირობებენ. ძნელია აჩვენოთ ჟანრების წარმოქმნის დოკუმენტური სურათი. ბევრი მათგანი ერთდროულია, ზოგი კიდევ მოგვიანებით წარმოშობილი. ყველაზე აღრინდელად ის ჟანრები და სახეები უნდა მივიჩნიოთ, რომლებიც სამეურნეო და სარწმუნოებრივი ცხოვრების უძველეს ფორმებს ასახავენ. ზეპირსიტყვიერებაში პირველად ალბათ მონადირეობა და მეთევზეობა შეიჭრა, ვიდრე მიწათმოქმედება და ხელოსნობა. პირველ რეალისტურ ნაწარმოებებს დასაწყისიდანვე გვერდში ამოუდგა მითოლოგიური და მაგიური შინაარსის ძეგლები, რომელთა გარკვეული მარაგი ათეული საუკუნეების შემდეგაც აღწევს ჩვენამდე. ძველი მარაგის შემონახვას მრავალი ფაქტორი უწყობს ხელს, მათ შორის ზოგი აქვე შეიძლება დავასახელოთ. მაგალითად, მხატვრულ საუნჯეთქცეულ ნაწარმოებთა მემკვიდრეობით გადაცემის წესი, საზოგადოების არათანაბარი განვითარება და ამ ნიადაგზე ზოგიერთ კუთხეში განვლილ საფეხურთა დამახასიათებელი მოვლენების სიჭარბე, პროფესიულ შემსრულებელთა ტრადიცია და სხვ. ამით აიხსნება ისიც, რომ ზეპირსიტყვიერებაში ერთმანეთას გვერდით თავსდება ულტრა თანამედროვე და შორეული ხანის ამსახველი პოეტური და პროზაული ნაწარმოებები.

ფეოდალური და ბურჟუაზიული კლასები ერთნაირად არ არიან დაინტერესებული ხალხური შემოქმედებით. არც მათი ფოლკლორული წვლილია თანაბარი. კულტურული ცხოვრების მაღალ საფეხურზე ხალხური სიტყვიერება საგრძნობლად ემსგავსება ლიტერატურას. აქ გავლენათა რთული კომპლექსი იწყებს მოქმედებას. ყველაზე გავრცელებული შემთხვევების მიხედვით, ზეპირსიტყვიერება იქცევა ლიტერატურული შემოქმედების წყაროდ. ხოლო შემდეგ თვითონ ხალხური სიტყვიერება განიცდის მის მიერ გასესხებული და გადასხვაფერებულად დაბრუნებული ლიტერატურული ნაწარმოების გავლენას. საამისო მაგალითები უხვად მოიპოვება შოთა

რუსთაველის, სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში.

ხალხის პოეტური შემოქმედება უწყვეტი პროცესია. ზეპირსიტყვიერებაში ყოველთვის რაღაც იცვლება და იქმნება. ეს პროცესი აქტიური ხდება ისტორიული შემობრუნების პერიოდებში. ასე, ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ ჩვენში ახალი ზეპირსიტყვიერება ჩამოყალიბდა, ძველის საფუძველზე თუ მის პარალელურად. ასევე ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საბჭოთა ფოლკლორი დამკვიდრდა მისი მრავალრიცხოვანი ლექს-სიმღერებისა და ანდაზა-გამოცანების. თქმულება-გადმოცემებისა და მოგონებების სახით. ხალხური შემოქმედება თანამედროვეობის მატთან არის. ამის გამო მისი შესწავლის, შეკრებისა და გადმოცემის დროს ყოველთვის ისტორიული თვალსაზრისი უნდა გვაშთაბრუნებდეს. აღიარებულია, ხ. პ. შ. ეროვნული კულტურის განუყოფელი ნაწილია; იგი ისევე უწყობს ხელს ხალხის წინსვლას პროგრესის გზაზე, როგორც ლიტერატურა და ხელოვნება, მეცნიერება.

ლიტ.: ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, I—III, 1959—73; მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956; მისივე, ქართული ეპოსი, I—II, 1959—65; ქს. სიხარულიძე, ქართული საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, I—III, 1961—67; ელ. ვირსალაძე, ქართული საზოგადოებრივი ეპოსი, 1964; ვ. კოტეტიშვილი, რჩ., 1967; პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, I—IV, 1964; ხალხური სიბრძნე, I—V, 1963—64; ქართული ფოლკლორი, I—IV, 1964—1974.

მ. ჩიქოვანი

„ხალხური სიტყვიერება“ — 1. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით გამოცემული ფოლკლორული კრებული ორ წიგნად, შეტანილია „ძველი საქართველოს“ I—IV ტომებიდან ამოკრებილი ზეპირსიტყვიერი ტექსტები. წიგნი I — ლექსები, ანდაზები, სიტყვის მასალა და გამოცანები, 1916 წ.; წიგნი II — ზღაპრები, 1918 წ.

2. ფოლკლორული კრებულების სერია. დღემდე გამოცემულია 5 ტომი პროფ. მ. ჩიქოვანის რედაქციით, შესავალი წერილებითა და შენიშვნებით. I ტ. — თანამედროვე ქართ. ხალხ. პოეზია, 1950; II ტ. — ქართ. ხალხ. ზღაპრ., 1952; III ტ. — ხალხ. ლექსები თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი, 1953; IV ტ. — ეთერიანი, 1954; V ტ. — ქართ. ხალხ. ზღაპრები, 1956.

დ. წერეთლი

ხალხური ფაბლიო. — მცირე ზომის იუმორისტულ-სატირული შინაარსის ხალხური ნოველა (ნ.). ექვსნება ცხოვრების ყველა სფეროს, უპირატესად ადამიანთა ნაკლოვანებებსა და მანკიერებებს. ხ. ფ.-ში მანკიერებანი, შეცდომები, ნაკლოვანებანი სასაცილოდაა აგდებული და მწვავე სატირულ-იუმორისტული სტილით არის დახატული. მიზანში, უწინარეს ყოვლისა, ამოღებულია სწორედ უარყოფითი მომენტები. ერთერთს აქ უპირისპირდებიან დადებითი და უარყოფითი სახეები. პირველს ხალხი ქება-დიდებათ მოსავეს, მეორეს კი დასცინის და სამარცხვინო ბოძზე აკრავს. ამიტომ ხ. ფ.-ში ერთი მეორეს პარალელურად მოქმედებენ პატიოსანი და არაპატიოსანი ადამიანები, ერთგული და ორგული ცოლები, ჭკვიანი და ბრიყვი ძმები, კეთილი გლეხი და ბოროტი მღვდელი, მორჩილი ყმა და ავი ბატონი, გამგონი მოჯამაგირე და ცბიერი ვაჭარი. ქართული ხალხური ფაბლიო წინაფეოდალური საზოგადოების პირმშოა, მაგრამ მისი ჩამოყალიბება-სრულყოფა, როგორც ხალხური ნოველის განკერძოებული ციკლისა, მომხდარა ფეოდალურ საზოგადოებაში, რომლის, ერთი მხრით, ეკონომიურ-პოლიტიკურა იერარქია და ცხოვრების წესი, მეორე მხრით, ფეოდალ-მონხელეთა, რელიგიური კულტის აღმასრულებელთა თავგასულობა და უუფლებო ქალთა ბრძოლა თავისუფლებისათვის ხშირად ისეთ მწვავე სახეს იღებდა, რომ მას არ შეეძლო ასახვა არ ეპოვა ხალხურ შემოქმედებაში.

ხალხურმა სატირამ აქ ჰპოვა განვითარების ბუნებრივი გასაქანი. ხ. ფ. ისტორიულად გახდა ნოყიერი ნიადაგი, რომელშიც გაღვივდა სატირის პირველი თესლი და აღმოცენდა მთელი სატირულ-იუმორისტული ლიტერატურა. ხ. ფ. ლიტერატურულ სატირულ-იუმორისტული ნოველის უშუალო პროტოტიპია, იგი შეასაუკუნეების მხატვრულ ლიტერატურაში დამკვიდრდა. ქართული მწერლობაში ხ. ფ. პირველ ჩანსახებს აპოკრიფულ ძეგლებში ეპოქობთ, ხოლო განსაკუთრებით უზვად იგავარაკული ქანრის ლიტერატურულ თხზულებებში გვხვდება. ამ მხრით ძვირფას მასალას გვაწვდის ს.-ს ორბელიანის იგავ-არაკები, რომლებშიც ხ. ფ.-ს არაერთი და ორი თემა და მოტივია გამოყენებული. ქართული ხ. ფ.-ს

ყველაზე მეტი ნაწილი ეძღვნება სიბრიყვე-სირეგვენეს. ბრიყვი ამ ციკლის ნაწარმოებთა პოპულარული პერსონაჟია: ხ. ფ.-ის ნიმუშებია „მძლეთა-მძლე“, „მატყუარა“, „როსტომელა“, „მედაირე“, „მღვდელის ცოლი“...

ლიტ.: მიხ. ჩიქოვანი, სატირა და იუმორი ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში, „ლიტერატურული ძეგანი“, X, თბ., 1955; ალ. ღლონტი, ქართული ხალხური ნოველა, I, თბ., 1963; II, თბ., 1966; „ხალხური სიბრძნე“, ტ. II, შეადგინა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაჯრთო ალ. ღლონტმა, თბ., 1964; „ხალხური სიბრძნე“. ტ. V, მახვილსიტყვაობა, 1965, გვ. 391—448. Грyзинский юмор. Тб., 1965.

ა. ღლონტი

ხალხური ფაცეცია — მცირე ზომის, იუმორისტული შინაარსის ხალხური ფაბლიო (ნ.) ანეგდოტის ფუნქციისა. წარმოშობით ხ. ფ. მახვილსიტყვაობის ნიმუშია, ოღონდ იუმორისტულ სამოსელში გახვეული. ფაცეციური ფაბლიო ხალხური ნოველისა (ნ.) და ანდაზის (ნ.) მიჯნაზე დგას, ასახავს რეალურ ცხოვრებას და საყოფაცხოვრებო მოტივებს სატირულ-იუმორისტულ ელფერს აძლევს. ხ. ფ.-ის ყოველი მოტივი სინამდვილის უშუალო ანარეკლია, აღსაყვე გაზვიადებებით, მაგრამ ცხოვრებიდან გადახვევას ვერ იტანს. ფ.-ის გავრცელებულობა და ინტერნაციონალური ხასიათი მისი ფორმის სიმსუბუქითა და თემატიკის რეალისტურობით აიხსნება. ხალხმა ამ მოკვეთალი ფორმით შექმნა გონების სავარჯიშო, სახუმარო, მოკლე ზომის ნაწარმოები, რომელიც რეალური ცხოვრების პრაქტიკის ანარეკლია. არსად, ხალხური სადასიტყვაობის არც ერთ ჟანრში, ცხოვრებისეული ნაკლოვანებები და შეცდომები ისე დაუნდობლად და მწვავე სატირით არ არის წარმოსახული, როგორც ხალხურ ფაცეციებში, ანეგდოტებში. ქართული ხ. ფ.-ის ნიმუშებია „მუქანახევარა“, რომლის მოტივებს მთელ მსოფლიოში ვპოულობთ. ხ. ფ.-საგანგებოდ შესწავლილი არ არის. მისი ნიმუშები ცალკე კრებულად არ გამოქვეყნებულა, შეტანილია ხალხური ნოველებისა და მახვილსიტყვაობის კრებულებში.

ლიტ.: მიხ. ჩიქოვანი, სატირა და იუმორი ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში, „ლიტერატურული ძეგანი“, IX, თბ., 1955; ალ. ღლონტი, ქართული ხალხური ნოველა, I, თბ., 1963; II, თბ., 1966; „ხალხური სიბრძნე“, ტ. II, შეადგინა...

წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ალ. ჯღონტმა, თბ., 1955; „ხალხური სიბერძნე“, ტ. V, პახილსიტყვაობა, თბ., 1965, გვ. 391—449. Грузинский юмор, под редакцией М. Я. Чиковани, Тбилиси, 1965.

ა. ღონტი

„ხალხური შემოქმედება“ — 1928 წ. „სასკოლო ბიბლიოთეკის“ სერიაში ორ წიგნად გამოცემული ზეპირსიტყვიერების ნიმუშების კრებული. 1 წიგნში შეტანილია მითიური ლექსები და საგმირო ეპოსის ნიმუში „ამირანი“. აქვეა პარალელები ბერძნული მითოსიდან და რუსული ბილინის ნაწყვეტი. II წიგნშია ხალხური ლირიკა, ზღაპრები და ნიმუშები ლიტერატურიდან.

ბ. მაკაბერიძე

ხალხურობა — ფოლკლორულ თხზულებაში მშრომელი ადამიანების ინტერესების, მისწრაფებების გადმოცემა, სინამდვილის ეპოქისდა შესაბამისად ასახვა. ხალხურ ნაწარმოებში ყველაზე სრულად და ორგანულად ვლინდება ერის ნაციონალური თავისებურებანი, დროის სოციალური ტენდენცია, სინამდვილის აღქმის პროგრესულ-დემოკრატიული ხასიათი, აზრის, იდეის მკაფიობა, ენობრივი სიხალასე და ძარღვიანობა, რაც აუცილებელია მხატვრული ქმნილების ხალხურობისათვის. ხ. ფოლკლორში გულისხმობს მოვლენების ხალხის პროზიციებიდან დანახვა-შეფასებას, მოწინავე იდეალების წინ წამოწევას, საბრძოლო-პატრიოტულ შემართებას, ბოროტის დაგმობას და სიკეთისათვის თავდადებას.

ლიტერატურის ხალხურობა ფოლკლორულ ხალხურობასთან გენეტიკურადაა დაკავშირებული. იგი ფოლკლორული ხალხურობის შემოქმედებითი განვითარებაა და, ამდენად, ხალხურობა ფოლკლორიზმის ცნებასაც მოიცავს გარკვეული გაგებით.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი. ხალხური შემოქმედება, როგორც ხელოვნებისა და ლიტერატურის ერთ-ერთი საფუძველი, ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, 1961, გვ. 21; ქს. სიხარულიძე, ქართული მწერლობა და ხალხური შემოქმედება, ტ. I, 1956; ტ. II, 1965; ვ. ციციშვილი, საბჭოთა ლიტერატურის შემოქმედებითი მეთოდის გენეზისისა და სპეციფიკის საკითხები, 1960, გვ. 57—66.

გ. ჰელიძე

ხანულობა — ქალთა ამხანაგობა. ხელმოკლე ოჯახის ქალები რძეს ჯერ ერთთან შეაგროვებდნენ, შემდეგ მეორესთან, მესამესთან და ა. შ. ხ. თავს იჩენს როგორც ანდაზებში („ფური მოკვდა-ხანულობა გარდასწყდაო“), ასევე შრომის პოეზიაში:

ახალი გუთნის დედა ხარ, მიწა ვერ მოხან გვალული;
ადექ და წადი ჯაეახეთს, იქ მოიკიდე ხანული.

ლიტ.: ოქროშიძე თ., ქართული ხალხური შრომის პოეზია, 1963.
ვ. შაცაბერიძე

ხარი — ფოლკლორული პერსონაჟი. გვხვდება როგორც ზღაპრულ ეპოსში, ისე სხვა ჟანრებში. განსაკუთრებით ხშირად იხსენიება შრომის ლექსებსა და სიმღერებში. ხარის მხატვრული სახის შექმნას ხელი შეუწყო სათანადო კულტის არსებობამ ძველ ქართველ ტომებში. მაგალითად, უძველეს სამარხებში ხშირად ვხვდებით ხარის ძვლებს; ხარის თავი ზოგჯერ გამოსახულია ტაძრების კედლებზე, ბარელიეფებზე, კახურ ბერიკაობაში ხარის ნიღაბიანი მოთამაშე მონაწილეობდა. სვანეთში სამსხვერპლო ხარს, ნ. მარის მოწმობით, უდიდესი მოკრძალებით ეკიდებოდნენ და მისი ყანიდან გადადენაც კი არ შეიძლებოდა; უძველეს კოლხურ ფულზე (ძვ. წ. V ს.) ხარის თავი და ხარკაციც არის გამოხატული.

ხარის კულტის შექმნას რეალური საფუძველი გააჩნდა: იგი მშრომელი კაცის უახლოესი თანაშემწე იყო და მასთან ერთად ეწეოდა ცხოვრების ჭაპანს. საყოფიერო ზღაპრებსა და შრომის პოეზიაში ხარი წარმოდგენილია არა როგორც ღვთაება, არამედ ადამიანის ერთგულ მუშა-საქონლად.

ლიტ.: ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1960; შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, თბ., 1944; დ. ჯანელიძე, ქართ. თეატრის ხალხ. საწყისები, 1948; თ. ოქროშიძე, ქართული ფანტასტიკური ზღაპრების პერსონაჟები (ხარი). ქართული ფოლკლორი, III, 1969; Б. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, I, Тб., 1941.

ნ. შამანაძე

ხატარეშობა — საგაზაფხულო აგრარული დღესასწაული ლეჩხუმში. დეხვირის საზოგადოება აღდგომის მესამე ორშაბათს უქმობდა. 6-7 სოფლის მოსახლეობა, მცხეთის ეკლესიის მახლობლად, დიდი ცაცხვის ქვეშ, ლოდთან შეიკრიბებოდა და მრგვალი რიყის

ქვის სროლას გამართავდნენ. ქვის დაცემის კვალობაზე წინასწარმეტყველებდნენ ამინდკეთილობასა და მოსავლიანობას. დღის ბოლოს დეხვირის ციხეს ეწვეოდნენ და მოილხებდნენ. სპეციალურ სიტყვიერებასთან ერთად ადგილი ჰქონდა შაირობასა და სიმღერას, ცეკვას.

ლიტ.: მ. ალაიძე, ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა, 1951, გვ. 128—29.

მ. ჩიქოვანი

ხატი — მთის კუთხეებში ამა თუ იმ ღვთისშვილის სახელზე დაწესებული სალოცავი. დიდი თუ მცირე ხატი გვხვდება თითქმის ყველა სოფელში. არსებობს როგორც სასოფლო, ისე სათემო ხატი. ზოგიერთს ქრისტიან მთიელებთან ერთად მაჰმადიანი მთიელებიც ლოცულობდნენ. ხატი წარმოდგება საკულტო და სამეურნეო ნაგებობათაგან, აქვს სახნავი და ტყე (ნახ. ხატობა).

ლიტ.: ს. მაკალათია, ფშავი, 1934, გვ. 176; ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივი საკულტო ძეგლები, II, 1974.

დ. გოგოჭერი

ხატობა — რელიგიური დღესასწაული, რომელიც ხატში ტარდება. ხატობა კალენდარულ წეს-ჩვეულებათა კატეგორიას მიეკუთვნება და წელიწადის ერთსა და იმავე დროს იმართება. ხატობათა ნაწილი ქრისტიანულ კალენდარს ემთხვევა (აღდგომა, მარია-ამობა და სხვ.), ნაწილი წარმართული თარიღების მიხედვით ეწყობა (ათენგენობა, ლაშარობა და სხვ.).

ხატობის რიტუალების დროს ასრულებდნენ ზეპირსიტყვიერების სხვადასხვა ჟანრის ნიმუშებს, როგორცაა; ქადაგობა, ხუცობა, ფერხისული, თასური სიმღერები და სხვა.

ლიტ.: ს. მაკალათია, ფშავი, 1934, გვ. 176.

დ. გოგოჭერი

ხახანაშვილი ალექსანდრე (1866—1912)—ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწე, ლიტერატურის ისტორიკოსი. თავის საკვლევადიობო მუშაობაში დიდ ადგილს უთმობდა ხალხურ შემოქმედებას. „ქართული სიტყვიერების ისტორიის ნარკვევების“ I ტომში («Очерки по истории грузинской словесности»), რომელიც 1895 წ. გამოიცა მოსკოვში, ხოლო 1904 წ. დაიბეჭდა ქართულად, ეროვნული ფოლკლორის მრავალი საკითხია აღძრული. მოცემულია ზეპირსიტყვიერე-

ბის ეანრების დახასიათება. ისტორიული სკოლის (ნ.) მიმდევარი იყო. ძირითადად ისტორიულ-შედარებითი მეთოდით ხელმძღვანელობდა. ალ. ხახანაშვილმა მხარი დაუჭირა ზეპირსიტყვიერების განვითარების ტრადიციულ სქემას: მითაური, გმირული, ისტორიული პერიოდებით. წერილში „საერო პოეზია“ („მომამბე“, 1894 წ., № 10) ხ. პოეზიის წარმოშობა-განვითარების საკითხებს მითოლოგიური თეორიის მიხედვით აშუქებდა.

საყურადღებო შეხედულებები აქვს გამოთქმული ა. ხ. ფოლკლორულ-ლიტერატურულ ურთიერთობაზე (ხალხური ვეფხისტყაოსანი, ამირან-დარეჯანიანი) და სასულიერო პოეზიის ძეგლების ჩამოყალიბებაზე ქართულ ფოლკლორში. ა. ხ. ფოლკლორულ-შემკრებლობით მუშაობასაც ეწეოდა ალმ. საქართველოსა და ყიზლარში. მისი ჩაწერილი ტექსტები გამოქვეყნებულია ყურნალ-გაზეთებში („ივერია“, „ჭეჭილი“, „ფასკუნჯი“). ალ. ხახანაშვილის დამოკიდებულება ფოლკლორთან ძირითადად მისი საკვლევადობა ინტერესებით განისაზღვრება.

ლიტ.: ა. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, 1, 1904; ე. არჯვანიძე, ალ. ხახანაშვილი, როგორც ქართ. ხალხ. სიტყვ. მკვლევარი, პუშკინის სახ. პედ. ინსტ. შრომები, VIII, 1950; მიხ. ჩიქოვანი, ქართ. ხალხ. სიტყვ. ისტორია, 1956.

ფ ზანდუჯელი

ხახარე — 1. ხალხური ლექსის გმირი. ვარიანტებში სხვა სახელებითაც იხსენიება (ხახა, მინდი, მახარე, ფირანი, ფირუზა). ხახარეს ლექსი თითქმის საქართველოს ყველა კუთხეშია ცნობილი. ხ. იყო მთიულეთის სოფელ ლუთხუბიდან, ჰყავდა ცხვრის ფარა და ფხიან-მეცხვარედ ითვლებოდა. გარდაიცვალა ზამთრის გამლევს, დოლობის დროს. მოსაგონარ ლექსში ყურადღებას იქცევს სიზმრის ფატალური გარდუვალობის რწმენა. სიზმარმა ხ. მთელი არსებით შეძრა და ააფორიაქა. შეშინებულმა სამი დღის გზა ერთ დღეში გაიარა, შინ მისვლისთანავე ლოგინად ჩავარდა და აღარც ამდგარა. ხ. ლექსს სასიმღერო რეპერტუარში საპატიო ადგილი უჭირავს. პირველი ჩანაწერი 1881 წლით თარიღდება. 2. არის მოსაზრება, რომლის მიხედვით სიტყვა „ხახარე“ მგოსნის სინონიმი უნდა ყოფილიყო ძველ ხალხურ სიტყვიერებაში.

ლიტ.: თ. ოქროშიძე, ხახარე, ლიტ. საქართველ, 1968, № 14; ნ. შამანაძე, ფოლკლორული ეტიუდები, 1970.

ნ. შამანაძე

ხახმატის ჯვარი — ხატი ს. ხახმატში (ხევსურეთი). ლოცულობენ გიორგი ნაღვარ-მშვენიერის სახელით. ძველად ხახმატის ჯვარს თაყუანს სცემდნენ და საკლავს უკლავდნენ როგორც ქრისტიანი, ისე მაჰმადიანი მთიელები. ადგილობრივთა წარმოდგენით, ხ. ჯ. მოლაშქრე ხატია და ჰყავს დობილები, რომლებიც გამრავლებას განაგებენ.

ლიტ.: ვაჟა-ფშაველა, თხზ., V, 1961, გვ. 347; მ. ჩიქოვანი, ქართ. ხალხ. სიტყვ. ისტორია, 1956, გვ. 258; ს. მაკალათია, ხევსურეთი, 1939.

დ. გოგოქური

„ხეკორძულას წყალი მისვამს“ — ხალხური ლექსი. ემყარება ლეგენდას მცხეთის ტაძრის განმაახლებელზე. სვეტიცხოველის ტაძრის დას. კედელზე დღემდეა შემორჩენილი გამოსახულება — მოჭრილი მარჯვენა გონიოთი. ლექსის უძველესი ვარიანტი ჩაუწერია პ. უმიკაშვილს 1863 წელს მცხეთელი კაცის თქმით. ტექსტს ახლავს შენიშვნა: „მცხეთის ტაძრის აშენებაზეა ნათქვამიო. შეგირდს რომ ოსტატზე უკეთესი გაუკეთებია და ოსტატს ხელი მოუჭრია შეგირდისთვისო“.

ლიტ.: ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, I, ქ. სიხარულიძის რედ., 1961; მ. ჩიქოვანი, ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, 1971, გვ. 271.

6. შამანაძე

ხელხვაჯი — ნაღური (ნ.) ლექს-სიმღერების ერთი სახე, სრულდებოდა უპირატესად გურიაში მოსავლის აღებისას (სიმინდის რჩევა). საბა ხელხვავს „ხვავეს“ უწოდებდა. ხ. ტექსტებში იხსენიება ძლიერი და უხილავი ძალა, ვიზედაც დამოკიდებულია უხვი მოსავლის მიღება. ვარაუდობენ ხ. წარმართულ წარმოშობას, სიმინდის რჩევას იგი შემდეგ უნდა დაკავშირებოდა. სხვადასხვა ვარიანტი შეიცავს აპოკრიფულ, საყოფაცხოვრებო და ცოცხალ ტყუილზე აგებულ მოტივებს, მოიხსენიებს წმინდა გიორგისა და ქრისტიანული ეკლესიის მთავარ ანგელოზებს — მიქელსა და გაბრიელს. ხ. გავრცელებული ნიმუშია:

ა. ლღონტი

მიქელამ და გაბრიელამ კალო გაახვავრიელა.

შვიდი ვაჟიშვილი მოგცეს, პირზე ჰქონდეს ბალანიო;

ბელელი ღომით გაგვესოს, შავი ღვინით — მარანიო.

ლიტ.: ე. ნინოშვილი, თხზ., III, 1933, გვ. 199; დ. არაყიშვილი, ქართული მუსიკის გურული შტო, ეურნ. „ქართული მწერლობა“, 1927, № 10, გვ. 147;

გ. კელიძე

„ხილთა ქება“ — გაბაასების ქანრის პოეტური ნაწარმოები. მისი ყველაზე ადრინდელი და სრული ნიმუში პ. უმიკაშვილის კრებულში არის მოთავსებული. იგი რამდენიმე ნაწყვეტისაგან შედგება და მე-19 ს. 70-იანი წლების საქართველოს სხვადასხვა კუთხეშია ჩაწერილი. გვხვდება უფრო გვიანდელი ჩანაწერები. აღსანიშნავია თ. რაზიკაშვილის მიერ ფიქსირებული ტექსტები. ამ ჩანაწერების მიხედვით ხილთა გასაუბრებაში მონაწილეობენ: მარწყვი, ბალი, ალუბალი, შინდი, გოგრა, კომში და სხვ. იქვე ხალხის მიერ გაბაასებაში ჩართულია პური, ღვინო, არაყი, მჭადი და ლობიო. გაბაასებაში პერსონაჟები თვითდახასიათების ხერხით აღნიშნავენ თავიანთ დადებით თვისებებს და ურთიერთდამოკიდებულებას; ალა-ალაგ ცდილობენ ერთმანეთის დაცინვა-გაჭილიკებასაც.

ბალმა უთხრა: „ამხანაგო, თქვენ ვერ იტყვით ჩემსა ძვირსა, ხესა თეთრად ავაყავებ, დავიმშვენებ ჩემსა ძირსა, შაქრის მსგავსად ვაღვიქცევი, რაკი ჩამიღებენ პირსა“.

გვხვდება ხილთა ქების ლიტერატურული ნიმუშები (თეიმურაზ II და სხვ.). ლიტერატურულ და ხალხურ ტექსტებს შორის არსებითი ხასიათის მსგავსება შეინიშნება.

ლიტ.: პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, მ. ჩიქოვანის რედ., თბ., 1964, გვ. 269—271; ხალხური სიტყვიერება, I, ფ. თაყაიშვილის რედ., ტფ., 1916, გვ. 346—347; 358; მ. ჩიქოვანი, ქართული სიტყვიერების ისტორია, თბ., 1956, გვ. 342—350.

გ. შეთქაური

ხიმშიკაური ძაღლიკა — მე-18 ს. ხევსური გმირი ლიქოკის თემიდან, ზოგიერთ ხალხურ სიმღერაში ხახიკაურად იხსენიება. მონაწილეობდა ერეკლე II მიერ ჩატარებულ ომებში, აგრეთვე ადგილობრივ თავდასხმების მოგერიებაში. ვაჟა-ფშაველამ აღნიშნულ ზეპირსიტყვიერ მასალებზე დაყრდნობით, შექმნა პოემა „ძაღლიკა ხიმშიკაური“.

ლიტ.: ა. შანიძე, ქ. ხალხ. პოეზია, I, 1931, გვ. 63.

დ. გოგოჭური

ხირჩლა ბაბურაული — ხევსურთა ტომობრივი გმირი. ლექსე-
ბი გვიხატავენ შეუღრეკელ და მამაც მეომრად. თავი გამოიჩინა ზუ-
რავ ერისთავის წინააღმდეგ ლაშქრობაში. ებრძოდა აგრეთვე ერის-
თავების მოხელეებს ხევსა და მთიულეთში. ერთ-ერთი შეტაკების
დროს შიოლა ლუღუშაური დაჭრა. განსაკუთრებით აღსანიშნავია
ხ. ბ. ბრძოლა მოთარეშე ქისტების ასალაგმავად. მოკლა ქისტმა
სუიკა ამასიშვილმა. ხ. ბ. ხსოვნას ხევსურები სათუთად ინახავდნენ
და თაობიდან თაობას გადასცემდნენ. თ. რაჭიკაშვილის ცნობით,
„ხირჩლას საკარგემოს დღესაც სდგამენ გუდანას ჭვარში ხევს-
ბერები და როცა ჭარი დაჭდება, ლუღით სავსე კათხით პირველად
ხირჩლას შესანდობარს ჩამოატარებენ“.

ლიტ.: ა. შანიძე, ქართ. ხალხ. პოეზია, I, 1931, გვ. 12; ქს. სიხარულიძე,
ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, 1949, გვ. 180.

6. შამანაძე

ხმალას ხატი — სამლოცველო პირაქეთა ხევსურეთში, ს. ბარი-
სახოში, რომელიც ხალხური გადმოცემით, იქვე ციხესთან ერთად,
თამარ მეფის მიერ ყოფილა აშენებული. ხმალაზე მდგარა მუხა თუ
ალვის ხე, რომლის წვერზე ზეციდან ჩამოსული ოქროს შიბი ყო-
ფილა მიბმული. ამის გამო ხეს ცული არ ეკარებოდა. ერთი ლუღე-
ლი ბერის ჩაგონებული ხერხით ზურაბს ხე რომ მოუჭრია, ოქროს
შიბს დაუწივლია და ცაში წასულა. ხმალას ხატსა და ციხეს ეძღე-
ნება ხალხური ლექსი „შურის ციხე“. ზოგი გადმოცემით იგივე მო-
ტივები ფშავის სალოცავებს მიეკუთვნება.

ქმალას რომ მდგარან ციხენი, ცას მიზღენია წვერია,
ციხე ყოფილას ცხრა-თვალი, დახედულ მშვენიერია.

ლიტ.: ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, 1931, გვ.
222—223, 572—575; ს. მაკალათია, ხევსურეთი, 1935, გვ. 259; ვ. კოტეტიშვილი,
ხალხური პოეზია, 1961, გვ. 364—365; მ. ჩიქოვანი, ბერძნული და ქართული მი-
თოლოგიის საკითხები, 1971, გვ. 49—51.

გ. შეთეჯაური

ხმალი — საბრძოლო იარაღი, რომელიც ხშირად გვხვდება რო-
გორც პოეტური, ისე პროზაული ფოლკლორის ძეგლებში. იგი გან-
საკუთრებით საგმირო ლექსებისთვის არის დამახასიათებელი. ზო-
გიერთი ლექსი ხმლის აღწერით იწყება: „ხმალს ზვერავს გაფრინდა-
ული“, „ხმალი სჭრის ბაგრატივნისა“, „ხმალს ნუ ჩახედავ, მოყ-

მეო“ და სხვ. ხმალს ქალებიც ატრებდნენ, რაც საქართველოს გმირულ და შფოთიან წარსულზე მეტყველებს („მიაა წყნეთელი“, „თილის ძე“).

გვაქვს ხმლის პერსონიკიკაციის ფაქტებიც:

ხმალმა თქვა: პირი დამეანგდა,
ჯაბანმა ვინმემ ჩამიგო:
ნეტავი ვაჟკაცს შამყარა,
პირიდან სისხლი ამიღო.

ლიტ.: ხალხური სიბრძნე, IV, 1965, გვ. 98—99; 190; 194—195.
გ. შეთეკაური.

ხმელი ჰექია // ხულა ჰექია — ზეპირად გავრცელებული ზღაპარი („ნანდვილი ზღაპრის“ საპირისპიროდ). „ხულა“ ხულოს რაიონში ლექსის ზეპირად, ექსპრომტად თხზვის აღმნიშვნელად იხმარება. „ხულა გამოვთქვიო“.

ნ. ცქიტიშვილი

ხმითნატირალი — ხევს. მოტირალის მიერ წარმოთქმული იმპროვიზირებული ტექსტი, რომელიც უმეტესად მიცვალებულისადმი მიმართვას წარმოადგენს. ხმითნატირალში მხატვრულად და ამბლებულად არის გადმოცემული ეპიზოდები მიცვალებულის ცხოვრებიდან. მისი დამსახურება საზოგადოების წინაშე და დაღუპვის გარემოება, აგრეთვე მოხსენებული არიან სხვა მიცვალებულები და ქირისუფლები. ხევსურული ხმითნატირალი ცხრამარცვლიანი ურითმო ლექსია, რომელსაც მეათე მარცვლად პროსოდითული „ო“ ემატება („წვიმათ ოდენნი გინდაც ცრემლნიო, მას კვლავთ-ოდენნი სათვალავნიო“). ხმ. ნ. მოტირლის ინდივიდუალური შემოქმედებაა. იმპროვიზაციის პროცესში, როდესაც ტაეპს დაასრულებს, მას დანარჩენი მოტირლები აძლევენ ბანს, რის შემდეგაც დამწუხრებული ხმითმოტირალი, ინდივიდუალურად და ხმაბლლა წარმოთქვამს ხუთმარცვლიან ალოგიურ რეფრენს: ჰი, ჰი, აჰი, აჰ და მცირე პაუზის შემდეგ იწყებს ახალ ტაეპს. ხმითტირალი სრულდება როგორც უშუალოდ მიცვალებულის ცხედართან. აგრეთვე მის მოსაგონარ საწესო ღღეებში, როდესაც მიცვალებულის იარაღსა და ტანისამოსს „გაშლიან“.

ხმითნატირლები, დატირების სხვა სახეთა შორის, ყველაზე უფრო მაღალმხატვრულობითა და ღრმა ემოციურობით ხასიათდება.

ლიტ.: ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, I, 1960, გვ. 280; მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, III, 195.

დ. გოგოქერი

„ხოლერის ლექსი“ — გასული საუკუნის მესტივირეთა რეპერტუარსა და ქალაქის პოეზიაში გავრცელებული ლექსი. დაბეჭდილია რამდენჯერმე სახალხო წიგნების სერიაში როგორც ცალკე, ისე „არსენას ლექსთან“ ერთად. „ხ. ლ.“ ასახულია ქოლერის 1830 წ. ეპიდემია საქართველოში, „დიდი ხორველის“ სახელწოდებით ცნობილი. ძირითადი ბირთვი „ხ. ლ.“ უნდა შექმნილიყო ეპიდემიის პერიოდში. ქოლერის ეპიდემიას ადგილი ჰქონდა შემდგომ წლებშიც. იგი ლიტერატურაშიც აისახა (ა. წერეთელი).

ლიტ.: ხორველის ლექსი, 1880; გივიშვილი დ., წალოტი, 1876; ხორველის ლექსი და სხვადასხვა მესტივირული ლექსება, არსენას ლექსი, 1885; წერეთელი ა., ხოლერა, 1892.

ვ. მაცაბერიძე

„ხომალდში ჩავჯექ, ზღვას გაველ“ — ხალხური ლირიკული ლექსი, რომელიც შთამბეჭდავი პოეტური ფერებით გვიხატავს დედის სახეს და მაღალმხატვრულ ძეგლად გვევლინება. ღრმა ლირიზმით, ექსტაზით, მოვლენათა კონკრეტული ხილვით ხასიათდება ლექსის შესავალი სტრიქონები:

ხომალდში ჩავჯექ, ზღვას გაველ, ფრანგის ქვეუნები ვნახეო,
სულ დავიარე ხმელეთი, ვერ ვნახე უნი სახეო;
ანთებულ სანთელს გამსგავსე, დიღის ცისკარზე გნახეო,
ხელში გეპირა ყმაწვილი, ფარსაგ ვერ დავინახეო.

ლექსის პირველი პუბლიკაციები გასული საუკუნის მიწურულს განეკუთვნება. ყველაზე სრული ვარიანტი გამოაქვეყნა ია კარვარეთელმა გაზეთ „ამირანის“ 1908 წლის №-159-ში. იგი ფიქსირებულია ს. ერთაწმინდაში სოფიო სალხინაშვილის თქმით. ლექსს ადფრთოვანებით გამოეხმაურა ა. წერეთელი და რაფაელის სახელგანთქმულ შედეგს — მშვენიერ მადონას სურათს შეადარა.

ლიტ.: ა. წერეთელი, თხზ., ტ. VI, თბ., 1957, გვ. 503; ხალხური სიბრძნე, ტ. IV, თბ., 1965, გვ. 321.

გ. შეთევასური

ხორციელნი — ცხვრის სინონიმი. ასე მიმართავს მწყემსი ცხვარს საალერსოდ. უძველეს დროში ამგვარ გამოთქმას ტაბუს ფუნქცია უნდა ჰქონოდა.

ხორციელნი მთიდან მომყავს,
მოდის ნაგუბ წყალივითა.

ლიტ.: ნ. შამანიძე, მწყემსთა პოეზიის მხატვრული თავისებურებანი, ლიტ. ძიებანი, ტ. XV, 1963.

ნ. შამანიძე

ხოშატანი — თქმულება ვეშაბთმებრძოლ გმირ ხოშატზე. ვეშაბებთან ბრძოლის თემა პოპულარულია როგორც ზღაპრულ, ისე საგმირო ეპოსში. ხოშატი ურჩხულს მოხერხებულობით კლავს და ხალხს აწიოკებისგან გადაარჩენს. თვითონ ხ. ვეშაპის შხამით იღუპება. ბრძოლის ადგილს ეკლესია აუშენებიათ, მას ახლაც ხ. საყდარი ეწოდება. თქმულება გვხვდება პროზად და ლექსად. ლექსითი ვარიანტები მომდინარეობენ მ. ჯავჭავაძის წიგნიდან „ჭაბუკის ნაამბობი“. „ხოშატ-ეგრეზიანი“. დაიბეჭდა თბილისში 1904 წ. და პოპულარობით სარგებლობდა.

ლიტ.: ჩხაიძე მ., ხოშატანი, ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახ. პედაგოგიკის შრომები, II, 1959.

ვ. შაცაბერიძე

ხოშვა — ხევს. 1. გლოვის ნიშნად მძივ-ლიღებისა და სამკაულობის მოხსნა. 2. დაძრობა, დაცვენა (მაგ., კბილების). ხევსურულ სამგლოვიარო პოეზიაში ხშირად გვხვდება. „ხოგაის მინდი კვდებისა... ცაზედ მდინარი ფრინველი თბე-ბოლოთ იხოშებისა“.

ლიტ.: ა. შანიძე, ქ. ხალხური პოეზია, I, 1931, გვ. 59.

დ. გოგოჭური

ხოშურაული (ნადირა საღირისძე) — სახალხო გმირი. 1659 წლის კახეთის აჯანყების მონაწილე, ხევსურთა ჯარის წინამძღოლი. გადმოცემის მიხედვით, ხ. აჯანყების სხვა მეთაურებთან ერთად შეუპყრიათ და შაჰისათვის გაუგზავნიათ სპარსეთში, სადაც წამებით მოუკლავთ. ხ-ზე შემონახულია საგმირო გადმოცემები და სიმღერები, რომლის მიხედვით ვაჟა-ფშაველამ ხოშურაული (ხოშარეული) დასახა „ბახტრიონის“ ერთი მთავარი პერსონაჟის პროტოტიპად.

ლიტ.: ქს. სიხარულიძე, ქართ. ხალხ. საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, 1949, გვ. 148; დ. გოგოჭერბ, ბახტრაონის ერთი გმირის ეინაობა, „მნათობი“, 1970, № 2.

დ. გოგოჭერბი

ხობხობი — გარეული ფრინველი. აქვს ლამაზი ბუმბული (ყელი, ფრთები, ბოლო). ხალხურ პოეზიაში ქალის სიმბოლო:

მოვდივართ, მოვვიხარია,
მოვვეყავს დედალი ხობხობი.

ე. შამანაძე

ხრისტაგანი და ბელთაგანი — მეგრული „ხრისტაგან და ბელთაგან ტარიელების არაკის“ პერსონაჟები. ზღაპარი ჩაწერილია 1911 წ. ზუგდიდის რაიონის სოფ. ცაიშში, ი. ყიფშიძის მიერ, მთქმელი ბ. მაქაცარია. დაიბეჭდა მეგრულ ენაზე 1914 წ., შემდგომ ქართულადაც ითარგმნა. შეიცავს მამაშვილის ბრძოლის სიუჟეტის ეპიზოდს.

ლიტ.: И. Квицидзе, Грамматика мянгрельского языка, 1914; ყიფშიძე, ი., მეგრული ზღაპრები, 1920.

ვ. მაყაბერიძე

ხუსკივამე თეოფილე იესეს ძე (1860—1924) — ლიტერატორი, საზოგადო მოღვაწე. „თ. კვალითელის“, „თარხანის“, „გლეხის შვილის“ ფსევდონიმებით ბეჭდავდა მოთხრობებს, ისტორიულ-არქეოლოგიური თუ ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული ხასიათის წერილებს „ივერიის“, „კვალის“, „სამშობლოს“, „კოლხიდას“ და სხვა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. ხ.-ს. თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვის ქართული ფოლკლორის შეკრება-პოპულარიზაციის საქმეში. თითქმის 20 წლის მანძილზე კრებდა და აქვეყნებდა ზღაპრებს, ლექსებს, ლეგენდებს, გამოცანებს, შაირებს;... საბავშვო ფოლკლორის საკითხებს მიუძღვნა წერილი — „ზოგიერთი საყმაწვილო თამაშობანი იმერეთში“ („ივერია“, 1887 წ. № 9). ხ. ზეპირსიტყვიერებას შემოქმედის თვალთაყ უყურებდა, ზოგჯერ საკუთარი მოთხრობების წყაროდ იყენებდა.

ლიტ.: სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, ტ. III, 1968; ე. გულდამაშვალი, თეოფილე ხუსკივამის ცხოვრება და შემოქმედება, 1969.

ფ. ზანდუკელი

ჯადოსანი — 1. მითიური არსება, შეუზღუდავი ძალა — ზოგჯერ კეთილი, ზოგჯერ ბოროტი; მოქმედებს უპირატესად ზღაპრებში და ამის გამო ზეპირსიტყვიერი მოთხრობების გარკვეულ წყებას ჯადოსნურ ზღაპრებს უწოდებენ. ჯადოსნურ პერსონაჟებად გვევლინებიან ადამიანები, ცხოველები, ფრინველები, აგრეთვე ირეალური არსებანი: დევი, ეშმაკი, ფასკუნჯი, ვიგრი. 2. ჯადოსანი-ადამიანი, რომელსაც შეუძლია ჯადოს გაკეთება, სხვათა ჯადოთი შეკერა, შებოჭვა.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ზღაპრები, I, შესავალი წერილი, 1938; მისივე, ზღაპარი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956; ელ. ვირსალაძე, ზღაპარი, ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, I, 1960.

გ. ქელიძე

ჯადოსნური საგნები — სასწაულმოქმედი საგნები, რომელთაც სიუჟეტური ფუნქცია აკისრია ზღაპრებში, ასეთებია: სარკე, ჯაჭვი, პერანგი, ფრთა, ხალიჩა, მათრახი, ჯოხი, კომბალი, ბეჭედი, ბეწვი, ნატერის თვალი, ჯაყვა, ვაშლი, სალამური, ქოში, ნაფოტი და ა. შ., ჯ. ს. ზღაპრულ პერსონაჟებს დაბრკოლებათა გადალახვაში ეხმარებიან.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ზღაპრები, I, შესავალი წერილი, 1938; მისივე, ზღაპარი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956; ელ. ვირსალაძე, ზღაპარი, ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, 1960.

გ. ქელიძე

ჯადოსნური ქომაგები — ფანტასტიკური ზღაპრის (ნ.) დადებითი პერსონაჟები; ეხმარებიან გმირებს მიზნის მიღწევაში; ასეთებად გვევლინებიან: თევზი, წერო, ჩიტი, არწივი, მელა, დათვი, რაში, ხარი, ფური, გველი, კიანჭველა, და მისთანანი.

ლიტ.: მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური ზღაპრები, I, შესავალი, 1938; მისივე, ზღაპარი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956; ელ. ვირსალაძე, ზღაპარი, ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, I, 1960.

გ. ქელიძე

ჯავახიშვილი ივანე აღექსანდრეს ძე (1876—1940) — აკადემიკოსი, დიდი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე. მრავალრიცხოვან საისტორიო ნაშრომებში ბევრჯერ იხილავს ქართუ-

ლი ფოლკლორის პრობლემებს. ჯ. სპეციალური გამოკვლევებიდან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს „ქართველი ერის ისტორიის“ ორი თავი („ქართველთა წარმართობა“, „უძველესი სარწმუნოებრივი თქმულებები“) და მონოგრაფია „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“ (1938). ჯ. მაღალ შეფასებას აძლევს ხალხურ შემოქმედებას, ეროვნული კულტურის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს. ზეპირი ვადმოცემა მკვლევარის ხელში ისტორიულ წყაროს მნიშვნელობას იძენს. ფოლკლორული მონაცემების საფუძველზეც ჯ. ითვალისწინებს ქართველთა უძველეს ისტორიას, სარწმუნოებასა და სამეურნეო ყოფას. თქმულება, ვადმოცემა ჯ. შედარებული აქვს ქართულ და უცხოურ წერილებით წყაროებთან. ჯ. მაღალ მეცნიერულ საფეხურზე აიყვანა ამირანოლოგია. მისი შეხედულებით მიჯაჭვული ამ. თქმულება პრეკრისტიანულია და მას იცნობდნენ ანტიკური ხანის ბერძენი მწერლები. ვარიანტების ანალიზის საფუძველზე განსაზღვრა ძირითად პერსონაჟთა ბუნება და ხასიათი.

მრავალმხრივია ი. ჭავჭავაძის ძიებანი ხალხური მუსიკის დარგში. მან აღადგინა მუსიკის ზოგადი ქართული ტერმინოლოგია, პროფესიული და ხალხური მუსიკალური ხმების სახელები; შეიმუშავა საკრავთა კლასიფიკაცია, განსაზღვრა ინსტრუმენტების წარმოშობა და ტრადიცია, ფართოდ განიხილა ქართული მუსიკის განვითარების საფეხურები, განსაკუთრებით გამოყო ქ. მ. მრავალმხიანობის პრობლემები.

ლიტ.: ი. ჭავჭავაძის, ქართველი ერის ისტორია, 1—4; მისივე, საქ. ეკონომიური ისტორია, 1—2; ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები; ქ. მუსიკის ისტ. ძირ. საკითხები, 1938. დ. გვრიტიშვილი, ი. ჭავჭავაძის, 1966.

მ. ჩიქოვანი

ჭავჭავაძის მიხედვით საბას ძე (1880—1937) — ქართული საბჭოთა ლიტერატურის კლასიკოსი, ფოლკლორის უხვად იყენებდა მხატვრულ და პუბლიცისტურ შემოქმედებაში. ზეპირსიტყვიერი პირველწყაროები უდევს საფუძვლად მის „არსენა მარაბდელს“ და „თეთრ საყელოს“; ცალკეული ეპიზოდებით და მოტივებით საზრდოობს რომანები: „კვაჭი კვაჭანტირაძე“, „ქალის ტვირთი“, „გივი შადური“, „ჯაყოს ხიზნები“, აგრეთვე ზოგი მოთხრობა („ლამბალო და ყაშა“, „ოქროს კბილი“, „ხუთის ამბავი“). ჯ. მწყობრი ფოლკლორისტული შეხედულებანი გააჩნია. იგი ყურადღებას ამა-

ხვილებდა ზეპირსიტყვიერების სპეციფიკურ ნიშნებზე, უანრობრივ თავისებურებასა და ლიტერატურულ-ფოლკლორულ ურთიერთობაზე. ჯ. ჩაუწერია რამდენიმე ფოლკლორული ნიმუში, მოუპოვებია „არსენას ლექსის“ ახალი ვარიანტი.

ლიტ.: გ. ჰელიძე, მ. ჭავჭავაძის ფოლკლორის შესახებ, ქართული ფოლკლორი, III, 1969, გვ. 313; გ. ჰელიძე, მ. ჭავჭავაძის „არსენა მარაბდელის“ ხალხურ-პოეტური წყაროების პრობლემა, ქართული ლიტერატურის საკითხები, 1968, გვ. 7; მისივე: „ქალის ტვირთის“ ფოლკლორული წყაროები, ეურნ. „ლიტერატურული აპარა“, 1968, № 4. 1

გ. ჰელიძე

ჯაზი ნენე — კუდიანი დედაბერი აქარულ ჯადოსნურ ზღაპრებში.

ნ. ციტიშვილი

ჩანაწვილი მოხე გიორგის ძე (1855—1934) — ქართველი მეცნიერი, პროფესორი. ნაყოფიერად იკვლევდა ისტორიის, ძველი ლიტერატურის, ენის და საერთოდ ქართული კულტურის საკითხებს. დიდ ყურადღებას უთმობდა ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის შესწავლას. ჯ. 1877 წ. გამოაქვეყნა პირველი ეთნოგრაფიულ-ფოლკლორისტული წერილი „ინგილოთა ცხოვრების ზოგი ვითარება“ („სასოფლო გაზეთი“ — № 16, 19, 20, 21 და 23). ინგილოებს ეხება აგრეთვე „ივერიაში“ გამოქვეყნებული წერილებიც („ზაქათალა“, 1886, № 5, 8, 10; „საინგილო“, იქვე, №№ 191—198; „კახი“, იქვე, № 170; „ახალწლის მიგებება საინგილოში“, № 1; „აღდგომის დღესასწაული საინგილოში“, 1888, № 87 და, რაც მთავარაა, „საინგილო“ ძვ. საქ. II, გვ. 50—276). ბეჭდავდა ნარკვევებს საქართველოს სხვა კუთხეების მცხოვრებთა ეთნოგრაფიიდან — „თუშეთში მკვდრის გლოვის გამო“ („დროება“, 1883, „№ 52); „ბოსლობა რაჭაში“ (ივერია, 1890, № 21); „გლოვის წესი საქართველოში“ („ივერია“, 1888, № 118) და სხვ. სისტემატურად მონაწილეობდა რუსულ პერიოდიკაში. «Курмухис-сакдари древнейший храм близ Лагодех» (Кавказ, 1884, № 33); «Легенда О Кавхетинском море» (К, 1896, № 182); «Жене ли жить (грузинская легенда)» (К, 1903, № 272); «Ротозей» (К, 1896, № 312); «Два приятеля, басня (К, 1896, № 324); Два царя (басня) (К, 1896, № 343); «Золотых дел мастер» (груз. сказания), («Юбилейный сборник», (იქვე, 36—41 გვ.) და სხვ. ჯ. მნიშვნელოვანი ამაგი დასდო „ამირანიანის“ ვერსიების შეკრებისა და თა-

რგმნის საქმეს. აღსანიშნავია მისი: «Герой узник Амиран» (К, 1893, № 244), «Амиран» (К, 1896, № 261), «Грузинские сказания об Амиране» (СМОМПК) 1903, იგივე ვერსია ქართულ ენაზე დაიბეჭდა „ივერიაში“, 1889 წ. № 239—245. განსაკუთრებით აღსანიშნავია ეთნოგრაფიული წერილი «Картвельские поверья» (СМОМПК, 1893 № 17, II, გვ. 141). ეს ვრცელი შრომა (6 თავისაგან შედგება და ერთგვარ მიმოხილვას წარმოადგენს ქართველების რწმენათა შესახებ): ეთნოგრაფიულ მასალას თან ახლავს ფოლკლორული ტექსტები. ჩინებულად უთარგმნია რუსულ ენაზე ექვსი ინგილოური ზღაპარი (Ингилоиские сказки, СМОМПК, 1903, № 32). ამავე კრებულის ფურცლებზე აქვეყნებს გეოგრაფიულ-ისტორიულ აღწერილობას: «Горы и его окрестности» (СМОМПК, 1904, № 34, I, გვ. 163—200), ასევე საინტერესოა «Абхазия и абхазцы» (ЗКОНКРО, 1893, № 16) „კრებული“, ნ. დერეჟავინის რედ. და სხვა. იმ ურიცხვი მასალიდან, რომელსაც აქვეყნებდა ჯ., შეიძლება დავსახელოთ: „გლეხური ლექსი, ჩაწერილი ბიწმენდში“ (ივ. 1888, № 34); „თამარ დედოფალი“ (ივ. 1890, № 119); „დიდა ხორეშანა“ (ლეგენდა) (ივ., 1887, № 91); „ვაჟი მოკვდეს, ქალი დარჩეს“ (ინგ. ლეგენდა), გუნიას კალენდარი, 1892 წ.; „მზე. ხალხური მითები მზისა და მთვარის შესახებ“ (ივ. 1909, №№ 16, 17, 19, 201; „ინგილოთა სიმღერა“ (თემი, 1912, № 77); „ფარავანი“ (ლეგენდა) (სახალხო ფურცელი, 1915, № 256); „ბოროტი ბებერი (ლეგენდა) („სახალხო ფურცელი“, 1915, № 259) და სხვ.

ლიტ.: ე. არქვანიძე. ანოტირებული ბიბლიოგრაფია СМОМПК-ში გამოქვეყნებული ქართული ხალხური სიტყვიერების მასალისა, თბ., 1971.

ე. არქვანიძე

ჯანაშია ნიკო სიმონის ძე (1872—1918) — პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე. ფოლკლორულსა და ეთნოგრაფიულ მასალას აქვეყნებდა ჟურნ. „მოამბესა“ (1897 წ. № 2, 5, 11; 1898, № 7, 11) და „აკაკის კრებულში“ (1898, № 8). წერილებში „აფხაზთა შესახებ“, საუბარი აწყალში დამხრჩვალ ადამიანის „სულის დაკვრაზე“, ქექაქუხილის ღმერთზე, გვალვის დროს წარმოსატქმელ ლოცვაზე, ბავშვის დაბადებასა და აღზრდაზე. ყველას თან ახლავს სიტყვიერი ტექსტი. დაბეჭდილი აქვს თქმულებები, ლეგენდები, ანეგდოტები.

ლიტ.: მოამბე, 1897, 1898; აკაკის კრებული, 1898; სახალხო განათლების მოღვაწენი, I, 1953.

მ. ჩაჩავა

ქართ წუხრა — ხევს. მიცვალებულის წლისთავთან დაკავშირებული ტრადიციული საღამო-რიტუალი.

დ. გოგოპური

ქარისკაცთა ლექსები — სამხედრო-პატრიოტული ხასიათის ლექსები, რომელთა ავტორებად რეგულარული არმიის ქარისკაცები გვევლინებიან. ჯ. ლ.-ში უშუალოდ ფრონტებზე მყოფი მებრძოლთა ფსიქიკა და მეომარ მხარეთა ბატალური სცენებია ასახული. ქართულ პოეზიაში ჯ. ლ. ძირითად ფონდს პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომისა და დიდი სამამულო ომის მონაწილე ქარისკაცების პოეტური ნაწარმოებები შეადგენს.

ლიტ.: ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, ტფ., 1931, გვ. 167—197; საუნჯე, II, ტფ., 1936, გვ. 245—301; ფშავ-ხევსურული პოეზია, შეკრებილი ივ. ხორნაულის მიერ, თბ., 1948, გვ. 40—55; ხალხური ლექსები და ზღაპრები, შეკრებილი გ. ნათიძის მიერ, თბ., 1950, გვ. 29—35.

გ. შეთეაური

ჯარჯი — სამონადირეო ეპოსის ტრაგიკული გმირი. ჯ. შესახებ გვხვდება ლექსები და თქმულებები. ზოგი ვარიანტით ცოლი ქმარს სასიკვდილოდ იმეტებს. ზოგჯერ ამბავი სხვა პლანში ვითარდება: მონადირეს ჭიხვთა დევნაში კლდეზე ფეხი დაუცდება და უფსკრულში ჩაიჩხვება.

ლიტ.: ს. მაკალათია, ხევი, 1934; ელ. ვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი, 1964.

ნ. შამანაძე

„ჭეჭილი“ — ყოველთვიური საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი (1890—1917, 1921—1923). რედაქტორ-გამომცემელი ანასტასია თუმანიშვილი. მასში თანამშრომლობდნენ: შ. მღვიმელი, ვაჟა-ფშაველა, აკაკი წერეთელი, რაფ. ერისთავი, თ. რაზიკაშვილი, იაკ. გოგებაშვილი, ალ. მირიანაშვილი, და სხვ. ჯ. თითქმის ყველა ნომერში აქვეყნებდა ხალხური შემოქმედების ამა თუ იმ ჟანრის ნიმუშს. უმთავრესად იბეჭდებოდა: ზღაპრები, ლექსები, გამოცანები, ანდაზები, ჩქარა-გამოსათქმელები, ზმები. ფოლკლორის საკითხებზე ჯ. აქვეყნებდა სპეციალურ წერილებსაც (გ. ლეონიძის „მუსიკალური საკრავები საქართველოში“, 1914). რედაქცია არ ივიწყებდა სხვა ხალხთა ფოლკლორსაც. იქვე გამოქვეყნდა ვაგნერის, ანდერსენისა და გრიმების ზღაპრების თარგმანებაც.

ლიტ.: „ჭეჯილი“, 1890—1923 წწ.; დ. კარიკაშვილი, ქართული პერიოდული გამოცემების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა, „ქართული მწერლობა“, 1924, № 7—8; თ. ჭიბლაძე, ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიისათვის, 1959.

ფ. ზანდუკელი

ჯვარის ხუცობა — ზეპისიტყვიერი მყარი ტექსტი, რომელსაც ხუცესი ასრულებდა ხატისადმი მსხვერპლის შეწირვისა თუ „სადიდებელთა“ რიტუალის დროს. მისი შინაარსი ხატისადმი მიმართვას და მლოცველებისადმი მოწყალების გამოთხოვას წარმოადგენს (ნ. სულის ხუცობა).

ლიტ.: ს. მაკალათია, ხეცურეთი, 1935, გვ. 248; მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, III, გ. ჩიტაის რედაქციით, გვ. 194.

დ. გოგოჭური

„ჯვარული“ — საკულტო სიმღერა, ხევში გავრცელებული. მღეროდნენ „მზოლოდ ომში, ხატებისა და დროშების გამოსვენების დროს და ქორწილში“ (ა. ყაზბეგი). საქორწილო ჩვეულებაში „ჯვარული“ სრულდებოდა როგორც სასიძოს, ისე საპატარძლოს ოჯახში. ვაჟის ოქახში ქალის მოსაყვანად გამგზავრების წინ მღეროდნენ:

ნეფეს უხდება გვირგვინი,
ყმაწვილია და უხარის.
ნეფეო, ჩემი ძმა ხარო,
მთავარ ანგელოზს ჰგავხარო,
ღმერთმა ხელი მოგიმართოს
რასაც საქმეზე დგახარო.

ლიტ.: ა. ყაზბეგი, თხზ., ტ. II, თბ., 1948, გვ. 249; ს. მაკალათია, ხევი, ტფ., 1934, გვ. 159; შ. ასლანიშვილი, ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ, I, თბ., 1954, გვ. 256—258; ქს. სიხარულიძე, საქორწილო პოეზია, ლიტერ. ძიებანი, XI, 1958, გვ. 406; ვ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 243.

გ. შეთეკაური

ჯილდაობა — ხალხური სპორტული შეჯიბრი, რომელიც ქვის გასროლა-აწვევაში მდგომარეობდა. ხატობის დროს, სადღესასწაულო შეკრებილობაში, ახალგაზრდობა სხვადასხვა ტრადიციულ შეჯიბრთან ერთად სიმძიმის აწვევას თუ გასროლასაც მიმართავდა. აღდგომის პირველ ორშაბათს ლეჩხუმში ხატარეშობისას, დეხვირის საზოგადოება მცხეთიდან ხატს გამოიტანდა და მოკრძალებით

დასვენებდა ცაცხვის ქვეშ. იქ ღიღი ქვის ქვეშ შენახულ ქვის ბურთს გამოიღებდნენ და აღმოსავლეთისაკენ ხევზე გადაისროდნენ მკლავ-მარჯვენი. შორს გასროლისა და ქვის დაცემის ხასიათის მიხედვით წლის აკვარგიანობაზე წინასწარმეტყველებდნენ.. აღმ. საქრთვე-ლოს მთიანეთში ქვის შორს გასროლაზე ჯილდო იყო დაწესებული. ამგვარი სპორტული თუ სამხედრო შეჯიბრის კვალი კოპალასა და იახსარის ლექსებშიც იჩინს თავს. იახსარი რიტუალურ ლექსში ამბობს:

ღეთის კარზე შავიყარნით სამოცდასამი ხატია,
დაგვიდგეს სასწორ-ჩარეჭი, ოქროთ ნაქველი ხატია,
სამოცსა ფუთსა რკინასა ვერვინ შაულდო ძალია...
ავწიე. ისე ავიღე, ქვეშ გაუტარე ქარია,
მაჩუქა დამბადებელმა მშვილდ-ლახტი საომარია.

სიმძიმით არა მარტო ხორციელნი იწრთობიან, არმედ ღვთაე-ბანი და ღეთისშვილნიც. „სავაჟკაცო ქვით“ ან მისი შემცველი საგ-ნით ასაკში მოსულ ჭაბუკთა ძალის შემოწმება ამირანის უძველეს თქმულებაშიც გვხვდება.

ლიტ.: მ. ალაიძე, ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა, 1951, გვ. 129; თ. ოჩია-ური, მითოლ. გადმოცემები, 1967, გვ. 42; ქართული ხალხური პოეზია, I, 1972.
მ. ჩიქოვანი

ჯიხვი — ხალხური პოეზიის პოპულარული სახე, რომელზედაც სამონადირეო ლექსების მთელი ციკლია შექმნილი. ჯიხვი წარმოდგენილია როგორც სწრაფი, ლამაზი, ამაყი, ჯიუტი, კლდოვან დაბ-რკოლებათა უშიშრად გადამლახველი ცხოველი. ზოგჯერ ჯიხვზე ნადირობა ტრაგიკულად მთავრდება („ვეფხვისა და მოყმის ბალა-და“, „ჯარჯო“, „არ ეშობიან ღრუბელნი“). ლექსებში ადგილი აქვს პოეტურ გაპიროვნებას:

— ჯიხვო, გუნება მძიმეო,
რამ გადმოგაგდო კლიდამა?
— კილო წითელმა ისარმა
და მშვილდმა ჩემი რკისამა!

ლიტ.: ს. მაკალათია, ხევი, 1934, გვ. 155—156; გ. კალანდაძე, ქართული ხალხური ბალადა, 1957, გვ. 89—91; ე. ვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი, 1964, გვ. 136—143. ფშაური ლექსები, შეკრ. დ. ხიზანაშვილის მიერ, ტფ., 1887, გვ. 143. გვ. 19—21, 26—37.

გ. შეთეკაური

ჯოჯონეთი — წარმოდგენით შექმნილი მიწისქვეშა სამკარო, შავეთი, გენა, სადაც ცოდვილი ადამიანები იტანჯებიან. შავეთში კუპრის ცეცხლოვანი მდინარე ჩამოდის, ზედ ბეწვის ხილია, რომელზედაც მართალი, კეთილი ადამიანის სული ადვილად გადის, ბოროტი ადამიანის სულს კი ვერ იმაგრებს და ადუღებულ კუპრში აგდებას.

ლიტ.: ქართული ხალხური პოეზია, I, 1973.

მ. ჩაჩავა

ჭურხაის ფარი — ერთსტროფიანი ლექსი, სადაც საომარი იარაღი პერსონიფიცირებულია და სიმბოლურად საქართველოს გმირული ისტორიულ წარსულზე მიგვანიშნებს:

ბეთლემის კარზე ჰკილია
ვოჟა ჭურხაის ფარიო.
მაუვლის ომის წადილი,
ხანდისხან შასძრავს ქარიო.

ეს ლექსი განსხვავებული ვარიანტით პირველად ი. ჭავჭავაძემ დაბეჭდა ჟურნალ „კრებულის“ 1873 წლის მე-10 ნომერში. ლექსის მტკიცედ ფორმირებული სტრუქტურა დროთა განმავლობაში მის სერიოზულ ცვლილება-კრიტიკის პროცესზე მიუთითებს.

ლიტ.: ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, ქუთაისი, 1934, გვ. II; ქს. სიხარულიძე, ნარკვევები, I, თბ., 1958, გვ. 53—54; 206—207; ხალხური სიბრძნე, ტ. IV, თბ., 1956, გვ. 96.

გ. შეთეკაური

ჰ

ჰანანი — ლაზური სააკვნო სიმღერა (შრდ. ქართ. „ნანა“).

ჰეამო (ჰემო) — ლაზური ნაღური (ყანური) სიმღერა. ხშირად „ონაჩქუშ ბირაფა“ („თესვის სიმღერა“) ეწოდება. ძირითადად ყანურ შრომასთან, თესვასთან არის დაკავშირებული და ამ მიზნით მოწვეულ ნაღში იმღერება. ჰ. ლაზთა შორის ყველაზე გავრცელებული სიმღერაა. ნაღური შრომის რიტმთან კარგად შეხამებულია მელოდია, მუსიკალური ფრაზა, „უსიტყვო“ კომპლექსური რიტმული ამოძახილი პოეტური ტექსტისა და კორიფეს გარეშე. სიმღერაში ფოლკლორული სინკრეტიზმის აშკარა ნიშნები იჩენს თავს და მის არქაულობაზე მიუთითებს. საყურადღებოა, რომ მომღერალთა

ჯგუფი მუსიკალური ფრაზის („ჰე, ჰე ჰეამო, ამაო, ჰემო ჰეამო“), მეორე ნაწილს ხშირად ცვლის პოეტური გამონათქვამებით.

ლიტ.: ზ. თანდილავა, ლაზური ხალხური პოეზია, 1972.

ზ. თანდილავა

ჰეანა — ლაზური ნადური სიმღერა. „ჰეამოსაგან“ განსხვავებით, „ჰეანა“-ს არ გააჩნია მუსიკალური „უსიტყვო“ ფრაზა. ჰ. დამახასიათებელია პოეტური ტექსტი. შეძახილი ჰ. სტროფის პირველი და მეოთხე სტრიქონთა ბოლოში იხმარება რეფრენად.

ზ. თანდილავა

ჰეროიკა — ნაწარმოების გმირული, ზეაწეული, ჯანსაღი სულისკვეთება. ჰეროიკული განწყობილება ახასიათებს ფოლკლორის მრავალ ჟანრს, როგორც ლირიკულს, ასევე ეპიკურს. ჰეროიკულია, მაგ., ამირანის ეპოსი, საგმირო პოეზიის მრავალი ნიმუში და სხვ. ქართველი ხალხისათვის დამახასიათებელი ჰეროიკა ბრწყინვალედ არის გამოხატული ცნობილი ლექსში:

კიდევაც დაიზრდებიან
ალგეთს ლეკები მგლისანი,
ისე არ ამოსწყდებიან —
ჯავრი შასჰამონ მტრისანი.

ჟ. ბარდაველიძე

ჰეროდოტე (484—4251)— ძველი ბერძენი ისტორიკოსი. ბევრს მოგზაურობდა. ნამყოფია კოლხიდაშიც. დაწერა „ისტორია“, სადაც დაცულია ცნობები საქართველოს შესახებ და აღწერილია ქართველთა ზოგიერთი ზნე-ჩვეულება. ჰეროდოტეს თხზულებაში ვხვდებით ზღაპრებს, თქმულებებს, ლეგენდებს, ანეკდოტებსა და სხვა ფოლკლორულ ჟანრებს. აღსანიშნავია „რამპსინიტის ზღაპარი“, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო ეპოსში გავრცელებული ორი ქურდის ციკლის ყველაზე ადრინდელ ჩანაწერს.

ლიტ.: ყაუხჩიშვილი, თ., ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, 1960; ღლონტი ა., ქართული ხალხური ნოველა, II, 1966.

ვ. მაცაბერიძე

ჰერდერი, იოჰან გოტფრიდ (1744—1803) — გერმანელი მწერალი, ლიტერატურათმცოდნე და ფილოსოფოსი. 1778—79 წ. გამოსცა კრებული „ხალხური სიმღერები“, რომელიც უფრო ცნობილია მეო-

რე გამოცემის (1873) სახელწოდების მიხედვით — „ერების ხმები სიმღერებში“ (Stimmen der Völker in Liedern). კრებულში შეტანილია მრავალი ქვეყნის ხალხური პოეზიის ნიმუშები, თარგმნილი გერმანულ ენაზე. ხალხური სიმღერა ჰ. -სთვის წარმოადგენს ეროვნული სულის პოეტური გამოხატვის იდეალს.

დ. წერეთლიანი

ჰესიოდე (8—7 სს. ჩვ. წ-მდე) — ძველი ბერძენი ეპიკური პოეტი. ავტორი პოემებისა „თეოგონია“ და „სამუშაონი და ღლენი“. „თეოგონიაში“ გადმოცემულია ბერძენების მითები და მითოლოგიური წარმოდგენები ღმერთებისა და სამყაროს გაჩენის შესახებ.

ლიტ.: ს. ყაუხჩიშვილი, ანტიკური ლიტერატურის ისტორია, 1953; მიხ. ჩიქოვანი, ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, 1971.

დ. წერეთლიანი

ჰეჰია — არაბ. მოთხრობა, ანეკდოტი. შემოსულია თურქეთის გზით. გავრცელებული არის უმთავრესად ზემო აქარაში ზღაპრის მნიშვნელობით .

დ. ცქიტიშვილი

ჰომეროსი — ძველი საბერძნეთის ლეგენდარული პოეტი. მიეწერება ეპიკური პოეზიის ორი უმნიშვნელოვანესი ძეგლის („ილიადა“, „ოდისეა“) და რამდენიმე მცირე მოცულობის ნაწარმოების ავტორობა. ბიოგრაფიული ცნობები არ დარჩენილა. გადმოცემათა მიხედვით იგი მოხეტიალე ბრმა აედი (ნ.) ყოფილა. ანტიკური მონაცემებით მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ხანა თარიღდება VIII—VII ს. ჩვ. წ-მდე. „ილიადაც“ და „ოდისეაც“ შეიქმნა და ვრცელდებოდა ზეპირი გზით. მათში სრული სიცხადით ჩანს ფოლკლორიდან ლიტერატურაზე გადასვლის ეტაპი. „ოდისეას“ ზოგიერთი მოტივი გვხვდება ქართულ ხალხურ ზღაპრებში.

ლიტ.: ყაუხჩიშვილი, ანტიკური ლიტერატურის ისტორია, 1953; მ. ჩიქოვანი, ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, 1971.

დ. წერეთლიანი

ჰოპსუნა — შეძახილი მომკვლთა სიმღერაში. ჰ. სამკალი (ნ.) სიმღერების ზოგად სახელწოდებადაც არის მიჩნეული. სამკალად მოწვეული მუშები, მამითადი, კვლების მიხედვით ნაწილდებიან

ყანაში; შუაში ჩამდგარი მეთაური „ჰოოპუნას“ წამოძახილით მკის დაწყების ნიშანს იძლევა, დანარჩენებიც იმეორებენ „ჰოპს“ და მღერიან ლექსს: „შენ ბიჭო აზამბარელო“. „ჰოპი“ და ლექს-სიმღერა მეორდება ოთხჯერ. ყოველი „ჰოპ-ის“ წარმოთქმისას მკელი ნამგალს გამოჰკრავს და ნამჯებს ახშირებს. ჰ. ერთხმიანი გუნდური სიმღერაა, აცხოველებს და ბარაქიანს ხდის შრომას.

ლიტ.: დ. მაჩაბელი, ქართულთა ზნეობა, ცისკარი, 1864, V, გვ. 56; ქ. ბიუხერი, Работа и ритм, 1923, გვ. 203; თ. ოქროშიძე, ქართული ხალხური შრომის ბოეზა, 1963, გვ. 82.

გ. კელიძე

ଅନୁସୂଚୀ

୧.		୫
୨.		୪୮
୩.		୫୫
୪.		୫୯
୫.		୬୮
୬.		୬୯
୭.		୭୫
୮.		୯୭
୯.		୧୧୫
୧୦.		୧୧୯
୧୧.		୧୩୧
୧୨.		୧୪୬
୧୩.		୧୪୯
୧୪.		୧୫୩
୧୫.		୧୬୧
୧୬.		୧୬୩
୧୭.		୧୬୮
୧୮.		୧୬୯
୧୯.		୧୭୪
୨୦.		୧୭୮
୨୧.		୨୦୦
୨୨.		୨୦୭

Словарь
под редакцией М. Я. Чиковани

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

გამომცემლობის რედაქტორი ე. კოღუა
ტექნორედაქტორი ნ. ოკუჩავა
მხატვარი გ. ნადირაძე
კორექტორი ელ. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 8.10. 1974; ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.3.1975;
ქალაქის ზომა 60 X 90¹/₁₆; ქალაქი № 2; ნაბეჭდი თაბახი
13,4; საარტიცხო-საგამომცემლო თაბახი 12,5;
უე 00326; ტირაჟი 1500; შეკვეთა № 2936
ფასი 1 მან. 35 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ. მეცნ. აკად. სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. № 19
Тип. АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19